ნინო პოპიაშვილი

ომი ქალის მეხსიერებაში

(ქართველ და ოს ქალთა ზეპირი ისტორიები)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2014

ზეპირი ისტორიები ოფიციალურ ფაქტებს ინდივიდის პერსონალური ხედვით ამდიდრებს. ის უკავშირდება მოვლენას, რომელიც ისტორიის კუთვნილებაა და ინდივიდის მეხსიერებაშიც არის დალექილი. ასეთი მოგონებები ფაქტებზე დაფუძნებულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ღირებული, კორექტული და ნამდვილია ნაამბობი, ვიდრე – ოფიციალური ისტორია.

ქალის თვალით დანახული ომი ისტორიულ ფაქტებთან ერთად ინდივიდის სუბიექტურ განცდებსა და ემოციებსაც გადმოგვცემს, რაც განსაკუთრებით ფასეულია მოვლენების ობიექტური გააზრებისა და შეფასებისათვის. ქალთა ზეპირი ისტორიები შესაძლოა ფასდაუდებელი წყარო იყოს საქართველოს უახლესი ისტორიისათვის. ის ფაქტები, რასაც რესპონდენტები იხსენებენ, ისტორიის კუთვნილებაა.

წიგნი სათანადო მეგზურობას გაუწევს მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველებს, ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევრებს, კონფლიქტოლოგებს, ისტორიკოსებს, გენდერის მკვლევრებს, ეთნოლოგებს, ჟურნალისტებს, ექსპერტებს, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამთავრობო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ქეთევან ხუციშვილი

© ნინო პოპიაშვილი, 2014

ISBN 978-9941-10-845-7

სარჩევი

ავტორისაგან 5
ქართულ-ოსური ურთიერთობები მეოცე საუკუნის ბოლოს და
ქალთა ზეპირი ისტორიები 13
ქართულ-ოსური ურთიერთობები კონფლიქტამდე 16
ქართულ-ოსური კონფლიქტი (1990-91 წ.წ.) 23
პოსტკონფლიქტური პერიოდი.....64
საკუთარი მოგონებები 74
დასკვნები.....78
ბოლოსიტყვის მაგიერ 80
გამოყენებული ლიტერატურა.....82

ინტერვიუები
ვერა აიდაროვა-მაისურაძე 84
ნაირა ბეპიევი-პოპიაშვილი.....111
ცირა (მზიური) ბეპიევი-ინაური.....163
აზა კოკოევა.....181
მერი ცხოვრებოვა 196
თამარ ხიზანიშვილი 228

სახელთა საძიებელი 264

ზეპირი ისტორიები ოფიციალურ ფაქტებს ინდივიდის პერსონალური ხედვით ამდიდრებს. ის უკავშირდება მოვლენას, რომელიც ისტორიის კუთვნილებაა და ინდივიდის მეხსიერებაშიც არის დალექილი. ასეთი მოგონებები ფაქტებზე დაფუძნებულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ღირებული, კორექტული და ნამდვილია ნაამბობი, ვიდრე – ოფიციალური ისტორია.

ქალის თვალით დანახული ომი ისტორიულ ფაქტებთან ერთად ინდივიდის სუბიექტურ განცდებსა და ემოციებსაც გადმოგვცემს, რაც განსაკუთრებით ფასეულია მოვლენების ობიექტური გააზრებისა და შეფასებისათვის. ქალთა ზეპირი ისტორიები შესაძლოა ფასდაუდებელი წყარო იყოს საქართველოს უახლესი ისტორიისათვის. ის ფაქტები, რასაც რესპონდენტები იხსენებენ, ისტორიის კუთვნილებაა.

წიგნი სათანადო მეგზურობას გაუწევს მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველებს, ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევრებს, კონფლიქტოლოგებს, ისტორიკოსებს, გენდერის მკვლევრებს, ეთნოლოგებს, ჟურნალისტებს, ექსპერტებს, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სამთავრობო სტრუქტურებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ქეთევან ხუციშვილი

© ნინო პოპიაშვილი, 2014

ISBN 978-9941-10-845-7

სარჩევი

ავტორისაგან 5

ქართულ-ოსური ურთიერთობები მეოცე საუკუნის ბოლოს და ქალთა ზეპირი ისტორიები 13

ქართულ-ოსური ურთიერთობები კონფლიქტამდე 16

ქართულ-ოსური კონფლიქტი (1990-91 წ.წ.) 23

პოსტკონფლიქტური პერიოდი 64

საკუთარი მოგონებები 74

დასკვნები 78

ბოლოსიტყვის მაგიერ 80

გამოყენებული ლიტერატურა 82

ინტერვიუები

ვერა აიდაროვა-მაისურაძე 84

ნაირა ბეპიევი-პოპიაშვილი 111

ცირა (მზიური) ბეპიევი-ინაური 163

აზა კოკოევა 181

მერი ცხოვრებოვა 196

თამარ ხიზანიშვილი 228

სახელთა საძიებელი 264

ავტორისაგან

(ათი წლის შემდეგ)

ისტორიას თავისი წესები აქვს, ის შეისწავლის ადამიანების, საზოგადოების, ერის, ქვეყნის წარსულს, რომელიც თავად წარმოადგენს პროცესებისა და მოვლენების, ადამიანთა კოლექტივების, მთელი კაცობრიობის მრავალმხრივი მოქმედებების ერთიანობას. ისტორიის მთავარი არგუმენტია ფაქტები, რომლებიც მას უტყუარობისა და ჭეშმარიტების სახეს აძლევს, თუმცა ხშირად ამბობენ, რომ ისტორია მშრალი ფაქტების ერთობლიობაა, სრულიად დაცლილი კონკრეტული ინდივიდების, თვითმხილველების თავგადასავლებისაგან, დაცლილი ემოციებისა და ფიქრებისაგან, შთაბეჭდილებებისაგან, სიცოცხლისაგან.

ისტორიის თანამედროვე მკვლევარი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ ჰელეტ კარი კემბრიჯის უნივერსიტეტში 1961 წელს წაკითხულ ერთ-ერთ ლექციაში აღნიშნავს: „ისტორიკოსის ვალდებულება – პატივისცემით მოეპყრას ფაქტებს – არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ გააკონტროლოს მათი სიზუსტე. ის უნდა ეცადოს შეკრიბოს ყველა ცნობილი და საჭირო ფაქტი, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია იმ გამოსაკვლევ მოვლენასთან და მის მიერვე შემოთავაზებულ ინტერპრეტაციასთან“.

დრო ბევრ რამეს გადააფასებს და თავის ადგილს მიუჩენს. ბევრი რამ მიეცემა დავიწყებას, ნაწილი კი – ისტორიის საკუთრება გახდება. ეპოქის, მოვლენის, ისტორიული ფურცლის უკეთ საჩვენებლად ჩემ მიერ ჩაწერილი ისტორიები, რომლებიც დაპირისპირებულ მხარეებს წარმოაჩენს (ჩვენს შემთხვევაში, ქართველებისა და ოსების გამოცდილებას), ვფიქრობ, თავის ადგილს იპოვის საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის, ქართულ-ოსური კონფლიქტის[1] კვლევითა თუ შეს-

[1] ტერმინში: ქართულ-ოსური კონფლიქტი ვგულისხმობ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში მიმდინარე დაპირისპირებას ქართველებსა და ოსებს შორის როგორც სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ისე საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში, რომლის შედეგადაც მრავალი ადამიანი დაზარალდა.

წავლით დაინტერესების შემთხვევაში. ეს ისტორიები ობიექტურ რეალობასთან ძალზე ახლოსაა, რადგან მჭიდროდ უკავშირდება მეოცე საუკუნის ბოლოს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს.

მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ამერიკელი მწერალი და ფილოსოფოსი, რალფ ემერსონი (1803-1882) თვლიდა, რომ „ისტორია, როგორც ასეთი, არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ბიოგრაფიები".

ზეპირი ისტორიები – ეს არის გადმოცემათა გადმოცემა, შეფასება, ანალიზი. ასეთ ისტორიებს არა აქვს პრეტენზია უტყუარობაზე, ჭეშმარიტებაზე, ეს არის ინტერპრეტაციებზე, ემოციებსა და ინდივიდუალურ შეხედულებებზე, საკუთარი თვალით ნანახსა და განცდილზე დაფუძნებული მონათხრობი, თუმცა განსაკუთრებულ ფასეულობას იძენს მაშინ, როდესაც კონკრეტული ისტორიული მოვლენის გახსენება და ჩაწერა ხდება. ზეპირი ისტორიების გამოყენება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია შეიარაღებული კონფლიქტების დროს, როდესაც არსებობს სხვადასხვა დაპირისპირებული მხარე, რომელთაგან თითოეული საკუთარ ისტორიას ქმნის და ამკვიდრებს. ასეთ დროს მიზანშეწონილია დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლების ცალ-ცალკე ჩაწერა.

ისტორიის პერსონალური ხედვა ზეპირი ისტორიების ამოსავალი წერტილია. ის უკავშირდება მოვლენას, რომელიც მართლაც შევიდა ისტორიაში და ინდივიდის მეხსიერებაშია დალექილი. ასეთი მოგონებები ფაქტებზე დაფუძნებულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ღირებული, კორექტული და ნამდვილია ნაამბობი, ვიდრე – ოფიციალური ისტორია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ბოლო ათწლეულების ისტორია არ არის სათანადოდ გამოკვლეული და შეფასებული, ამის თქმა განსაკუთრებით მართებულია ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ. ფაქტები, რომლებიც დღემდე მყიფე და არასრულყოფილია, არ იძლევა ობიექტური ანალიზის საშუალებას. საბჭოთა ტრადიციებიდან გამომდინარე, ჭეშმარიტებად ითვლებოდა ისტორიის ოფიციალური, ხელისუფლებისეული ვერსია, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, პოსტსაბჭოთა საქართველოში აშკარაა, რომ იგივე, საბჭოთა ინერცია ჯერ კიდევ მძლავრია, რომ ისტორია ხშირად უშუალო კავშირშია სახელისუფლებო ხედ-

ვასთან, რის გამოც, ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი ისტორია მკვეთრად იდეოლოგიზებული და ცალმხრივი შეიძლება იყოს. სამწუხაროდ, ჩვენი ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ ტრადიციული მეთოდებით კვლევას აგრძელებს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში სხვა გარე ფაქტორებთან ერთად, ისტორიკოსის/ისტორიკოსების მიერ პატრიოტიზმის ცნების არასწორ გაგებასა და თვითცენზურასთანაც გვაქვს საქმე. ასევე, თვალსაჩინოა ისიც, რომ საკვლევი საკითხის ირგვლივ (ჩვენს შემთხვევაში, ქართულ-ოსური ურთიერთობები მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში), ჯერ კიდევ არ არის შეგროვებული და გაანალიზებული ობიექტური ინფორმაცია. ასეთ დროს ძალზე მნიშვნელოვანია ინდივიდების მიერ დანახული და აღქმული ისტორიული ფაქტები განსაკუთრებით იმ კონტექსტში, როდესაც დაპირისპირების ფონზე, ერთ ისტორიულ მოვლენაზე ორი, სამი თუ კიდევ უფრო მეტი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ისტორია იწერება.

2003 წელს მონაწილეობა მივიღე ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ქალთა პროგრამის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში: ქალთა ზეპირი ისტორიები (ფიქსირება და კვლევა). ჩემი პროექტი მიზნად ისახავდა ქართველი და ოსი ქალების, ასევე, შერეული ოჯახის წარმომადგენელი ქალების მიერ მოთხრობილი ზეპირი ისტორიების ფიქსირებას და მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიის კვლევას ქალთა ზეპირი ისტორიების გამოყენებით. იმ დროს მე უნივერსიტეტი უკვე დამთავრებული მქონდა და ასპირანტურაში ვსწავლობდი. რადგან თვითონაც შერეული ოჯახიდან ვიყავი, ეს თემა ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო. ხშირად ვმონაწილეობდი ორმხრივ შეხვედრებში, მე თვითონაც ვიყავი რამდენიმე ქართულ-ოსური შეხვედრის ორგანიზატორი თბილისსა თუ ცხინვალში.

მაშინ, 2003-ში, თუ გარკვეული კავშირები გქონდა, ცხინვალში ჩასვლა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. პროექტი დაფინანსდა. მე შევარჩიე რესპონდენტები, რომლებიც წლების განმავლობაში უშუალოდ მონაწილეობდნენ ქართულ-ოსურ ურთიერთობებში. რესპონდენტებს შორის არის დედაჩემიც, ნაირა ბეპიევი. გარდა იმისა, რომ ის დღემდე მუშაობს ქართულ-ოსური ურთიერთობების მშვიდობიანად დარეგულირებისა და ნდობის აღდგენის საკითხე-

ბზე, ვფიქრობ, წიგნის მკითხველი დარწმუნდება, რომ მას მართლაც ბევრი სათქმელი ჰქონდა ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ. კიდევ ერთი რესპონდენტი ჩემი ცხინვალელი დეიდაა, ცირა (მზიური) ბეპიევი, დევნილი, სამი ქართველი შვილის დედა, რომელსაც ორი შვილი მუხანათურად მოუკლეს. დეიდაჩემი ცხინვალის ინტელიგენციას წარმოადგენდა, ოს ბავშვებს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ცხოვრობდა ცხინვალში, იყო ბევრი რამის თვითმხილველი, 1990 წელს, ბლოკადის პირობებში, ცხინვალში გაატარა ზამთარი. ამიტომაც გადავწყვიტე მისი ზეპირი ისტორიის ჩაწერა.

რესპონდენტების ერთი ნაწილის ჩასაწერად რამდენჯერმე ჩავედი ცხინვალში, რაც ყოველ ჯერზე გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ფოტოაპარატი და დიქტოფონი გარკვეულ ეჭვებს აღძრავდა როგორც ქართველი, ისე ოსი და რუსი სამშვიდობო დანაყოფების წარმომადგენლებისათვის, არსებობდა საფრთხე ჩემი რესპონდენტებისთვისაც, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ არ უთქვამთ უარი, ჩამეწერა მათი მოგონებები.

ორიოდე სიტყვით, ჩემს რესპონდენტებზე:

პროფესორი ვერა აიდაროვა ცხოვრობდა თბილისში, თუმცა მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა (პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, გარდაიცვალა 2011 წელს.

პროფესორმა ნაირა ბეპიევმა წარჩინებით დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი, შემდეგ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა (დასწრებული). მუშაობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1980-20011 წწ. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) და საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრში „კავკასიურ სახლი“. მისი მეუღლე, ავთანდილ პოპიაშვილი, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო.

ცირა (მზიური) ბეპიევი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ცხინვალში, №2 რუსულ საშუალო სკოლაში, იყო ქართული ენის მასწავლებელთა მეთოდისტი.. კონფლიქტის შემდეგ

დევნილია და ცხოვრობს გორის რაიონში.

აზა კოკოევა ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში, კონფლიქტის შემდეგ დევნილია და ცხოვრობს ცხინვალში, მუშაობს ალ. ტიბილოვის სახელობის ცხინვალის პედაგოგიურ უნივერსიტეტში.

მწერალი და მთარგმნელი მერი ცხოვრებოვა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია, ცხოვრობს ცხინვალში.

მსახიობი და რეჟისორი თამარ ხიზანიშვილი მუშაობდა ცხინვალის თეატრში, კონფლიქტის შემდეგ დევნილია და ცხოვრობს თბილისში.

ზეპირი ისტორიების ფიქსირებით რამდენიმე მიზანი მიიღწევა:

1. ეს არის ქართველი და ოსი ხალხის ეთნიკური ისტორიის ამსახველი მასალა, რომელიც შესაძლოა სასარგებლო იყოს ობიექტური რეალობით დაინტერესებული ისტორიკოსებისათვის, კონფლიქტოლოგებისათვის, ეთნოლოგებისათვის, ფოლკლორისტებისათვის, პოლიტოლოგებისათვის, სოციოლოგებისათვის, მკვლევართა ფართო წრისათვის.

2. ზეპირი ისტორიები შესაძლოა საინტერესო წყარო აღმოჩნდეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე ზრუნავენ.

3. ჩაწერილი ზეპირი ისტორიები შესაძლოა ლიტერატურული გადამუშავების წყარო გახდეს, მოთხრობილ ისტორიებზე გადაიღონ ფილმები, რაც მონათხრობს ახალ სიცოცხლეს შესძენს.

ჰუმანიტარული დარგების სამეცნიერო კვლევები სულ უფრო ხშირად ეყრდნობა ბიოგრაფიულ მეთოდებს, რაც გულისხმობს ინდივიდის ბიოგრაფიის, ე. წ. სიცოცხლის ხაზის შესწავლით ეპოქის სოციალური, პოლიტიკური, ისტორიული, კულტუროლოგიური, ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზს. ამ შემთხვევაში კვლევების ძირითად წყაროს ხშირად ზეპირი ისტორიები, დღიურები, მიმოწერა, ბიოგრაფიული ჩანაწერები წარმოადგენს. ასეთ დროს ძალზე მნიშვნელოვანია ზეპირი ისტორიების ჩაწერა ინდივიდის ბუნებრივ გარემოში, სადაც მისთვის ყველაფერი ნაცნობი და ახლობელია.

ინდივიდის კულტუროლოგიური შემეცნება თავის თავში იტე-

ვს სუბიექტურ და ობიექტურ ტენდენციებს, სადაც მოაზრებულია განცდილისა და გადატანილი ამბების ერთობლიობა. ეს არის გამოცდილება, რომელიც განსაკუთრებულად მოქმედებდა და მოქმედებს ადამიანზე, მის შეხედულებებზე, ორიენტირებზე, აწმყოსა და მომავალზე. ომების, შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ ჩაწერილი ზეპირი ისტორიები ერთი მხრივ, ასახავს ეპოქის სურათს, ავსებს და ტვირთავს ისტორიას ინდივიდუალური განცდებითა და გამოცდილებით, ხოლო მეორე მხრივ, ახდენს ინდივიდის რეალიზაციას იმ სუბიექტური და სოციალურ-პოლიტიკური გამოცდილებების მიხედვით, რაც დაკავშირებულია წარსულთან და რაც იწვევს პიროვნების სამომავლო მოტივირებას.

ქალების მიერ მოთხრობილი ამბები მრავალ საინტერესო დეტალს, ისტორიას იტევს. ისინი ჰყვებიან ბავშვობაზე, დაოჯახებაზე, სიხარულზე, ძნელბედობაზე, ტკივილზე, იმედებსა და იმედგაცრუებაზე; ერთსა და იმავე ფაქტს აღიქვამენ და გადმოსცემენ თავისებურად, ქალურად და ემოციურად, თუმცა იქვე აშკარაა, რომ ეს არის მათი ისტორია, რომელიც შესაძლოა სხვა ინდივიდის მეხსიერებაშიც იყო დალექილი, ეს არის ისტორია, რომელიც გულისხმობს კიდეც, რომ მრავალი მსგავსი ამბავი და მოგონება არსებობს, რომ განურჩევლად ეროვნებისა, ასაკისა, პოზიციისა და წოდებისა, ეს ისტორიები ომში, კონფლიქტში, მრავალ მსგავს ნიუანსს შეიცავს და აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, ქართველი ჰყვება ამბავს თუ ოსი. შერეული ოჯახის წარმომადგენელი ქალებისთვის კი, – და უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ჩართული თითქმის ყველა ოჯახი ასეთია, – არ არსებობს მხოლოდ ერთი სიმართლე, ისინი უფრო მეტს ხედავენ და გრძნობენ. ალბათ სწორედ ამიტომაც სწყდებათ გული საუკუნეების განმავლობაში ნაშენები კეთილმეზობლობის, მეგობრობის, ნათესაობის რღვევაზე.

ქალთა პროგრამას ქალბატონი მარინა თაბუკაშვილი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით მან შექმნა ქალთა ფონდი და მეხსიერების კვლევის ცენტრი „ტასო“, სადაც შეკრებილია რამდენიმე ათეულ ქალთა ზეპირი ისტორია, ჩემ მიერ ჩაწერილი ისტორიებიც „ტასოს“ მეხსიერების კვლევის ცენტრში ინახება.

ქალთა ზეპირი ისტორიები შესაძლოა ფასდაუდებელი წყარო იყოს საქართველოს უახლესი ისტორიისათვის. ის ფაქტები, რასაც

რესპონდენტები იხსენებენ, ისტორიის კუთვნილებაა. სწორედ ამ მიზეზით გადავწყვიტე 2003 წელს შესრულებული სამუშაოს გამოქვეყნება ათი წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გადაფასდა კიდეც და დღეს სხვანაირად იკითხება. ეს განსაკუთრებით საგრძნობია 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ.

აუცილებლად უნდა ვთქვა ისიც, რომ ომზე ჩაწერილი ისტორიები ყოველთვის ძალზე ემოციურია. განსაკუთრებით, როდესაც ამ ისტორიებს ქალები ჰყვებიან. ემოციები უკავშირდება განცდილ ამბებს, მათი და მათივე ახლობლების, ნათესავების, მეზობლებისა და მეგობრების ტრაგედიებს, რაც შეიარაღებული დაპირისპირებების გამო ხდებოდა. სულისშემძვრელი ამბები, ტკივილიანი წარსული, ქართველებისა და ოსების ურთიერთობებს მეოცე საუკუნის 90-იან წლებში სისხლიან ლაქებად რომ დამჩნევია, დიდხანს მაფიქრებდა –– შეიძლებოდა თუ არა მათი უცვლელად გამოქვეყნება, რადგან, ზეპირი ისტორიების ფიქსირების მეთოდოლოგიის მიხედვით, ისტორიების ჩაწერისა და გამოქვეყნებისას დაუშვებელია კორექტივების შეტანა, ვინაიდან მოყოლის პროცესში მნიშვნელოვანია მთხრობელის ინდივიდუალური თხრობის სტილის შენარჩუნება: დიალექტიზმები, ლექსიკა, ჟარგონები, მთხრობელის სინტაქსი შეძლებისდაგვარად სრულად უნდა იყოს გადმოტანილი. ათი წლის შემდეგ მაინც გადავწყვიტე, ქართველ და ოს ქალთა ზეპირი ისტორიები თითქმის უცვლელად გამომექვეყნებინა. წიგნში მოთხრობილი ისტორიების გაცნობა მკითხველსაც ვერ დატოვებს გულგრილს.

2003 წელს ჩაწერილ ინტერვიუებსა და შესრულებულ კვლევას უცვლელად გთავაზობთ, მიუხედავად იმისა, რომ ათწლიანი პერსპექტივიდან, შესრულებული სამუშაოსგან რომ მაშორებს, ბუნებრივია, ბევრი რამ სხვანაირად მოჩანს ჩემთვისაც, თუმცა ინფორმაციული ვაკუუმის ფონზე, რომელიც წლების განმავლობაში შეიქმნა ქართველებსა და ოსებს შორის, ვფიქრობ, ეს ისტორიები მართლაც განსაკუთრებულად ფასეულია.

იმედი მაქვს, ეს წიგნი საინტერესო იქნება მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის შესწავლით დაინტერესებული მკითხველებისათვის, ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევარებისთვის, კონფლიქტოლოგებისთვის, ისტორიკოსებისთვის,

ეთნოლოგებისთვის, გენდეროლოგებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ექსპერტებისთვის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის, სამთავრობო სტრუქტურებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის.

ნინო პოპიაშვილი
თბილისი, 2013 წლის აგვისტო

ქართულ-ოსური ურთიერთობები მეოცე საუკუნის ბოლოს და ქალთა ზეპირი ისტორიები

საქართველოში ბოლო წლებში წარმოშობილმა ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ შეიარაღებული ეთნოკონფლიქტის სახე მიიღო. დაიღვარა სისხლი, მრავალნი ოჯახებიანად აიყარნენ და ხიზნებად იქცნენ თავიანთსავე მიწა-წყალზე... მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ მხოლოდ მცირე ფრაგმენტები აღინუსხა, დანარჩენი მიღმა ხდებოდა, უფრო სწორად, ყველაფერი მიღმა რჩებოდა. ვერავინ ამჩნევდა იმ ადამიანთა შინაგან ტრაგიზმს, რომელთაც ომის საშინელებებს საკუთარი თვალით უყურეს, რომელთა თვალწინაც ხდებოდა ყველაფერი, რომელთაც ერთიც თავის სისხლად და ხორცად მიაჩნდა და მეორეც. ასეთები იყვნენ შერეული, ქართულ-ოსური ოჯახის წარმომადგენლები. მათი მონათხრობი, ჩანაწერი თუ საოჯახო არქივი დღეს უკვე საქართველოს უახლესი ისტორიის შემავსებელი უნიკალური მასალაა.

ჩემი მიზანი იყო ჩამეწერა იმ ქალთა ისტორიები, რომლებიც ქართულ-ოსური, შერეული ოჯახის წარმომადგენლები არიან. მათ თვალწინ მოხდა კონფლიქტი, რომელმაც ორად გახლიჩა ისტორიულად გვერდიგვერდ მცხოვრები ეს ორი ერი. ამგვარი ისტორიების დოკუმენტირება საშუალებას იძლევა აღმოვაჩინოთ და დავაკვირდეთ პოლიტიკური რეალიების გავლენას ინდივიდებისა თუ სოციალური წრის მენტალიტეტსა და ქცევის მოდელებზე, შევავსოთ და დავაზუსტოთ ზოგიერთი ფაქტი, რომელიც კონფლიქტის დროს მოხდა.

ცნობილია, რომ შეიარაღებული კონფლიქტების დროს თითოეულ დეტალს, ფაქტსა და რეალობის წარმომჩენ ყოველ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში, უპირველესად კი, კონფლიქტის მრავალმხრივი შესწავლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს თვით ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ამასთანავე, მთხრობელთა მეხსიერებაში დალექილი სინამდვილე, მათ დღიურებში მოთხრობილი ისტორიები თუ ფოტო-დოკუმენტებზე აღნუსხული მათი ცხოვრება, საოჯახო საარქივო მასალები, დღევანდელი საქართველოს ისტო-

რიაა, მისი ერთ-ერთი ფურცელია, ჩვეულებრივი თვითმხილველი ქალების ხელით ნაწერი.

ვიდრე უშუალოდ თემაზე საუბარს დავიწყებდით, ნდობის მოპოვებისა და მათთან დაახლოების მიზნით რამდენჯერმე ვესტუმრე და ვესაუბრე რესპონდენტებს. პირველი შეხვედრები გაცნობითი ხასიათისა იყო, ვსაუბრობდით, თუმცა საუბრებს არ ვიწერდით. ინტერვიუები ჩავწერე მეორე და მესამე შეხვედრების დროს, როდესაც უკვე არსებობდა შესაბამისი განწყობა.

ქრისტინა უების თანახმად, კარგი ურთიერთობის დამყარება ქალების შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს[2]. უპირველესად, სწორედ ნდობის მოპოვება დამეხმარა იმაში, რომ მათი მონათხრობი ყოფილიყო უშუალო, გულახდილი და, ამასთანავე, რეალურ ფაქტებზე აგებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზეპირი ისტორიების ჩაწერის მეთოდოლოგიის თანახმად, რესპონდენტის მონათხრობთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს საუბრის დროს გამოყენებულ ლექსიკას, პაუზებს, თხრობის თავისებურებებს: წინადადების წყობას, ლექსიკასა და სინტაქსს. ამიტომაც რესპონდენტების ისტორიები ფაქტობრივად უცვლელად, განსაკუთრებული ფილოლოგიური ჩარევის გარეშეა გადმოტანილი, ყველა ინტერვიუ ჩაწერილია ქართულ ენაზე.

[2] „გენდერული თეორიების ანთოლოგია“, თბ., 2003, გვ. 171.

შეგროვილი მასალა შეიძლება დაიყოს რამდენიმე მნიშვნელოვან ნაწილად:

1. მონათხრობი, რომელშიც გადმოცემულია მთხრობელის ცხოვრების პერიოდი კონფლიქტამდე. აქ არ ვხვდებით ქართულ-ოსური დაპირისპირების ელემენტებს.

2. ფაქტები, რომლებიც უშუალოდ კონფლიქტის პერიოდში ხდებოდა და რომელთა თვითმხილველი ჩვენი რესპონდენტია.

3. სხვათა მიერ ნანახისა და ნაამბობის გადმოცემა ჩვენი რესპონდენტების მიერ.

4. მეორე პირთა მოგონებები თუ შენიშვნები ძირითადი მთხრობელის ზეპირი ისტორიის კორიგირება-შევსების მიზნით.

5. პოსტკონფლიქტური მდგომარეობა და რესპონდენტთა მდგომარეობა კონფლიქტის შემდეგ.

6. რესპონდენტთა საერთო განწყობა, მოლოდინები და სურვილები.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონფლიქტის პერიოდის საარქივო მასალებს, პრესასა და სხვა დოკუმენტებში აღნუსხულ ფაქტებს.

გამოკვლევა ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება:

1. ქალთა ზეპირი ისტორიები: ქართულ-ოსური კონფლიქტის თვითმხილველების მონათხრობები, რაც, თავის მხრივ, სამ ეტაპად იყოფა:

- **კონფლიქტამდე**
- **კონფლიქტის დროს**
- **კონფლიქტის შემდგომ**

2. დასკვნები: ქალთა ზეპირი ისტორიების როლი კონფლიქტის შესწავლისა და ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საკითხში.

ქართულ-ოსური ურთიერთობები კონფლიქტამდე

ბუნებრივია, ორი ხალხის ისტორიაში, მით უფრო, როდესაც ეს ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის, მრავალი საგულისხმო ფაქტი მოიპოვება. თანაცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ურთიერთობა ზოგჯერ მტრული იყო, ზოგჯერ – მშვიდობიანი. ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართულ-ოსური ურთიერთობების მაგალითზე თუ ვიტყვით, მშვიდობიან, კეთილმეზობლურ, ხშირ შემთხვევაში – ნათესაურ თანაცხოვრებას ზოგჯერ ახლდა დაპირისპირება და მტრობა. ჩვენ არ შევუდგებით ამ ძირების ძიებას, ეს არ არის ჩვენი კვლევის მიზანი, ვიტყვით მხოლოდ ერთს: ქართველებისა და ოსების ურთიერთობა ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე უმრავლეს შემთხვევაში განპირობებული იყო საერთო პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ინტერესებით.

ეს ურთიერთობა განსაკუთრებით მჭიდრო გახდა ოსთა საქართველოში გადმოსვლის დღიდან, რაც საკმაოდ ადრინდელ საუკუნეებში მომხდარა (ამის შესახებ იხ. „Очерки истории Юго-Осетинской автономной области“, რედ. ა. რობაქიძე, ბ. ტეხოვი, თბ., გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985. გვ. 67–85).

რაც შეეხება ცხინვალში მათ მასიურად დასახლებას, ეს საკმაოდ გვიანდელი პროცესია, რამაც კიდევ უფრო დააახლოვა ეს ორი ერი და მათ ინტეგრაციას შეუწყო ხელი.

30-იან წლებში ცხინვალი უბნებად იყო დაყოფილი: ცერაანთ უბანი, ყაზახაანთ უბანი, კასრაანთ უბანი, ვარდის უბანი, კვანჭახაანთ უბანი, კავთისაანთ უბანი, ებრაელთა უბანი.

აქ საკმაოდ ბევრი ყოფილა ქართული ეკლესია-მონასტრები: კავთისაანთ უბანში – წმ. გიორგის ეკლესია; საავადმყოფოსთან ახლოს – წმ. ღვთისმშობლის ეკლესია; ჯაფარიძის ქუჩაზე – წმ. სამების ეკლესია; ძველ ხიდთან, ლიახვის პირას – წმ. ღვთისმშობლის ეკლესია; ზღუდრის გორაზე – წმ. გიორგის ეკლესია; ყოფილა წმ. პეტრე-პავლეს, კვირაცხოვლის, ლომისისა და სხვა ეკლესიები. შაუმიანის ქუჩაზე მდგარა ებრაელთა სინაგოგა.

ცხინვალში ქართველებთან ერთად სახლობდნენ ოსებიც: აბაევები, გაზაევები, ლოხოვები, ფუხაევები, ჯიოევები, და სხვები.

დასახლებული ოჯახი ხშირად შერეული იყო, ქართულ-ოსური.

„უბანში ქართველი და ოსი, ყველა ერთმანეთთან კარგი განწყობით ცხოვრობდა. ჩვენს გვერდით იზრდებოდნენ მარგიევის, ჯიჭოევის, გათიკოევის და სხვათა შვილები. დიდობაშიც ახლობლებივით ვხვდებოდით ერთმანეთს. ჩვენთვის უცხო იყო ეროვნული სხვაობა.

30-იან წლებში ცხინვალში არსებობდა ქართული დაწყებითი სკოლა, ქართული საშუალო სკოლა, ოსური დაწყებითი სკოლა, ოსური საშუალო სკოლა, ებრაელთა საშუალო სკოლა, სომხური დაწყებითი სკოლა. ამ სკოლის სახვადასხვა ეროვნების მასწავლებლები ერთმანეთთან დიდად მეგობრობდნენ, ყოველთვის ერთმანეთის ხათრი ჰქონდათ"[3].

ჩვენი რესპონდენტი, პროფესორი ვერა აიდაროვა მეოცე საუკუნის 40-იანი წლების ცხინვალის შესახებ მოგვითხრობს: „ცხინვალსა და თბილისში პარალელურად ვმუშაობდი 1946-1990 წლებში. ეს იყო არაჩვეულებრივი წლები ჩემი ცხოვრებისა. ცხინვალში მუშაობდა აქაური მეცნიერების საკმაოდ დიდი ჯგუფი. სიხარულით ჩავდიოდით იქ, რადგან იქაურები დიდი სიყვარულით გვეგებებოდნენ. ბევრი ცნობილი ქართველი მეცნიერი მოღვაწეობდა იმ დროს ცხინვალში: ენათმეცნიერი, პროფ. ალექსანდრე ღლონტი, ლიტერატურათმცოდნეები: პროფ. იოსებ მეგრელიძე, დოცენტი ანდრო მირიანაშვილი, ფსიქოლოგი, დოცენტი პროკოფი ვადაჭკორია; ენათმეცნიერები: დოცენტი ოთარ ქაჯაია, პროფესორი რაფიელ შამელაშვილი, დოცენტი ტიტე სულაბერიძე, პროფესორი აკაკი თოფურია, დოცენტი კარპეზ დონაძე, დოცენტი მურმან კიკვაძე, ფოლკლორისტი, დოცენტი ლევან ბოლქვაძე, დოცენტი შალვა სააკაძე, დოცენტი ნოდარ მესხრიკაძე და სხვები.

აქვე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა საერთოდ მაშინდელ ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. ხალხი მეორე მსოფლიო ომის ჭრილობებს ერთად იშუშებდა და ნამდვილად არავინ ყოფდა ოსს ქართველისაგან და პირიქით. ეს გაჭირვებული ხალხი ერთმანეთს ედგა მხარდამხარ. ცხინვალში ჩასულ ქართველ ლექტორებს ღამის გათევა უხდებოდათ ხოლმე მატარებლების სადგურთან მდებარე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, მათთვის გამოყოფილ ცალკე ოთახებში. ასევე იქ ვათევდი ხოლმე ღამეს მეც. იყო გადაპატი-

[3] რომეო ბაქრაძე, 30-40-იანი წლების ცხინვალი, თბ., 1996, გვ. 59.

უებები, მიწვევა და სიამტკბილობა, ოსი ლექტორების ოჯახებში წვეულებები თბილისიდან ჩასული ლექტორების გარეშე არ იმართებოდა. სრული ურთიერთგაგება და მეგობრობა სუფევდა. ისიც მახსოვს, თუ ვინმე ამ წვეულებაზე ვერ წავიდოდა, მოსაკითხს აქეთ მოუტანდნენ განთქმული ოსური ხაბიზგინებითა და ლუდით.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი მართლაც ინტერნაციონალური კერა იყო. აქ სწავლობდნენ და მუშაობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, უმეტესად, ოსები და ქართველები. ამ ინსტიტუტმა კიდევ უფრო დააახლოვა ეს ორი ერი ერთმანეთთან. მე ერთ ამბავს გავიხსენებ იმ წლებიდან. არ მახსოვს, რომელი ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ სექტემბერში ლექციებზე დაბრუნებულებს ერთ კურსზე ორი ახალი დაწყვილებული დაგვხვდა. ორი შერეული ოჯახი შეიქმნა. მაშინ ეს სასიხარულო მოვლენა იყო. სასიხარულო, რადგან ეს ამ ხალხის ურთიერთსიყვარულის გამომხატველი იყო.

ჩემი ცხოვრების უმეტესი წლები მე ცხინვალში გავატარე. ბოლო ხანებში ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ ასე საუკუნეობით ნაგებ მეგობრობას უცბად გადაუსვეს ხაზი. ცხინვალში არ მეგულებოდა ოსი, ქართველი ნათესავი რომ არ ჰყოლოდა და პირიქით. თუ სისხლისმიერი არა, ნათლიად მოკიდებული მაინც ეყოლებოდა და ეს თავისთავად მეტყველებდა მათი სულის ერთიანობაზეც, აღარაფერს ვამბობ ტრადიციებზე, კულტურაზე.

ცხინვალში მუშაობის წლები ჩემთვის არის სიცოცხლესთან დაბრუნების წლები. მე ხელახლა დავიბადე მაშინ, უფრო სწორად თუ ვიტყვი, მე გავცოცხლდი. ჩემს ოჯახს, შორეული გადასახლებიდან ჩამოსულს, არაფერი გააჩნდა. ხალხიც ომის წლებით წელგატეხილი დაგვხვდა, თვითონაც გაჭირვებაში იყვნენ. მერე ისიც უნდა გითხრათ, რაკი გადასახლებიდან ვიყავით ჩამოსულები, მაინცადამაინც არ გვეკარებოდნენ, რაღაცის ეშინოდათ და ურთიერთობა არავის უნდოდა ჩვენთან. ეშინოდათ, არავის არაფერი დაეწამა მათთვის. მერე და მერე გალღვა ყინული, თორემ... არც ვამტყუნებ, მაშინ ის დრო იყო...

ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი აეწყო. ცხ-

ინვალში, ბევრჯერ ყინავდა და პალტო არ მქონდა, რომ ჩამეცვა. ერთხელ იანვარი იყო, ლექციებზე „ნასკებითა“ და დაგლეჯილი ფეხსაცმელებით წავედი. „ჩულქიც“ არ მქონდა, რომ ჩამეცვა. ყინვაში გრძელი კაბა მიფარავდა შიშველ ფეხებს, დაგლეჯილი ფეხსაცმლიდან წყალი შემდიოდა, გავცივდი და კარგა ხანს ვიავადმყოფე. ლექციებს სიცხიანი ვატარებდი, არ ვაცდენდი, ლექციის გაცდენა ვერც წარმომედგინა. მახსოვს, ცხინვალის ინსტიტუტში 1947 წელს რაღაცა ტალონები მოგვცეს, თეთრეულის შეძენა შემეძლო. პირველად მაშინ ვიყიდე თეთრეული, ოჯახისთვის რაღაცა აუცილებელი, პირველადი მოხმარების საგნები. მერე და მერე ოჯახმა სული მოითქვა, მეუღლეც ჩამოვიდა გადასახლებიდან, მუშაობა დაიწყო“.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ცხინვალს პროფ. ნაირა ბეპიევი ასე იხსენებს: „მე კახეთში დავიბადე და გავიზარდე. ჩემ ირგვლივ არაჩვეულებრივი ჰარმონია იყო. მამაჩემი ხომ ყველას ძალიან უყვარდა (ქართველი ცოლის ახლობლებს ვგულისხმობ), ძალიან ავტორიტეტულ პიროვნებად მიიჩნევდნენ. მამაჩემის ოსი ნათესავები და დედაჩემის ქართველი ნათესავები ერთმანეთს უაღრესად დიდ პატივსა სცემდნენ. აღარ არის საუბარი იმაზე, რა გარემო იყო სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი. აზრადაც არავის გაუვლიდა თავში ოსობაზე გაემახვილებინა ყურადღება. 1965-70 წლებში, როცა მე ცხინვალში ვსწავლობდი, პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი იყო პავლე დოგუზოვი. მისი დიდი კრძალვა გვქონდა ყველას, სტუდენტებსაც და პროფესორ-მასწავლებლებელსაც. პრორექტორი იყო გიორგი ჯიოევი, არაჩვეულებრივი პიროვნება, ნიჭიერ სტუდენტთა დიდი ქომაგი. ჩემ დროს ასევე პრორექტორად მუშაობდა, შესანიშნავი ეთნოლოგი, ლუდვიგ ჩიბიროვი (1992 წლიდან 2001 წლამდე სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი).

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მაშინ დაკომპლექტებული იყო თბილისიდან ჩასული კადრებით. ჩვენ გვზრდიდნენ არაჩვეულებრივი სპეციალისტები. კათედრის გამგე იყო დოცენტი ოთარ ქაჯაია, შემდეგ პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი. გვასწავლიდნენ პროფ. რაფიელ შამელაშვილი, დოცენტები, – სერგო მოდებაძე, ანდრო მირიანაშვილი, შალვა საათაკაძე, ტიტე სულაბერიძე, ნოდარ მესხრიკაძე, ლევან ბოლქვაძე და სხვები. ჩქართულ ფაკულტეტზე ლექციებს გვიკითხავდნენ

ოსი პროფესორ-მასწავლებლებიც: დოცენტი ვანო ხაბალაშვილი, ფაკულტეტის დეკანი იყო გიგა მამიევი და სხვები.

არ შეიძლება არ შეგემჩნიათ ის ერთსულოვნება და ურთიერთპატივისცემა, რაც მაშინ ამ ინსტიტუტის პედკოლექტივში სუფევდა. ამიტომ იყო, რომ ასეთივე განწყობა იყო სტუდენტებს შორისაც. ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდნენ ოსები, ქართველები, ებრაელები და არავის აზრადაც არ მოსდიოდა, ოსი რაკი იყო, ოსთან ემეგობრა ან ქართველს – ქართველთან. ძალიან მეგობრული ჯგუფი იყო. ეს იყო ერთი სამეგობრო: ი. გაბარაშვილი, ი. სამხარაძე, თ. თიგიშვილი, ც. თინიკაშვილი, მ. ნართიკოევი, ზ. თაბუევი, ა. ტეხაშვილი, მ. გიგაური, ე. მამისთვალოვი, ლ. ელიშაკოვი, გ. ჭოველიძე, ს. გაწერელია, ნ. კულუმბეგოვი და სხვები. ერთად დავდიოდით სტუმრად ერთმანეთის ოჯახებში. ჩემთან, კახეთში, თითქმის მთელი კურსი ორჯერ ჩამოვიდა. სამი-ოთხი დღე დარჩნენ, ძალიან იმხიარულეს, დასვენების დღეებში, რასაკვირველია.

ერთად აღვნიშნავდით ქართველი თუ ოსი მოღვაწეების იუბილეებს. 1966 წელს ცხინვალში ქართველებმაც და ოსებმაც ერთად იზეიმეს შოთა რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღესასწაული. დიდი ზარზეიმით აღინიშნა ცხინვალში ქართული ენის ფუძემდებლის აკადემიკოს აკაკი შანიძის იუბილე. ახლაც მახსოვს ის თბილი საღამო და ისიც, ცხინვალში ჩამოსული სტუმრებს, აკად. შოთა ძიძიგურს, აკად. მზექალა შანიძეს და სხვებს როგორი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეგებებოდნენ იქ მცხოვრები ქართველებიცა და ოსებიც".

ჩვენი რესპონდენტი, რეჟისორი და მსახიობი, თამრიკო ხიზანიშვილი მოგვითხრობს: „ჩემს კლასში სწავლობდნენ ქართველები, ოსები, ებრაელები, სომხები და ყველას არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. ცხინვალში ჩვენი მეზობელი ბავშვები, – ქართველები, ოსები – ერთად ვთამაშობდით, ბევრი რამ გვქონდა საერთო: ქუჩა, სახლი, ეზო, და არანაირი განსხვავება ეროვნული ნიშნით ჩვენს შორის არ ყოფილა. მე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ გიგოლაევი დათო, გიული და ნანული ოსები იყვნენ და სხვები იყვნენ და კასრაძეები – ქართველები, ჩვენიანები. არასოდეს არ მიფიქრია მაგაზე, რადგან ჩვენი სალაპარაკო ენა იყო ქართული და ყველა ერთად ვთამაშობდით და ერთად ვიზრდებოდით.

ბავშვები ძირითადად ჩვენს ეზოში ვიკრიბებოდით, იმიტომ, რომ ჩვენ დიდი ეზო გვქონდა. ბიცოლაჩემი, რუსუდან ლურსმანაშვილი, დედაჩემის ძმის ცოლი, არაჩვეულებრივად თბილი ქალი იყო. დედაჩემის ძმა, – ზაურ გასიევი ცხინვალის თეატრის ქართული დასის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი იყო. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენს სახლში ოსებიც მოდიოდნენ სტუმრად და ქართველებიც. ბიძაჩემი ცოტა უყურადღებო კაცი იყო ნათესავების მიმართ. როცა მისი ნათესავები მოდიოდნენ, ბიცოლაჩემს ეკითხებოდა, ვინ ვინ იყო და როგორ ნათესავად ერგებოდა. ბიცოლაჩემმა თავისი ხუთი თითივით იცოდა, ვინ რომელი სოფლიდან იყო, ან: როგორი ნათესავი. ბიცოლაჩემი იყო ქართულ-ოსური ტრადიციების დამცველი და ჩვენი ნათესაობის შემკვრელი. მან ოსურიც კარგად შეისწავლა და დედაჩემზე კარგად შეეძლო ესაუბრა ოსურად. ბიცოლაჩემი სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა და ბევრი ოსი მეგობარი ჰყავდა, რომელთაც ოსურად ესაუბრებოდა.

ცხინვალის თეატრში მუშაობდა ბიძაჩემი და, ბუნებრივია, ცხინვალის თეატრის დასის წევრები ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან. ხშირად მოდიოდნენ მსახიობები: გრიშა კოკოევი, შერმადინ ცხოვრებოვი, რაისა პლიევა ხომ ჩვენი ოჯახის წევრი იყო! მთელი დასი ცხინვალის ქართული თეატრისა, სადაც ოსებიც მოღვაწეობდნენ და ქართველებიც, ბავშვობიდან მახსოვს, როგორც ბიძაჩემის განუყრელი მეგობრები.

ჩემი უმცროსი დეიდა, ლილი გასიევა, კულტურის განყოფილებაში მუშაობდა. მისი მეგობრები, კულტურის მოღვაწენი ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან სახლში. აქ იკრიბებოდა ბევრი გამორჩეული და ხალხისთვის საყვარელი ადამიანი: მომღერლები, მოცეკვავეები, მწერლები. ერთი ბედნიერება იყო ამ ხალხის ჩვენს ოჯახში თავმოყრა და მათ გვერდით ყოფნა. ჩვენ, ბავშვებს, ჩვენი ნომრები გვქონდა მომზადებული, მათი გამრთობები ვიყავით. გართობის დრო რომ მოვიდოდა, ვიწყებდით ჩვენი მომზადებული ნომრებით მათ გართობას. მერე ღიმილითა და ტაშით გვაჯილდოებდნენ და უკვე თვითონ იწყებდნენ სიმღერასაც და ლექსის თქმასაც, ოსურ თუ ქართულ ენაზე. ბიძაჩემს, – ზაურ გასიევს, ძალიან უყვარდა ოსური ლიტერატურა. თარგმნიდა კიდეც ოსურ პიესებს, ოსი პოეტების ლექსებს, ოსურიდან ქართულად. და, სხვათა შორის, მრა-

ვალი პოეტის ლექსი ორივე ენაზე ზეპირად იცოდა. ასეთი დიდი და საინტერესო ოჯახი გვქონდა ცხინვალში, სადაც მე ვიზრდებოდი.

ასეთი იყო ურთიერთობები მაშინდელ ცხინვალში. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე აღარ არის, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი დროებითია და ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენ ისეთი დიდი ნათესაური ჯაჭვითა ვართ ერთმანეთთან გადაბმულნი, ქართველები და ოსები, რომ ჩვენ შორის მთავრობა რომ არ ჩაერიოს, თვითონ ქართველები და ოსები მოაგვარებენ ერთმანეთში ყველაფერს მშვიდობიანად და ორივე ხალხის სასიკეთოდ, რადგან სიყვარულს, ძმობას, ნათესაობას ვერაფერი მოერევა".

როგორც რესპონდენტთა ნაამბობიდან ირკვევა, ქართულ-ოსურ ურთიერთობაში არ შეიმჩნეოდა არანაირი დაპირისპირება.

რესპონდენტთა ერთი ნაწილი კახეთიდანაა (ცირა ბეპიევი-ინაური, ნაირა ბეპიევი-პოპიაშვილი), სადაც ოსები წინა საუკუნიდან სახლობენ. მათი მშობლების მონათხრობიდან ისინი იხსენებდნენ, რომ ბევრჯერ დახმარებიან ახლად ჩასულ ოსებს იქ დამხვდური ქართველები. მიხმარებიან საცხოვრებლის აშენებაში, ხელი გაუმართავთ გაჭირვებაში. მერე და მერე ასეთი ურთიერთობა ორმხრივი იყო. ეროვნულ ნიადაგზე ჩხუბი არასოდეს ყოფილა.

მეორე ნაწილი, რომელთაც ცხინვალში უხდებოდათ ცხოვრება (მერი ცხოვრებოვა, თამრიკო ხიზანიშვილი) ამბობს, რომ იქ გვერდიგვერდ მცხოვრებ ოსებსა და ქართველებს არაჩვეულებრივად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ოსებმაც იცოდნენ ქართული და ქართველებმაც – ოსური. ეს მათ კიდევ უფრო აახლოვებდა ერთმანეთთან. მხოლოდ მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიძაბა ეს ურთიერთობა და იმდენად გამწვავდა, რომ ახლო მეგობრებსა და ნათესავებს ერთმანეთის ენის გაგონება კი არა, ერთმანეთის დანახვა აღარ უნდოდათ.

მესამე ნაწილი, თბილისში მცხოვრები ოსები (აზა კოკოევა, ვერა აიდაროვა-მაისურაძე) გადმოგვცემენ: არასოდეს გვიგვრძვნია ეროვნული ჩაგვრა ქართველთაგან ბოლო წლებამდე:. „მე სულ ქართულ გარემოცვაში მიხდებოდა ცხოვრება, ქართულ უმაღლეს სასწავლებელში ვმუშაობდი, ქართველების გვერდით ვცხოვრობდი, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. 1988-89-იანი წლებიდან აირია ყველაფერი", – ამბობს ვერა აიდაროვა.

ქართულ-ოსური კონფლიქტი

1989-90-იან წლებში ძალზე გამწვავდა ქართულ-ოსური ურთიერთობები. დაირღვა კეთილმეზობლური და, ხშირ შემთხვევაში, ნათესაური კავშირები და კონფლიქტის სახე მიიღო: ურთიერთშუღლი და მტრობა გაჩაღდა. თავდაპირველად თითქოს გარეგნულად სრულიად მარტივ მიზეზებზე აღმოცენებულმა დაპირისპირებებმა სისხლისღვრა გამოიწვია. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ ერთი მხარე მეორეს ადანაშაულებდა და მისი სახით მტრის ხატს ქმნიდა, მეორე – პირველს. ასე გრძელდება პოსტკონფლიქტურ პერიოდშიც. ყოველივე ამას ხელს უწყობდა და უწყობს ინფორმაციული ვაკუუმი. დღემდე არ არის შესწავლილ-გაანალიზებული, რა ხდებოდა კონფლიქტამდე, რა მოხდა კონფლიქტის დროს და მის შემდეგ. საერთოდ არ ექცევა ყურადღება უშუალო თვითმხილველთა მონათხრობს და მხოლოდ პოლიტიკოსებისა და მასმედიის მიერ (ერთი თუ მეორე მხარის) სრულიად ტენდენციური, შეფერადებულ-გადასხვაფერებული ინფორმაციები დღესაც ორივე მხრიდან გაღიზიანებას იწვევს.

ჩემი პროექტის უპირველესი მიზანი იყო ამ კონფლიქტის ორივე მხარის საზოგადოებისათვის ცნობილი პირების ზეპირი ისტორიების ჩაწერა და ამ ისტორიებზე დაყრდნობით ობიექტურად კვლევა. ისე რომ, დაპირისპირება, საკითხების გამწვავება, კონფლიქტის ესკალაცია არ მომხდარიყო. ზეპირი ისტორიების ჩაწერასთან ერთად, შევისწავლე რესპონდენტთა ოჯახებში დაცული ხელნაწერები, ფოტოები, რაც კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის მათ მონათხრობს. გავეცანი საარქივო დოკუმენტებს, რომლებშიც ასახულია ზეპირ ისტორიებში მოთხრობილი ამბები (ოსური, რუსული და ქართული პერიოდიკა, კვლევები).

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-ოსურ კეთილმეზობლურ, ნათესაურ ურთიერთობებს საუკუნეების ისტორია აქვს. საბჭოთა სისტემის რღვევას საბჭოთა კავშირში შემავალი ერების დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა მოჰყვა. საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელიც დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ძნელია, განსაჯო და ჯეროვანი პოლიტიკური შე-

ფასება მისცე იმდროინდელ მოვლენებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ამ ძნელადსავალ გზაზე ბევრი შეცდომა იყო დაშვებული, რომელთა შედეგებს ჯერ კიდევ ვიმკით.

ახალი პოლიტიკური კურსი თავიდანვე გადაიხარა ნაციონალიზმის, უფრო ზუსტად კი, ვიწრო ნაციონალიზმის მიმართულებით. ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლით გარანტირებული თავისუფლება კვლავაც საბრძოლველი აღმოჩნდა. თავისუფლების შინაარსი კი, – საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილისათვის საკმაოდ ბუნდოვანი. საბჭოთა მემკვიდრეობა იმდენად მძიმე ტვირთი იყო, რომ, ბუნებრივია, მისგან გათავისუფლება ვერ მოხერხდებოდა ევროპის, ამერიკისა თუ აზიის ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პარალელურად. ახალი იდეოლოგია, რომელსაც ეროვნული ძალები ქმნიდნენ, საზოგადოებას მოუწოდებდა მხოლოდ ეროვნულ ფასეულობებს დაყრდნობოდა. ამასთან ერთად, ყოფილი იმპერია კვლავაც ცდილობდა დამოუკიდებლობამოპოვებულ ქვეყნებში ძველი გავლენები აღედგინა. ეს მტკივნეული პროცესები კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში, კიდევ უფრო მტკივნეულად, ომითა და სისხლისღვრით გაგრძელდა. აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობა საქართველოსთვის არის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ვინ იცის, როდის დასრულდება.

ეროვნული თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი ხალხი მიტინგს მიტინგზე ატარებდა, ერთიანობისაკენ ილტვოდა, რათა თავისუფლების მოპოვებისათვის ებრძოლათ. დიდი იყო პატრიოტული სულისკვეთება, ლოზუნგები, ხალხის გულისთქმა: – მშვიდობა და თავისუფლება გვსურს, – ყველასათვის გასაგები იყო. თუმცა მალევე გაისმა არაქართველთა მიმართ არაკორექტული გამონათქვამებიც, გაჩნდა პირველი ეჭვები, შიში, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ზოგიერთი პოლიტიკოსის არასწორი პოზიციის გამო. დაიბეჭდა ოსთა შეურაცხმყოფელი წერილებიც, ისეთ თემებზეც კი, როგორიცაა შობადობა-გამრავლების საკითხი (იხ. ტარიელ კვანჭილაშვილის წერილი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 30 სექტემბერი, 1990 წ.)[4]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულ სტატიას სა-

[4] ვფიქრობ, ამ და სხვა წერილების მოხსენიება საკმარისია და არ არის აუცილებელი მათი ტირაჟირება.

განგებო ყურადღება მიაქციეს ცხინვალში, თუმცა, მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლების ქრონიკაში, რომელიც 1996 წელს ცხინვალში გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ თითქოს კვანჭილაშვილის წერილი 1988 წელს დაიბეჭდა და გარკვეულ „შესამზადებელ“ იმპულსს წარმოადგენდა ქართულ-ოსური კონფლიქტის პროვოცირებისათვის.

„1988 г. – Расширение деятельности и становление новых неформальных

организаций и партий Грузии, цель которых - создание суверенного национального государства. Формирование радикального грузинского национализма. Стала проводится политика, направленная на обеспечение приоритета грузинской нации во всех сферах жизни общества. В сознании масс внедрялась установка на выход Грузии из СССР. Началось ущемление прав и интересов негрузинских народов.

30 сентября – В республиканской газете „Литературули Сакартвело“ опубликована статья профессора Т. Кванчилашвили, касающаяся демографических аспектов развития Грузии и содержащая человеконенавистнические идеи относительно ограничения рождаемости негрузинских народов республики“[5].

საზოგადოება დაიყო ეთნიკური ნიშნის მიხედვით განსხვავებულ მხარეებად და ორივე მხრიდან ერთმანეთის შეურაცხმყოფელი მიმართვები გაისმოდა, ერთ მხარეს გამართულ მიტინგზე ხალხს ოსებით აშინებდნენ, სანდრონი არ არიან, გავყაროთ აქედანო. მეორე მხარეს გამართულ მიტინგზე – ქართველებით, მოვლენ და ამოგვხოცავენ, შევიარაღდეთო. ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა...

1989 წლის 23 ნოემბერს თბილისიდან ქალაქ ცხინვალში ჩავიდნენ მრავალი ავტობუსითა და სხვა ტრანსპორტით (თვითმხილველების თქმით, 400-მდე ავტობუსითა და 100-ზე მეტი მსუბუქი მანქანით) მაშინდელი ცეკას თავმჯდომარე გივი გუმბარიძე, ორგანიზაცია „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლები და სხვები. მათ შეუერთდნენ ცხინვალელი ქართველები. მომიტინგეებს ცხინვალის შესასვლელთან გზა გადაუკეტა ოს ახალგაზრდათა ჯგუფმა. მიტინგი ცხინვალის შესასვლელთან გაიმართა. მომიტინგეების მთავარი

[5] Южная Осетия, Цхинвали, 1996.

მოთხოვნები იყო საქართველოს გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება. ცხინვალის შესასვლელთანვე გაიმართა მეორე მიტინგიც, რომელზეც გაისმოდა მოთხოვნები სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამ დროს მდგომარეობა უკვე კულმინაციური იყო – ქართველებსა და ოსებს შორის ვითარება უკიდურესად იყო გამწვავებული. ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ მიტინგს ესწრებოდა. როგორც ჩვენი ერთ-ერთი რესპონდენტი, ცხინვალის ქართული თეატრის მსახიობი, თამარ ხიზანიშვილი იხსენებს: „1989 წლის 22 ნოემბერს ტელევიზიით (I არხი) გამოცხადდა, რომ მიტინგის ჩასატარებლად ცხინვალში მოდიოდა დიდი კოლონა ავტობუსებით. მთელი მოსახლეობა იმაზე საუბრობდა, სად უნდა დატეულიყო ეს ხალხი. ჩამოსულები არ შემოუშვეს ქალაქში და სხვებთან ერთად, მეც ქალაქის შესასვლელისკენ წავედი. დგანან იქით ქართველები, აქეთ – ოსები, შუაში დგას საბჭოთა ჯარი. ისინი ყვირიან: „საქართველო!“ ოსები ლენინის სურათით არიან მოსულები. ჩვენ, ცხინვალის თეატრის თანამშრომლებმა, გადავწყვიტეთ, რომ მივსულიყავით ქართველებთან და გაგვერკვია, რა მიზნით იყვნენ ჩამოსულები, რადგან ცხინვალში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისიდან შეიარაღებული ხალხი ჩამოვიდა და ჩვენ გვსურდა გავრკვეულიყავით ყველაფერში. გადმოვედით ქართველების მხარეს. ჩამოსულები შეიარაღებულები არ იყვნენ, იქ იარაღი არ დამინახავს, მაგრამ აღშფოთებულები იყვნენ, რომ მათ ქალაქში არ უშვებდნენ.

ერთმანეთის გვერდიგვერდ ტარდებოდა ორი მიტინგი, ორივე მათგანის მოსმენა მომიხდა და ვიცი, რომ ორივეგან რადიკალური მოწოდებები იყო. მე ვიტყვი, რომ ხალხმა ბევრი მოითმინა ორივე მხრიდან. კიდევ ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი ქართველებსა და ოსებს, რომ იმ მიტინგზევე არ დაიწყო შეტაკება და მშვიდობიანად დაიშალნენ, თუმცა, ოსები, რა თქმა უნდა, ძალიან გაბრაზებულები იყვნენ იმის გამო, რომ ამდენი მომიტინგე და ასე რადიკალურად განწყობილი, რადიკალური მოწოდებებით ჩამოვიდა. მომიტინგეები წავიდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ გვინდოდა ქალაქში დაბრუნება?! მათ, რა თქმა უნდა, ისე აღიქვეს, რომ ყველა, ვინც ქართველების მიტინგზე იყო, მათს პოზიციას იზიარებდა. ჩვენ უკვე გვეშინოდა ქალაქში გამოსვლისა. მე არ დამავიწყდება ის შეურაცხყოფა, რაც

მაშინ ვიგრძენი, როცა რუსმა სამხედროებმა გააკეთეს კორიდორი და ქართველი მოსახლეობა ასე ალყაშემორტყმული შეგვიყვანეს ქალაქში“.

მეორე რესპონდენტის, მწერალ მერი ცხოვრებოვას მონათხრობიდან:

„მე საერთოდ მიტინგებზე არასოდეს დავდიოდი. სადაც ეს მომიტინგეები შეაჩერეს, იქიდან ჩემი სახლი სულ რამდენიმე მეტრშია. პატარა ბაღჩა მაქვს და იქ ვტრიალებდი. მეგაფონების ხმა გავიგონე, გავიხედე და უამრავი ავტობუსი და ხალხი დავინახე, რომელიც ბუზივით ირეოდა. წინა დღეს მეზობლის ნათქვამი გამახსენდა, ვიღაც ამბობდა, ქართველები ცხინვალზე თავდასხმას აპირებენო...

კარგად მახსოვს მეგაფონებით მოწოდებებიც. მახსოვს ისიც, შიშნარევი გრძნობით სავსე ცნობისმოყვარე ხალხი, ოსი თუ ქართველი, როგორ თანდათან იკრიბებოდა ცხინვალის შესასვლელთან. ეს ყველასათვის ძალიან მოულოდნელი იყო. მართალია, მანამდე უკვე ვრცელდებოდა ხმები, რომ მიტინგებზე, თბილისში, ოსების ლანძღვა-გინება ისმისო, მაგრამ საქმე თუ იქამდე მივიდოდა, არავის ეგონა. ყველა კითხულობდა, რა ხდება, რა უნდათ? ვიღაცებმა ისიც თქვეს, ქართველები თავს დაგვესხნენო. შიგადაშიგ ხმები ისმოდა: გავწყდებით და არ შემოვუშვებთო.

კარგად მახსოვს, მეგაფონში ვიღაც იმეორებდა: – დაწყნარდით, შეგვიშვით ქალაქში, ჩვენ მხოლოდ მიტინგის ჩატარება გვინდაო. ამდენი ხალხი რაღა საჭირო იყო მაშინ? ვინ დაიჯერებდა ამას და დადგნენ ოსები მათ პირისპირ ერთი პასუხით, – თქვენ ქალაქში ვერ შემოხვალთ. იქ იარაღის სროლის ხმა არ გამიგია, ისე კი ზოგიერთს ჰქონდა. მხოლოდ მეორე დღეს გაბრუნდნენ ქართველები. იქაურობა ისე აოხრეს, უარესს ვერავინ შეძლებდა. იქვე, შესასვლელში მდგარი რესტორანი „ჯავა“ შეტეხეს, შეანგრიეს და რაც პროდუქტი იყო, ხომ გააჩანაგეს და საერთოდ, ყველაფერი მილენმოლეწეს. ახლაც გულსაკლავი სანახავია თავის დროზე ულამაზესი შენობა...

უმთავრესი აქ სხვა იყო, ოსებმა დაინახეს, რომ მათ არ დაინდობდნენ. ვიღაცებმა თქვეს, იარაღიც ისროლესო. და გაჩნდა უნდობლობა. კითხვები – თუ მიტინგი უნდოდათ, ჩაეტარებინათ, ვინ

უშლიდათ, ჩამოსულიყვნენ და ხალხი აქაც იყო, მოუსმენდა აქ მცხოვრები ოსიცა და ქართველიც, ამდენი ხალხი სად მოჰყავდათო? – უპასუხოდ რჩებოდა. მაშინ მათ ოსებს ხომ არ გაუწიეს ანგარიში და არც თავიანთი ხალხი დაინდეს. ქართველები მათ გამო რაღაცნაირად უხერხულად გრძნობდნენ თავს და ამ შეკითხვებზე პასუხს ვერ პოულობდნენ. აი, სად გაჩნდა პირველი დიდი ბზარი ქართველსა და ოსს შორის, რომელიც მერე თანდათან უფრო გაღრმავდა".

ამ მოვლენას ორიოდე წლის შემდეგ ასე იხსენებენ სხვა წყაროებში: „На рассвете 24 ноября 1989 года я подходил к Цхинвали со стороны Гори. Километров за пять до города дорога окозалась сплошь заставлена автобусами. один рассказывает: приехали проучит этих пришельцев-осетин пляшущих под дудку Кремля и если те и после этого не угомонятся - выгнать их за хребет"...[6]

ოსური წყაროები 1989 წლის მოვლენების თავისებურ ქრონიკას ქმნის:

"22 ноября – В неформальной газете „Сакартвело" было опубликовано объявление о предстоящем митинге в Цхинвале и съезде туда грузин со всей республики. При этом лидеры неформалов ввели общественность республики в заблуждение, объявив митинг санкционированным. На самом деле митинг не был санкционирован властями.

23 ноября – Многотысячная колонна „демонстрантов" (по разным оценкам от 30 до 60 тыс. человек) на более чем 400 автобусах и машинах из Тбилиси и других мест Грузии подошли к Цхинвалу с целью проведения „мирного митинга", на котором якобы собрались решать национальные проблемы грузин. Среди „митингующих" было много вооруженных боевиков. Местное население преградило им дорогу у въезда в город со стороны Тбилиси. Противостояние продолжалось одни сутки. На месте присутствовало и руководство Грузии во главе с I секретарем ЦК Гумбаридзе. Не сумев войти в город, грузинские боевики обогнули его, взяв в кольцо блокады, длившейся более 3-х месяцев".[7]

[6] Южная Осетия, Цхинвали, 1996.

[7] Тамже.

მივყვეთ შემდგომ მოვლენებს:

1990 წლის 3 ოქტომბერს გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" იბეჭდება ძალზე საყურადღებო მიმართვა „სამხრეთ ოსეთის ქართველი და ოსი მოსახლეობისადმი", სადაც ვკითხულობთ: „რეგიონში შექმნილმა სოციალურ-პოლიტიკურმა წინააღმდეგობებმა, როგორც მთელი ქვეყნის ღრმა კრიზისის მინიატურულმა გამოვლინებებმა, კულმინაციას მიაღწია. საკმარისია ერთი ნაპერწკალი, რომ საშინელი ხანძარი გაჩაღდეს. და ამ გადამწყვეტ დროს ფაქტობრივად უმოქმედოდ არიან ისინი, ვინც თავისი მდგომარეობითაა ვალდებული, რომ წესრიგი დაამყაროს.

ამიტომ, მოცემულ ეტაპზე ჩვენ გვინდა შემოგთავაზოთ: შევქმნათ ქართულ-ოსური საზოგადოება, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ხალხის მიერ არჩეული ავტორიტეტული, მცოდნე და გაბედული ადამიანები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან, ოლქის ყველა რაიონიდან. ესენი იქნებიან როგორც ქართული, ისე ოსური ეროვნების წარმომადგენლები"[8].

აღნიშნულ სტატიას საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამავე გაზეთში. დაიბეჭდა რამდენიმე მხარდამჭერის სტატიაც: 1990 წლის 19 ოქტომბერს „ვიწონებ და მხარს ვუჭერ"; 1990 წის 20 ოქტომბერს: „ღმერთო, დაგვინთე სიბრძნის სანთელი"[9]. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ-ოსური საზოგადოება ცხინვალში არ შექმნილა.

ოფიციალური ქრონიკა:

1990 წლის 10 ოქტომბერს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთხუთმეტე სესია, სადაც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი მთავრობა. მთავრობის ხელმძღვანელობა დაევალა „ადამონ ნიხასის" ერთ-ერთ დამფუძნებელს, ტორეზ კულუმბეგოვს. აღნიშნულმა სესიამ 1990 წლის 2 დეკემბერს არჩევნების დანიშვნა გამოაცხადა.[10]

---

[8] Осетия и Осетины. Владикавказ-Санкт-Петербург.1994. стр.274.

[9] Южная Осетия 1988-1992, хроники событий грузинской агрессии, Составители Б. Е. Чочиев и М. К. Джиоев, Цхинвал 1996, стр. 10

[10] "საბჭოთა ოსეთი", №186 (14451), 3 ოქტომბერი, 1990 წელი

უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ჩვენი რესპონდენტი, ცირა (მზია) ინაური ცხინვალში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა იმ საშუალო სკოლაში, რომელშიც ტორეზ კულუმბეგოვი 1990 წლამდე სკოლის დირექტორი იყო. კულუმბეგოვმა თანამოაზრეებთან ერთად დააარსა „ადამონ ნიხასი", ორგანიზება გაუწია სამხრეთ ოსეთის ე. წ. რესპუბლიკის გამოცხადებას. ტორეზ კულუმბეგოვს ქართულ ოფიციალურ და არაოფიციალურ წყაროებში ხშირად მოიხსენიებდნენ ოს სეპარატისტად. ჩვენი რესპონდენტის ნაამბობიდან ირკვევა, რომ სკოლაში ქართულ-ოსური ურთიერთობები კულუმბეგოვის დირექტორობის პერიოდში არათუ არ გამწვავებულა, არამედ ძალზე ჰარმონიული იყო. „ტორეზ კულუმბეგოვის ხელშეწყობით, სკოლაში ქართული ენა ყვაოდა! წიგნები, სასკოლო ინვენტარი ყოველთვის წესრიგში იყო. არ მახსოვს მე მისთვის ქართული ენის კაბინეტისათვის თვალსაჩინოება მეთხოვა და მას უარი ეთქვა, ან დროულად არ მოეწოდებინა. პირიქით, ხშირად შემოდიოდა კაბინეტში და მეკითხებოდა, რამე ხომ არ მჭირდებოდა. ესწრებოდა ჩვენს ღონისძიებებს, სასკოლო წარმოდგენებს. ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილ იუბილეებზე სიტყვითაც გამოდიოდა ხოლმე და ამა თუ იმ ქართველი მწერლის დამსახურებაზე ლაპარაკობდა. ღია გაკვეთილების დროსაც აუცილებლად მესწრებოდა. არაჩვეულებრივი პედკოლექტივი გვქონდა, ერთიანი, შეკრული, ღირსეული. იქ მაშინ ქართული კი არ იდევნებოდა, პირიქით, ყველა პედაგოგი იმას ცდილობდა, რაიმეთი დამხმარებოდა. ასეთმა ერთსულოვნებამ და ურთიერთსიყვარულმა განაპირობა, რომ მე სკოლაში მიმიხაროდა. მიუხედავად იმისა, რომ მე იქიდან გამოძევებული ვარ და ძვირს უფრო ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მე კარგის მეტი არაფერი მახსოვს მათგან და ძვირს ვერაფერს ვიტყვი, ისინი ყველანი ახლაც ძალიან მიყვარან. საერთოდ ძვირი რა სახსენებელია, იქ იყო იდეალური პედკოპლექტივი, იდეალური შეგნება-განწყობით ქართველთა მიმართაც და ქართული ენის მიმართაც. დირექტორი რომ არ გვყოლოდა კარგი, ჩვენ ასე ვერ დავახლოვდებოდით. ყველა ღონისძიებაზე ერთად ვიყავით. მე იქ ქართველებზე ნათქვამი უარყოფითი არ გამიგონია. როცა ხმამაღალი განცხადებები ისმოდა, ეს ქართული მიწააო, ტორეზ კულუმბეგოვმა კრებაზე თქვა, ეს შეიძლება ქართული მი-

ნაა, მაგრამ აქ ყველამ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ოსებმაც და ქართველებმაცო. თვითონ ქართველი ცოლი ჰყავდა, მუმლაძის ქალი, სამხედროს შვილი. ქართულად ჩვეულებრივ საუბრობდა".

მოძრაობა „ადამონ ნიხასის" დაფუძნების შესახებ ოსური წყარო აღნიშნავს: „**1988 Ноябрь** — Опубликован проект Государственной программы развития грузинского языка, предусматривавший значительное ущемление негрузин. Одно из основных положений проекта Программы – перевод делопроизводства на грузинский язык означал для большинства населения Юго-Осетинской автономной области возврат к неграмотности. (Из Тбилиси стали возвращать документы, составленные на русском языке и т. п.).

1988 Конец ноября - Создание студенчеством и интеллигенцией Южной Осетии демократического движения „Адамон Ныхас". Поводом к появлению „Адамон Ныхас" послужило опубликование проекта Государственной программы развития грузинского языка"[11].

1990 წლის ნოემბრის დასაწყისიდან ცხინვალში აღარ გამოსულა ქართულენოვანი ყოველდღიური გაზეთი „საბჭოთა ოსეთი", ცხინვალელი ოსი მოსახლეობა უარს ამბობდა ქართულენოვანი გაზეთის დაბეჭდვაზე. ამასთან დაკავშირებით ქართული პრესა წერს: „საგანგაშო ცნობა მივიღეთ ცხინვალიდან. იქაურმა კოლეგებმა, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციის თანამშრომლებმა, შეგვატყობინეს, რომ კანონიერი ხელისუფლების მაგიერ მოქმედი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა უგულებელყოფს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ყოველგვარ დადგენილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ. ეს მთავრობა ყოველნაირად ცდილობს, თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ცხინვალში მომუშავე ქართველი ჟურნალისტები, დააბეჭდინოს ანტიქართული, მის მიერ მიღებული ორ ერს შორის შუღლის გამღვივებელი დოკუმენტები და მასალები. ასეთმა პოლიტიკამ ნაყოფი გამოიღო. ქართველი მოსახლეობა მტრულად განეწყო „საბჭოთა ოსეთის" მიმართ. გაზეთი დახურვის პირასაა. საქართ-

[11] „საბჭოთა ოსეთი", №197 (14462), 19 ოქტომბერი, 1990 წელი.

ველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ოსურენოვანი გაზეთი „სოვეტონ ირისტონი“ და მისი რუსული დუბლი უკვე გამოდის, როგორც საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტისა და „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანო. როგორ გავიგოთ ეს? პარტიის საოლქო კომიტეტმა და, ამდენად, საქართველოს კომპარტიამ ცნეს ახლად გამომცხვარი საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა? „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციის მუშაკებმა გადაწყვიტეს, უარი ეთქვათ ყოველგვარ ზემდგომ ორგანოზე, მათ შორის, საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტზე და „საბჭოთა ოსეთის“ ბაზაზე შეექმნათ ახალი, სრულიად დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ჩვენი სამკვიდრო – დევიზით: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება“. კოლექტივმა განზრახვას ფრთები შეასხა, მაგრამ, როცა საქმე გამოცემაზე მიდგა, საქართველოს გამსახკომის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პოლიგრაფიული გაერთიანების სტამბამ (დირექტორი ა. კავიშოვა) უარი განაცხადა ამ სახელწოდების გაზეთის დაბეჭდვაზე. ნომერი ჩავარდა. აღსანიშნავია, რომ მასში იბეჭდებოდა ქალაქ ცხინვალისა და ცხინვალის რაიონში ჩატარებული საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგები. სამაჩაბლოს ქართველობა ამ ინფორმაციის გარეშე დარჩა, სამაგიეროდ, იმავე ღამით სტამბაში დაიბეჭდა „ადამონ ნიხასის“ არარეგისტრირებული გაზეთი – „ირონ გაზეთი“. ცხინვალელი ქართველი ჟურნალისტები შეძრა ამ უკანონობამ, დისკრიმინაციამ და პროფესიული ღირსების გათელვამ. პროტესტის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადეს. ქართულენოვანი გაზეთი პირველი ნოემბრიდან აღარ გამოვა. 5 ნოემბერს კვლავ დავუკავშირდით ცხინვალს. „ჩვენი სამკვიდროს“ – ყოფილი „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვასილ საბანაძემ შეგვატყობინა, რომ რედაქციის თანამშრომლებს გადაწყვეტილი აქვთ, გაფიცვა გააგრძელონ მანამ, სანამ სამართლიანობა არ აღდგება“[12].

ჩვენი რესპონდენტი მერი ცხოვრებოვა ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მე მაშინ ქართულ გამომცემლობაში ვმუშაობდი, ნოემბრის თვეში „საბჭოთა ოსეთის“ სარედაქციო კოლეგიამ შეი-

[12] “საბჭოთა ოსეთი”, №198 (14463), 20 ოქტომბერი, 1990 წელი.

ტანა საოლქო ბიუროს სხდომაზე წინადადება გაზეთის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. „ჩვენი სამკვიდრო", ასეთი იყო ახალი სახელწოდება. მოხდა ისე, რომ გაზეთი საერთოდ აკრძალეს, ამაზე ბევრჯერ დაიწერა (იხ. „საქ. რესპუბლიკა", №11, 18 დეკ., 1990), მაგრამ ამ საქმეს აღარაფერი ეშველა დღემდე".

1990 წლის 9 დეკემბერს ცხინვალში ოფიციალურად გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ ფაქტს წინ უძღვოდა თბილისში განლაგებული საბჭოთა ჯარების ცხინვალში შეყვანა.

1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ გამოსცა კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ". ამ კანონის მიხედვით, გაუქმებულად გამოცხადდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, 9 დეკემბერს ჩატარებული არჩევნები და ავტონომიური რესპუბლიკა".[13]

იმავე დღეს უზენაესი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა: „ჩვენს წინასაარჩევნო პროგრამებში, ხაზგასმით იქნა აღნიშნული საქართველოში არსებული ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიების შენარჩუნების საჭიროება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტონომიები ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ანექსიის შემდგომ ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ და გარკვეული გაგებით არღვევდა სწორედ ერთა შორის თანასწორობის პრინციპს. ჩვენი მთავარი ამოცანა მიზნად ისახავდა ერთაშორისი ურთიერთობების მშვიდობიანად განვითარებას, საკონფლიქტო საკითხების მოლაპარაკების გზით მოგვარებას, სამოქალაქო მშვიდობასა და სტაბილიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობას საქართველოში.

...ჩვენ ვაღიარებთ ოსი ხალხის, ისევე, როგორც სხვადასხვა ხალხის უფლებას თვითგამორკვევისას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნას, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს მათ ისტორიულ სამშობლოში, დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში და არა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მათ მიტაცებული აქვთ და რომელიც წარმოადგენს სუვერენული საქართველოს განუყოფელ ნაწილს" (სტილი დაცულია, ნ. პ.).

[13] "საბჭოთა ოსეთი", №196 (14461), 18 ოქტომბერი, 1990 წელი.

ოსური ქრონიკა ამ ფაქტებთან დაკავშირებით აღნიშნავს:

„7 декабря –В Цхинвал был введен полк Тбилисского гарнизона внутренних войск СССР (командир генерал – майор Г. Малюшкин).

9 декабря – Состоялись выборы в Верховный Совет Юго-Осетинской республики, в которых приняло участие 72% избирателей (с учетом избирателей всех округов, в том числе грузинских, т.е. и тех, где бойкотировали выборы).

10 декабря - Начала работу I сессия Верховного Совета Юго-Осетинской республики. Сессия избрала Т.Г. Кулумбегова Председателем Верховного Совета. Были сформированы руководящие органы республики.

11 декабря – Состоялась сессия Верховного Совета Республики Грузия, принявшая Закон об упразднении автономии Южной Осетии с одновременным внесением соответствующих изменений в Конституцию Грузии. Выступивши на этой сессии командир введенного в Цхинвал полка МВД генерал Малюшкин назвал обстановку в Южной Осетии взрывоопасной, хотя обстановка тогда была спокойной. Он также заявил на сессии : „Закон должен работать во имя интересов грузинского народа“[14].

გართულებული პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე გაჩნდა პირველი პროვოკაციები. 19990 წლის 13 დეკემბერს უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა ცხინვალში ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან მოსახლეობას. დაღუპულთა შორის იყვნენ ორი ქართველი და ერთი ოსი ეროვნების მოქალაქეები. საქართველოს მთავრობამ ცხინვალსა და ჯავის რაიონში კომენდანტის საათი გამოაცხადა.

უნდა აღინიშნოს, რომ ვითარება უკიდურესად იძაბებოდა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და ოსურ საზოგადოებაში მრავლად იყვნენ ორი ერის კეთილმეზობლობისა და მშვიდობის მშენებლობის მომხრეები, არ ჩანდა სიტუაციის განმუხტვისა და აქტიური დიალოგის ინიციატივა. პირიქით, დაიწყო ურთიერთბრალდებები მასმედიის სხვადასხვა საშუალებით, როგორც ქართული, ისე ოსური მხრიდან. უიშვიათესად გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დაპირისპირებებს მოლაპარაკებები სჯობს, კიდევ უფრო იშვიათად

[14] Южная Осетия 1988-1992, хроники событий грузинской агрессии, Составители: Б. Е. Чочиев и М. К. Джиоев, Цхинвал 1996, стр. 10

ჰყავდა თანამოაზრეები.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" იმავე, №5-6 ნომერში, მეოთხე გვერდზე იბეჭდება სხვადასხვა საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა რამდენიმე სტატია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე. მოთხოვნებს გორსა და გორის რაიონში მცხოვრები ოსი მოსახლეობა აწერს ხელს. ოლქის გაუქმებასთან ერთად ისინი მოითხოვენ საქართველოს მთავრობისაგან, გაამკაცროს როკის გვირაბში ტრანსპორტის მოძრაობის კონტროლი.

აქვეა დაბეჭდილი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორის, ალექსანდრე ღლონტის წერილიც: „ღალატის გზაზე". წერილი ასე იწყება: – „ყველაფერი დაივიწყეთ? ისტორიაც? მეზობლობაც? ადამიანობაც? ნუთუ განმკითხავი აღარავინაა?

რას ემყარება ეს განცხადება? საყოველთაოდ ცნობილია, რომ ოსი მოსახლეობა ქართლში გვიან ჩამოსახლდა. დაუკვირდით საისტორიო ქრონიკებს, ტოპონიმებს, სასაფლაოს წარწერებს, ეკლესია-მონასტრების ჩვენებებს. მათ ყველა კარგად იცნობს – ქართველიცა და ოსიც, გლეხიცა და ინტელიგენტიც. და განა ანაქრონიზმი არ არის ოსეთის რესპუბლიკის გამოცხადება ქართულ მიწა-წყალზე.

15 წელიწადი ვმუშაობდი ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჩემი სტუდენტები იყვნენ ქართველებიცა და ოსებიც. დღესაც მახსოვს მათი სახეები. არასდროს ამისთანა რამ არ ყოფილა. ეუფლებოდნენ მეცნიერებას, პატივს სცემდნენ ქართულ ენას, პატივს სცემდნენ ოსურს. ტარდებოდა ერთობლივი ღონისძიებები. ახლა კი რა ღმერთი გვიწყრება?"[15]

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის წერილი, რომელიც პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა ორიოდე წლით ადრე გაუგზავნა მწერალსა და მთარგმნელს, მერი ცხოვრებოვას:

„18. XII. 1984. თბილისი.

ძვირფასო მერი!

შენმა წერილმა ძალიან მასიამოვნა. გახსენებისთვის გულითადი მადლობა.

ვხარობ შენი შემოქმედებითი მიღწევებით და გივის ჟურნალ-

[15] "საქართველოს რესპუბლიკა", 7 ნოემბერი, 1990 წელი.

ისტური ნაბიჯებით. თვალყურს ვადევნებ თქვენს მოღვაწეობას. ორივე დიდ საქმეს აკეთებთ. შენი თარგმანები ქართველ მკითხველს აყვარებს ოსურ კულტურას, ოს მკითხველს – ქართულ კულტურას. ეს კი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა...

ოსებს მდიდარი მწერლობა აქვთ. ოსური ლიტერატურის კლასიკოსთა ქართულად ალაპარაკება ეპოქალური საქმეა. მე ამისათვის მუდამ ვიღწვოდი და ახლაც ვცდილობ, დიდ საქმეში წვლილის შეტანას.

ალ. ღლონტი"

აქვეა მეორე წერილიც:

„12. 02. 1990. თბილისი.

ჩემო მერი!

შენი ახალი წიგნი „უკვდავი ფესვი" მივიღე. ძვირფასი საჩუქრისთვის გულითად მადლობას მოგახსენებ. მასიამოვნა თბილმა წარწერამაც. მშვენიერი ქართულითაა დაწერილი. მახარებს შენი ქართული. შენს ყველა ქართულ წიგნსა და თარგმანში გამოსჭვივის ქართულის ღრმად ცოდნა.

...ჩვენ ამასწინათ მძიმე დღეების მოწამენი გავხდით. ჩემთვის ცხინვალის ამბები თავზარდამცემი იყო. გაოგნებული და გაოცებული დავრჩი. ვისთვის რა უნდა შემეჩივლა! ჩემი ახალგაზრდობის 15 საუკეთესო წელი, როგორც იცით, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობას მოვანდომე. სამუშაო ადვილი არ ყოფილა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვიყავი. მუდამ მჭიდრო კონტაქტები მქონდა ოს და ქართველ ინტელიგენტებთან.

...ქართველი ხალხი მუდამ იყო პატივისმცემელი ოსობისა და ამას ვინც არ დაინახავს, ის ან ბრმაა, ან საღ თვალებზე შავი სათვალეები აქვს აფარებული. ამის მოწმე ისტორიაა. ვურჩიოთ იმ პირებს, წაიკითხონ ისტორია, გაეცნონ ფაქტებს, ქართული მიწა იყო მშობლიურად საყვარელი არა მარტო ჩვენთვის, არამედ ოსთათვის."

ჩვენი რესპონდენტი, მწერალი და მთარგმნელი მერი ცხოვრებოვა იგონებს: „ვსწავლობდი წარჩინებით. ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ჩემი საყვარელი პროფესორი ალექსანდრე ღლონტი. რომელმაც დამაკვალიანა, მან ჩემთვის საყვარელი საქმიანობის

წარმართვაში დიდი როლი ითამაშა. მე თავიდანვე ძალიან მიზიდავდა ოსური ხალხური ზღაპრები და ლეგენდები, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ვკრებდი და ვთარგმნიდი კიდეც. ერთხელ, მეორე კურსზე ყოფნის დროს, ბატონი ალექსანდრე მეუბნება, მოდი, ჩემო მერი, ერთი კარგი საქმე გავაკეთოთ: ვთარგმნოთ და გამოვცეთ ოსური ზღაპრები.

ახალგაზრდობაში ყველა წერს ლექსებს. წერა მეც მიყვარდა. ჩემთვის ეს ძალიან საამაყო იყო და მთელი სტუდენტობის წლები ამაზე ვმუშაობდი: ვნახე ხელნაწერები ოსური ზღაპრებისა, რომლებიც ცხინვალის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინახებოდა, მივუმატე ჩემ მიერ შეგროვილი მასალა (სხვათა შორის, მაშინ ეს მასალა ოსურ ენაზეც არ იყო გამოცემული. ასე რომ, პირველად ეს ლეგენდები, ზღაპრები და თქმულებები ქართველმა მკითხველმა გაიცნო.) და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე წიგნიც გამოვიდა (ოსური ზღაპრები, ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ცხინვალი, 1956)".

ქართულ პერიოდულ გამოცემებში ხშირად იბეჭდებოდა კოლექტიური წერილები თბილისში, გორში და სხვა რაიონში მცხოვრებ ოსთა სახელით, რომლებიც „გმობდნენ" ოსთა საქციელს და მოითხოვდნენ ავტონომიური ოლქის გაუქმებას.

„თბილისის უქსოვადი ფართლეულის საექსპერიმენტო ფაბრიკა დინამოს" ოსი ეროვნების მუშა-მოსამსახურეთა მიმართვა:

გაუქმდეს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

გაუქმდეს როკის გვირაბი.

გორის საწარმოო გაერეთიანება „დილას" ანალიზურ ხელსაწყოთა საცდელი ქარხნის ოსი თანამშრომლები: იგივე მოთხოვნები, ასევე ოსთა ხელმოწერები. ეს მასალები წარმოდგენილია, როგორც 1990 წელს, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს მიმართ დაწერილი მიმართვები[16].

არ დუმდა მეორე მხარე, ცხინვალში ქართველების ხელმოწერით სხვადასხვა სახის განცხადება ქვეყნდებოდა. ერთ-ერთი რესპონდენტი ყვება: „შიშით გარეთ ხომ ვერ გავდიოდით იქ დარჩენილი ქართველები. პურსაც ოსი მეზობლები გვანვდიდნენ ჩუმად. სახლში გვაკითხავდნენ, მიმართეთ ქართველებს, რომ ოსეთის რესპუბლიკა

[16] „საქართველოს რესპუბლიკა", №5-6, 12 დეკემბერი, 1990 წელი.

გინდათო. ხან უარესი; გაკიცხეთ, რას სჩადით, რას აკეთებთო. ჩვენ ძალიანაც არ გვინდოდა ზოგიერთ რაღაცაზე ხელისმოწერა, მაგრამ „ძალა აღმართსა ხნავს“. ხომ უნდა შეგვენარჩუნებინა აქაურობა, ყველა ხომ არ უნდა ავყრილიყავით და ქართველებმა ჩვენი იქ დარჩენა ღალატად მონათლეს და ჩვენ, ცხინვალში დარჩენილი ქართველები, მოღალატეებად გამოგვაცხადეს. ასე რომ, არც ოსებს ვეხატებოდით გულზე და არც ქართველებს. ასე ორ ცეცხლს შუა ვიწვოდით...“.

ჩვენი რესპონდენტი აზა კოკოევა მოგვითხრობს: „როცა ეს არეულობა დაიწყო, თბილისის 159-ე სკოლაში ვმუშაობდი. გარემო არასასიამოვნო იყო, სკოლაში ორი მასწავლებლის გარდა არცერთი მასწავლებელი აღარ მესალმებოდა. მეზობლები და უბრალო ნაცნობები კი არა, მეგობრებიც აღარ მეუბნებოდნენ გამარჯობას, მაგრამ მაინც ვცდილობდი, არაფერი შემემჩნია, ხმას არ ვიღებდი, ერთადერთი სითამამე ჩემი მხრიდან ის იყო, რომ როცა აგროვებდნენ ხელმოწერებს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევაზე, მაშინ ჩემთანაც მოვიდნენ ისტორიის კაბინეტში და მე ვუთხარი, ახლა ხომ სულ ერთა, მე მოვაწერ თუ არა ხელს, გამსახურდიას ისედაც აირჩევენ, მე ქართველების წინააღმდეგი არა ვარ და ქართველი ხალხი ძალიან მიყვარს, მაგრამ გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის წინააღმდეგი ვარ-მეთქი და ხელი არ მოვაწერე. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სითამამე.

არ გამოვხატავდი ჩემს პოზიციას, არც იმას ვცდილობდი, ვინმეს შევდავებოდი, ან, მე, როგორც ისტორიკოსი, რომელმაც შეიძლება სხვა სპეციალობის ადამიანებზე უკეთ ვიცოდი ბევრი რამ, მათ შორის ოსთა ეთნოგენეზისისა და სხვა საკითხები, არ ვცდილობდი მეკამათა ამ საკითხებზე, მე მიმაჩნდა, რომ მალე ყველაფერი დაწყნარდებოდა და კვლავ თბილი ურთიერთობა დამყარდებოდა ქართველებსა და ოსებს შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, წყალი თანდათან უფრო და უფრო იმღვრეოდა. რა თქმა უნდა, მწყინდა, ჩემს ხალხზე ცუდს რომ ამბობდნენ. მეზობლებისაგანაც მწყინდა, თანამშრომლებისგანაც, ყოფილი მეგობრებისგანაც“.

1990 წლის 17 ოქტომბრის გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ დაიბეჭდა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი სტატია „მეგობრობის ხიდი არ ჩატყდება“. ეს გახლავთ ქართველი და ოსი საზოგადოების

წარმომადგენლების საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, ჯულიეტა ოსტაევა ასე აღწერს ვითარებას: „ეს ერთი წელია, თითქოს საქართველოს შემადგენლობიდან სრულიად გამოვარდა ოსეთი. აღარც პრესაში, აღარც ტელევიზიაში არ ვჩანვართ, ვითომც აღარ ვარსებობთ. თუ სადმე გამოვჩნდით, ისიც შეურაცხმყოფელია. ზვიად გამსახურდიამ სრულიად დამშვიდებით განაცხადა, რომ ოსები ველური ხალხია, მათი მართვა ადვილიაო, ან კიდევ ოსები ქართველებს ავიწროებენ ოსეთშიო. საწყენია, რომ ინფორმაციის ორგანოები ფალსიფიცირებულ ინფორმაციას იძლევიან“[17]. დოცენტი იური გაგლოითი აღნიშნავდა: „ალბათ ჩვენს შორის ბევრი არ იქნება, ვინც იტყვის, რომ ოსები და ქართველები ერთად არ უნდა ვიყოთ. მდგომარეობის დაძაბვა პრესამ და ტელევიზიამ გამოიწვია. შარშან, მაგალითად, გაზეთებში, ჟურნალებში გახშირდა სტატიები, სადაც ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთად, სამაჩაბლოდ მოგვიხსენიებდნენ, სტუმრებად გვთვლიდნენ. რა თქმა უნდა, არ იყო სასიამოვნო, სადაც დავიბადეთ, გავიზარდეთ, სადაც ჩვენი მამა-პაპა მარხია, იქ სტუმარს რომ გვიწოდებენ“[18].

1990 წლის 18 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკა“ მდგომარეობას ცხინვალში ასე აღწერს: „ცხინვალი ამ დღეებში ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. მაგრამ ეს – მხოლოდ გარეგნულად, შინაგანად კი ყველა დაძაბულია – ქართველიც და ოსიც“.

ამავე გაზეთის ***20 დეკემბრის*** ნომერში ვკითხულობთ: „პირველი შთაბეჭდილება: ცხინვალში სიმშვიდეა. გასაშვებ პუნქტში ხანმოკლე შემოწმების შემდეგ ქალაქში შედის სარეისო ავტობუსი. და, ალბათ, ამ საგუშაგოზე ჯავშნიანი მანქანა რომ არ იდგეს, ერთი შეხედვით, არაფერი არ მიანიშნებდა კაცს აქ განსაკუთრებულ სიტუაციაზე.

სხვათა შორის, საგანგებო წესების რაიონის კომენდანტის პრესბიუროში თქვეს, რომ ვითარება კვლავ დაძაბულია. მას კონტროლს უწევს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარ-

[17] „საქართველოს რესპუბლიკა“, №5–6, 12 დეკემბერი, 1990 წ.

[18] „საქართველოს რესპუბლიკა“, №5-6, 12 დეკემბერი, 1990 წ., გვ. 3.

ები და საქართველოს მილიციის ქვეგანაყოფები"[19].

1991 წლის იანვრის დასაწყისში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ცხინვალში ქართული მილიცია შევიდა.

ოსური პრესა: „9 декабря 1990 года были проведены выбори в Верховный Совет РЮО, а через два дня парламент Грузии по докладу Гамсахурдиа принял постановление об упразднении Юго-Осетинскоий автономной области. Сразу же начались провокации – экономическая, транспортная, информационная блокада разрушение инфраструктур автономной области.

6 января 1991 года в 4 часа утра по сговору руководством внутренных воиск МВД СССР находившихся в Цхинвале около 6 тысяч человек грузинских милиционеров и переодетых в униформу уголовников выпущенных из тюрем Грузии вошли и окупировали большую часть Цхинвала заняли все основные объекты жизнеобеспечения. Так началась широкомасштабная военная агрессия против Южнои Осетии и осетинского народа продолжавшаяся более полутора лет".[20]

ოსური ქრონიკა 1991 წლის 6 იანვარს ცხინვალში მილიციის შესვლას თავისებური ინტერპრეტაციით აღწერს:

„5 января – В городе Гори (в 32-х км. от Цхинвала) на совещании работников МВД Грузии было решено навести „порядок" в Цхинвале собственными силами. В тот же день генерал Г. Малюшкин по Юго-Осетинскому радио заверил, что никакие вооруженные формирования в город не войдут. (Позже генерал Малюшкин утверждал, что в этот день он получил телеграмму от министра внутренних дел СССР Б. Пуго, в которой предписывалось беспрепятственно пропустить город Цхинвал грузинскую милицию).

6 января – Начало открытой военной агрессии Грузии против Южной Осетии. В

ночь на 6 января внутренние войска МВД СССР, которые должны были поддерживать стабильность, без уведомления руководства Южной Осетии были

[19] „საქართველოს რესპუბლიკა", №12, 20 დეკემბერი, 1990 წელი.

[20] „Южная Осетия", Цхинвали, 1996, стр. 6.

уведены в казармы, и в 4 часа утра в город вошел 6-тысячный отряд грузинской

милиции и переодетых в милицейскую форму грузинских боевиков и амнистированных на кануне уголовников и наркоманов. С ними было большое

количество техники и собак. Грузинская „милиция" оккупировала центральную часть города, перекрыла все дороги и перекрестки. Начались пытки, аресты, насилия, убийства, поджоги. Вечером 6 января грузинские „милиционеры" открыли огонь по безоружным людям. Один человек погиб, несколько было ранено.

7 января – „Кровавое Рождество". В разных районах города грузинские „милиционеры" открывали огонь по безоружным людям. Погибло несколько человек, десятки – ранены. Был обнародован Указ Президента СССР „О некоторых законодательных актах, принятых в декабре 1990 г. в Грузинской СССР", один из пунктов которого обязывал руководство Гру[21]зии вывести с территории Южной Осетии все вооруженные формирования за исключением внутренних войск СССР".

ჩვენი რესპონდენტების ერთი ნაწილი ქართული მილიციის შესვლას ასე აფასებს: „ან არ უნდა შესულიყვნენ, ან, რაკი შევიდნენ, უნდა ბოლომდე გაეტანათ. ჩვენ მართლა გულისფანცქალით ველოდით, აი, ახლა დაამშვიდებენ ყველაფერს და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგებოდა, აი, ახლა. მათ კი, „ბოგირამდე" მოსულებმა, დატოვეს ცხინვალი და გამოვიდნენ. შეგვატოვეს ხელში გაავებულ ოსებს, აბა მაშინ იმათ დღე გვაყარეს იქ დარჩენილებს ვინ როგორ გამორბოდა, არ გაიგებოდა საღამოს დაინახავდი, კაცი იქ იყო, დილით აღარც კაცი, აღარც ოჯახი და სახლსაც ან ხანძარი ეკიდა, ან დარბეულ-დანგრეული იყო, შეიძლება ითქვას, კაცი გასული არ იყო, რომ ანგრევდნენ მის სახლ-კარს".

როგორი იყო კონფლიქტის დასაწყისში ცხინვალელთა ცხოვრება? ჩვენი რესპონდენტი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ცირა ბეპიევი-ინაური იხსენებს: „შემიძლია დავიფიცო, რომ ჩემი მოსწავლეები სხვა გაკვეთილიდან „შატალოზე" რომ წა-

21 „Южная Осетия", Цхинвали, 199.

სულიყვნენ, ჩემს გაკვეთილებზე, ქართულის გაკვეთილებზე მაინც შემოდიოდნენ. ჩემი მოსწავლეები დღესაც მხვდებიან და ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით მესალმებიან, ქართულად მომიკითხავენ ხოლმე. იმ პერიოდშიც მომდიოდა მისალოცი ბარათები მოსწავლეებისგან: საახალწლოდ, სარვამარტოდ. ამ ბარათებს ვინახავდი, ვინახავდი მათ ნაწერებსაც, თავისუფალ თემებს: „ვინ მინდა გამოვიდე", „რაზე ვოცნებობ", „ჩემი სამშობლო", „ბუნება და მე". ამ თემებს ვინახავდი, რომ მერე, სკოლის დამთავრების დროს, საზეიმოდ გადამეცა, მარგამ ყველაფერი ცხინვალში დარჩა და ალბათ, განადგურდა.

კონფლიქტის დასაწყისში თითქოს უფრო გააქტიურდნენ კიდეც ბავშვებიცა და მშობლებიც ქართული ენის მიმართ მეტ ინტერესს გამოხატავდნენ, რომ არ შეგუებოდნენ ამ დაპირისპირებას, ან შეიძლება იმიტომ, რომ მე არ მეგრძნო, თითქოს არასაჭირო იყო ქართული ენის სწავლა. ჩემი მოსწავლეების დაინტერესებასა და სიყვარულს ქართული ენისადმი ყოველთვის ვგრძნობდი, არასოდეს არ ვაძალებდი ბავშვებს ქართულის სწავლას, არამედ ყოველთვის ვუხსნიდი, რომ ეს მათთვის იყო საჭირო. არც ვემუქრებოდი და არც არასოდეს ზედმეტად მკაცრად არ ვექცეოდი. მოსწავლე არასოდეს დამითხოვია კლასიდან. გაკვეთილის უცოდინრობის გამო ყოფილა შემთხვევები, რომ ორიანიც არ დამიწერია და მეორე გაკვეთილზე მოსწავლეს კარგად უსწავლია გაკვეთილი და მომზადებული მოსულა. ქართველებსა და ოსებს შორის სიტუაციის გამწვავებამ თავიდან არ დააბნია ჩემი მოსწავლეები. პირიქით, როგორც გითხარით, უფრო გააქტიურდნენ. ალბათ, მშობლებიც უფრო უწყობდნენ შვილებს ხელს და ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნაში ამოწმებდნენ კიდეც, რომ ბავშვებს არ შესძულებოდათ. ჩვენ ყველას ეს გაუგებრობა დროებითი გვეგონა და ველოდებოდით, რომ მალე ყველაფერი გაირკვეოდა".

ცხინვალის თეატრის რეჟისორი და მსახიობი, თამარ ხიზანიშვილი კონფლიქტის დაწყებას ასე იხსენებს: „ჩვენდა საბედნიეროდ, ცხინვალის ქართული და ოსური დასის საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ისე განვითარდა ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომ მსახიობებს შორის არამც თუ ზედმეტი სიტყვების კადრება არ ყოფილა ერთმანეთისათვის, არამე ზედმეტი შეკამათება არ ყოფილა

ამ საკითხზე.

მერე, როცა ცხინვალში ვითარება გაუარესდა და ოსთა ინტერესების გამომხატველი მიტინგები თეატრის წინ იმართებოდა, ჩვენს სარეპეტიციოში უნდა შეეერთებინათ მიკროფონები. უნდა გენახათ, როგორი დიდი ბოდიშებით შემოდიოდნენ მიკროფონების შესაერთებლად. ანუ ისინი კონკრეტულად ქართველების წინააღმდეგნი კი არ იყვნენ, მაშინდელი ქართული პოლიტიკის წინააღმდეგენი იყვნენ. და ცდილობდნენ ეს ჩვენთვის ეგრძნობინებინათ, რომ ჩვენ რამე არ გვწყენოდა.

ერთადერთხელ იყო, რომ ქართული დასი მივედით თეატრში და ჩვენი სურათები დაგვხვდა დარბეული, ჩამოხსნილი და ოსური დასის მსახიობები: დავით გაბარაევი, ცისანა გვიჩენოვა და სხვები და სხვები, თვითონ ეცნენ და თვითონ იღებდნენ და ასწორებდნენ ამ სურათებს, თქვენ არ გეწყინოთ, ვინ იცის, ვინ გააკეთაო. ასე რომ, ჩვენს შორის არანაირი წყენა და კონფლიქტი არ ყოფილა.

ამის შემდეგ, ქართული დასი წამოვიდა თბილისში, აქ მოღვაწეობს, ხოლო ოსური დასი, ბუნებრივია, დარჩა ცხინვალში“.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ესკალაციასთან ერთად გართულდა ხალხთაშორისი ურთიერთობებიც. ცირა ბეპიევი-ინაური მოგვითხრობს: „იმდენი იძახეს, ოსებო, წაეთრიეთ ქართული მიწიდანო, ქართველების იქ გაჩერება შეუძლებელი გახდა. დაიწყო ომი. ცხინვალიდან ქართველები ნელ-ნელა გაიკრიფნენ. ძირძველი მოსახლეობაც კი წავიდა.

დაიწყო ომი. საახალწლო არდადეგების დამთავრების შემდეგ, სკოლაში არავინ მისულა. სწავლა, რა თქმა უნდა, აღარ იყო, რომც ყოფილიყო, რა პირითღ მივსულიყავი სკოლაში? რა მეთქვა ჩემი მოსწავლეებისათვის, იმ გაუგებარ, არეულ დროში როგორ უნდა მელაპარაკა სიყვარულსა და მეგობრობაზე? ხალხთა შორის მეგობრობასა და მშვიდობიან, ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე? ეს ჩემთვისაც ძალიან ძნელი იქნებოდა და ჩემი მოსწავლეებისთვისაც გაუგებარი. ჩემთვის არც სკოლის დირექტორს, არც თანამშრომელს, არც მოსწავლეს და არც მშობელს არ მოუყენებია შეურაცხყოფა, არავის შევუვიწროვებივარ, მაგრამ სკოლაში სწავლა რომც დაწყებულიყო, მე თვითონ გამიჭირდებოდა გაკვეთილების ჩატარება. მე თვითონაც გაურკვევ-

ლობაში ვიყავი, არ ვიცოდი, რა რითი ამეხსნა. გაიგებდნენ კი ჩემი პატარები, რომ ქართველი ხალხი არაფერ შუაშია და, მითუმეტეს, ქართული ენა? ეს მაშინ, როცა მათ ირგვლივ ქართველი ხალხი ასოცირდებოდა მკვლელთან, მომხვდურთან. ისინი ერთს ხედავდნენ, მე მეორე მელაპარაკა? ამაზე ფიქრში ღამეები მითენებია (ღამეების თენებაზე გამახსენდა, ახლაც ხშირად მესიზმრება, გაკვეთილს ვატარებ, ვუხსნი ბავშვებს, არ ესმით, კიდევ ვუხსნი, ვერ იგებენ, თან ვერცა ვცნობ, ვინ არიან, სულ უცხო ბავშვები სხედან, ვერაფერს ვაგებინებ და ვწვალობ, მერე მეღვიძება და ვტირი. ვერ აგიწერთ, როგორ მენატრება ჩემი სკოლა, როგორ ძალიან, ძალიან მინდა იმ სახემოციმციმე ბავშვებთან ქართულ ენაზე საუბარი, ახლა კიდევ უფრო მეტად რომ გახდა საჭირო და აუცილებელი).

აბა, ომის დროს გაკვეთილებს ვინ ჩაატარებდა, იწვოდა იქაურობა, ცეცხლსა და კვამლში იყო ცხინვალი გახვეული. ვისაც შეეძლო, წაიყვანა, გახიზნა ბავშვები (ოსებზე ვამბობ), როცა სწავლა დაიწყო, უკვე გაუქმებული იყო ქართულის სწავლება და მტრის ხატიც ქართველის სახით გამოკვეთილი, მოკლედ, მიაღწიეს, რაც უნდოდათ ზოგ-ზოგიერთებს. ამ ზოგიერთებში მე, რა თქმა უნდა, ჩემს კოლეგა პედაგოგებს არ ვგულისხმობ და არც უდანაშაულო ადამიანებს".

შეიარაღებული დაპირისპირება დღითიდღე მწვავდებოდა. 1991 წლის იანვრიდან, მას შემდეგ, რაც ქართული მილიცია შევიდა ცხინვალში, 1992 წლის ივნისამდე. 1992 წლის ივნისში ე. შევარდნაძისა და ბ. ელცინის შეთანხმების შემდეგ ცხინვალიდან გამოიყვანეს ქართული მილიცია და ქალაქი რუსმა მშვიდობისმყოფელებმა დაიკავეს. 1991-1992 წლებში სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში სრულიად უმართავი სიტუაცია შეიქმნა. ვინაიდან ქართველები ძირითადად ქალაქ ცხინვალსა და მის შემოგარენში ცხოვრობდნენ, შეიარაღებული დაპირისპირებაც, უმთავრესად, ცხინვალში მიმდინარეობდა. ქალაქში გამოცხადებული იყო საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, თუმცა ეს კიდევ უფრო ართულებდა მოსახლეობის მდგომარეობას და ხელს უწყობდა დაპირისპირებული მხარეების შეიარაღებულ აქტივობებს. ბრძოლები სრულიად ქაოსური იყო. იმ დროისათვის არც საქართ-

ველოს და არც სამხრეთ ოსეთს არ ჰყავდათ ორგანიზებული რეგულარული ტიპის სამხედრო შენაერთი. გარდა ამისა, მსგავსი ქაოსი ხელს უწყობდა სხვადასხვა ტიპის კრიმინალურ ქმედებებს როგორც ქართული, ისე – ოსური მხრიდან. არ არსებობდა კონკრეტული ტაქტიკა, ბრძოლის გეგმა, სტრატეგია. ბრძოლები იყო სპონტანური, დაუგეგმავი, ორივე მხრიდან ხშირი იყო ადამიანების წამება, მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება, სხვადასხვა ტიპის კრიმინალური და დანაშაულებრივი ქმედებები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ ცხინვალსა და მის შემოგარენში ქართველებს არ ბევდნენ, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე (თბილისი, გორი, ბორჯომი, კახეთის რაიონები და სოფლები და სხვა) მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობას, ეთნიკურად ოსებს არანაკლები სისასტიკით ექცეოდნენ. თუმცა, ამ ფაქტების გამო არცერთი მხრიდან არასოდეს არავინ დასჯილა.

ცხინვალში ქართველების ცხოვრება შეუძლებელი გახდა. დაძაბულ ვითარებას საომარიც დაერთო. ცხინვალის თეატრის მსახიობი და რეჟისორი, თამარ ხიზანიშვილი იგონებს: „1989 წლიდან დაიწყო დაძაბულობა, მაგრამ ჩვენ არ გვეხებოდნენ, ჩვეულებრივად დავდიოდით თეატრში და ვმუშაობდით. როცა ოლქის მთავრობამ გამოიტანა დადგენილება, რომ გაუქმდეს ოლქი და შეიქმნას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, დავიწყეთ ნერვიულობა. ჩვენ მივხვდით, რომ თბილისი ამას ასე არ დატოვებდა და გვეშინოდა, სიტუაცია არ გამწვავებულიყო. ზუსტად მაშინ, ზვიად გამსახურდიას მთავრობამაც გამოიტანა დადგენილება, რომ გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მდგომარეობა დაიძაბა, ოსები ძალიან აღშფოთებულები იყვნენ. ქართველი მოსახლეობა შეშინდა, სად წავსულიყავით არ ვიცოდით. უკვე ვგრძნობდით, რომ აუცილებლად რაღაც უბედურება მოხდებოდა ასეთი სწრაფი გადაწყვეტილების გამო. მართლაც, ცხინვალში აზვირთდა ტალღა, შეცდომაში შეიყვანეს ოსური მოსახლეობა, ისინი მოითხოვდნენ, ამოქმედებულიყო კომენდანტის საათი. ოსები ითხოვდნენ რუსის ჯარის ჩაყენებას და ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი ქალაქი სამხედროების სათარეშო გამხდარიყო.

მე ისეთ კორპუსში ვცხოვრობდი, სადაც მცხოვრებლების უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ, სულ 3 ოჯახი იყო ქართული.

ჩემს ქვემოთ ცხოვრობდა ოსური ოჯახი, რომლებთანაც არაჩვეულებრივად ახლო დამოკიდებულება მქონდა. ერთი ტრაგიკული შემთხვევის გამო კინაღამ დედაცა და შვილიც დაიღუპნენ, მე გამოვიყვანე ორივე მდგომარეობიდან და გადავარჩინე, რის შემდეგაც კიდევ უფრო დავახლოვდით. არეულობა რომ დაიწყო და უცნობი ადამიანები დარბოდნენ ქალაქში და მოუწოდებდნენ ოსებს, რომ ქართველებისგან თავი დაეცვათ, თუმცა რეალურად ცხინვალში ოსებისათვის ქართველების მხრიდან რაიმე საშიშროება არ იყო, ერთ-ერთი მოწოდების დროს ფანჯრიდან გავიხედე და იმ მეზობელს ვკითხე, რა ამბავია-მეთქი. მიუხედავად ჩვენი კეთილი ურთიერთობებისა, ეს მეზობელიც უკვე გაუცხოებული იყო და მიპასუხა: – შენი სიკვდილის დრო ახლოვდება და ცხრა აპრილი აქაც გათენდებაო. ეზოშიც დაიწყო დაპირისპირება, მე ჩემს მეზობლებს არ ვამტყუნებ, ხალხს კი არა, მთავრობას უნდა გამოეჩინა გონიერება. მათ რაც ჩასძახეს, ის გაიმეორეს კიდეც.

რამდენჯერმე მაღაზიიდანაც გამომისტუმრეს, – ქართველი ხარ და თბილისში წადი, იქ იყიდე საჭმელიო. თუმცაღა, მე ყველაზე ამისი თქმა არ შემიძლია.

ჩემი კარის მეზობელი, ძალიან თბილი და საყვარელი ქალი შემოვიდა და ჩუმად მითხრა: თუ ვინმე ოჯახში შემოგივარდა, ბავშვები ჩემს აივანზე გადმოსხიო (ჩვენი სახლის აივნები ერთმანეთს ებჯინებოდა). მე გამიკვირდა და შემეშინდა, ვის რა დავუშავეთ, ვინ უნდა შემომივარდეს, რატომ უნდა შემომივარდნენ-მეთქი. არა, მე კი არ გაშინებ, ისე ლაპარაკობენ ქალაქში და ვინმე რომ შემოგივარდეს, ბავშვები გადმოსვი ჩემს აივანზეო.

ერთ მშვენიერ საღამოს, კიდევ კარგი, ბავშვები სახლში არ იყვნენ, უკვე თბილისში მყავდა გახიზნული, მართლაც შემოვიდნენ და ჩხრეკა მოაწყვეს ჩემს სახლში, გადმოყარეს ყველაფერი, იარაღს ინახავთ, ოპერატიული ინფორმაცია გვაქვსო. ჩემი ქმარი (ელგუჯა კეკოშვილი, პროფესიით არქიტექტორი, ცხინვალის თეატრში მუსიკალურ გამფორმებლად მუშაობდა) ეუბნებოდა, გიტარისა და ფანქრის მეტი, არაფერი მჭერია ცხოვრებაში, არავისი მოკვლა არ მქონია გულშიო, მაგრამ „იქ" უკვე სამუშაო ჩატარებული იყო. ისიც ცხადი იყო, რომ ჩვენ დიდხანს აღარ გაგვაჩერებდნენ.

ამის შემდეგ, მდგომარეობა, ბუნებრივია, უარესდებოდა. ჩემი

ქმარი სამსახურებრივი დავალებით წავიდა მოსკოვში ორი კვირით. ახალი წელი ახლოვდებოდა და მე ბავშვები ჩამოვიყვანე დედასთან თბილისში. 6 იანვარს ცხინვალში დაბრუნებას ვაპირებდი, გავემზადე კიდეც დილით და ტელევიზორში აცხადებენ, რომ ცხინვალში ომი დაიწყო. მე, რა თქმა უნდა, მაინც წავედი, მაგრამ ქალაქში უკვე ვეღარ შევედი, იქ სამხედრო ნაწილები იყვნენ გამაგრებულნი. და ისევ უკან წამოვედი, დავტოვე ყველაფერი ცხინვალში".

მერი ცხოვრებოვა მოგვითხრობს: „ყველაფერი საიდანაც დაიწყო, ეს მღვრიე ნაკადი საიდანაც წამოვიდა, ყველამ ვიცით, თუ ვის აძლევდა ხელს ოსისა და ქართველის გადაკიდება, ეს ცნობილია. დღესაც ვინ მართავს ამ სიტუაციას, ესეც ცნობილია, მეზობელ სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა ამის ინტერესი, მაგრამ რუსეთში არაფერი მზადდებოდა ისეთი, რომ ოსები და ქართველები ერთმანეთს დაუნდობლად და ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებოდნენ.

1989 წელს და იქამდეც, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ფრთებს შლიდა, თბილისიდან ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები და ქართულ მოსახლეობაში აგიტაციას ეწეოდნენ. არც მაშინ და არც დღეს, ასეთი დემოკრატია ოსურ ინტელიგენციას, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა. ამაში არაფერია დასამალი. დემოკრატია თანასწორუფლებიანობას გულისხმობს მაშინ და ახლაც, ეს თანასწორუფლებიანობა არ იყო და არ არის მიღწეული. ამიტომ, წინააღმდეგობას უწევდნენ. როცა მომიტინგეებით სავსე 400 ავტობუსი მოადგა ცხინვალის შემოსასვლელს, მაშინ არ შემოუშვეს ქალაქში, რადგან იმდენი ხალხი აქ „ფეხად" არ დაეტეოდა და რისთვის მოდიოდნენ? ისინი რადიკალური მოწოდებებით ჩვენს ასაწიოკებლად მოდიოდნენ, ამას არავინ ელოდა აქ და კარგი იყო, მაშინ რომ არ შემოუშვეს, მაგრამ ამ არეულობას მაინც ვერ ავცდით. გულსატკენი კი სწორედ ის არის, რომ სისხლისღვრა ვერ ავიცილეთ თავიდან. ამ არეულობამ მარტო ოსებს კი არ მოუტანა სისხლი და უბედურება, ქართველებიც დაზარალდნენ. მერე ამას სამოქალაქო ომიც დაერთო თბილისში. მე ამით იმისი თქმა მინდა, რომ არეულობა სუფევდა საერთოდ ქვეყანაში და ყველაზე მეტად ზარალდებოდა მოსახლეობა".

ანალოგიურად დაიძაბა და გამწვავდა ვითარება თბილისში და

საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში ოსი მოსახლეობის მიმართ.

ჩვენი რესპონდენტი აზა კოკოევა იგონებს: „ერთხელ ჩემს სახლშიც მოვიდნენ. მაშინ ასეთ ხალხს არაფორმალებს ეძახდნენ. ისეთ დროს მოვიდნენ, როცა „მოამბე“ გადიოდა ტელევიზორში. შემოვიდნენ სამნი, ერთი წვერებიანი იყო, მერე მითხრეს, რომ აფხაზეთში დაიღუპაო. თვითონ მას ცოლი ჰყავდა მუზაშვილი, წარმოშობით ოსი, საგურამოდან. მე მეუბნებოდა, შე მოღალატე ოსოო, ახლა ჩვენ წაგიყვანთ უზენაეს საბჭოში, მერე იქიდან გაგცვლით ტყვეებშიო. შემაგდეს აბაზანაში, ერთმა რევოლვერი აიღო და მემუქრებოდა, მე მეშინოდა და გარეთ გაქცევა მინდოდა, ერთერთმა დამიჭირა და უკან შემომაგდო, მეორემ კი იარაღი მესროლა და ტყვია ხელში მომხვდა.

ისინი დარბოდნენ ოთახებში, ყველაფერს დაბლა ყრიდნენ. ერთმა ბოლოს თქვა, ეგ გაუშვით, ეგ არ არისო. მაგიდაზე იდო ორი პასპორტი, ერთი ჩემი და მეორე – ჩემი მულის. აიღეს მისი პასპორტი და თქვეს: ჩვენ შენ კი არა, ამას ვეძებთო, ასე გადავრჩი, თორემ წამიყვანდნენ, მანქანით იყვნენ. გამიკვირდა, ჩემი მული რუსეთში ცხოვრობდა. რა ჩაიდინა-მეთქი, – შევეკითხე და მითხრეს, – ეს ცხინვალში ქართველების წინააღმდეგ იბრძვისო და იმას ვეძებთო. მე ვუთხარი, – ეგ აქ არ არის, რუსეთში, ქალაქ კალმიკებშია, ცხინვალში ნამყოფი არც არის-მეთქი. არაო, ჩვენ ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია გვაქვსო.

ასე გადავრჩი დაპატიმრებას. რომ გაარკვიეს, მე არ ვჭირდებოდი, ადამიანურად შემომხედეს. მე აბაზანაში ვიყავი ისევ, აქეთ-იქით ხეთქებისაგან და იარაღისგან დაჩეჩქვილი. ქოშები მომიტანეს. ჩვენ ბანდიტები არა ვართო. თუ რამე ფული გაქვს, მაგიდაზე დადე, ჩხრეკა უნდა ჩავატაროთო.

მერე ვითომ ჩემს მულს ელოდებოდნენ, მოვაო და დავხვდებითო. მე ვუთხარი, არ მოვა-მეთქი. ერთმა უთხრა იმ ორს, თქვენ წადით და მე აქ დაველოდებიო. ის დარჩა, რომელიც მათში უფროსობდა, ორი გავიდა. ამან აიღო იარაღი და შუბლზე დამადო. „მითხარი ახლავე, მოვა თუ არაო“. მე აღარ ვეპუებოდი, თითქოს უკვე სულერთი იყო ბევრი რამე, შიშიც სადღაც გაქრა, პისტოლეტის ლულაზე ხელი წავავლე და ვუთხარი, სულ ასე იძახდით,

ბანდიტები არა ვართ და ახლა შთაბეჭდილება არ დამაკარგვინოთ თქვენზე-მეთქი. და იარაღი ჩამოვაწევინე.

საერთოდ ძალიან მშიშარა ვარ, მაგრამ ამ დროს არც მიყვირია, არც ისტერიკაში ჩავვარდნილვარ. ვფიქრობ, ამან მიშველა, თორემ შეიძლება ისინიც აღელვებულიყვნენ და რაღაცა ჩაედინათ.

ბოლოს მითხრა, კარგი, ჩვენ კიდევ მოვალთო. იარაღი გახსნა, ტყვია ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. მე შემეშინდა, ვიფიქრე, ალბათ მათთვის უნდა ეთქვა, რომ მომკლა. არაფორმალები რომ წავიდნენ, მერე დამაწყებინა კანკალი. ის ღამე ქართველ მეზობლებთან გავათენე, მათ შემიფარეს.“

ისტორიები ერთმანეთს ჰგავს... აშინებდნენ და ემუქრებოდნენ აზა კოკოევას ძმასაც, რომელიც თბილისში ცხოვრობდა. „ჩემი შუათანა ძმა, ასლანი, რომელსაც ქართველი ცოლი ჰყავდა, კარგად ცხოვრობდა და ამიტომაც, ერთ-ერთი პირველთაგანი ის იყო, ვისაც ავიწროებდნენ. მასთან სახლშიც მივიდნენ.

მაშინ თბილისის ყველა რაიონში შტაბი იყო. მივიდნენ ჩემი ძმის ოჯახში. ჩემმა რძალმა, მანანამ რომ დაინახა წვერებიანი კაცები, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მაშინ წვერებს უმეტესად არაფორმალები ატარებდნენ და მათი სტუმრობა კარგს არაფერს ნიშნავდა. მანანა მაშინვე წინ გადაუდგა მათ. ჩემი ძმისა და ამ არაფორმალების შუაში ჩადგა და ჩემი ძმა არ დაანება ცალკე დასალაპარაკებლად. მათ ერთი ამბავი ატეხეს, ჩემს ძმას ამცირებდნენ, ცდილობდნენ, მოთმინებიდან რამენაირად გამოეყვანათ: – შე ცოლის მონავ, გამოდი ცალკეო. ჩემი რძალი ეხვეწებოდა: – მე ქართველი ვარ, ჩემს ქმარსა და შვილებს თავი დაანებეთო. არ გაუშვა ჩემს ძმას ხელი. მაშინ იმათ უთხრეს, – ხვალ თქვენი ნებით გამოცხადდით შტაბში, თორემ მერე აღარაფერი გიშველითო. მეორე დღეს ჩემი ძმა და რძალი შტაბში მიდიოდნენ. ამ დროს მეზობელმა გამოიარა ტაქსით, ისიც ოსი იყო და ნაცემი, დასისხლიანებული იჯდა იმ მანქანაში. – სად მიდიხართო, ჰკითხა. ჩემმა ძმამ უთხრა, – შტაბშიო. – არ წახვიდეთ, მე იქიდან მოვდივარ და დამინახეთ, როგორი ვარო. რაღაცეებს მაბრალებდნენ და რომ ვუარობდი, მცემდნენო. ჩემმა რძალმა მაშინვე უთხრა ტაქსის მძღოლს, ამ კაცს რომ მიიყვანთ, ამ ეზოში შემოდითო. ზუსტად ხუთ წუთში გაამზადა ჩემი ძმა და ჩემს ძმიშვილებთან, სტავროპოლში გაამგზა-

ვრა, რომ არ დაეჭირათ. არადა, რას ერჩოდნენ? სულ უბრალო იყო, ოსი რომ იყო, მარტო იმიტომ. ასე გადაიხვეწა ჩემი ძმა იძულებით. ჩემი რძალი მალე ავად გახდა, სიმსივნით დაავადდა, ძალიან ბევრს ნერვიულობდა ქართულ-ოსურ დაპირისპირებაზე. ამბობდა ხოლმე, ნეტა ქართველები და ოსები ერთმანეთთან კარგად იყვნენ და ჩემი ქმარი მალე დამიბრუნდესო. ამ ნატვრაში ხდებოდა სული. ცოტა რომ დაწყნარდა ვითარება, ჩემი ძმა ჩამოვიდა, მომაკვდავ ცოლს უვლიდა, რომელსაც ველარაფერი უშველა.

დღესაც მიმაჩნია, რომ ეს საღ-სალამათი ქალი იმ კონფლიქტის დროს ნერვიულობამ მოინელა. არ მავიწყდება, როგორ ვიყავით სახლებში კვირაობით გამოკეტილები, შეშინებულები პურზე გასვლასაც ვერა ვბედავდით. ის კი არა, ტელეფონის ყურმილს არ ვიღებდით, იმდენად გვეშინოდა, არაფერი დაეწამებინათ. ამ ყველაფერს რა დამავიწყებს. რა თქმა უნდა, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება, იყვნენ ისეთი შეგნებულებიც, რომლებსაც კარგად ესმოდათ ჩვენი უდანაშაულობა, მაგრამ ასეთები იმ დროს ძალიან ცოტანი იყვნენ. რძალი მალევე გარდაიცვალა. ჩემი ძმაც ვლადიკავკაზში წავიდა, ახლახანს ცოლიც მოიყვანა და ვაჟი შეეძინათ. 44 წლის იყო მისი მეორე ცოლი, ბიჭი რომ ეყოლათ.

უფროსი ძმა, რომელსაც ასევე ქართველი ცოლი ჰყავდა, თბილისში, გლდანში ცხოვრობდა და ისიც იძულებული იყო, აყრილიყო. ახლა სოფელში ცხოვრობს".

ბუნებრივია, ომის პერიოდი ყველაზე რთული ცხინვალში დარჩენილებისათვის იყო. მწერალი და მთარგმნელი მერი ცხოვრებოვა იგონებს: „აღმოვჩნდით გაორებულ და უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში. თითქოს აღარც თბილისში დაგვედგომებოდა და აღარც ცხინვალში. სამსახურიდან გათავისუფლებული გივი (მეუღლე, გივი თედეევი, გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებისთანავე ის, როგორც ქართულენოვანი ჟურნალისტი ტოვებს ცხინვალს, როგორც მაშინ ეგონათ, დროებით. თბილისში ჩასულს სამსახურიდან ათავისუფლებენ ნ. პ.) ცხინვალში ვერ ჩამოდიოდა. ძალიან გვიჭირდა, მატერიალურ გაჭირვებას კიდევ გავუძლებდით, მაგრამ სულიერი შეჭირვება უარესი იყო. მეუღლე და ერთი შვილი თბილისში დარჩნენ, მე და ერთი ქალიშვი-

ლი, აქ, ცხინვალში. ჩვენ არც ქართველების წყენინება და გაწირვა გვსურდა, არც ოსებისა. თვეობით ვერ ვიგებდი მათ ამბავს. აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. თუ შემთხვევით ვინმე თბილისში დააპირებდა წასვლას, თვიდან თვემდე ვინ წავიდოდა აქედან თბილისში, ვაბარებდი ჩემს ქმარ-შვილთან შეიარე-მეთქი. წერილები რომ მომდიოდა ჩემი მეუღლისგან და ქალიშვილისგან, ვკითხულობდი და ვხევდი, არავინ გაიგოს-მეთქი, რომ თბილისიდან ამბებს ვიგებ...

40 დღე მე, ჩემი ქალიშვილი, დედამთილი და ამ უბნელი ჩემი მეზობლები სარდაფში ვცხოვრობდით, როცა ჩვენი უბანი იბომბებოდა. ჩვენი სარდაფი შედარებით უსაფრთხოდ მიგვაჩნდა, რადგან ორმაგი ცემენტის კედელი იცავდა და ბრმა ტყვია ვერაფერს დააკლებდა. სახლში ტყვიები რამდენჯერმე შემოვარდა და სახურავიც სულ დაცხრილული იყო. ასე რომ, იმ პერიოდში სახლში გაჩერება არ შეიძლებოდა. მოდიოდნენ მეზობლები ჩემთან. შენთან უფრო იმედიანად ვართო, მეუბნებოდნენ და ასე, ლაპარაკში ვათენ-ვაღამებდით, სიბნელეში".

აქვე გთავაზობთ ნაწყვეტებს მერი ცხოვრებოვას ომისდროინდელი დღიურებიდან[22]:

„1991 წლის 10 ნოემბერი. ყოველ დღე ისეთი შემზარავი ამბები ხდება, ძარღვებში სისხლი გაგეყინება!

როგორ გადაირია ხალხი! ასე მოკლე დროში ასეთი მეტამორფოზა ადამიანის ფსიქიკაში – რაღაც საოცრებაა.

მხოლოდ-ღა გასვენებებზე დავდივარ და ამდენი მკვდრების გამოტირებითა და დარდით სულ გაბრუებული მაქვს თავი. განუწყვეტლივ მწიწკნის გული. თუ ტკივილი შეჩერდა, მეშინია: რაშია საქმე, რა მოხდა?

და ისევ ამეწვება მარცხენა ბეჭქვეშ.

ეგრე! ეგრე ჯობია. თუ ტკივილს გრძნობ, მაშასადამე ცოცხლობ და ტკივილებსაც უნდა გაუძლო!

1992 წლის 17 იანვარი. რა საშინელი კანონები აქვს ომს. რამდენი მანკიერება იჩენს თავს, რა მკაცრი, დაუნდობელი გამომცდელია ადამიანურობისა ომი. პატიოსანზე პატიოსანი რომ მეგონა, ისეთებიც კი სინდისის ქენჯნის გარეშე ითვისებენ მეზობლის

[22] მერი ცხოვრებოვას დღიურები ქართულ ენაზე დაიწერა, ავტორის სტილი დაცულია.

ქონებას, – მაინც სხვა წაიღებსო. არ სჭირდება და მაინც იპარავს, მაინც ყიდულობს, მაინც იკუნჭავს. რად უნდა? ხვალ იქნება ასეთივე დღე თვითონ დაადგეს. არ ვიცი, მე კი ასე მჯერა, თუ ადამიანი ხარ, სინდისი, ადამიანობა არასოდეს არ უნდა დაკარგო, – არც ომის, არც მშვიდობის დროს. ნემსის საღირალი არ შემოსულა ჩემს ოჯახში არავისი სახლიდან და ღმერთმა ნუ ქნას ასეთ ჭკუაზე დააყენოს ეშმაკმა ჩემი ოჯახის რომელიმე წევრი. სხვისი კი არა, ჩემსას აღარაფრად ვთვლი, სრულებით არაფერი აღარ მინდა ჩემი ქალიშვილის გარდა, არაფერი.

უკვე თვეზე მეტი გადის, აღარც ერთი გაზეთი აღარ მიგვიღია. არც რადიო, არც ტელევიზორი. ყურმოკვრითლა ვიცით ქვეყნის ამბები. დღეს ადგილობრივი გაზეთი მოიტანეს, მაგრამ რვა იანვრის ნომერი“.

1992 წლის 20 მაისს ცხინვალის სიახლოვეს ტრაგედია მოხდა. ცხინვალიდან ვლადიკავკაზისაკენ მიმავალ, მოხუცებით, ქალებითა და ბავშვებით სავსე ავტობუსს შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპა 33 ადამიანი, 17 დაიჭრა. ამ ტრაგედიამ დიდი კვალი დატოვა ოსთა მეხსიერებაში და ქართულ-ოსურ ურთიერთოებებში არსებული უფსკრული კიდევ უფრო გააღრმავა. მომხდარი დღემდე არ არის გამოძიებული.

ცხინვალი და მისი შემოგარენი ინტენსიურად იბომბებოდა ორივე მხრიდან. ხშირ შემთხვევაში ზარალდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობა.

ნაწყვეტი მერი ცხოვრებოვას დღიურებიდან:

„1992 წლის 26 ივნისი. ვაი, რა დღე გავატარე გუშინ! ეს იყო რაღაც საშინელება! ტყვიების სეტყვა, ყუმბარების სკდომის ხმა გვაყრუებდა. ჩვენს ირგვლივ ცვიოდა და ფეთქდებოდა ბომბები. დაეცა სასამართლოს შენობას, „კაიტროს“ სახლს, ჩავარდა ლიახვში, ქუჩაზე აფეთქდა. ღმერთო, ნამდვილად შენი კალთა გვიფარავს ამდენი ხანი. ღმერთო, იდიდოს შენმა სახელმა! მხოლოდ შუშები ჩაიმსხვრა, სახლიც გადარჩა და ჩვენც გადავრჩით. ოცდაოთხში ძლივს გავაღწიე სახლიდან – ექვსი რიცხვის შემდეგ სახლიდან არცერთი არ გავსულვართ“.

ცირა ინაური იხსენებს: „ომის დროს ქართველი, ოსი თუ იქ დარჩენილი სომეხი ერთად ვიკრიბებოდით და ხან ერთი ხანძრის

ჩასაქრობად მივრბოდით, ხან – მეორისა. რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობდი, თებერვალი და მარტის თვე ხალხმა შუაცეცხლთან გაატარა. არავის გვეძინა, „გაბრუშა“, „კრუპნი გოგია“, ნინა, მე, ქსენია, ფრონტიკა, მარო (ჭავჭავაძის ქუჩის მცხოვრებნი ცხინვალში), სხვები, ამ ცეცხლის გარშემო ვათენებდით, ან რა დაგვაძინებდა, ხმები იყო დარხეული – ქართველები ან ახლა დაგვესხმიან თავს, ან ახლაო.

მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, ოსი ნათესავიც მოდიოდა და ქართველიც, სტუდენტობისას ოსი მეგობარიც მყავდა, ქართველიც. სამსახურშიც ოსი მოსწავლეც მყავდა, ქართველიც...

შვილები ისე გავზარდე ერთი ბიძა ქართველი ჰყავდათ, მეორე – ოსი. დეიდა ოსი, მამიდა – ქართველი. აბა ვის დაპირისპირებოდნენ! ერთიც უყვარდათ, მეორეც, ამიტომ საერთოდ გაერიდნენ აქაურობას. ჩემი ქმარი ისეთი წყნარი, ჭკვიანი და რაღაცნაირი უკონფლიქტო ადამიანია. ამისი ნაწყენი სიტყვა დღემდე არავის ახსოვს, არც ოსსა და არც ქართველს. ჩვენი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, ორივე მხარეს ჩემი ხალხი იყო, ჩემი სისხლი და ხორცი. დღესვე რომ მომკლან, მაინც დღესაც იმას ვიტყვი, მე ორივე ხალხის ტკივილი მტკივა და მაწუხებს, მე ვერც ერთს ცუდისათვის ვერ გავიმეტებ. თუმცა, ერთხელ ცხინვალიდან მოვდიოდით მე და რომეო ბაქრაძე, ქართული სკოლის დირექტორი და გადაგვიდგნენ ქართველები: ეგ ოსია და ჩამოვიდეს მანქანიდანო, ტირძნისში მოვდიოდი ქმარ-შვილთან. რომეომ უთხრა, რატომ უნდა ჩამოვიდეს, რა გინდათ ამისგანო და ასე გამომიყვანეს. ასევე ცხინვალში, „ტეკიდან“ არ მიშვებდნენ, ეს ოსი კი არის, მაგრამ ქართველი ქმარ-შვილი ჰყავსო და მეტს ვერავინ ვერაფერს მედავებოდა,. ან რას უნდა მომდავებოდა, არც არეულობაში ჩარეულა ჩემი ქმარ-შვილი და არც ომიანობაში. განკითხვისაც იმას ეშინოდეს, ვისაც დანაშაული აქვს“.

ომის საშინელმა და ულმობელმა კანონმა ბევრს გაუნადგურა სახლ-კარი, წლობით ნაშენებ-ნაგროვები ქონება. ქართველების დიდმა უმრავლესობამ დატოვა ცხინვალი, ოსთა დიდმა ნაწილმა კი, – საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში აშენებული სახლ-კარი მიატოვა. განუკითხაობამ მტყუან-მართლის ძიება არ იცის. დაიწყო ყაჩაღობა, რბევა, ტაცება. მთავარი მიზეზი სხვისი

ქონების ხელში ჩაგდება გახდა.

„ჩემს სახლში ოსი კი არ შემოვიდა, მძარცველი შემოვიდა, – იგონებს ჩვენი რესპონდენტი ცირა ბეპიევი-ინაური, – მე ოსურად დაველაპარაკე, რა გინდა, ვუთხარი, შენზე კარგი ოსი მე ვარ, რა უფლება გაქვს, რომ მეუბნები, წადი აქედანო. მან უხეშად მითხრა, ახლავე წადი აქედან, თორემ გესვრი და გაგათავებო. მე, საერთოდ, უშიშარი ვარ, არც მაშინ შემშინებია, თვალიც არ დამიხამხამებია, მაგრამ, როცა ის მითხრა, ახლავე ტყვიებს ჩაგიწყობ ოთახებში, ერთ იარაღსაც სადმე ჩაგიდებ და ხალხს შეგიყრი, ნახეთ ქართველმა ქმარ-შვილმა იარაღი შემოუგზავნა ამათო, აი, მაშინ კი შევშინდი, ჩემი უცოდველი ქმარ-შვილი არაფერში გაეხვიათ. ვინც მათ იცნობდა, კი არ დაიჯერებდა ამას, მაგრამ სხვები? ხომ ლაფს მოსცხებდნენ. და დავტოვე იქაურობა, დავტოვე. მთელი ომის განმავლობაში იქ ვიყავი, ომს გავუძელი, თუ გაძლება ერქვა, და ამ მარადიორობას ველარ.... მეორე დილითვე დაიტვირთა „კამაზები“ ჩემი სახლიდან გატანილი ავეჯით და ვლადიკავკაზისაკენ გაემართა. მე ნემსიც ვერ წამოვიღე ჩემი ნაწვავ-ნადაგიდან და სხვამ, ყაჩაღმა კი გაიტაცა ყველაფერი, როცა მივედი, აქა-იქა მიმობნეული ქართული წიგნებიღა დამხვდა, უფრო სწორად, მათი ნაგლეჯები“...

გაჭირდა თბილისშიც, ვერა აიდაროვა: „–სხვაგან არ ვიცი, მაგრამ ჩვენთან, პედაგოგიურ ინსტიტუტში ძალიან კარგი ხალხი მუშაობს, ყველას ვუყვარდი. ეს ამბები რომ დაიწყო, ერთ დღესაც აღმოვაჩინე, ერთი არ მომესალმა, მერე – მეორე, გამიკვირდა. არაფერი მითქვამს, მაგრამ უკვე მესმოდა ხმები, ოსები რატომ უნდა მუშაობდნენო. მერე პირშიც მითხრეს. რა გითხრათ, ამან რა საშინლად იმოქმედა ჩემზე ვერ აგიწერთ. რაღაცის დათმობამ მაინც მომინია, თუმცა ლექციებიდან არავის გავუთავისუფლებივარ. ის დღეები აღარც მინდა გავიხსენო.“

რაც შეეხება ქართველებს, რომლებიც ცხინვალში ცხოვრობდნენ – თამრიკო ხიზანიშვილი იხსენებს: – „მეცა და ჩემი ქმარ-შვილიც, მართალია, არც სახლ-კარი შეგვრჩა, არც სამსახური, მაგრამ მადლობას ვწირავთ ღმერთს, რომ ცოცხლები გადავრჩით..

დავრჩით ღია ცის ქვეშ. ვცხოვრობდი ნათესავებთან და ისინი მეხმარებოდნენ. მე მეგონა, რომ ეს ამბავი ძალიან მალე დასრულდებოდა და ჩვენ სახლებში დავბრუნდებოდით. რამდენიმე თვე ჩემი

უფროსი ბიჭი, ვახტანგი არ შევიყვანე სკოლაში, სკოლას არ გამოვაცვლევინებ, ისევ ცხინვალში მივიყვან-მეთქი, უფროსს ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში ვუპირებდი მიყვანას, უმცროსს – მეოთხე საშუალო სკოლაში, რადგან ორივე სკოლა ძალიან მიყვარდა და დიდი ურთიერთობები მქონდა ორივე სკოლის კოლექტივთან. მე მეოთხე სკოლა დავამთავრე, ჩემს ქმარს პირველი სკოლა ჰქონდა დამთავრებული და შვილებიც გავიყვავით, თითქოს. ახლა უფროსმა უკვე დაამთავრა სკოლა და სტუდენტია, მეორე ვაჟიც ამთავრებს სკოლას, მაგრამ ცხინვალში შესვლა არ გვეღირსა, თბილისის სასტუმროს ერთ ოთახშია ჩემი ოჯახი შეყუჟული...“ – ამბობს თამარ ხიზანიშვილი.

ნაირა ბეპიევი-პოპიაშვილის მონათხრობი: „ეს კონფლიქტი რომ დაიწყო მე უკვე ოჯახი კარგა ხნის შექმნილი მქონდა. ბავშვები მოზრდილები იყვნენ და მათთვის ოსიც ახლობელი იყო და ქართველიც.

მოხდა ჩემთვის წარმოუდგენელი რამ, როგორ დაიწყო და როგორ განვითარდა მოვლენები, ამ დეტალების მოყოლას არ შევუდგები, არც მის ანალიზს არ ვაპირებ...

მიუხედავად იმისა, რომ მე არაჩვეულებრივ გარემოში მიხდებოდა მუშაობა, – უცხო ენათა ინსტიტუტში ვმუშაობდი და არა თუ არავის არაფერი უთქვამს, არც კი უგრძნობინებიათ, განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობისა რომ ვიყავი. საპროფესოროს მივუახლოვდებოდი თუ არა, ჩემი თანამშრომლები საერთოდ ამ კონფლიქტზე საუბარს წყვეტდნენ – ქ-ნი ნაირა მოდის და გავჩუმდეთო. ძალიან ახლო ურთიერთობები გვქონდა და მათგან უფრო მეტ სითბოსა და თანაგრძნობასაც კი ვგრძნობდი იმ წლებში, ვიდრე ჩვეულებრივ. მე ახლაც მათი დიდი მადლობელი ვარ იმ სიყვარულისათვის...

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ისეთი საშინელი განცდები მქონდა, ენით აუწერელი. ამისი გადმოცემა შეუძლებელია, ეს ადამიანმა თვითონ უნდა განიცადო, რომ მიხვდე. ცხინვალში გათხოვილ დას ქმარ-შვილი ქართველი ჰყავდა და ეს არ აპატიეს ვიღაც-ვიღაცებმა, სწორედაც ვიღაც-ვიღაცებმა, თორემ ვინც ჩემი დის ოჯახს იცნობდა, ისიც ეცოდინებოდა, რა „ექსტრემისტი“ ქმარ-შვილიც ჰყავდა, მართლა ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდნენ...

იქით ცხინვალიდან გამომიყარეს ოსებმა ჩემი და და მისი ქართველი ქმარ-შვილი ანზორი ინაური და მისი სამი ვაჟი, რომელთაც სწორედ ცხინვალიდან გამოძევების შემდეგ დაატყდათ თავს მთელი საშინელებით ტრაგედია, რომელმაც მტერიც (თუ ჰყავდათ) კი შეძრა, მოკეთე კი არა... ცხინვალიდან გამოძევებულ ჩემი დის ბუდედანგრეულ ოჯახს, აქა-იქა საწოწიალოდ გაუხადეს საქმე. მათთვის უკვე უკულმა დატრიალებული ბედის ჩარხი ლუკმა პურის ძიების გზაზე ათენ-აღამებინებდა ჩემს ანგელოზებივით დისშვილებს, ჩემს დათოსა და კახას, რომელთაც დაღვინებაც კი ვერ მოასწრეს, აქეთ-იქით ხეთქებაში და ყოველდღიური თავის გასატანად ბრძოლაში ჩართულებს, ვიღაც ქართველმა გარეწრებმა რუსეთში მოუსწრაფეს სიცოცხლე...

აქეთ ქართველებმა თბილისიდან გამიძევეს ძმა, რომლის ყოფილ სამსახურში მისი საბუთების გამოსატანად მისულს, გააფთრებულები გამომიცვივდნენ და იმ საქმეების გარჩევა მომთხოვეს... ხმა არ ამომიღია, მარტო ის ვკითხე, – ჩემმა ძმამ (რომელიც საერთოდ ყველას უყვარდა, ვინც კი იცნობდა) რა დააშავა-მეთქი და.. – ოსი რომ არის, ეგ დანაშაული არ არისო? აცრემლებული გამოვბრუნდი ჩემს გოგონასთან ერთად და იქ საერთოდ აღარც მივბრუნებულვარ... კი, მესმის, ბევრი, ძალიან ბევრი დაუმსახურებლად გამწარებული ადამიანი იყო ჩემ გარშემო, მაგრამ ჩემი უდანაშაულო ძმა რა შუაში იყო, რას ემართლებოდნენ. თუმცა აქვე სიმართლე უნდა ითქვას, მისთვის ხელი არავის უკრავს, წადიო, მაგრამ დამუხტული გარემო თვითონ აძევებდა ადამიანს, იმ ადამიანს, რომელსაც არ უნდოდა სისხლისღვრა, არ უნდოდა ძმათამკვლელ ბრძოლაში ჩაბმა. ისედაც ზედმეტად მორიდებულსა და მოხათრებულს სამსახურშიც ერიდებოდა მისვლა... გამიძევეს ქართული მზის მცხუნვარებით გამთბარი ზეადამიანად დაბადებული ჩემი ძმა მისთვის სრულიად უცხო ცივი რუსეთის მიწაზე, საიდანაც დღემდე ამაოდღა ცდილობს თავის დახსნასა და ერთადერთი მემკვიდრის ქართულ მიწაზე მობრუნებას...

იქით (კახეთში) უკვე კარგა მოხუცი მამაჩემი ჩაიკეტა სახლში და გარეთ ველარ გამოდიოდა შიშით (კაცი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის საშინელებებს არ შეუშინებია, რომელიც ომში ასეულს მიუძღვოდა მტრის წინააღმდეგ, ორჯერ დაიჭრა და ორიეე-

ჯერ გამოჯანმრთელებამდე ისევ ფრონტზე წავიდა და მის დამთავრებამდე იქ იყო), ახლა ეზოდან აღარ გადიოდა, ვაითუ გვერდით მცხოვრები არ მომესალმოსო... უსიამოვნებას ასე არიდებდა თავს. არადა ცოლიც ქართველი ჰყავდა, სამი სიძეც და დაღლილ მუხლებზე ქართული და ოსური სიმღერა-ზღაპრებით გაზრდილი შვილიშვილებიც...

ოსების მისამართით ათასი უგვანი რამ ესმოდა, ვერ იტანდა, ნერვიულობდა. მარტო იმას ამბობდა, მე რა შუაში ვარ, მე რა დავაშავეო.

მაინც ვერ ავცდით საშინელებებს...

მამიდაშვილი დუნია ბაგაევი ზნაურის, ახლანდელი ყორნისის რაიონ სოფელ ბალთიდან საბარგო მანქანაში იჯდა და ცხინვალში მიდიოდა (ხმელი ლობიო და სანოვაგე მიჰქონდა ჩანთით) შვილთან ერთად. სოფელ ქალეთიდან ნასროლმა ბრმა ტყვიამ (იმ დროს იქ იყვნენ ვაჟა ადამიას რაზმები და დროდადრო ისროდნენ ბალთისკენ) იმსხვერპლა 40-ოდე წლის ქალი. იქვე, შვილის ხელში დალია სული...

აქეთაც ბევრი გამწარებული ქართველი...

ოსებმა გამოაძევეს, ქართველებმა დამიხოცეს...

მე არავისი განმსჯელი არა ვარ, მაგრამ ვიცი:

მათი და ყველა უდანაშაულოების ცოდვა მძიმე ტვირთად იმის კისერზეა, ვინც ეს კონფლიქტი გააჩაღა, ვისაც ეს კონფლიქტი აწყობდა და აწყობს...

ძალიან მძიმეა ჩემთვის ამ საკითხზე საუბარი...

ერთი მხრიდანაც ტკივილი, მეორე მხრიდანაც.

ორივე მხარეს ჩემი ხალხი იდგა, ოსი და ქართველი, ქართველი და ოსი.

ანუ იქითაც მე ვიყავი და აქეთაც.

იქითაც ჩემი სისხლი იღვრებოდა, აქეთაც...

იქითაც მე ვიწრიტებოდი სისხლისგან, აქეთაც...

დაზაფრულები და განადგურებულები ვიყავით მე და ჩემინაირად ქართულ-ოსურ ოჯახებში გაზრდილი ორივე ხალხის სიყვარულით გამთბარი ადამიანები...

რადგან ჩვენ ხომ ქართველებიც ისე გვიყვარს როგორც ოსები... ჩვენ ხომ ოსებიც ისე გვიყვარს, როგორც ქართველები...

ჩვენ ხომ ვერც ერთის აუგს ვერ ვიტანთ. ქართველებზე ძვირს ამბობენ, ვიწვით და ვიფერფლებით... ოსებს აძაგებენ.. ისევ ვიწვით და ვიფერფლებით..

რა გითხრათ, როგორ გადმოგცეთ ეს განცდები, ძნელია, მიმძიმს. ჯერ მოუშუშებელია, ჯერ ისევ ძალიან მტკივა და, როგორც ბოლო ხანებში ვატყობ, ასეთი ჭრილობები დღითიდღე მძიმდება, დღითიდღე მძაფრდება, რადგან..

იქით ზნაურში, მდინარე ფრონეს პირას, მამისეულ კერაზე რა ხანია ცეცხლი აღარ ანთებულა, ჩამქრალია და ჩანაცრებული... იქვე, ბალთაში ათეული წლებია პაპა-ბებიის ივანე ბეპიევისა და მაიკო ქოზაევის ბალახგადავლილ საფლავზე ერთი ნაშიერიც აღარ (აღარ კი არა ველარ) მისულა..

აქეთ კი.. აქეთ ჩემს დებთან ერთად მეც ჩემებურად ჩავბღაუჭებივარ იმედს... ჩავბღაუჭებივარ ჩემს ძმასა და მის ერთადერთ შვილს, ირაკლის, იქნებ გადმოვძლიოთ, დაუბრუნდნენ ქართულ მიწა-წყალს, არ გააციონ ყვარელში, მთისძირში, მდინარე არეშის პირას მამისეული კერა... გააძლიერონ, გააღვიონ მინავლული კერა სადაც დღესაც შვილისა და შვილიშვილის მოლოდინში ლოგინს მოჯაჭვული მოხუცი ბებიაღაა, ბებია, ნადია ცეცხლაშვილი, რომელსაც უძლურობის გამო ძლივსღა უფეთქავს სასიცოცხლო ძარღვი და სუსტად მაგრამ მაინც ეჭიდება სიცოცხლის ძაფს, რომ მათ შინმობრუნებას მოესწროს, კერა ჩააბაროს...

რომ მახსენდება, როგორ მალავდა ავადმყოფი მამაჩემი ქართველ ექიმთან თავის ოსურ გვარს, გამოგონილ ქართულს კი ველარ იხსენებდა შიშისა და ნერვიულობის გამო...

რომ მაგონდება, 1990 წელს, ცხინვალიდან სამი უმძიმესი თვის შემდეგ ოსებისაგან შეშინებული, თითქოს მოკუზულიც კი, ადრე მუდმივად სახემოციმციმე ჩემი ულამაზესი და, მზიური, როგორი გაჭაღარავებული გამოვიდა (დედმამიშვილებმაც კინაღამ ველარ ვიცანით...)...

რომ მახსენდება, როგორ ეხვეწებოდა ჩემი და ოსებს, ნუ გაგვაძევებთ აქედან, მე ხომ თქვენი სისხლი და ხორცი ვარო და იმ ტყვიების ზუზუნში ნამცეცისოდენა იმედს ებღაუჭებოდა, ყველაფერს იტანდა. მაინც არავინ დაინდო...

რომ მახსენდება...

რომ მახსენდება...
ვერ დაგიმალავთ, ძალიან მიჭირს...
ახლა ხომ ხვდებით, როგორც შემეხო კონფლიქტი:
როგორ და ყველანაირად,
მთელი სიმძიმით,
მთელი საშინელებით,
იქიდანაც და აქედანაც,
ორივე მხრიდან,
ანუ ყველა მხრიდან...

დაკვირვებული ვარ, როცა სწორ გზაზე მიდიხარ და უცბად გადადიხარ ოლროჩოლრო გზაზე, ის უცნაური ჯაყჯაყი უფრო შესამჩნევი და აუტანელი გეჩვენება. ასე მოგვივიდა ჩვენც, კარგად ვიყავით, კარგად ვცხოვრობდით და წუთისოფლის მიხვეულ-მოხვეულ ბნელ ლაბირინთებში უეცრად, ჩვენდა უნებურად თავშერგულებს თითქოს მზე დაგვიბნელდა, წონასწორობა დავკარგეთ და დარდის უძირო მორევში მოულოდნელად ჩავეფალით ოსებიცა და ქართველებიც, რომელთაც მანამდე ერთმანეთი გვეიმედებოდა, გვიყვარდა და ერთმანეთზე ძვირი გუნებაშიც არ გაგვევლო. ასე დაგვემართა ბევრს, არა მარტო მე, არამედ ყველა ჩემნაირი შერეული ოჯახის შვილი ჯოჯოხეთის კოცონზე ატრიალა ამ კონფლიქტმა, ყველას ნერვები დაუფლითა და დააწყვიტა, ყველას, გარდა მათი, ვინც ასეთ კოცონზე ითბობდა ხელს...

ისე კი უნდა ვთქვა, მე მყარად მჯერა და ვერც ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ეს ასე არ იქნება, – ოსებიცა და ქართველებიც ისევ ერთად ვიქნებით, ისევ დავუბრუნდებით ერთად სავალ სწორ, ლამაზ, სასიამოვნო საერთო გზას (საიდანაც ჩვენდაუნებურად გადაგვახვევინეს). ამ რწმენითა ვცოცხლობ და ვცხოვრობ მე დღესაც და რასაც ვაკეთებ, ამ იმედით ვაკეთებ. ვაკეთებ შეიძლება ძალიან მცირეს, უმნიშვნელოს, მაგრამ ვაკეთებ ორივე ერის სიყვარულით, ორივე ერისთვის, ორივე ერთან განგების შეუცნობელი ძალით დაბამდებამდეც შენივთული და შესისხლხორცებული..."

ვერა აიდაროვას მონათხრობიდან: „მე იმ ვითარების ანალიზს არ ვაპირებ, მხოლოდ იმას გიამბობთ, რაც იყო, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა. 1990 წელი იყო, სახელმწიფო გამოცდებზე ვიყავი კომისიის თავმჯდომარედ მივლინებული ცხინვალში. გამოცდის შემდეგ

სუფრასთან მოვიყარეთ თავი.

ძალიან წყნარი ზაფხულის საღამო იყო. ქუჩებში ხალხი მორიდებით გვესალმებოდა, პატარაა ცხინვალი და ყველა გვიცნობდა. ცხინვალის შესასვლელში, მაღლობზე ერთი არაჩვეულებრივად ლამაზი რესტორანი იყო აგებული. სწორედ იმ რესტორანში დავსხედით, რომელიც შემდეგ ოთხასი ავტობუსით მისულებმა აიკლეს და დაანგრიეს. ეროვნული თავისუფლების ლიდერები თბილისში დემონსტრაციას დემონსტრაციაზე მართავდნენ. მიტინგებზე უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა: უცხო ტომელები წაეთრიონ აქედან. რასაკვირველია, მე არასოდეს მიფიქრია, რომ ქართველისათვის უცხო ტომელი ვიყავი. არც სხვა ჩემნაირი ფიქრობდა ალბათ, ამიტომ იყო, რომ ვმღეროდით ქართულ, ოსურ სიმღერებს, სუფრასთან ოსებიც იყვნენ, ქართველებიც. ექვსი შერეული ოჯახი იყო, ჩვენი თანამშრომლების, რომელთაგანაც ამ არეულობის შემდეგ ზოგის ქმარს გული გაუსკდა ამ ამბების გამო, ზოგის – ცოლს. ვის ინტერესებს ემსახურებოდა ეს ამბები, რაც მოხდა, ვის აწყობდა და უხარებდა ეს ამბავი გულს, აი, ეს არის საკითხავი...

ეს იყო ცხინვალში ბოლო ყოფნა. მას შემდეგ მე იქ აღარ ჩავსულვარ. არა იმიტომ, რომ არ შემეძლო, უბრალოდ, მე მინდა ცხინვალი ისევ ისეთი მახსოვდეს, როგორიც იყო: წყნარი, იდილიური, არაჩვეულებრივი ხალხითა და ატმოსფეროთი. მე იმას ალბათ ვეღარ გადავიტან დანგრეული სახლები და ჩემი ქალაქი აწიოკებული ვნახო. ამბობენ, ხალხიც სულ სხვანაირი გახდაო.

– თქვენ თუ შეგეხოთ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოვლენები?

– რაც შეეხება იმას, თუ მე უშუალოდ როგორ შემეხო ეს ამბავი, მაგასაც გეტყვით. მართალია, მე ოსი ვარ, მაგრამ ქმარი, შვილი ქართველები მყავდნენ, ისინი იყვნენ ჩემი ცხოვრების აზრი და შინაარსი. მე მთელი ცხოვრება ქართველების გვერდით ვცხოვრობდი, უამრავი ქართველი აღვზარდე, უამრავი სტუდენტი მყავდა (70 ნლიანი პედაგოგიური სტაჟი მაქვს), რომლებიც ასევე შვილებივით მიყვარან, ახლაც მაქვს მათთან ურთიერთობა. მე დიდად მადლობელი ვარ ბედისა, რომ ქართველებში მოვხვდი. საქართველოა ჩემი სამშობლო. ოსებთან ერთად ქართველები არიან ჩემები,

ჩემი ხალხი. მე განუყოფელი ვარ მათგან. და მიმძიმს თქმა, მაგრამ ალბათ უნდა ვთქვა, იქნებ სხვამ აღარ გაიმეოროს ასეთი შეცდომა – დაუმსახურებლად ადამიანისათვის გულის ტკენა. კონფლიქტის წლებში თბილისში მაცხოვრებელი ოსებიც, რა თქმა უნდა, მშვიდად ვერ ვიქნებოდით, რადგან ყოველ წუთს ჩაგვესმოდა, აგერ თქვენმა ოსებმა რა ქნეს, ხედავთ, ის მოთრეულები, რას ბედავენ. და უარესებიც. ყოველივე ეს რომ თავიდან აგეცილებინა, სახლში უნდა მჯდარიყავი. გარეთ გასვლას ვერიდებოდით. მაგრამ სამსახურში ხომ უნდა გვევლო. იმ არეულობის წლებში, მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, ოსებს სამუშაოდან ათავისუფლებდნენ. მე ძალიან კარგ კოლექტივში ვმუშაობდი, ირგვლივ ყველა სიყვარულითა და პატივისცემით მექცეოდა და დიდადაც ვარ დავალებული ბევრი რამით ამ კოლექტივისაგან. ამიტომ არ ველოდი, მოულოდნელი იყო ერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლის, ლაბორანტის განცხადება, ჩემი თანდასწრებით რომ გააკეთა: ჩვენს დაწესებულებაში სამი ოსი მუშაობს, თქვენ და ორიც სხვა, ერთი ყარაული და ერთი ცეცხლფარეში. ეს იმას ნიშნავდა, რომ გასათავისუფლებელთა სია მზად იყო. და მე ამდენ უბედურებაგადატანილმა ქალმა ერთი კი გადავხედე და არაფერი ვუთხარი, ისე კი ვერც ვეტყოდი, პირი ისე მქონდა მღელვარებისაგან გამშრალი. მან ალბათ არ იცოდა, რა ძნელია უდანაშაულო ადამიანის დასჯა, რაც მე მრავალჯერ გადამიტანია ცხოვრებაში და რას წარმოვიდგენდი, რომ მეც მომიხდებოდა ვიღაცის წინაშე ჩემი ეროვნების გამო დამნაშავის როლში ყოფნა, როგორც ერთ დროს ჩემი ოჯახის სხვა წევრებს. ამ ამბის გამო რამდენიმე დღე ძალიან ცუდად ვიყავი, მადლობა უფალს, ყველაფერი მშვიდად დამთავრდა, თუმცა მოგვიანებით გავიგე, იმ ორიდან არც ერთი აღარ მუშაობდა ჩვენთან.

უნდა გავიხსენო, რომ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ხშირად ტარდებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. ჩვენ ქართველი სტუდენტების წარმატებები ისევე გვიხაროდა, როგორც – ოსებისა, ასევე მათ. შემდეგ კი წარჩინებულებს თბილისში ვგზავნიდით, სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურაში, აქაურ მეცნიერ-ხელმძღვანელებს ვასპეციალებინებდით. რამდენი სამეცნიერო კადრი მომზადდა თბილისში, რამდენი ქართველი მეცნიერის

შრომა და ღვაწლია, ენერგიაა ამაში ჩაღვრილი. ყველაზე მეტად დღეს ამაზე მწყდება გული, რომ ეს ტრადიცია მოიშალა, აღარ არის. აქვე, გვერდით ამხელა სამეცნიერო პოტენციალია, ამხელა უზარმაზარი სამეცნიერო სკოლაა და ოსი ახალგაზრდა რუსეთში მიდის, შორს და მისთვის უცხო ქვეყანაში და არც თუ დიდი ხალისით, ქართველებისკენ გული აღარ მოუწევს, ან იქნებ მოუწევს კიდეც გული, მაგრამ სხვა რაღაცა უშლის ხელს, სხვა რაღაცის გამო იკავებს თავს. ერთი კი ცხადია, ამ ხალხების იმ ძველ თაობას, რომელსაც გვერდიგვერდ უწევდათ ცხოვრება, მუშაობა, დღესაც შემორჩენილი აქვთ ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ისინი ჩემს იუბილეზე შეხვდნენ ერთმანეთს. სწორედ მათ უნდა ითამაშონ დიდი როლი ამ ხალხის ისევ აქეთ შემობრუნებაში, ამ ხალხის გაციებული ურთიერთობის აღდგენაში.

მახსოვს ძალიან კარგი ტრადიცია იყო ქართველი მეცნიერების, მწერლების საიუბილეო დღეების აღნიშვნა ცხინვალში. სწორედ იქ ჩატარდა გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა, აკად. აკაკი შანიძის იუბილე, ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ამ ორი ხალხის ურთიერთდაახლოებას.

უნდა ვთქვა, რომ ერთი შეკრული კოლექტივი იყო ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის პედკოლექტივი და ძალიან დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. ახლა ცხინვალის ინსტიტუტში მხოლოდ ოსები სწავლობენ. ეს აღარ არის ის მეგობრობის კერა, რომელიც მე დამამახსოვრდა. ახლა თბილისში ოსი სამეცნიერო კადრები აღარ მზადდება, მათ უფრო შორს უხდებათ ამისათვის წასვლა. საქმე ის კი არაა, შორს წავა, თუ არა, საქმე ისაა, ის სიახლოვე აღარაა ქართველსა და ოს ინტელიგენციას შორის, ის ძაფები აღარ იბმება, რომელიც სამეგობრო კავშირს ამყარებს. ახლა ვხედავთ გაუცხოებულ ოსსა და ქართველს და გულსატკენი სწორედ ეს არის. მაგრამ მე მტკიცედ მჯერა, თუმცა შეიძლება მე ვერ მოვესწრო, მაგრამ მტკიცედ მჯერა, და ამ რწმენით სავსე მინდა წავიდე იმ ქვეყნად, რომ ის ძველი სიყვარული ისევ აღდგება ოსსა და ქართველს შორის, ისევ ისეთი მეგობრული ურთიერთობით გააგრძელებენ ცხოვრებას ოსები და ქართველები და საერთოდ მჯერა, რომ კავკასიელებს გვეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ ერ-

თად ვიდგეთ, ძმურად ვიცხოვროთ მშვიდობიან კავკასიაში. მინდა ამ რწმენით გავატარო დარჩენილი დღეები“...

ის, რაც გადაიტანეს ამ ქალებმა, მოსაყოლადაც ძნელი იყო და მოსასმენადაც. ვერა აიდაროვა, 86 წლის ქალბატონი, იმ დღეების გახსენებაზე ხშირად ცუდად ხდებოდა, ძლივძლივობით გვიყვებოდა, მეხსიერებას ძაბავდა და თან თავისი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრს, თინა ბალიაშვილს ეკითხებოდა, ხომ არაფერი მავიწყდებაო.

რამდენჯერაც მივედი ჩემს რესპონდენტთან, ცირა (მზიური) ბეპიევთან, იმდენჯერ მთხოვა, ახლა არა, მერე მოგიყვები, მერეო, ბოლოს ხათრი ვეღარ გამიტეხა. მიამბობდა და ცრემლებად იღვრებოდა ორი ვაჟის დამკარგავი დედა, რომლის შვილთა უბედურებაში ამ კონფლიქტს უდევს ლომის წილი...

ამითი იმისი თქმა მინდა, რომ ძალიან მძიმე იყო სამუშაო, რომელიც მე მერგო წილად. ესენი უბრალო თვითმხილველები კი არ იყვნენ, ამ კონფლიქტით გაუბედურებული ხალხი იყო. აბა, წარმოიდგინეთ, ოსქართველობის გამო ორად გაყოფილი ოჯახი. რვა წელი მერი ცხოვრებოვასა და მის მეუღლეს, გივი თედეევს ერთმანეთი არ ენახათ, რვა წელი ქალს ქმარ-შვილი არ ენახა და იმასაც ვერ ამჟღავნებდა, რომ ხანდახან ქმრისაგან მოკითხვის წერილი მისდიოდა თბილისიდან ცხინვალში. სულ ორ-სამ სიტყვიანი – ჩვენ კარგად ვართო.

მაინც ჰყვებოდნენ იმ რწმენით, რომ იქნებ ჩვენი მონათხრობი გაკვეთილად გამოდგეს, ამ მძიმე ისტორიებით, ტრაგიკული ამბებით ქართველებმაც და ოსებმაც რაღაც გაითვალისწინონ, რაღაც ისწავლონ და ასეთი ტრაგედია აღარ განმეორდესო.

პოსტკონფლიქტური პერიოდი

ქართულ ოსური კონფლიქტის დაწყებისთანავე ქართველთა დიდმა უმრავლესობამ დატოვა ცხინვალი, საკუთარი სახლ-კარი. ისინი დღესაც ასე ცხოვრობენ, სასტუმროებში, საბავშვო ბაღებსა თუ მიტოვებულ შენობებში. დროებით წამოსულები უკვე მეთოთხმეტე წელია თავიანთი ქალაქისაგან შორს მდებარე შენობებში შეკედლებიან დაბრუნების იმედს.

ცხინვალიდან ლტოლვილი მოსახლეობის ბედს იზიარებს ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული სექტორიც, რომელიც ახლა გორშია განთავსებული (რექტორი, პროფესორი ვიანორ ახალაია) და ცხინვალის ვანო მაჩაბლის სახელობის ქართული თეატრიც (მხატვრული ხელმძღვანელი ზაზა თედიაშვილი), რომელიც თბილისშია თავისი ლტოლვილი მსახიობებით.

თამრიკო ხიზანიშვილი: „ვცხოვრობდით ჯერ დედასთან, მერე დედა გარდაიცვალა, ბავშვებიც გაიზარდნენ, ჩემი ძმის ბინაში ვეღარ ვთავსდებოდით. ცხინვალში მალე დაბრუნების იმედი ნელნელა ჩამიქრა და კომპაქტურად დასახლებულ ლტოლვილებთან დავსახლდი ჩემი ოჯახით, სასტუმროში გადავედით. ჩემს ქმარს სამსახური არ ჰქონდა, თეატრში არ იყო ხელფასები, ბავშვებსაც ბევრი რამ სჭირდებოდათ და ძალიან გვიჭირდა. ბევრჯერ მარტო მარილმოყრილი წყალში მოხარშული ბრინჯი მიჭმევია ბავშვებისთვის, ბევრჯერ პური არ გვქონია. არც ჭურჭელი გვქონდა საკმარისი თავიდან, მაგრამ ცხინვალში დაბრუნების იმედი არასოდეს დაგვიკარგავს. ყოველთვის ვამბობთ, რომ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით ჩვენს ქალაქში.

– დაბრუნებაზე შენსავით ბევრი ფიქრობს?

– ცხინვალიდან ლტოლვილი ყველა ასე ფიქრობს. ენატრებათ თავანთი სახლ-კარი და უნდათ დაბრუნება.

– ახალგაზრდებიც იმავე განწყობაზე არიან?

– ახალგაზრდები და ბავშვები ნაკლებად, რადგან მათთვის მშობლიური ქალაქი ცხინვალი არ არის. თუ ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდა, ასე უფრო ცუდი იქნება, რადგან თაობები შორდებიან ერთმანეთს. ამ ბავშვებისათვის ცხინვალელი ოსები უკვე უცხოები არიან. ცხინვალსაც არა აქვს მათთვის ის ხიბლი და მიმ-

ზიდველობა, რადგან ბევრს ცხინვალი აღარც ახსოვს, ანდა, არც უნახავს და სხვაგან გაიზარდა.

მე ძალიან დიდი ხანი დამჭირდა შევგუებოდი იმას, რომ ეს უბედურება მოხდა და რომ მე ცხინვალში ვერ ვიცხოვრებ. ხშირად სიზმარში ვხედავ, რომ ეს განხეთქილება არც მომხდარა და ისევ ცხინვალში ვცხოვრობთ. ცხინვალიდან სამუდამოდ წამოსვლას ვერასოდეს შევეგუები".

ცხინვალიდან ლტოლვილები კომპაქტურად დასახლდნენ გორსა და გორის რაიონის სოფლებში და თბილისის სასტუმროებში. ლტოლვილების უმრავლესობამ ვერ მოახერხა ცხინვალიდან გამოეტანა ავეჯი, ლოგინი. ყველაფრის თავიდან შეძენა მოუხდათ.

ჩვენი რესპონდენტის: – ცირა ბეპიევი-ინაურის მონათხრობიდან: „მე და ჩემი ქმარი სამი ვაჟის მშობლები ვიყავით და წელებზე ფეხს ვიდგამდით, დღედაღამე ვმუშაობდით ოჯახი ფეხზე მდგარიყო. დედამთილ-მამამთილიც გვეხმარებოდა. ცხინვალში დავტოვეთ ორი კარგად მოწყობილი სახლ-კარი და წამოვედით, წამოვედით ისე, რომ მარტო ერთი საოჯახო ალბომი წამოვიღე და მამამთილის გადიდებული სურათი. იმხელა ქონებიდან მეტი ვერაფერი...

იქვე, ცხინვალიდან რვა კილომეტრში, გორის რაიონში, სოფელ ტირძნისში ჩემს მამამთილს უშვილო ძმა ჰყავდა, რომელმაც თავისი სახლი ჩემს მაზლს მისცა, იმან სხვა ააშენა და ეს გაუმართავი სახლი ორი ოთახი: – ერთი მაღლა, ერთი დაბლა – ჩვენ დაგვითმო დროებით (ვითომ მალე უნდა დავბრუნებულიყავით ცხინვალში). დაბლა ისევ მინიანი იატაკი გვაქვს, დღემდე იატაკიც ვერ დავაგეთ, ვერც ვერაფერი შევიძინეთ ორი ჩაჟანგებული რკინის საწოლი დაგვხვდა და დღესაც ის გვიდგას. ძალიან გაგვიჭირდა. აბა, შენ წარმოიდგინე, სულ თავიდან დასაწყები იყო ცხოვრება, არაფერი გაგვაჩნდა, არც ერთს სამსახური აღარა გვქონდა. ბიჭებმა უმაღლესი კი დაამთავრეს, მაგრამ ლტოლვილს ვინ რას მისცემდა, საერთოდაც უმუშევრობა იყო.

ომი რომ დაიწყო, მესამე ვაჟი, დიტო ექვსი წლისა იყო. სახლში ის და მამამისი დავტოვეთ მეურნეობის მისახედად და ჩვენ, მე და ჩემი ორი ვაჟი, მოსკოვში წავედით ჩემი ძმის იმედით (ის უკვე იქ ცხოვრობდა), რომ რაღაცით თავი გაგვეტანა. ვერ ვიტყვი, არაფერი გამოგვდიოდა-მეთქი, იქიდან ცოტა სული მოვიდგ-

ით, მართალია, სახლი ვერ გავმართეთ და ვერაფერი შევიძინეთ სახლისათვის, აკი ვთქვი: იმ კოლა პაპას დროინდელი გაზქურა მიდგას დღესაც და იმ მიწიან იატაკზე ვცხოვრობთ, მაგრამ ჩემი ძმის ხელშეწყობით პურის ფულს ვშოულობდით, მაგრამ არ მინდოდა რუსეთში ყოფნა. დედა ვარ და მიჭირდა იმისი წარმოდგენა, რომ შეიძლება ეს მშვენიერი ორმეტრიანი ულამაზესი ჯანმრთელი ვაჟკაცები ქართველ ერს და კარგვოდა, არადა ვხედავდი, რუსის ქალები როგორ პეპლებივით დაჰფარფატებდნენ თავს. იმდენი ვქენი, ჩამოვიყვანე საქართველოში. ვეხვეწებოდი დაქორწინდით, უკვე დროა-მეთქი, მაგრამ ვინ გისმენდა. – სად მოვიყვანოთ ცოლი, სახლ-კარი არა გვაქვსო, – მპასუხობდნენ. ბოლოს ისევ კახამ, უმცროსმა გადადგა ეს ნაბიჯი. კარგი, წყნარი რძალი მომგვარა, მაგრამ იმ სივიწროვეში გვიჭირდა. კაპიკს კაპიკზე ვაწებებდით კახას სახლის ყიდვა უნდოდა გორში, ვაშლი წაიღო ქალაქ უფაში გასაყიდად. რამდენიმე კილომეტრიღა იყო უფამდე დარჩენილი... იქ დახვდა ორი გარეწარი... მძღოლმა მოასწრო გაქცევა, ჩემს შვილს ეძინა, ალბათ მძინარე მომიკლეს... ერთი ტყვია ჰქონდა თავში მოხვედრილი... რაღად მინდა რომ ცოცხალი ვარ...

მკვლელი კი დაიჭირეს, თერთმეტი წელი მისცეს, ვიღაცა ნაციხარი ყოფილა, მაგრამ მე შვილს ვინ გამიცოცხლებს... იცი რა უთქვამს, მე ნანახიც არა მყავდა, არც ვიცნობდიო, ნეტავი სცნობებოდა, ხომ ვერ გაიმეტებდა...

ამ ჭირს ვერც ერთი დედა ვერ მოინელებს ვერასდროს, ვერც ერთ დედას ვერ ეყოფა ნერვები და ფსიქიკა, მეც ხან მომაბრუნებდნენ, ხან მივდიოდი იქით. რა ვიცოდი, კიდევ რა მელოდა. სახლი იყიდა კი არა, საწყალს როგორ უნდოდა შვილი და ისიც არ ელირსა. კახას მერე დათო სულ ტიროდა. ხან ჩემთანაც, მაგრამ უფრო ჩემგან მალულად, სხვები მეუბნებოდნენ, ნუ ტირი ამდენს, ხომ ხედავ, დათო რა დღეშიაო. სულ ტიროდა... სასაფლაოზე გაუთენებია ბევრჯერ, სახლში არავის გამოჰყოლია, თქვენ წადით, მე ჩემს ძმასთან უნდა ვიყოო...

ისევ გაჭირვება და ამ დროს გვეძახიან, კახას სასამართლოზე უნდა წამოხვიდეთო, კაპიკი არ გვებადა, რა უნდა გვექნა... ვაშლი წაიღო გასაყიდად, რაღაცა ხომ დარჩება, გზის ფული გამოჩნდებაო, ისესხა ფული (ახლა ყოველდღე ის მოვალე სულს მიწუხებს)

და ისიც იმ ავადსახსენებელი რუსეთის გზას დაადგა ვაშლის გასაყიდად, გზის ფულის საშოვნელად.. ვოლგოგრადის გზას დაადგა... ეძინა მანქანაში და შემთხვევითმა გამვლელმა ესროლაო... ისიც გადაჭრილი თოფიდან... ისიც ერთი ტყვიით თავში... 28 მარტს კახა... ექვსი თვის შემდეგ, 28 სექტემბერს – დათო... ან სრულ ჭკუაზე როგორა ვარ მათ შემდეგ... ახლა უმცროს ვაჟთან, დიტოსთან მიახლოებული ჩრდილისაც კი მეშინია... მე ხომ უდანაშაულოდ დასჯილი შვილების დაღუპული დედა ვარ...

(აცრემლებული, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სულს ძლივს ითქვამს და ისე მიამბობს თავს დატეხილ იმ საშინელ უბედურებას...).

აი, ასე აირია ჩვენი ოჯახის ცხოვრება იმ უაზროდ წამოწყებული დაპირისპირება–კონფლიქტის შემდეგ. სიკვდილს ვერავინ გაექცევა... მაგრამ ჩემი შვილების უბედურება პირდაპირი შედეგია იმ არეულობისა, ამიწიოკდა და გამინადგურდა ოჯახი... ხან იქით მივეხეთქეთ, ხან აქეთ მოვეხეთქეთ, ჩვენი ოფლით ვჭამდით ლუკმას და ამ გაწამაწიაში ჩამომექცა თავზე ჭერი. ჩემი ცოდვა იმათ, ვინც ეს ომი წამოიწყო. ჩემი ცოდვა იმათ და მათნაირებს. ჩემს შვილებს სახლიც ჰქონდათ, კარიც, ცოდნაც და განათლებაც, სამსახურსაც ადვილად იშოვიდნენ ცხინვალში (ერთი იურისტი და მშენებელი ინჟინერი იყო, მეორე საგზაო მშენებლობის სპეციალისტი, სპორტსმენი, ალპინისტი), დაოჯახდებოდნენ და მათი შვილებით გავიხარებდი. არც ერთს შვილი არ დარჩა, დათომ დაქორწინებაც ვერ მოასწრო..."

თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში მცხოვრები ოსების დიდი უმრავლესობაც აიყარა და ცხინვალსა თუ ჩრდილოეთ ოსეთს, ძირითადად – ვლადიკავკაზს მიაშურა.

აზა კოკოევას თავის შვილთან, ლინასთან ერთად თბილისის დატოვება მოუხდა: „ბოლოს, მე და ჩემი შვილი იძულებულები ვიყავით წამოვსულიყავით თბილისიდან. ჩემი ხალხისკენ გამოვწიე, ცხინვალში ჩამოვედი. აქ შემიფარეს, ბინაც მომცეს ოროთახიანი, უნივერსიტეტში მიმიღეს, როგორც მოწვეული სპეციალისტი, ვმუშაობ ცხინვალის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ვასწავლი ეთნოგრაფიას, ნაციონალურ ტრადიციებს, ოსთა ისტორიას და პარალელურად კვლევით ინსტიტუტშიც ვმუშაობ მეცნიერ-მუშაკად.

– თბილისიდან რომ წამოხვედით, პირველ ხანებში თუ გა-

გიძნელდათ გარემოს გამოცვლა, სხვა გარემოში მოხვედრა?

– როგორც უკვე გითხარით, მე აქ დავიბადე, მერეც ხშირად ჩამოდიოდა ჩვენი ოჯახი ცხინვალში, სტუდენტობაც აქ გავატარე, მეგობრები ბევრი მყავდა, ქალაქს კარგად ვიცნობდი, ცხინვალი ჩემი ახალგაზრდობის ქალაქი იყო და ძალიან მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უფრო დიდხანს ვცხოვრობდი, ვმუშაობდი, ცხინვალში გადმოსვლა ჩემთვის ადვილი შესაგუებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ჩემს ხალხში ვიყავი და თანაც, რაღაცნაირად დავწყნარდი, შიში და დაძაბულობა გამიქრა. მართალია, ეკონომიურად გამიჭირდა, მაგრამ უკვე აღარ მეშინოდა, რომ ვინმე მე და ჩემს შვილს დაგვემუქრებოდა. ამას გარდა, აქ ისე კარგად შემხვდნენ, როგორც უკვე გითხარით, სამსახურიც შემომთავაზეს, გავაგრძელე კვლევა ჩემს სპეციალობაში, ეთნოგრაფიაში, ვიკვლევ ოსთა ყოფის, ცხოვრების ამსახველ ტრადიციებს, უკვე ბევრი რამ მაკავშირებს აქაურობასთან. ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აქედან არც არასოდეს წავსულვარ. მე ძალიან ახლოს ვარ ჩემს ხალხთან. მათი ტკივილი მაწუხებს და მათი სიხარულით ვხარობ. თუმცა აქაც ძალიან ცოტაა სასიხარულო. უფრო მეტად ჩვენ გვიხდება პრობლემებთან ბრძოლა, რომელიც უამრავი გვაქვს, მაგრამ მაინც მიხარია, რომ ჩემი ხალხის გვერდით ვარ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ეს არ მიშლის ხელს პატივი ვცე იმ ქართველ ადამიანებს, რომლებისთვისაც გასაგებია ჩემი ხალხის გულისტკივილი და რომლებიც საღად აზროვნებენ. ასე რომ, დღეს ვცხოვრობ და ვსუნთქავ ჩემი ოსი ხალხის ცხოვრებით და ყველაფერს ვაკეთებ, რომ იყოს აქ სიმშვიდე და კეთილი ურთიერთდამოკიდებულება მეზობელ ქართველ ხალხთან.

– ლინასთვისაც ადვილი იყო ცხინვალში გადმოსვლა?

– ლინას უფრო გაუძნელდა თავიდან, თუმცა თანდათან შეეგუა აქაურობას. ის იქაურ ცხოვრებას უფრო იყო მიჩვეული. თბილისში უფრო კარგად გრძნობდა თავს. მას იქ ჰყავდა მეგობრები, ახლობლები, იქაური წრე ჰყავდა და ენატრებოდა თავისი მეგობრები, მაგრამ უკვე მიეჩვია აქაურობას. აქაც გაიჩინა ახალი მეგობრები. ლინა უკვე ამთავრებს ცხინვალის უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, ახლა მეხუთე კურსზეა."

* * *

„14 წელი გავიდა, 14 მტანჯველი წელი... რომელმაც ბევრი ტკივილი, ბევრი მოუშუშებელი იარა და პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა...

რა უნდოდათ... რას გვერჩოდნენ ან ოსს, ან ქართველს. ან ჩვენ რად აგვყარეს ჩვენი სამკვიდროდან... ან ამდენი სისხლი რატომ დაიღვარა იქით თუ აქეთ. ნეტავი ორივე მხარეს გვყოფნოდა გონიერება და თუ ეს პროვოკაცია იყო, არ ავყოლოდით, ერთმანეთს არ შევბმოდით. ახლა ყველა ხვდება, ეს იყო ყველაზე დიდი უგუნურება, რაც შეიძლება მომხდარიყო ამ ორ ხალხს შორის“. – ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიამბობს ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი – ცირა ბეპიევი.

მიუხედავად გადატანილი ტკივილებისა და ტრაგედიებისა, რაც ჩვენმა რესპონდენტებმა საკუთარ ოჯახებზე, ნათესავებსა და ახლობლებზე განიცადეს და რაც ჯერ კიდევ მოუშუშებელი და მტკივნეულია მათთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, ისინი მაინც მზად არიან მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის. ეს ერთნაირად ჩანს როგორც ქართველი, ისე ოსი ქალების საუბარში.

თამარ ხიზანიშვილი: „მე ძალიან დიდი ხანი დამჭირდა შევგუებოდი იმას, რომ ეს უბედურება მოხდა და რომ, მე ცხინვალში დროებით ვერ ვიცხოვრებ. ხშირად სიზმარში ვხედავ, რომ ეს განხეთქილება არც მომხდარა და ისევ ცხინვალში ვცხოვრობთ. ცხინვალიდან სამუდამოდ წამოსვლას ვერასოდეს შევეგუები“.

აქვე მსურს მოვიტანო ნაწყვეტი თამრიკო ხიზანიშვილის ჩანაწერიდან „ცხინვალის მონატრება“:

ჩემო ჩიხა-მახა ცხინვალო

„ჩემო პატარა ჩიხა-მახა ქალაქო, რომ იცოდე, როგორ მენატრები, რომ იცოდე, როგორ მეცოდები და როგორ მიყვარხარ, ჩემო მყუდრო, უხმაურო, პაწაწინავ. რა გიშველო, რითი დაგეხმარო, როგორ მოგწვდე. როგორ მოგეშველო?! რომ იცოდე, როგორ მენატრები, – ცრემლებამდე! რას არ მივცემდი, ოღონდ შენ მენახე მორთული, ოღონდ შენ მენახე ისეთი, როგორიც მინატრიხარ. ჩემო სამშობლოვ და ჩემო დედულეთო. ჩემო დაკარგულო და გადამ-

წვარო ბავშვობავ! სადა ხარ, ჩემო ყმაწვილკაცობავ, ჩემო სკოლავ, ჩემო ფრთამოგლეჯილო ბავშვობის მოგონებანო, სად გეძებოთ, სად, ვისი ხელით გიწიათ განადგურებამ? ჩემი სიზმრის დედავ! ჩემო პატარა ქალაქო, ყოველდღე სიზმარში გხედავ".

მერი ცხოვრებოვა: „ჩემთვის ქართველი და ოსი განუყოფელი იყო. ჩემი მეუღლის ოჯახიც შერეული იყო. დედამთილი ქართველი იყო, მამამთილი – ოსი. ჩემი და ქართველის ცოლია, ზედგენიძეების რძალია, ჩემს ძმებსაც ქართველი ცოლები ჰყავთ. ჩემი ქალიშვილი ქართველზეა გათხოვილი და ჩემი შვილიშვილები ქართველები არიან. ამდენად, რამდენადაც არ უნდა დაიძაბოს ურთიერთობა და როგორც არ უნდა გამწვავდეს მდგომარეობა ამ ორ ხალხს შორის, მე მწამს და სიკვდილამდე ასე ვიწამებ, რომ არ შეიძლება ქართველებისა და ოსების გათიშვა. როგორც სახიდან ცხვირს ვერ მოვიშორებთ, მე ასე მწამს, რომ ასევე არ შეიძლება ქართველისა და ოსის გათიშვა. ამ ორი ხალხის ნათესაობა და მეგობრობა არც ჩემით იწყება, და არც აქ დამთავრდება".

ცირა ბეპიევი: „...ასეთი საშინელება მოჰყვა იმ არეულობას, რასაც ვითომ გამოვექეცი ცხინვალიდან. რას გვერჩოდნენ, რა უნდოდათ, ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთთან, პატარ-პატარა რაღაცები ღვიძლ ძმებშიც მოდის, რას აზვიადებდნენ, რას ამუქებდნენ, გაჰკიოდნენ, ოსებო, წაეთრიეთ აქედან, ოსებო, წაეთრიეთო და არც კარგი ოსს დაადგა და არც ქართველს, ჩემი ცოდვა იმათ, ვინც აურია, გინდა ოსი იყოს და გინდა ქართველი. ჩემი ოჯახი კი განადგურდა...

ახლა ერთი პატარა შვილიშვილი მყავს, ჩემი მერცხალა ნინო. იმასღა შევხარი, უმცროსი ვაჟის, დიტოს შვილი. მასაც ოსისა და ქართველის სიყვარულს ვუნერგავ, მასაც ადამიანთა სიყვარულით გავზრდი. მასაც ვასწავლი, რომ ეროვნული ნიშნით კი არ უნდა ასხვავებდეს ადამიანებს, არამედ ადამიანურობის ნიშნით"...

ვერა აიდაროვა: „ახლა ცხინვალის ინსტიტუტში მხოლოდ ოსები სწავლობენ. ეს აღარ არის ის მეგობრობის კერა, რომელიც მე დამამახსოვრდა. ახლა თბილისში ოსი სამეცნიერო კადრები აღარ მზადდება, მათ უფრო შორს უხდებათ ამისათვის წასვლა. საქმე ის კი არაა, შორს წავა თუ არა, საქმე ისაა, ის სიახლოვე აღარაა ქართ-

ველსა და ოს ინტელიგენციას შორის, ის ძაფები აღარ იბმება, რომელიც სამეგობრო კავშირს ამყარებს. ახლა ვხედავთ გაუცხოებულ ოსსა და ქართველს და გულსატკენი სწორედ ეს არის. მაგრამ მე მტკიცედ მჯერა, თუმცა შეიძლება მე ვერ მოვესწრო, მაგრამ მტკიცედ მჯერა, და ამ რწმენით სავსე მინდა წავიდე იმ ქვეყნად, რომ ის ძველი სიყვარული ისევ აღდგება ოსსა და ქართველს შორის, ისევ ისეთი მეგობრული ურთიერთობით გააგრძელებენ ცხოვრებას ოსები და ქართველები და საერთოდ მჯერა, რომ კავკასიელებს გვეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ ერთად ვიდგეთ, ძმურად ვიცხოვროთ, მშვიდობიან კავკასიაში. მინდა ამ რწმენით გავატარო დარჩენილი დღეები"...

აზა კოკოევა: „მე მიმაჩნია, რომ ქართულ-ოსური ერთიერთობა მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს და ამიტომ შევქმენი არასამთავრობო ორგანიზაცია- „მშვიდობა და თანხმობა." სულ ცოტა ხანია, რაც ეს ორგანიზაცია არსებობს და ბევრი რამ გავაკეთე ამ მიმართულებით".

ნაირა ბეპიევა: იმ ომის დროს მე ცხინვალში არ ვყოფილვარ, მაგრამ გეტყვით, ყველა გასროლილი ტყვია მე მხვდებოდა მკერდში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ოსი გაისროდა თუ ქართველი, მნიშვნელობა არ ჰქონდა ოსს მოხვდებოდა თუ ქართველს, ორივე ჩემი იყო, ჩემი სისხლი და ხორცი. და ვიბნევი კითხვაზე, ვის მხარესა ხარ? როგრც ბავშვი, რომელსაც ეკითხებიან, დედა გიყვარს თუ მამა და აღარ იცის, რა უპასუხოს, რადგან მას მართლა ორივე უყვარს, ის ორივეს მხარესაა და ყველაზე ძალიან სწორედ მას უნდა დედაც და მამაც ერთმანეთთან მხოლოდ ტკბილად იყვნენ, საკამათოც კი არაფერი ჰქონდეთ...

და მე ყველაფერს ვაკეთებ ამისათვის, ყველანაირად ვილვწი, დღეს ჩემი წვლილი შევიტანო ამ ორად გახეჩილი ხალხის ისევ დასაახლოებლად. ჩავდივარ ცხინვალში, ვეპატიჟები თბილისში, ვაწყობ ქართველი და ოსი მოღვაწეების იუბილეებს, ქართველი და ოსი საზოგადოების შეხვედრებს. მივდივარ ცხინვალიდან ლტოლვილ ქართველებთან, ვეფერები მათაც, ვიწვევ „კავკასიურ სახლში" სხვადასხვა ღონისძიებაზე, მათ შვილებს ოს ახალგაზრდებთან ერთად გზას ვუკვალავ უმაღლეს სასწავლებელში გვერდიგვერდ სწავლისაკენ. ვეფერები იმ ქართველებსაც კონფლიქტის

ზონაში რომ ცხოვრობენ. რა ვქნა, მთელი ცხოვრება ვეფერები ქართველსაც და ოსსაც, ჩემს ხალხებს. ჩემს ორ უსაყვარლეს ხალხს და მინდა ისევ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ისევ ძმური სიყვარული გაღვივდეს მათ შორის, ისევ ერთად იყვნენ ჭირსა და ლხინში.

მთელ ჩემს ენერგიას ამ საქმეს ვანდომებ – ამ ორი ხალხების ურთიერთობის მშვიდობიანად მოწესრიგების საქმეს. და მჯერა, როცა ასე გულწრფელად აკეთებ რამეს, ის აუცილებლად გამოვა. დღეს თუ არა ხვალ, ზეგ, ან მაზეგ ყველაფერი მოწესრიგდება, ყველაფერი აღდგება, ამ რწმენით ვცოცხლობ მე და მინდა ჩემი მოკრძალებული წვლილიც იყოს ამ საქმეში.

ქართულ-ოსური კონფლიქტის შემდეგ კიდევ ერთი, არანაკლებ მტკივნეული და ტრაგიკული, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მოხდა. ეს დაპირისპირება ძალიან ჰგავდა ქართულ-ოსურ ტრაგედიას და სამწუხაროდ, საქართველომ ვერც ის აიცილა თავიდან. ცხინვალიდან დევნილებს აფხაზეთიდან დევნილებიც მიემატნენ და ამ მხრივ სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდა. გართულდა ვითარება ქვეყანაშიც. კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევრების რიცხვი. დევნილების უმრავლესობა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა და ცხოვრობს მაშინ, როცა საქართველოში კორუფცია და ნათესაური კლანები ბატონობდა.

ცხინვალის შესასვლელთან, სოფელ ერგნეთთან ორიოდე წლის წინ ბაზრობა გაიხსნა. თავიდან ეს ბაზრობა თითქოს უმტკივნეულო და უპრეტენზიო მიზანს ემსახურებოდა: ქართული სოფლებიდან ჩასული მოსახლეობა ხილსა და ბოსტნეულს ყიდდა. ქართველ მოვაჭრეებს მალე ოსებიც შეუერთდნენ და ჩრდილოეთ ოსეთიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან საქონელი ჩამოიტანეს, გაიმართა აღებმიცემობა. უნდა ითქვას, რომ ძალიან მალე ერგნეთის ბაზრობა კონტრაბანდის მთავარ წყაროდ იქცა. ეს ბაზრობა როგორც ქართველი, ისე ოსი მაღალჩინოსნებისათვის შემოსავლის მთავარი წყაროა დღემდე, ხოლო ახლომახლო მცხოვრები როგორც ქართველი, ისე ოსი მოსახლეობისათვის ლუკმაპურის შოვნის უახლოესი ადგილი.

ვფიქრობ, ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს ჩვენი რესპონდენტის, ნაირა ბეპიევი-პოპიაშვილის ეს მონათხრობი: „კავკასიურ სახლში“ ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენაზე

დღე და ღამე ვფიქრობდით. ვფიქრობდით, საიდან დაგვეწყო საქმე. ცხინვალიდან თბილისში ვერ ჩამოდიოდნენ, თბილისიდან ცხინვალში ვერავინ მიდიოდა. არადა, როდემდე შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო. კონფლიქტური ზონის საზღვარზე, ერგნეთთან იყო თავისუფალი არაჩვეულებრივი ადგილი, რომელიც ქართულ-ოსური კულტურის ცენტრისათვის უაღრესად შესაფერისი იქნებოდა. ჩემი დისშვილები, დათო და კახა ინაურები, შერეული ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ და მათთვის ორივე ხალხი ერთნაირად ახლობელი იყო. ამიტომაც ფიქრობდნენ დანგრეული ურთიერთობების მშვიდობიანად აღდგენაზე, ცხინვალთან ახლოს, სოფელ ერგნეთის ტერიტორიაზე ქართულ-ოსური ცენტრის აშენების იდეაც მათ ეკუთვნოდათ. ეს იდეა „კავკასიური სახლის“ დირექტორს, ქალბატონ ნაირა გელაშვილსაც ძალიან მოეწონა. 1996 წლის სექტემბრის თვეში ჩემს დისშვილებთან, დათო და კახა ინაურებთან ერთად „კავკასიური სახლიდან“ გორის მუნიციპალიტეტში ჩავიდნენ დირექტორის მოადგილეები: ანიკო წვინარია-აბრამიშვილი და მიხეილ ბეროშვილი. მათ ძალიან მოეწონათ ეს ადგილი, ესაუბრნენ გორის რაიონის ხელმძღვანელობას და გადაწყვიტეს, აქ ასაშენებელი ქართულ-ოსური კულტურის ცენტრისათვის დამფინანსებელი მოეძებნათ. დრო არ იცდიდა, უფრო სწორად, იქაური „ფულიანი ბიძები“ არ იცდიდნენ. შემოგვითვალეს, თუ აშენებთ რამეს, ააშენეთ, თუ არა, ჩვენ მივხედავთო. თანხა არ გაგვაჩნდა, რითი ავაშენებდით. მერე ვიღაცებმა ჯერ პატარა ადგილზე გახსნეს ბაზრობა, მალევე შემოლობეს ის ადგილი და სულ ცოტა ხანში გაიზარდა და უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაიჭიმა. ერთი მხრივ, ეს კარგი იყო, ქართველები და ოსები ამ სავაჭრო ურთიერთობებში იყვნენ ჩართულნი, თავს ირჩენდნენ და გარკვეულ კონტაქტს ამყარებდნენ ერთმანეთთან. მაგრამ ამან მალე მიიღო სხვა ხასიათი – ერთეულთა ჯიბის გასქელება კონტრაბანდის მეშვეობით. ისევ ვამბობ, თავისთავად ბაზრის არსებობა ამ ტერიტორიაზე ძალიან კარგია, მას ორივე მხარისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სულ სხვა იქნებოდა იქ გახსნილი ჩაფიქრებული კულტურის ცენტრი, რომელიც განუხორციელებელ იდეად დარჩა ჩვენი უსახსრობის გამო“.

საკუთარი მოგონებები

შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ცხინვალი ჩემი ბავშვობის ქალაქია. იქ ცხოვრობდა დეიდაჩემი, ცირა (მზია) ინაური თავისი ლამაზი ოჯახით, იქ ჰყავდა დედაჩემს მამისეული ნათესავები – მამიდები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები მამის მხრიდან... სტუდენტობისდროინდელი მეგობრები. ამიტომაც, ცხინვალში ხშირად ჩავდიოდით. არდადეგების დიდ ნაწილს ცხინვალში ვატარებდი დეიდის ოჯახში და მთელი ჩემი ბავშვობის ლამაზი მოგონებებიც ამ ქალაქთან არის დაკავშირებული. ეს იყო დიდი ურთიერთობების ქალაქი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არც თბილისში გვაკლდა სტუმარი და მიმსვლელ-მომსვლელი, ცხინვალში რომ ჩავდიოდით, სულ სხვაგვარ მიღებასა და სტუმარმასპინძლობას ვხედავდი როგორც დეიდაჩემის სახლში, ისე დედაჩემის ახლობლებთან, მეგობრებთან. დეიდაჩემის ოჯახი ძალიან სტუმრიანი იყო. განსაკუთრებით ხშირად მოდიოდნენ ბიძაჩემის – ანზორ ინაურის მეგობრები და` დეიდაჩემის თანამშრომლები, ცხინვალის მეოთხე რუსული საშუალო სკოლის პედაგოგები. ქართველები და ოსები ერთად მუშაობდნენ, ერთად ისვენებდნენ, ერთად ქეიფობდნენ, სუფრასთან ქართული და ოსური მელოდიები ცვლიდა ერთმანეთს. ამისი მომსწრე იქ ხშირად ვყოფილვარ. რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი მოიშალა და წარსულს ჩაბარდა.

1990-იან წლებში განვითარებული მოვლენებიდან განსაკუთრებული სიმწვავით დარჩა ჩემს მეხსიერებაში ბევრი რამ.

დედაჩემის ძმა, ელგუჯა ბეპიევი თბილისში, საკავშირო დაქვემდებარების ერთ-ერთ დაწესებულებაში მუშაობდა. იგი ბუნებით უაღრესად კეთილშობილ ადამიანია, შინაურები მეტსახელად „ოქროს" ეძახიან. 1990 წელს, მაშინ, როცა ბიძაჩემი სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ბელგოროდში, დაიბარეს დედაჩემი, მას მეც თან ვახლდი. იმ დროს 14 წლის ვიყავი. ბიძაჩემის სამსახურში ადრეც ვიყავი ნამყოფი და მისი მეგობრები ხშირად მოდიოდნენ ხოლმე ჩვენთან, ჩემს დაბადების დღეზეც კი ყოფილან. ჩვენ რომ მივედით, ზოგიერთი არ მოგვესალმა. ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა, რადგან დედაჩემს იქ ყველა იცნობდა. მერე ერთ-ერთ ოთახში შეგვიყვანეს, სადაც სულ ქალები ისხდნენ, ეს იყო კადრების

განყოფილება. ერთმა ქალმა უთხრა დედაჩემს, შენი ძმა გავათავისუფლეთ, წაიღე მისი დიპლომი და წადიო. დედაჩემმა ჰკითხა, რა მიზეზით გაათავისუფლეთ, ჯერ მივლინებიდან დაბრუნდესო. ცოტა ხნით ხმა არავის ამოუღია, ეტყობა, მიზეზზე ჩაფიქრდნენ, შემდეგ სხვა ქალმა, საკმაოდ აგრესიული ტონით უთხრა დედაჩემს: – „სხვა რა მიზეზი გინდა, ოსია შენი ძმა, ოსები კი ცხინვალში ქართველებს ხოცავენო“. და დაიწყეს ოსების ლანძღვა. საშინელ დღეში ჩავვარდი მეც, დედაჩემიცა და ბიძაჩემიც ერთნაირად შემეცოდა. რომ მოვდიოდით, ერთმა მოგვაძახა: – გირჩევნიათ, წაიღოთ ეს დიპლომი, სანამ კარგ ხასიათზე ვართ ქართველები, თორემ მერე ამასაც ვერ ეღირსებითო. ბიძაჩემის შრომის წიგნაკში კი ჩაწერეს: „გათავისუფლდეს ოსი ეროვნების გამო“. ბუნებრივია, ბიძაჩემს არ უბრძოლია სამსახურში დაბრუნებისათვის. ამ ამბების შემდეგ, ის საქართველოში დიდხანს არ დარჩენილა. არა მგონია, თავისი დიპლომი გამოეტანა. ალბათ დაეკარგა კიდეც.

ქართულ-ოსური კონფლიქტი რომ დაიწყო, ჩვენს სახლში ცხოვრობდნენ ჩემი ცხინვალელი დეიდაშვილები, დათო და კახა ინაურები, რადგან ორივენი სტუდენტები იყვნენ. ისინი შაბათობით ჩადიოდნენ ხოლმე ცხინვალში. 1989 წლის არეულობები რომ დაიწყო, დათო და კახა, დილით ცხინვალში წასულები, შუადღისას ისევ უკან მოვიდნენ, საშინლად განერვიულებულები, – ცხინვალში სულ მიტინგებიაო, იქ გაჩერება აღარ შეიძლებაო. მალე ცხინვალიდან გამოვიდნენ ბიძაჩემი – ანზორ ინაური და პატარა დეიდაშვილი, – პირველკლასელი დიტო. დედაჩემმა და მამაჩემმა რომ გაიგეს, ნახევრადაშენებულ სახლში, გორის რაიონ სოფელ ტირძნისში არიან ანზორი და ბავშვიო, მაშინვე ტირძნისში წავედით. ეს იყო 1990 წლის ნოემბრის თვე. მაშინ მამაჩემი, ავთანდილ პოპიაშვილი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო (1990-92 წწ).

ჩავედით ტირძნისში. სახლი, სადაც ბიძაჩემი და 6 წლის დიტო იყვნენ, მიტოვებულივით იყო, გასამართი, კედლები გაულესავი, იატაკი – ბეტონის. უკვე ძალიან ციოდა და გაულესავი კედლებიდან სიცივე შემოდიოდა. ჩვენ ისეთ დროს მივედით, როცა ბიძაჩემი ნაბოლარა შვილისათვის წვნიანს აკეთებდა. მე ძალიან გაკვირვებული დავრჩი, რადგან მანამდე არ მენახა ბიძაჩემი ქურასთან მოტრიალე. წვნიანის მომზადება დედაჩემმა გააგრძელა. ბიძაჩემი მამას ეუბნე-

ბოდა, რომ ცხინვალში ქართველების გაჩერება შეუძლებელი იყო და მასაც ემუქრებოდნენ. ქალაქის შესასვლელთან რუსის ჯარი იდგა, ცხინვალის მისადგომებთან, სოფელ მელვრეკისთან შეიარაღებულ ხალხს შტაბი ჰქონდა. საცოდავ დღეში იყო ცხინვალის რაიონის ცხრა ქართული სოფლის მოსახლეობაც. ბიძაჩემი იმასაც ამბობდა, ხალხში იარაღი ტრიალებს და მეშინია არაფერი მოხდესო.

დეიდაჩემი ცხინვალში იყო დარჩენილი. შემოეთვალა როგორღაც, რომ საღამოს მოვიდოდა ცხინვალის შესასვლელთან. ბიძაჩემის გამოჩენა ცხინვალის საზღვართან უკვე საშიში იყო, ვინმეს არ დაენახა, ან ქართველს და ან ოსს და რამე არ დაებრალებინა. დაწერა დეიდაჩემთან წერილი: „ცირი! როგორ ხარ? შენ თუ კარგად იქნები, ჩვენც კარგად ვიქნებით! აქეთ მშვიდობაა, თავს გაუფრთხილდი, თუ შეგაწუხონ, გამოდი, სახლის დარდი არა მაქვს, მთავარია, ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ!“ წავედით მე და მამაჩემი ცხინვალის შესასვლელთან. მამაჩემი გადავიდა მანქანიდან, იქ სამხედროებს დაელაპარაკა, მაგრამ ქალაქში არ შეუშვეს. დეიდაჩემი შლაგბაუმის იქითა მხარეს იდგა, შუაში რუსი სამხედროები იყვნენ და აქეთ ქართველები შეშვებას ითხოვდნენ. რატომღაც იმ წუთას სიტუაცია ძალიან გამწვავდა, შეიძლება იმიტომ, რომ საღამო იყო და რუსებმა შლაგბაუმთან მისვლაც კი აკრძალეს. ხალხმა ხმამაღლა დაიწყო გადაძახილი, ერთმანეთს ამბებს ეკითხებოდნენ. დეიდაჩემს უკვე ვხედავდი, ვერ მოვითმინე და მანქანიდან გადავედი, 14 წლის ვიყავი, ისევ ბავშვი, ამიტომ ყურადღება არავინ მომაქცია, მივირბინე შლაგბაუმთან. მამაჩემს წერილი მანქანაში დარჩენოდა და ის წერილი ჩუმად მივეცი. ჩემი დანახვა გაუკვირდა დეიდას. აქ რა გინდა, მარტო რატომ ხარო, ვუთხარი როგორც იყო. მანაც წერილი ჩამიკუჭა ხელში, გაიქეცი ახლა და ანზორის უთხარი, სამი დღის შემდეგ ისევ მოვალ აქ, თუ მშვიდობა იქნაო. როგორც შემოვბრუნდი, ერთმა სამხედრომ წამავლო ხელი, – „Ты куда“-ო. გამიშვი-მეთქი, მამაჩემი თურმე მე მეძებდა და ვერც იმას გავაგონე. იმ სამხედრომ დეიდაჩემის დაწერილი წერილი წამართვა და გამომიშვა. მანქანასთან რომ მივედი, მამაჩემი უკვე ძალიან შეშფოთებული იყო, მე ვუთხარი, რომ დეიდა ვნახე, წერილი მივეცი და მისი დანაბარებიც გადავეცი, წართმეულ წერილზე არაფერი მითქვამს.

რამდენიმე თვეში დეიდაჩემიც გამოვიდა ცხინვალიდან. თან მხოლოდ საოჯახო ალბომი გამოიტანა, ისიც საფუძვლიანად, ფურცელ-ფურცელ დაათვალიერეს, საბუთები ხომ არ დევსო, სახლის საბუთებს არავის ატანდნენ. ჩვენ ცხინვალის შესასვლელთან ველოდებოდით და ისე მოგვიახლოვდა დეიდაჩემი, ვერც ვიცანი, ახლოს რომ მოდიოდა, ტანსაცმელი მეცნო და ვიფიქრე, ამ ქალს დეიდაჩემისნაირი პალტო და ქუდი აქვს-მეთქი. ისე მოეტეხა ომის საშინელებას, დარდს, სიკვდილის შიშს, გაჭაღარავებულიყო, დასუსტებულიყო. დედაჩემმა ტირილი დაიწყო, თავისი და ასე მოტეხილი რომ დაინახა. ის კი ყველას გვამშვიდებდა: – ნუ გეშინიათ, მთავარია, ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ, სახლ-კარი და ქონება რა სატირალიაო. მაშინ რას წარმოვიდგენდით, რომ რამდენიმე წელში უარესი ტრაგედიები გველოდა...

ბავშვობიდან მახსოვს, რომ ოჯახში დიდი ინტერესით უყურებდნენ საინფორმაციო გადაცემებს. 1989 წლიდან კი საღამოს 8 საათი ჩემთვის აუტანელი დრო იყო. ამ დროს „მოამბე“ იწყებოდა და დედაჩემი სულ ცუდ ხასიათზე იყო ან ტიროდა ხოლმე. მე 13 წლის ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, რატომაც იყო დედა ასეთ ცუდ განწყობაზე. ცხინვალის ამბებს რომ აცხადებდნენ, იმიტომ!... ომი რომ დაიწყო, ბევრი ადამიანი გამოდიოდა ტელევიზიით, მაშინ ორი არხი იყო მხოლოდ, პირველი და მეორე, ორივე სახელმწიფო. ერთნი გმობდნენ ოსთა საქციელს, მეორენი – პატიებას ითხოვდნენ. დედაჩემს სხვა სათქმელი ჰქონდა. მას არც ვინმეს დანაშაულში მხელა უნდოდა და არც ბოდიშების მოხდა ვინმეს გამო. დედაჩემი ტელევიზიით არ გამოსულა...

დასკვნები

ქართველ და ოს ქალთა ზეპირი ისტორიები მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიას უწყვეტ ხაზად გასდევს. ზეპირი ისტორიები იტევს ამბებს, რომელიც ქვეყნისა და ხალხების ისტორიაში ფაქტების სახით არის შესული. საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული და ასევე, ყველაზე შეუსწავლელიი მონაკვეთი – საბჭოთა კავშირის დაშლა და საქართველოს კვლავდაბრუნებული თავისუფლებაა, რომელსაც ბორკილების მსხვრევასა და დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად უამრავი განსაცდელი, სიძნელე და სირთულე მოჰყვა: ეკონომიკური სიდუხჭირე, შეიარაღებული კონფლიქტები, დევნილები, მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები, გადაუჭრელი საკითხები, სამოქალაქო ომი, კორუფცია...

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-ოსური კონფლიქტის შესახებ დღემდე ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები და შეხედულებები არსებობს. უმთავრესად, ოთხი სხვადასხვა პოზიცია.

ოფიციალური საქართველოს პოზიცია, რომლის მიხედვითაც აღარ არსებობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, საქართველო არ აღიარებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას და ამ ტერიტორიას განიხილავს საქართველოს ტერიტორიად, თუმცა საქართველო ოფიციალურად ცნობს და აღიარებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების, მათ შორის – ოსების უფლებებს.

დეფაქტო ცხინვალის პოზიცია, რომლის თანახმადაც არსებობს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამასთან, ისინი არ აღიარებენ ქართველების უფლებებს საკუთარ სახლებზე, ასევე, საქართველოს იურისდიქციას დეფაქტო საზღვრებში.

რუსეთის პოზიცია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურად და ეკონომიკურად მხარდაჭერილია სამხრეთ ოსეთის დეფაქტო მთავრობა.

საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა აღიარებს ერების თვითგამორკვევის პროცესს, ეთნიკური უმცირესობების უფლებებს.

ასეთ პირობებში, როდესაც ქართულ-ოსური ურთიერთობები გაყინული კონფლიქტის სტატუსს ატარებს, კიდევ უფრო რთულია დაიწეროს ობიექტური ისტორია. ისტორიის ობიექტურად აღწერა კი, პირველ რიგში, იმისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ ასეთი ისტორია გამოხატავს რა ორივე ხალხის სათქმელსა და პოზიციას, თავს დააღწევს ცალმხრივობას, ტენდენციურობას, რაც შემდგომ, არასწორი ინტერპრეტაციებისა და ხალხებს შორის სიძულვილის გაღვივების საფუძველი შეიძლება გახდეს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ობიექტური შესწავლის კონტექსტში ჩემ მიერ ჩაწერილი ქალთა ზეპირი ისტორიები ფასდაუდებელი წყარო შეიძლება აღმოჩნდეს მკვლევარებისათვის, კონფლიქტოლოგებისათვის, ქართულ-ოსური ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

ბოლოსიტყვის მაგიერ:

დამთავრდა ჩემ მიერ ჩაწერილი ქალთა ზეპირი ისტორიები, მათი კვლევა, თუმცა ამ მიმართებით კვლავაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენი პროექტი შესაძლებლობას იძლეოდა აგვეღო ინტერვიუები ცხინვალსა და თბილისში მცხოვრები შერეული ოჯახის წარმომადგენელი ქალებისაგან. შევხვედროდით მათ და მათი გულისტკივილი და სათქმელი გაგვეცნო სხვათათვის, მაგრამ დაგვრჩა შეუსწავლელი ქართულ-ოსური კონფიქტის იმ თვითმხილველთა სათქმელი, რომლებიც იძულებულნი გახდნენ, საქართველო დაეტოვებინათ და ჩრდილოეთ ოსეთისათვის შეეფარებინათ თავი, ანუ იმ ქალთა მონათხრობები, რომლებიც საქართველოშიც კი აღარ ცხოვრობენ და მით უფრო მძაფრია მათი განცდები, მით უფრო საინტერესოა მათი ისტორიები კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში, ანუ უცხო გარემოში. მათ იგივე გზა გაიარეს, რაც ცხინვალიდან დევნილმა ქართველებმა: გაჭირვება, ახალ ადგილზე ხელახლა დაფუძნების სიძნელეები. საქართველოდან წასული (განდევნილი) ოსების უმრავლესობა დღემდე კომპაქტურად ცხოვრობს ძველ სასტუმროებში, მიტოვებულ შენობებში, სარდაფებში. ეს არის კიდევ ერთი თეთრი ფურცელი საქართველოს უახლესი ისტორიისა, კიდევ ერთი, დღემდე ყველასათვის უცნობი და შეუსწავლელი უზარმაზარი მასალა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, რომელსაც ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის შესასწავლად, ასევე, მისი მშვიდობიანად მოწესრიგების საქმეში.

განსაკუთრებით ეფექტური და კონსტრუქციული აღმოჩნდა რესპონდენტებთან მეორედ და მესამედ ჩაწერილი ინტერვიუები. ამ შეხვედრების დროს ისინი ჰყვებოდნენ უფრო გულახდილად და გაბედულად. მათ უკვე გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ეს მონათხრობი ის უნიკალური მასალაა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ-ოსური კონფლიქტის შესწავლისათვის და ურთიერთობის აღდგენის საქმეში.

შერეული (ქართულ-ოსური) ოჯახის წარმომადგენლებთან შეხვედრამ და მუშაობამ შესაძლებელი გახადა ის, რომ პრობლემა

ობიექტურად, ე. წ. ქართული და ოსური მხრიდან დაგვენახა, ეს კი გარკვეული გარანტი იყო იმისა, რომ ტენდენციურობა და ცალმხრივობა აგვეცილებინა, რასაც, სამწუხაროდ, დღემდე ხშირად ვხვდებით ამ თემებზე დამუშავებულ მასალებში როგორც ქართული, ისე ოსური მხრიდან. დიდი იმედი მაქვს, ქართველი და ოსი ქალების, ასევე, ერეული ოჯახის წარმომადგენელი ქალების მიერ მოთხრობილი ზეპირი ისტორიები ქართულ-ოსური ურთიერთობებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის ობიექტური და საინტერესო წყარო გახდება მომავალში.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ზოგიერთი რესპონდენტის ნდობის მოპოვება, მათი დარწმუნება, იმაში, რომ ამგვარი ზეპირი ისტორიების ფიქსირება-კვლევა კი არ გააღვივებს შუღლს, არამედ იქნება სწორედ ის მასალა, რითიც დაინტერესებულ პირებს ხელი შეეწყობათ კონფლიქტის რეალურად შეფასებისა და მშვიდობიანად გადაწყვეტის საქმეში.

სპეციფიკური შედეგები: შერეული ოჯახის ქალების მიერ მოწვდილ მასალას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს უახლესი ისტორიისათვის. ამასთან, მათ მონათხრობს პოზიტიური შედეგი მოჰყვება ქართულ-ოსური ურთიერთობის მშვიდობიანი მოწესრიგების დიდმნიშვნელოვან საქმეში.

თბილისი, 2003 წლის ნოემბერი

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაქრაძე რომეო, 30-40-იანი წლების ცხინვალი, თბ., 1996 წელი.

„ახალი ეპოქა", 2001 წ. 58 (110), 27-30 ივლისი.

გენდერული თეორიების ანთოლოგია, თბ., 2003.

თოთაძე ანზორ, „საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი", თბ., 1993 წელი

კარი ედვარდ ჰელეტ, რა არის ისტორია? კემბრიჯის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ციკლი, 1961 წ. იანვარი-მარტი (ინგლისურიდან თარგმა მანანა ბეზარაშვილმა. თბ., გამომცემლობა „CIPDD" 2001

ლიტერატურული საქართველო, თბ, 1990, 30 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკა, №5-6, 12 დეკემბერი, 1990 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა, №11, 18 დეკემბერი, 1990 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა, №12, 20 დეკემბერი, 1990 წელი.

საბჭოთა ოსეთი, №186 (14451), 3 ოქტომბერი, 1990 წელი.

საბჭოთა ოსეთი, №195 (14460), 17 ოქტომბერი, 1990 წელი.

საბჭოთა ოსეთი, №196 (14461), 18 ოქტომბერი, 1990 წელი.

საბჭოთა ოსეთი, №197 (14462), 19 ოქტომბერი, 1990 წელი.

საბჭოთა ოსეთი, №198 (14463), 20 ოქტომბერი, 1990 წელი.

ქართული ფოლკლორი, თბ., გამომც. „კავკასიური სახლი", 2002

ჭილაშვილი ლ., „არეში", ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1991 წ.

Блиев М.М., Бзаров Р. С., История Осетии, Владикавказ, 2000.

„Из истории взаимоотношений грузинского и осетинского народов", Тб., 1991.

Сборник статей воспоминания женщин, Бишкек, 2001.

Осетия и Осетины. Владикавказ-Санкт-Петербург,1994.

Очерки истории Юго-Осетинской автономной области. თბ., გამომცემლობა „მეცნიერება", 1985.

Южная Осетия 1988-1992, хроники событий грузинской агрессии, Составители: Б. Е. Чочиев и М. К. Джиоев, Цхинвал 1996

„Южная Осетия", Цхинвали.1996.

დამატებითი მასალა მოვიძიეთ ცხინვალის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და კერძო არქივებში:

პროფ. ვერა აიდაროვას საოჯახო არქივი: აკად. ვიქტორ ვლადიმერის ძე ვინოგრადოვისა და მისი მეუღლის, ვიქტორია მალცევა-ვინოგრადოვას წერილები.

პროფ. ნაირა ბეპიევის ჩანაწერები, სტატიები, თარგმანები.

მწერლისა და მთარგმნელის, მერი ცხოვრებოვას საოჯახო არქივი: პროფ. ალ ღლონტისა და ქართველ მწერალთა წერილები, დღიურები, ჩანაწერები.

თამარ ხიზანიშვილის საოჯახო არქივი, ჩანაწერები.

ვერა აიდაროვა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვერა აიდაროვა-მაისურაძე, დაბადებული 1918 წლის 11 მაისს თბილისში[23], განათლება – უმაღლესი (იყო აკად. ე. ვინოგრადოვის ასპირანტი), სამუშაო ადგილი – სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1942-1946 წლებში იყო რეპრესირებული, როგორც წარმოშობით გერმანელი ოჯახის წევრი (მისი მეუღლე იყო გვარად შტელლე). 1946-1990 წლებში მუშაობდა ცხინვალის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, კითხულობდა ლექციების კურსს რუსული ლიტერატურის ისტორიაში, იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. მეუღლე – სერგო მაისურაძე-შტელლე, გარდაიცვალა. შვილი – შოთა მაისურაძე, გარდაიცვალა.

წინასიტყვაობის მაგიერ

ჩემი ცხოვრება უმძიმესი ქარტეხილებით არის აღსავსე. ბევრჯერ დამეძგერა მთელი ძალით ავი გრიგალი, ბევრჯერ დამიშრიტა სასიცოცხლო ენერგია, მომხარა და გამძარცვა, ჯერ ობლობა და ავი მამინაცვლის ხელში გავლილი სუსხიანი ბავშვობა, შემდეგ ციმბირსა თუ სხვადასხვა, ჩემთვის უცხო ქვეყნებში ხეტიალი ქმართან და ერთადერთ შვილთან ერთად, ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად, ბრძოლა შვილის მომავლისათვის, რომელსაც თურმე მომავალი არც კი ეწერა, რადგან 21 წლისა მოულოდნელად გამომაცალეს ხელიდან, სასოწარკვეთა, უკიდურესი, სიკვდილთან გათანაბრებული სასოწარკვეთა. ყველაზე მოურჩენელი ჩემი ტკივილი, დღემდე რომ გაუნელებელი ცეცხლივით მწვავს, საბავშვო სახლიდან ბავშვის აყვანა, მის გაზრდაში ჩაკლული სევდა, სტუდენტებთან მუშაობის გაგრძელება, სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა და გაუსაძლისი დღეების ასე დათვლა.

[23] ვერა აიდაროვა გარდაიცვალა 2011 წელს თბილისში

სიბერის წლებში ახალი ჭრილობა – ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომელსაც ალბათ, იმ დარტყმას გავუტოლებდი, – შვილის სიკვდილმა რომ განმაცდევინა, ისევ შიში, უდანაშაულობის მწვავე, მაგრამ ნაცნობი განცდა და შიში. რომელიც ჯერ კიდევ ციმბირიდან მომდევს, სადაც მხოლოდ იმიტომ ვიყავი, რომ ჩემს ქმარს მამა გერმანელი ჰყავდა. ჯერ კიდევ მაშინ ვისწავლე დუმილი ყველაფერზე, იმ წლების გამოცდილება საშინელ სიმძიმედ მაწევს ახლაც, მაგრამ მე, უკვე საუკუნეს მიტანებულ ქალს, მინდა გიამბოთ ყველაფერი, რაც თავს გადამხდა, დავივიწყო ერთი წუთით შიში, რომელიც გამუდმებით მთელი ცხოვრება თან მდევდა, და გიამბოთ ყოველივე ნანახი, განცდილი და გადატანილი, თუმცა შეიძლება დღეს უკვე ფერგადასული, გახუნებული და ბევრი რამ დროის ჟამთაგან გაცრეცილი, მაგრამ მაინც მოგონება, ანუ გზა ჩემი ცხოვრებისა, რომელიც ალბათ გარკვეული მატიანეა საქართველოს ისტორიისა და გნებავთ, ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიისა. ბევრმა იქნება არც კი იცოდეს, თუ რა შორიდან იწყება ეს ურთიერთობები, ბევრი იქნება ვერცა სწვდება იმ სიღრმეს, სადაც ამ ორი ერის ურთიერთობის ფესვები ძევს, ამაზე მე სპეციალურ თავში ვისაუბრებ, ახლა კი აქ მხოლოდ ზოგადად ვიტყვი: ჩემი ღრმა რწმენით, ესაა ორი ყველაზე ახლოს მდგომი ერი, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ენით თუ განსხვავდებიან. ყოფით, კულტურით, ტრადიციებით ესაა ერთი და იგივე ნიადაგზე აღმოცენებულ-ჩამოყალიბებული ერი. ღმერთმაც ალბათ იმიტომ ინება მათ შორის ამდენი შერეული, ქართულ-ოსური ოჯახების შექმნა. ეს ოჯახები, რომლებიც ამ ორი ერის ერთობის დამადასტურებელია, შორეული საუკუნეებიდან იღებს სათავეს და დინასტიური სამეფო ოჯახების შექმნით მტკიცდება. მეც სწორედ ასეთი შერეული ოჯახის წარმომადგენელი ვარ და თავში კი ვთქვი, ჩემი ცქმრის გამო ათასნაირი ცხოვრებისეული სირთულე გადავიტანე-მეთქი (მისი გერმანული წარმოშობის გამო), მაგრამ იმას ვეღარ წარმოვიდგენდი, რომ სიბერის ჟამს ამხელა უბედურების შემსწრე, თვითმხილველი და მონანილე გავხდებოდი. ჩემი დასუსტებული, ძაფებად ქცეული ნერვების საბოლოოდ დაქუცმაცება სწორედ ამ კონფლიქტის გამო ხდება, ეს იყო წლები, რომელმაც სიკვდილი კიდევ უფრო სანატრელი გამიხადა, რადგან ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო

ბრძოლაში ჩაება ჩემთვის ყველაზე საყვარელი ორი ერი, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. სწორედ ამ დარტყმამ გადაიტანა ჩემი მეუღლე, მე კი გავუძელი და, ალბათ, იმიტომაც, რომ მე მელოდა დიდი მისია, მისია ორი ერის ურთიერთობის აღდგენაში მოკრძალებული, მაგრამ მაინც გარკვეული წვლილის შეტანისა.

ვფიქრობ, ჩემი მონათხრობი, ჩემი ისტორია, რომელიც ალბათ ქართველსაც დააინტერესებს და ოსსაც, სწორედ ასეთი დანიშნულებისა იქნება, როგორც ჩემი საიუბილეო საღამო, რომელზეც „კავკასიურ სახლში" ოსები და ქართველები ერთად შეიკრიბნენ და კვლავ ურთიერთსიყვარულზე საუბრობდნენ.

მე მაპატიოს ჩემმა მკითხველმა, თუ სიამოვნების ნაცვლად ბევრგან უსიამოვნო ამბებს შეხვდებით, რა ვქნა, თავიდანვე ამიტომა ვთქვი, ჩემი ცხოვრება ტკივილებით იყო აღსავსე. რის შეფერადებასაც და დამალვასაც აზრი აღარა აქვს, მხედველობა უკვე წამერთვა, რაც იმ დაღვრილი უამრავი ცრემლის ბრალია, სიარულითაც ვეღარ დავდივარ და ნელ-ნელა ვუახლოვდები ზღურბლს, საიდანაც სხვა, ჩემთვის მრავალჯერ ნანატრი მარადიული სამყარო იწყება, სადაც ჩემი შვილი, ჩემი შოთიკო, რა ხანია, მიხმობს და მიმელის, ამ შეხვედრის მოლოდინი მაძლებინებს, სიმართლე გითხრათ, თორემ კარგა ხანია მე აქ აღარა დამრჩენია რა და თავს უუთუოდ მოვიკლავდი, მაგრამ ქრისტიანი, მორწმუნე ადამიანი ვარ და მჯერა, ამისი გაკეთება არ შეიძლება, რადგან ის, ჩემი შვილი, კარგა ხანია მიმელის, ბოლო ხანებში განსაკუთრებით ხშირად რომ მესიზმრება და უკვე ფიქრებში წასული მას რომ ვესაუბრები დღენიადაგ...

ბრძენს უთქვამს: არ არსებობს სიხარული წუხილის გარეშე და წუხილი სიხარულის გარეშე. სიხარულიც, როგორ არა, იყო ჩემს ცხოვრებაში და ამაზეც გიამბობთ: პირველი დიდი სიხარული ჩემთვის ის იყო, რომ უსახსროდ დარჩენილ მე და ჩემს ობოლ დედმამიშვილებს ლუკმა პურის სახსარი არ გვქონდა და მერვე კლასის წარჩინებულ მოსწავლეს სწავლა უნდა მიმეტოვებინა. უკვე რამდენიმე დღის მშიერს მიბარებს სკოლის დირექტორი და მთავაზობს პიონერხელმძღვანელობას, რაც მაშინ სიცოცხლის გადარჩენის ტოლფასი იყო ჩემთვის და ჩემი დედმამიშვილებისთვის. ეს იყო 70 წლის წინ. მას შემდეგ სულ ვმუშაობ, მაგრამ ჩემთვის ის დღე იყო დაუვიწყარი...

შემდეგი ჩემი სიხარული მამინაცვლის მარწუხებიდან თავის დაღწევა და გათხოვება იყო, რაშიც ძალიან გამიმართლა, რადგან მართლა კარგი მეუღლე მყავდა, თუმცა ბევრი ცხოვრებისეული უსიამოვნება სწორედ მასთანაა დაკავშირებული (ის ქართულ-გერმანული ოჯახიდან იყო და გადასახლებაშიც ამიტომ მოვხვდი), მაგრამ ერთი წუთით არასოდეს, თვით გადასახლების უმძიმეს წლებშიც არ მინანია, რომ ცოლად მას გავყევი, რადგან ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი (ჩემი მეორე წიგნი მის ხსოვნას ვუძღვენი), გულისხმიერი მეუღლე, კეთილშობილი, განათლებული და ერუდირებული პიროვნება, რაც მთავარია, ნამდვილი მეოჯახე.

შვილის სიკვდილის შემდეგ დარდით მიწასთან გასწორებულ ადამიანს აკადემიკოსი ვინოგრადოვი შემომეშველა. თითქმის მიბრძანა, სადოქტოროზე მუშაობა გამეგრძელებინა. ეს იყო სიცოცხლეს ხელახლა ჩაბღაუჭება, რაც მე უკვე აღარა მსურდა, მე ამას სიხარულს ვერ დავარქმევ, მაგრამ ეს იყო ჩემი მკვდრეთით აღდგომა, რადგან მოსკოვის ბიბლიოთეკებში მუშაობა და იმაზე ფიქრი, რომ მე კიდევ საჭირო ვარ, როგორც ჩემი ხელმძღვანელი სულ მუდამ მეუბნებოდა, სასიცოცხლო მუხტს რაღაცნაირად მიძლიერებდა...

ერთი სიხარულის შესახებაც. გადასახლებაში მყოფთ, რამდენიმე დღე ნამცეცი აღარაფერი გვქონდა, ბავშვიც შიმშილობდა, სამი დღის წინ მოვუხარშე ბოლო კარტოფილი და ვუწინწილებდი, გათავდა ისიც და იმედი არაფრის ჩანდა. მე ევაკუირებულ, უპატრონო ბავშვებს ვასწავლიდი, გაკვეთილზე მშიერს გული შემინუხდა (ამ ბავშვებს ცოტა პურს აძლევდნენ, მაგრამ მასწავლებლებზე არ ნაწილდებოდა). ბავშვებმა გაფიცვა მოაწყეს და მეორე დღეს მეც მერგო პურის ნატეხი, რომელიც, რა თქმა უნდა, უბეში შემალული, მაშინვე შოთიკოს წავუღე. ის უკვე ველარც ტიროდა, შიმშილისაგან დასუსტებული მხოლოდ ხაოდა დროდადრო. სულმოუთქმელად ჭამდა. ის სიხარული არ მავიწყდება და დღემდე ჩვევად მაქვს, პურის ნატეხს ქუჩაში დაგდებულს რომ ვნახულობ, ვიღებ, ვკოცნი და სადმე შემოვდებ ხოლმე. მე ხომ მაშინ ასეთმა ნატეხმა გადამირჩინა შვილი, ის ჭამდა, ჩვენ სიხარულით ვტიროდით, შეჭამა და უეცრად ჩაეძინა, იმდენ ხანს ეძინა, რომ ყველა შეგვაშფოთა...

ჩემი ბოლო სიხარული "კავკასიურ სახლს" უკავშირდება. ქარ-

თულ-ოსური კონფლიქტით გულდასერილებს, მე და ჩემი ცხოვრების უკვე განუყრელ მეგზურს, ქმრის დეიდაშვილს, თინა ბალიაშვილს, სრულიად მოულოდნელად გვესტუმრა ქალბატონი ნაირა ბეპიევა, მან, ქალბატონმა ნაირა გელაშვილმა და მთელმა „კავკასიურმა სახლმა“ მე იმხელა სითბო, იმხელა სიხარული მაჩუქეს, პირდაპირ გეტყვით, შვილის დაბადების შემდეგ მე ასეთი სიხარული არ განმიცდია. მათ შეკრიბეს ჩემი უსაყვარლესი ადამიანები და უძვირფასესი წუთები გამატარებინეს. ეს ჩემთვის დაუვიწყარი საღამო იყო. მე – ბედნიერებას გადაჩვეულმა ადამიანმა, იმ საღამოს ბედნიერებისაგან ვიტირე და გინდათ გითხრათ უფრო რატომ? მართალია, ეს იყო ჩემი ღვაწლის დაფასებისთვის გამართული საღამო, მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ამ საღამოს ქართველი და ოსი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ერთმანეთს ძველი სიყვარულით ეფერებოდნენ და მე ბედნიერად ვიგრძენი თავი, როცა ჩემი გაზრდილი, ჩემი ყოფილი სტუდენტი, მე-10 სკოლის დირექტორი გამოვიდა და თქვა: მენატრებით, ჩემო ოსო ძმებო, როგორ მინდა ჩაგიკრათ გულში. მე უბედნიერესი ადამიანი ვიყავი იმ წუთებში, რადგან მივხვდი, რომ მე ვიყავი შემაერთებელი ხიდი იმ ორი ხალხისა, რომლებთანაც მთელი ჩემი არსებითა ვარ დაკავშირებული, რომლებსაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე გულწრფელი სიყვარულით და თავდადებით ვემსახურებოდი...

ბავშვობა

დავიბადე 1918 წლის 11 მაისს, ქალაქ თბილისში. მე მესამე გოგო ვიყავი და, როგორც მერე მეუბნებოდნენ, ჩემი დაბადება არავის გახარებია. ტრადიციულად, ოჯახში თუ ვაჟი იბადებოდა, იმას დიდი ზარ-ზეიმი მოჰყვებოდა ხოლმე, რადგან გვარის გამგრძელებელი იბადებოდა (ამის გარდა, სხვაც მრავალი მიზეზი არსებობდა, ოსები მეომარი ხალხი იყო და ერთი მომავალი მეომრის შემატება დიდად სასიხარულო იყო ყველასათვის), ხოლო თუ გოგონა – და ისიც, მესამე, როგორიც მე ვიყავი, იქ საზეიმოს ვერაფერს ხედავდნენ, რადგან ოსებშიც ითვლებოდა, რომ გოგო სხვისი ოჯახის ნაცარია, ანუ ის სხვისი ოჯახისათვის იზრდება.

მე ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა. ასე რომ, მამა მხოლოდ სურათებიდან მახსოვს. გადმოცემით, ის ძალიან შრომისმოყვარე კაცი ყოფილა. თავის დროზე განათლებულ, ნაკითხ კაცად ითვლებოდა. ერთ-ერთი მივლინების დროს, როგორც დედა მიამბობდა, ის გაციებულა, ტიფი შეჰყრია და სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა კიდეც.

ჩვენს ისედაც ხელმოკლე ოჯახს მამის გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო გაუჭირდა ეკონომიურად. დედა ძალიან ახალგაზრდა, 24 წლისა იყო და არავინ დამხმარე არ ჰყოლია. მას გადაუწყვეტია გათხოვება და კიდეც გაურიგებიათ ასევე ადრე დაქვრივებული კაცი, რომელსაც თავისი სამი შვილი ჰყავდა გასაზრდელი. ახლა რომ ვფიქრდები, ვხვდები, რომ დედას იმ კაცის ეშინოდა და ჩვენ არა თუ არ გვეფერებოდა, საერთოდ ყურადღებას არ გვაქცევდა და, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, იმ კაცის შვილებს უფრო მზრუნველობით ექცეოდა. მიუხედავად ამისა, ის კაცი, ანუ ჩვენი მამინაცვალი, მაინც სულ ეჩხუბებოდა დედას, მუდამ რაღაცით უკმაყოფილო იყო. ამ ცხოვრებას ვერ უძღებოდა და ჯავრს დედაჩემზე და ჩვენზე იყრიდა. ნათლად მახსოვს, მე და ჩემს დებს, ერთ კუთხეში მიყუჟულებს, სანახევროდ მშივრებსა და შიშვლებს, ყურში როგორ ჩაგვესმოდა მამინაცვლის ღრიალი და გინება. დედა იშვიათად სცემდა პასუხს, ისიც ჩუმად და მოკრძალებით, რადგან ის გამხეცებული კაცი ხან საცემადაც არ ინდობდა დედას.

ძალიან მძიმე გასახსენებელია ჩემი ცხოვრების ეს პერიოდი და ამიტომ ამაზე დიდხანს არ შევჩერდები. ვიტყვი მხოლოდ ერთს – ძალიან გაუხარელი ბავშვობა მქონდა, მწარე და გაუხარელი...

საბავშვო ბაღიდან ბევრი არაფერი მახსოვს. რკინიგზის მესამე საშუალო სკოლიდან კი ძალიან ბევრი მაქვს გასახსენებელი. შეიძლება თამამად ვთქვა, სკოლაში წასვლა მიმიხაროდა, ძალიან მიყვარდა ყველა მასწავლებელი, ჩემი სკოლის მეგობრები. ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი და ყველაზე უკეთ, რუსულ ენასა და ლიტერატურას. ისეთი მასწავლებელი გვყავდა, გაკვეთილს რომ ხსნიდა, ბუზის ხმას გაიგონებდით. ყველა სასკოლო ღონისძიებაში აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი, მაშინ ასე იყო, ვინც კარგად სწავლობდა, სცენაზე ლექსებსაც ის ამბობდა, საღამოებზეც სიტყვით ის მოსწავლე გამოჰყავდათ და, მოკლედ რომ ვთქვა, ძალიან

აქტიური ცხოვრებით ვცხოვრობდი. მიუხედავად ჩემი დუხჭირი ცხოვრებისა, ექვსი და–ძმა ვცხოვრობდით ერთ ოთახში, სწავლითაც გამორჩეული ვიყავი და ქცევითაც. კლასიდან კლასში ქების სიგელებით გადავდიოდი. აკი ვთქვი, სკოლაში წასვლა მიმიხაროდა, მომცრო ტანისა ვიყავი და სულ წინა მერხზე ვიჯექი. გაკვეთილზე ხელი სულ აწეული მქონდა. ის დღე დღედ არ მიმაჩნდა, ორი ან სამი ხუთიანი რომ არ მიმეღო.

რაც უფრო ვიზრდებოდით, ოჯახს თანდათან უფრო უჭირდა. მეცხრე კლასში რომ ვიყავი, გადავწყვიტე, მუშაობა დამეწყო. კიდეც გავიკითხე რაღაც სამუშაო, სადაც ერთ ახლობელ ქალს უნდა წავეყვანე და მოვეწყე. ხომ წარმოგიდგენიათ, სწავლას მოწყურებული მოზარდისათვის რა ძნელი იქნებოდა იმ აზრს შეგუება, რომ სწავლა უნდა მიმეტოვებინა, მაგრამ იმდენად დიდი იყო სურვილი შევშველებოდი ოჯახს, ჩემს დედმამიშვილებს, რომ სხვა აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი.

ჩვენ გვყავდა არაჩვეულებრივი სკოლის დირექტორი – ბურჯაძე ვარლამი, უდიდესი და უკეთილშობილესი პიროვნება. ის იყო ნამდვილი პედაგოგი, ღირსეული აღმზრდელი. მას ყველა ბავშვი შვილივით უყვარდა, ყველაზე განსაკუთრებულად ზრუნავდა, მაგრამ ნიჭიერ და სწავლისმოჰყვარე ახალგაზრდებს ის განსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა. სწორედ მისგან ვარ დიდად დავალებული მეც. რომ არა იგი, ჩემს სწავლისმოჰყვარეობას ისე უდროოდ დაესმებოდა წერტილი, ცხოვრების დაუნდობელი ზვირთები ისე ულმობლად ჩამნთქამდნენ მეცა და ჩემს შემართებასაც, როგორც არა ერთი ჩემნაირისა და ჩემზე უკეთესისაც. მას შემდეგ ხომ მრავალი წელი გავიდა და ახლაც თვალნათლივ მახსოვს ის საოცარი დღე: მე ჩემი განზრახვა კლასში უახლოეს ამხანაგს გავანდე მხოლოდ, თანაც ვთხოვე, ეს საიდუმლოდ შეენახა, – არ მინდოდა, ამაზე მერე მთელი სკოლა ალაპარაკებულიყო. ეს ამბავი იმავე დღეს მივიდა ჯერ მასწავლებლამდე, ანუ კლასის დამრიგებლამდე, შემდეგ კი სკოლის დირექტორამდე. სასწრაფოდ დირექტორთან დამიბარეს თვითონ მე და არა ჩემი მშობლები, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში. ეს იმიტომ, რომ მან ძალიან კარგად იცოდა ჩემი ოჯახური მდგომარეობა. შევედი მის კაბინეტში აკანკალებული, მახსოვს, დამსვა სკამზე, არაფერი

უკითხავს ჩემს გადაწყვეტილებაზე, არც საყვედური ან მსგავსი რამ, არც დარიგება, რასაც ჩვეულებრივ მიმართავენ ხოლმე. ძალიან თბილი ხმით მითხრა, შენ ისეთი ყოჩაღი გოგონა ხარ, მჯერა, სწავლასაც შეძლებ და მუშაობასაც, ხვალიდან სკოლის პიონერხელმძღვანელად იმუშავებ და ორი იმდენი გექნება ხელფასი, რამდენიც სხვაგან უნდა აგეღოო. სხვათა შორის, სხვაგან მპირდებოდნენ თვეში 80 მანეთიან სამუშაოს, აქ კი მართლა გაცილებით მეტს მაძლევდნენ– 170 მანეთს. სიხარულით მეცხრე ცაზე ავფრინდი, ჯერ ერთი, შიმშილს თავს დავაღწევდით, მეორე, თან სკოლას არ მივატოვებდი და მესამეც, ასეთი საპატიო საქმიანობა. ასე გავხდი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი. როგორც მერე გავიგე, ჩვენს დირექტორს, ბატონ ვარლამს ბევრი უსიამოვნება შეხვედრია ამის გამო, ყველა წინააღმდეგი იყო, მოსწავლე ყოფილიყო იმავე დროს თანამშრომელი, მაგრამ მისი პასუხი ასეთი იყო თურმე, ამ ბავშვის სწავლას მოწყვეტა დანაშაულია, რაც შეეხება მის მუშაობას, ჩვენ ყველამ უნდა შევუწყოთ ხელიო. ყველასთან თავდებად თვითონ დამდგომია ამ უპატრონო, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდა, ნიჭითა და სიბეჯითით გამორჩეულ გოგონას. მას შემდეგ ყველა თანაგრძნობით მექცეოდა, ძალიან დიდად მეხმარებოდა ყველა. ასე გადამარჩინა იმ სულგანათლებულმა ადამიანმა მაშინ და მერეც სულ მხარში მედგა ყველანაირად. იმ დღის მერე უფრო მოვუმატე სწავლასაც და მუშაობით ხომ გაათკეცებული ენერგიით ვმუშაობდი. სხვათა შორის, იმ დღის შემდეგ სულ ვმუშაობ, ერთი დღე არ ყოფილა, რომ არ მემუშავა (და დღეს უკვე 70-წლიანი მუშაობის სტაჟი მაქვს).

სკოლა ფრიადებზე დავამთავრე, სკოლის წლები ძალიან ტკბილად მაგონდება. 1936 წლის „ახალგაზრდა სტალინელის“ ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდეს სტატია: „მინდა გავხდე მასწავლებელი“. ეს სტატია ჩემზე იყო, სხვათა შორის, ჩემს სურათთან ერთად დაიბეჭდა (მაშინ ეს დიდ რაღაცად ითვლებოდა). სამწუხაროდ, მე არა მაქვს ეს გაზეთი, მაგრამ მახსოვს იქ ასეთი რამ ეწერა: ის, სკოლის უწარჩინებულესი მოსწავლე, ხშირად ზის მარინა ბალარჯიშვილის, ივან ვალვოსა და სხვათა გაკვეთილებზე, მათ ადგილზე წარმოიდგენს თავს და ოცნებობს მასწავლებლობაზე.

გათხოვება

ჩემი აზრით, ბავშვობა დასრულებული არც კი მქონდა, რომ გავთხოვდი. გათხოვება ალბათ, თავში აზრადაც არ მომივიდოდა, რომ არა იმისი მძაფრი შეგრძნება, რომ მე იმ ოჯახში, სადაც მამინაცვლის ჩხუბი, აყალმაყალი და ყოველდღიური ლანძღვა-გინება თანდათან უფრო აუტანელი გახდა, კარგა ხანია ზედმეტი ვიყავი და ჩემი თავისათვის უნდა რამენაირად მეშველა...

სკოლის წლებმა ისე გაირბინა, არავინ მყვარებია. ერთადერთი, რაც მახსოვს, ის არის, რომ ერთხელ, არ მახსოვს მეცხრე თუ მეათე კლასში რომ ვიყავი, ჩვენი სახლის მოპირდაპირე კორპუსიდან ერთმა ბიჭმა ეზოში თამაშობისას მითხრა: შენ ჯერ პატარა ხარ, ვეროჩკა, მაგრამ მე შენ დაგელოდები. ეს იყო ჩემი მომავალი მეუღლე, რომელსაც თავდავიწყებით ვუყვარდი თურმე. მახსოვს დამამთავრებელ კლასში ვიყავი, რომ საატესტაციო შრომით მე და რამდენიმე სხვა წარჩინებული მოსწავლე გაგვაგზავნეს მოსკოვში, მაშინ იყო ასეთი ტრადიცია სკოლებში. ჩემი მომავალი მეუღლე მოსკოვის ჯავშან-სატანკო აკადემიაში სწავლობდა, სადაც ძალიან მკაცრი დისციპლინა იყო. როცა გაიგო ჩემი იქ ყოფნა, უფროსების უკითხავად წამოვიდა აკადემიიდან, მოაჯდა ვიღაცის მოტოციკლეტს და მოვიდა სადგურში, საიდანაც ჩვენი მატარებელი უკვე გამოსული იყო, მერე რამდენიმე დღე ამ არშემდგარი პაემანის გამო ის ჰაუპტვახტში ჩააგდეს, ამაზე მერე ბევრს ვიცინოდით ხოლმე.

ასე რომ, სკოლა დავამთავრე თუ არა, საერთოდ გარეთ გახედვაც ვერ მოვასწარი, უკვე გავთხოვდი. ჩემი მეუღლე გახდა სწორედ ის ბიჭი, რომლისგანაც მხოლოდ ეს სიტყვები მახსოვდა: „ვერა, მე შენ დაგიცდი". და დამიცადა მხოლოდ სკოლის დამთავრებამდე. მას სერგო ერქვა. დედით ის ქართველი იყო – მაისურაძე, მამით კი, – გერმანელი – შტელლე.

ცოტა რამ აუცილებლად უნდა მოგითხროთ ამ ოჯახის შესახებ, რადგან ეს იყო არაჩვეულებრივად კარგი, დახვეწილი კულტურისა და ქცევის ხალხი. მე დედამიწის ზურგზე არ შემხვედრია ყველას მიმართ ასე თბილად განწყობილი ადამიანები. მათ ჩემამდე მრავალი უსიამოვნება ჰქონდათ გადატანილი, ბევრი დაუმსახურე-

ბელი წყენა მიაყენეს, მაგრამ არ გაბოროტებულან, არავის მიმართ არასოდეს სიძულვილი არ ჰქონიათ, ის კი არა, არ მახსოვს, ვინმე ძვირად მოეხსენებინათ, ვინმეზე აუგი დასცდენოდათ. ერთადერთი, რაც მაგონდება, ის არის, რომ როცა (ყველა სხვა სიავესთან ერთად) ამ ოჯახს სრულიად უდანაშაულოდ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, მაშინ იქ თქვა ჩემმა დედამთილმა, ჩვენი ოჯახის შექმნა თავის დროზე ჩემს მამამთილს არ უნდოდა, და სიკვდილის წინ მან ისეთი სიტყვებით დაგვწყევლა, ვერც კი გავიმეორებო. ახლა ვფიქრობ, ალბათ მართლაც ის წყევლა წამოეწიათ სადღაც, რომ ეს ბედნიერი ოჯახი, რომელიც ერთ დროს სიმდიდრითა და ხალხმრავლობით ყვაოდა, ასე წვალება-ტანჯვით განაგრძობდა არსებობას, ბოლოს კი ისე გაპარტახდა და განადგურდა, რომ გამგრძელებელიც აღარავინ დარჩათ. ერთი მეღა შემოვრჩი ამ ოჯახიდან ამ წუთისოფელს, როგორც უსამართლოდ დასჯილთა ერთადერთი წარმომადგენელი, მე, რომელიც ასეთი უმძიმესი ტრაგედიების გადამტანი, თანდათან (უკიდურეს სიღატაკეში) ვღაფავ სულს. არადა, ხომ ვამბობ და კიდევ მინდა გავიმეორო, მე ასეთი ღვთისნიერი ხალხი არ მინახავს. მათგან ვისწავლე ადამიანების სიყვარული, და საერთოდაც, თუ რამ კარგია ჩემში, მათ ბევრ რამეს ვუმადლი. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ წლები მაცილებს მათ და თან გარდაცვლილები რომ არიან, არა, რა თქმა უნდა. ისეთი დედამთილი მყავდა, რომელმაც დედასთან დაკლებული სითბო და სიყვარული ათმაგად და ასმაგად ამინაზღაურა. მისი დედობრივი მზრუნველობა ყოველთვის მაოცებდა და ახლაც მიკვირს. უნდა გითხრათ, რომ სიღატაკის გამო თავიდან ჩემი ქმრის ახლობლები ჩემი მიყვანის წინააღმდეგნი იყვნენ. აქ დიდი როლი ჩემს დედამთილს უთამაშია, მას უთქვამს, ჩემმა შვილმა ის უნდა მოიყვანოს, ვინც თვითონ ამოირჩია, მას უყვარს ის გოგონა და ეს ყველაფერს ნიშნავსო. ამის შემდეგ ველარავინ შეწინააღმდეგებია მას.

უაღრესად გულისხმიერი ქალი იყო. მთელი იმ ხნის განმავლობაში, თვით უმძიმეს წლებშიც კი, მას არასოდეს დავიწყებია ჩემთვის დაბადების დღის მოლოცვა, რასკვირველია, ყოველთვის საჩუქრის საშუალება სად იყო, მით უფრო, – გადასახლებაში, მაგრამ ისეთს მაინც რალაცას მოიფიქრებდა, რომ იმ დღისით გავეხარებინე. მე ახლაც მაქვს შენახული მისი ბოლო საჩუქარი, მისივე

ხელით ნაქარგი (ერთი ფერის ძაფით, რადგან არ იყო სხვა საშუალება) ცხვირსახოცი, რომელსაც ჩუმად ქარგავდა, რომ ჩემთვის სიურპრიზი ყოფილიყო. შეიძლება ეს ძალიან წვრილმანია, რაც ახლა მე ვთქვი, მაგრამ ცოტათი მაინც მიანიშნებს იმას, თუ რა ნათელი სულის ადამიანებთან მიხდებოდა ცხოვრება. მე იშვიათად გამიგია, დედამთილი თვითონ იკლებდეს და რძალს აძლევდეს, პირიდან ლუკმას გამოიღებდა და მე ჩამიდებდა, ამ სიტყვების ზუსტი მნიშვნელობით. ჩვენ ერთად ვიყავით უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც, ციმბირშიც და ეს დამოკიდებულება არასოდეს შეცვლილა, აკი ვამბობ, ეს იყო ქალი, რომელმაც ნამდვილი დედობა გამიწია, რომელსაც ვუმადლი ბევრ რამეს და განსაკუთრებით იმას, რომ სულ იმას მეუბნებოდა, ვეროჩკა, შენ ოღონდ ისწავლე, მე ყველაფერში დაგეხმარები, ყველაფრით ხელს შეგიწყობ და მართლაც ასე იქცეოდა. ჩემს გასაკეთებელს ის აკეთებდა, მე ოღონდაც სწავლას არ ჩამოვრჩენოდი.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩემი დედამთილი გარეგნობითაც არაჩვეულებრივი ქალი იყო, ეს გახლდათ მაღალი, არაჩვეულებრივი ტანადობის, ულამაზესი მანდილოსანი. ძალიან დახვეწილი სახის ნაკვთები ჰქონდა და თვალებიდან მუდმივად სიკეთეს ასხივებდა. მაღალ შუბლზე სწორად გადავარცხნილი თმა ერთი-ორად ჰმატებდა შნოსა და ელფერს. ძალიან დაბალი და ტკბილი ხმა ჰქონდა, მსჯელობა დარბაისლური იცოდა. უცბად მოგხიბლავდათ თავისი საუბრით და კეთილად განგაწყობდათ მის მიმართ.

ეს ოჯახი, თავის დროზე ძალიან მდიდარი და ძლიერი ყოფილა. ისინი ცხოვრობდნენ აბასთუმანში. ერთ დღეს თავიანთი ძვირფასეულობა უჩვენებიათ მეზობლისათვის. იმავე ღამეს თავს დასდგომიან ყაჩაღები და მთელი სიმდიდრე წაუგლეჯიათ. კედლებიც კი გადმოუნგრევიათ.ოქრო-ბრილიანტების ძებნაში და არაფერი შეურჩენიათ. მალე მეორე უფრო დიდი უბედურება დაატყდათ თავს. დაიწყო დიდი არეულობა თათრების მხრიდან, საერთოდ გაძარცვეს ეს ოჯახი (და სხვებიც, რასაკვირველია, მრავალი), გამოიყვანეს სხვებთან ერთად დასახვრეტად ჩემი მამამთილიც, აქვე უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა ჩემს მამამთილზეც. ის ძალიან კეთილი კაცი იყო, ბევრისათვის გაემართა ხელი, ბევრს დახმარებოდა და პატივს სცემდნენ ძალიან, სანამ დაწყნარებული ვითარება იყო. ამ თათრი-

ანობისა და არეულობის წლებში კი ისეთი განუკითხაობა იყო, ყველა შიშით იყო მოცული, ყველა თავის ტყავს უფრთხილდებოდა. როცა ჩემი მამამთილი გაუყვანიათ დასახვრეტად, ღვთის წყალობით, საიდანღაცა გამოჩენილა ერთი თათარი, რომელსაც მისი სიკეთე ახსოვდა და გამოჰქომაგებია, ჩემი მამამთილი იგონებდა მერე: ისინი თავიანთ ენაზე საუბრობდნენ, ეს ჩემი ნაცნობი რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდა, ისინი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდნენ, წუთი საუკუნედ მეჩვენებოდა, ჭირის ოფლში ვიყავი გაწუწული, ბოლოს მითხრეს, შენ თავისუფალი ხარო, გამომიშვეს და განაგრძეს უდანაშაულო ხალხის დახვრეტა. სახლში რომ მივედი, თვალებს არ უჯერებდნენ. და ერთი საოცრებაც, იმ წუთებში, როცა თათრებთან ჩემი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა, მე არ მიგრძვნია და თმა ისე გამთეთრებია, სახლში რომ მივედი, ერთი ღერი შავი თმა აღარ მქონდა თავზე. ბავშვებიანად (მაშინ ჩემი ქმარი ათი წლის ყოფილა, მისი და კი – თერთმეტის) სასწრაფოდ გამოქცეულან იქიდან, რასაკვირველია, ფეხით, რაც ზედ ეცვათ, მხოლოდ ეს იყო შემდეგ მათი ქონება, რადგან მიუტოვებიათ ყველაფერი (თან ერთი პური და ერთი ასანთის კოლოფი წამოუღიათ მხოლოდ), ტყე-ტყე წამოსულან, უღელტეხილი გადმოულახავთ და თბილისში ნათესავებს შეჰკედლებიან. კარგა ხნის მერე ისევ თავიდან დაუწყიათ ცხოვრება.

ბავშვები დიდუბეში 33-ე ქართულ საშუალო სკოლაში მიუყვანიათ, ამავე დროს საუკეთესოდ შეუსწავლებიათ უცხო ენებიც, ჩემმა ქმარმა ძალიან კარგად იცოდა რუსულიც, ამიტომ სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი მოსკოვში გაუგზავნიათ სწავლის გასაგრძელებლად. მას ბრწყინვალედ ჩაუბარებია მისაღები გამოცდები მოსკოვის ი. ბ. სტალინის სახელობის ჯავშანსატანკო აკადემიაში, იქ იგი სწავლობდა წარჩინებით, თუმცა ისევ ბედის უკუღმართობის გამო არ დასცალდა მისი დამთავრება, მესამე კურსზე რომ იყო, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და ციმბირში გადაასახლეს მისი ოჯახი, ანუ დედა, მამა, და, მისი ცოლ-შვილი და ადრე დაობლებული და მათთან შეკედლებული დეიდაშვილი, თინათინ ბალიაშვილი (რომელიც იმ დღიდან მოყოლებული, რაც მე იმ ოჯახში შევედი, დღემდე ჩემს გვერდითაა, არ გათხოვილა. მას დავამთავრებინე პედაგოგიური ინსტიტუტი, რუსული ფილოლო-

გიის განხრით, დღემდე სკოლაში მუშაობს, ჩემთანაა სულ და ისღა მიმსუბუქებს სიცოცხლის ბოლო წლების გასაჭირს, თუმცა თვითონაც უკვე კარგა ჯანგატეხილი და განადგურებულია ამდენი სიავის გადამტანი).

სწავლის გაგრძელება

მიუხედავად იმისა, რომ გავთხოვდი და ოჯახურ საქმიანობაში ჩავები, სწავლის გაგრძელება მაინც შევძელი.

სწავლა გავაგრძელე უნივერსიტეტში, რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ვსწავლობდი წარჩინებით და ამიტომ დამტოვეს ასპირანტურაში. ჩავაბარე ყველა გამოცდა, მაგრამ რაკი მეუღლე მოსკოვში სწავლობდა და ვერ ახერხებდა საქართველოში ჩამოსვლას, გადაწყდა, რომ მე წავსულიყავი იქ. ჩავედი მოსკოვში და სწავლა გავაგრძელე მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც კათედრის გამგე იყო პროფესორი დიმიტრი უშაკოვი. ეს იყო ძალიან ძლიერი კათედრა, იქ იმ დროს მოღვაწეობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიცაა გალკინა, ფეოდოროვი, ოგანესოვი პროფესორი ბერნშტეინი, რომელიც სლავური ენების შეუდარებელი მკვლევარი იყო, თავდაპირველად სწორედ მასთან მიმამაგრეს სამუშაოდ. შემირჩიეს საკანდიდატო თემა: „მეჩვიდმეტე საუკუნის საყოფაცხოვრებო ლექსიკა“. მე უნდა მემუშავა ძირითადად მონასტრებში და თემაზე კვლევა იქ უნდა მეწარმოებინა. ვსწავლობდი იქ წელიწად-ნახევარი და დაიწყო ომი. ჩვენ ბავშვი დატოვებული გვყავდა თბილისში, დედამთილ-მამამთილთან. მეუღლემ სასწრაფოდ გამომგზავნა თბილისში, მისი წამოსვლა არ შეიძლებოდა, რადგან სასწავლებელი არ ათავისუფლებდა და მარტოს მომიწია იმ საშინელ დროს მგზავრობამ. მოვდიოდით და გზადაგზა გვბომბავდნენ, არავინ იცოდა ცოცხლები ჩამოვაღწევდით თუ არა. მახსოვს, მთელი გზა ჩუმად ღმერთს ვევედრებოდი, ვეხსენი განსაცდელისაგან და ჩემს შვილთან ჩასვლა მღირსებოდა. ყველა დაზაფრული იყო. ერთი ქალი გზაში სულ ცუდად გვიხდებოდა, გული მისდიოდა, ისიც თბილისში მოდიო-

და, მაგრამ ველარ ჩამოაღწია, გზაში დაიღუპა. მე მგონია, შიშით გული გაუსკდა. მოკლედ, ხიფათით სავსე დიდი გზა გამოვიარეთ და სახლში მისული კარგა ხანს ვტიროდი და ვერ მაწყნარებდნენ, ჩემი ერთი წლის უნახავი შვილი გაკვირვებული მიყურებდა...

გადასახლება

ომის საშინელება ჩვენ სხვა მხრიდანაც გველოდა. ომის დაწყებისთანავე გამოვიდა ბრძანება, ყველა ოჯახი, სადაც გერმანელი იყო, სასწრაფოდ გაესახლებინათ თბილისიდან. ჩვენ მაშინ უკვე ვცხოვრობდით ვახუშტის 22 ნომერში. მოვიდნენ ჩვენთან სახლში და გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი ოჯახი გადასახლებულთა სიაშია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაგვეტოვებინა აქაურობა. ჩემი დედამთილი მაშინ ძალიან ავადმყოფობდა, თითქმის მწოლიარე იყო და მე ვუვლიდი მას. თავდაპირველად მითხრეს, რომ მე არ მეხებოდა ეს გადასახლება, რადგან მოსკოვიდან ის-ის იყო ჩამოვედი და ჩავეწერე. ავადმყოფ დედამთილზე ვუთხარი, თუ მასაც დატოვებდნენ, დავრჩებოდი, თუ არა, მე მას ასეთ მდგომარეობაში ვერ მივატოვებდი, მას ხომ იმხელა ამაგი ჰქონდა ჩემზე. როცა ეს საკითხი წყდებოდა, ისეთი საცოდავი თვალებით მიყურებდა. მას საერთოდ ჩემი დიდი იმედი ჰქონდა, მხოლოდ ერთხელ მითხრა მორიდებით, ჩვენ იქ უშენოდ რა გვეშველებაო და მაშინვე გადავწყვიტე, გვერდიდან არ მოვცილებოდი და თან გავყოლოდი. ასეც მოვიქეცი.

როგორც უკვე გითხარით, ჩემი მეუღლის ოჯახი ერთხელ უკვე საფუძვლიანად იყო დარბეული და განადგურებული, სხვათა შორის, იქიდან არაფერი წამოუღიათ, მაგრამ ზოგიერთი რაღაცა, რაც გადარჩა, მეზობლებს მიაბარეს. კარგა ხნის შემდეგ მიაკითხეს იმ ნივთებს, მაგრამ არავინ აღარაფერი დაუბრუნათ. აღარც ჩასულან მას შემდეგ იქ. ახლა ისევ აწიოკება და კიდევ უფრო საშინელი, ნივთებსა და ქონებას ვინ ჩიოდა, თვითონაც არ იცოდნენ, რა ელოდათ. საით წაიყვანდნენ, რას უზამდნენ, არავინ ამ კითხვაზე

არაფერი იცოდა, ან არ გვპასუხობდნენ.

მივედი უნივერსიტეტში და რექტორს ვუთხარი, რომ მე ოჯახთან ერთად გადასახლებაში მივდიოდი. მან მთხოვა, რომ მეფიქრა ამაზე და კარგად ამეწონ-დამეწონა ეს საკითხი. თუ დარჩენას გადავწყვეტდი, იგი მპირდებოდა, რომ დაუსწრებელზე საათებს მომცემდა. ისე მებრალებოდა ჩემი ავადმყოფი დედამთილი, რომ მასთან წასვლა ვარჩიე და როცა ეს დღე გათენდა, მე არ დამავიწყდება, როგორი მძიმე და ტკივილიანი იყო იგი. ჩვენ ბარგშეკრულები მთელი ოჯახით მუშტაიდის ბაღში ჩაგვიყვანეს. 37-იანი წლების გადამტანი ხალხი ისე იყო დაშინებული, ნორმალურად გამომშვიდობებასაც ვერ ბედავდა. ახლობლებიც კი არ მოსულან, შორიდან გვემშვიდობებოდნენ. ჩვენ ყველანი შიშითა და რაღაცნაირი, გაურკვეველი მოლოდინით აღსავსენი, დაზაფრულები ვიყავით. ტოპრაკებში გამოკრული ჩვენი ბარგი და ზედ მძინარე ჩემი შოთიკო ახლაც არ ქრება თვალთაგან. საღამოს ჩაგვიყვანეს ნავთლუღის მიმართულებით. იქ რაღაცა სატვირთო ვაგონში შეგვყარეს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, და უკვე იმ მოპყრობიდან ჩანდა, რომ კარგი არაფერი გველოდა. ჩვენ ხუთნი ვიყავით: დედამთილი, მამამთილი, ჩემი მული, ობოლი დეიდაშვილი, თინა, ორ წლინახევრის შოთიკო და მე. ეს იყო 1941 წელი. მეუღლე მოსკოვში სწავლობდა, მას გადასახლება ჯერ არ ეხებოდა. რაღაცნაირი პოლიტიკა იყო, გადასახლების ბრძანება უბრალო მოქალაქეებზე გავრცელდა თავდაპირველად.

ეს იყო ჯოჯოხეთური მგზავრობა. შეგვყარეს ვაგონებში და ხან სად ჩამოგვყრიდნენ ვაგონებიდან, ხან – სად. ეშელონიდან ეშელონისკენ გვერეკებოდნენ. თავგზააბნეული ხალხი ერთმანეთში ირეოდა, რაღაცას უყვიროდნენ, მუჯლუგუნებითა და თოფის კონდახებით, ხან საით მიგვრეკავდნენ, ხან – საით. ვაი, შენი ბრალი, თუ დაეცემოდი, არავინ წამოგაყენებდა, ვის ჰქონდა სხვისი ჯავრი, ყველა თავის ტყავს უფრთხილდებოდა... უსასტიკესად გვეპყრობოდნენ, ადამიანს იქვე კლავდნენ. ეშინოდათ, არავინ გაჰქცეოდათ, არავინ დარჩენოდათ. სატვირთო ვაგონებში ხალხი თევზებივით ერთმანეთზე დაწყობილები ვეყარეთ რაღაცა არაადამიანურ პირობებში. სატვირთო ვაგონებს არც წყალი ჰქონდათ, არც ტუალეტი. თუ სადმე შეაჩერებდნენ, უნდა გენახათ ეს ხალხი

როგორ ჩაცვივდებოდა ხოლმე არც მორიდებაღა არსებობდა, არც მოკრძალება, ყველაფერი წაშლილი იყო, გადარჩენის ინსტიქტის გარდა. უნდა იმ ორწუთიან გაჩერებაში მოგესწრო შენი საქმე. უკვე ყველამ იცოდა, რომ ჩვენ განწირულები ვიყავით, მაგრამ ყველა რაღაცა იმედს ებღაუჭებოდა, ყველა ფიქრობდა მხოლოდ თავის თავზე. მოკლედ ეს ჯოჯოხეთური გზა ბაქოდან რომელიღაცა გემით გაგრძელდა, მახსოვს, ამ ეშელონიდან ეშელონში გადაბარგებებმა ბარგიც ბევრი დაგვაკარგვინა. მე შოთიკო მყავდა მიხუტებული, დედამთილი მულს მოჰყავდა და მეორე მხარეს თინა ედგა, მარტო მამამთილს რა შეეძლო და ბოლოს ასე გადავწყვიტეთ: ჩვენი ტანსაცმლის ფუთები ზურგზე დაგვეკრა, რომ ისიც არ დაგვკარგოდა. უნდა გენახათ იმ ხალხის საცოდაობა, ვისაც ჩვილი ბავშვები ჰყავდათ. ეს განცდა საშინელებისა დღემდე გამომყვა. დედებს რძე გაუშრათ, ორი-სამი თვის ბავშვები ვერაფერს ჭამდნენ. ხაოდნენ. გახსენებაც არ მინდა, რაც იქ ხდებოდა. ჩაგვიყვანეს კრასნოვოდსკამდე, იქ უკვე იმდენი სატვირთო ვაგონი იდგა, მაგრამ სულ გავსებული ასე მოკრეფილი გერმანელებით. იმდენი ვიყავით, როგორ მოვეთავსებინეთ აღარ იცოდნენ და გააბეს რაღაცა ნარები სამ-ოთხ სართულად და მართლა ერთიერთმანეთზე ვიწექით თევზებივით, მოაძრაობა არ იყო, იმ ამყრალებულ ვაგონებში დიდებსაც უჭირდათ სუნთქვა და ბავშვები ხომ გამუდმებით ტიროდნენ. ჩაგვიყვანეს სემიპალატინსკში, ეს იყო კოშმარული მგზავრობა. არც სემიპალატინსკში არ მიგვიღეს, არავინ იცოდა, საით მივდიოდით. შემდეგ სადღაცა მარხილებით მივყავდით. შემდეგ ფეხით, მერე რაღაცა ბარჯით. ალბათ თვეზე მეტი ვიყავით გზაში და ბოლოს მიგვიყვანეს რომელიღაცა სოფელში. ეს იყო ყაზანის ერთი პატარა სოფელი...

უნდა გითხრა, რომ ერთადერთი, რითიც მე ოჯახს შევეშველე მაშინ, ის იყო, რომ მივედი აღმასკომის თავმჯდომარესთან, ვაჩვენე მოწმობა, რომელსაც მთელი გზა ვუფრთხილდებოდი, ეს იყო ცნობა, რომ მე ვიყავი ასპირანტი. ვთხოვე, მოეცათ ჩემთვის რაიმე სამუშაო. მართლაც, ჩვენი ოჯახი იყო ერთადერთი, რომელსაც გამოუყვეს პატარა ოროთახიანი სახლი, სხვები ყველანი ერთად შეასახლეს კლუბში და რაღაცა პაწია სადგომებში. ამ სოფელს ერქვა სემიონოვკა. უმკაცრესი ყინვები იცოდა იქ. ხალხი გარეთ კი

არ დადიოდა, დარბოდა. თითქმის წელიწადის უმეტესი დრო აქ იდგა სიცივე და ყინვიანი მსუსხავი ქარი ქროდა. ჩვენ თავიდან ძალიან გაგვიჭირდა. რუსული ღუმელის დანთებაც არ ვიცოდით. მერე კი მივეჩვიეთ. ამ ღუმელზე გვეძინა. ახლა რომ მახსენდება, რა ტანჯვით გავზარდე ჩემი შოთიკო. ხან დღეები ისე გადიოდა, ჩვენ არაფერს ვჭამდით და მას ვუზოგავდით. ისე კი ძალიან ჯანმრთელი ბავშვი იყო, საერთოდ ავად არ გამხდომია. ერთადერთხელ ჰქონდა ანგინა, ეგ იყო და ეგ. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ თვითონ ბავშვი არასოდეს არ გვაწუხებდა, გეგონება იცოდა, რომ ჩვენ არა გვქონდა არაფრის საშუალება, დიდი ადამიანივით ითმენდა ყველაფერს. შეიძლება შიმშილით ბევრჯერ კუჭი ეწვოდა, იმიტომ, რომ მაშინ ყველას უჭირდა და ხელს ვინ ან როგორ გაგიმართავდა, თანაც ციმბირში რა ჰქონდათ, მაგრამ ხომ ვამბობ, ეს პატარა ბავშვი იყო ხოლმე რაღაცნაირად გარინდებული, უფრო იმიტომ მიკვდება გული, რომ ამხელა უბედურებას გადავარჩინეთ და მერე აქ, თბილისში, როცა აღარც ომი იყო, აღარც შიმშილი და ცხოვრებაც როგორღაცა ავაწყეთ, სწორედ მაშინ გვიმუხთლეს...

ასე გადიოდა ერთმანეთზე უფრო მტანჯველი დღეები. ჩემი მეუღლე გვეძებდა ყველგან. სატანკო აკადემიამ ომის წლებში ისიც და სხვებიც ტაშკენტში გაგზავნა. იქიდან ისევ ჩვენი ძებნა გააგრძელა და როგორც იქნა დაადგინა ოჯახის ადგილსამყოფელი. დიდი ხნის დაჟინებული თხოვნის შემდეგ მას მისცეს უფლება მოეძებნა ცოლ-შვილი. ჩვენ უკვე ვშიმშილობდით. რაც გვქონდა თან წაღებული, ტანსაცმელი თუ სხვა რამ, ყველაფერი კარგა ხანია საჭმელზე, პროდუქტებზე გადავცვალეთ, ციმბირელები, არ ვიცი, იქ არსებული ცხოვრების პირობების გამო ალბათ, უსასყიდლოდ ერთ ნამცეცს არ მოგცემენ, მათთვის უცხო იყო ხელის გამართვა. არავინ გაგიკითხავდა. ჩვენ კი, როგორც ვთქვი, აღარაფერი გვქონდა გადასაცვლელი. პურზე არ არის ლაპარაკი, ეს უკვე შოთიკოსთვისაც ფუფუნება იყო, კარტოფილიც აღარ გვქონდა, რომ თითო ცალი მაინც გვეჭამა დღეში.

წავედი სკოლაში და მახსოვს ისეთი დიდი ყინვა იყო, რაც ძალი და ღონე მქონდა, მივრბოდი, ისევე, როგორც სხვები, ისე ვიყავით შეფუთულები ათასგვარი მოსასხამით, მხოლოდ თვალები გვიჩანდა, რომ გზა გაგვეკვლია. მივედი სკოლაში და ტირილით

ავუხსენი ჩვენი მდგომარეობა. მომცეს გაკვეთილები და რაღაცა ანაზღაურებაც მქონდა, რასაკვირველია...

მერე ჩემმა მეუღლემ მოაღწია ჩვენამდე. არ მავიწყდება ის წუთები, არავის ველით, რასკვირველია, უცებ იძახიან, რომ ჩვენ გვკითხულობენ, პირველი მე მივვარდი კარებს, გავხსენი კარი და მის დანახვაზე მოულოდნელი სიხარულისგან გულწასული დავეცი ძირს. მახსოვს ჩემმა მეუღლემ თეთრი პური მოგვიტანა, კონსერვები, რაც დიდი ფუფუნება იყო. სამი თვე გზაში ყოფილა და ძლივს მოგვაგნო. დიდხანს ვერ დარჩა, ის უნდა გამოცხადებულიყო აკადემიაში.

შემდეგი პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა ეს არის ტაშკენტში ცხოვრება. საბავშვო ბაღის შენობაში ვიყავით შესახლებულები. მთელი გერმანელები დახვრიტეს, ესენი იყვნენ სამხედრო პირები, პოლკოვნიკები, გენერლები, პოდპოლკოვნიკები, ჩაამწკრივეს რიგში და გამოუცხადეს, ვინც იცის სატანკო საქმე, ხუთი ნაბიჯით წინ წამოვიდეს. ეს გერმანელები ყველანი უკვე გამწარებულები იყვნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ არ გასულიყო არც ერთი. ხუთმა მაინც გადმოდგა წინ ნაბიჯი. მხოლოდ ეს ხუთი დატოვეს ადგილზე, დანარჩენები გაგზავნეს ირკუტსკში, ჩემი ქმარი კი ყარაგანდის საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს.

მე, თინა და შოთიკო დავრჩით ტაშკენტში. მე დავიწყე მუშაობა ტაშკენტის 83-ე საშუალო სკოლაში. შემდეგ დამაწინაურეს და განათლების განყოფილებაში ვმუშაობდი სასკოლო ინსპექტორად. ორწლინახევრის ევაკუირებული ბავშვის მშობლებს მიაგნეს, საჭირო იყო იმ ბავშვის ჩაყვანა ციმბირში, მშობლებთან. ეს საქმე მე მომანდეს. როგორღაც მოვახერხე და ავიღე დოკუმენტები, რომ ჩემი ქმარი მონათლული იყო მართლმადიდებლად და ამ ბავშვთან ერთად ჩავედი ჯერ ყარაგანდაში, მივუტანე ეს საბუთები (სხვათა შორის, ამის წყალობით მეუღლე რამდენიმე თვით ადრე გამოუშვეს გადასახლებიდან) ჩემს ქმარს და შემდეგ წავედი იმ ბავშვის მშობლებთან. რომლებმაც, მახსოვს, ცოტაოდენი სიმინდის ფქვილი მაჩუქეს. მე არ მავიწყდება ამ ბავშვისა და მამამისის შეხვედრა. ჯერ იკივლა ბავშვმა და მერე რომ მიეკრო მამამისს, ვაგზალზე ვინც იყო, ყველა ტიროდა.

ცხინვალში

1946 წელს მე უკვე საქართველოში ვარ. ჩემთან არიან ჩემი ქმარ-შვილი და თინა. დედამთილი გადასახლებაში დაიღუპა. მამამთილი არ გაათავისუფლეს, ისევ გადასახლებაში იმყოფებოდა.

საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული გამოცდები ხელახლა ჩამაბარებინეს და შემდეგ გამგზავნეს სამუშაოდ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. განყოფილების გამგე იყო მიშა ჩხეტია, არაჩვეულებრივი პიროვნება. ცხინვალში მხოლოდ ნახევარი შტატი იყო თავისუფალი, მაგრამ რას ვჩიოდი, დავიწყე მუშაობა. რექტორი იყო ვანეევი. ჩემს ლექციებს მაღალი შეფასება მისცეს და მალე არასპეციალისტებთანაც, ბიოლოგებთან, მომცეს რუსულის საათები. ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში.

ჩემი ყოფილი ლექტორი, ვაჩნაძე უკვე პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობდა და როცა გაიგო ჩემი ჩამოსვლა, მან მომცა ასევე საათები პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსულ ენასა და ლიტერატურაში. ენერგიით ვიყავი სავსე და ორივეგან დიდი ხალისით ვმუშაობდი, მეუღლე ისევ გადასახლებაში დააბრუნეს.

არ ვტრაბახობ, მაგრამ არ მახსოვს ლექციაზე დამეგვიანებინა, არ მახსოვს ლექციაზე წინასწარ მოუმზადებელი შევსულიყავი. მთელი ზაფხული ვანდომებდი ლექციების კურსის ხელახლა, ახლებურად შედგენას, აი ახლაც, ამ ზაფხულსაც, მიუხედავად იმისა, რომ მხედველობა არ მივარგა, ახლებურად გადავახალისე ლექციებისა თუ სავარჯიშოების კურსი, თუმცა უკვე ვეღარ შევძელი ლექციებზე წასვლა, ვეღარ ვხედავ და, გარდა ამისა, გადაადგილებაც მიჭირს, სახსრები მაწუხებს.

ცხინვალში მუშაობის წლები ჩემთვის არის სიცოცხლესთან დაბრუნების წლები. მე ხელახლა დავიბადე მაშინ, უფრო სწორად თუ ვიტყვი, მე გავცოცხლდი. ჩვენ, გადასახლებიდან ჩამოსულებს, არაფერი გაგვაჩნდა. ხალხიც ომის წლებით წელგატეხილი დაგვხვდა, თვითონაც გაჭირვებაში იყვნენ. მერე ისიც უნდა გითხრათ, რაკი გადასახლებიდან ვიყავით ჩამოსულები, მაინცადამაინც არ გვეკარებოდნენ, რაღაცის ეშინოდათ და ურთიერთობა არავის უნდოდა ჩვენთან. ეშინოდათ არავის არაფერი დაეწამა მათთვის. მერე

და მერე გალღვა ყინული თორემ. არც ვამტყუნებ, მაშინ ის დრო იყო...

ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი აეწყო. ცხინვალში ბევრჯერ ყინვაში პალტო არ მქონდა, რომ ჩამეცვა. ერთხელ იანვარი იყო, ლექციებზე ნასკებით და დაგლეჯილი ტუფლებით წავედი. ჩულქიც არ მქონდა, ჩამეცვა. ყინვაში გრძელი კაბა მიფარავდა შიშველ ფეხებს, მაგრამ, დაგლეჯილი ფეხსაცმლიდან წყალი შემდიოდა, გავცივდი და კარგა ხანს ვიავადმყოფე. ლექციებს სიცხიანი ვატარებდი, არ ვაცდენდი, ვერ წარმომედგინა. მახსოვს, ცხინვალში რაღაცა ტალონები მოგვცეს, თეთრეულის შეძენა შემეძლო. პირველად მაშინ ვიყიდე თეთრეული, ოჯახისთვის რაღაცა აუცილებელი, პირველადი მოხმარების საგნები. მერე და მერე ოჯახმა სული მოითქვა, მეუღლეც ჩამოვიდა გადასახლებიდან, მუშაობა დაიწყო, მე მოსწავლეებს კერძოდაც ვამეცადინებდი.

ძალიან ეწუხდი სადისერტაციო საქმის გამო. სადღაც შორეულ წარსულში წამოწყებული და იმ საშინელებათა გამო მიტოვებული საქმე დღედაღამე არ მასვენებდა. თავდაპირველად მოცემული მქონდა თემა მე-16 საუკუნის საყოფაცხოვრებო ლექსიკა. მიხეილ ვაჩნაძემ ხელახლა შემარჩევინა თემა: „დერჟავინის ლექსების სინტაქსი“, ტექნიკურად მასალა მომზადებული მქონდა, როცა მიმავლინეს ამ თემასთან დაკავშირებით მოსკოვში. მივედი რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც გამოკრული იყო განცხადება: პროფ. ვ. ვინოგრადოვთან კონსულტაცია ორშაბათს. ჩავეწერე და მივედი მასთან. ხომ ბევრი რამ უკვალოდ წაიშალა ჩემი მეხსიერებიდან, ის დღე კი სულ ნათლად მახსოვს. შევხვდი აკად. ვიქტორ ვინოგრადოვს. მან მომისმინა ყურადღებით, შემდეგ თემის სათაური კიდევ ერთხელ გამამეორებინა და მერე გაიცინა: რა სინტაქსისი აქვს დერჟავინს, უმჯობესია იფიქრო ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაზეო. სიმართლე გითხრათ, მეც ეს უფრო მომეწონა და ასე შემეცვალა თემა. ასე გახდა იგი ჩემი ხელმძღვანელი. აქვე არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი, უდიდესი პიროვნება. მე ასპირანტობის წლებში მასთან ჩავდიოდი და ანგარიშებს ვაბარებდი. მასთან ოჯახში მიხდებოდა სიარული და ამიტომ მის მეუღლესაც კარგად ვიცნობდი. ისინი აუცილებლად სადილზე მპატიჟებდნენ და ძალიან თბილად მექცეოდნენ.

ეს კი ვიქტორ ვინოგრადოვს სულაც არ უშლიდა ხელს, ყოფილიყო უაღრესად მომთხოვნი. თუმცა მე მაშინ ახალგაზრდა, ენერგიული გოგონა ვიყავი, უკვე მრავალჭირგადატანილი და თავადაც ძალიან მეხალისებოდა ეს შრომა. რაკი ვინოგრადოვი იყო ჩემი ხელმძღვანელი, მე 1953 წლის ოქტომბერში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ისე დავიცავი, რომ ჩემი ხელმძღვანელი სხვებს ეუბნებოდა, სადისერტაციო ნაშრომი ისე უნდა დაიცვათ, როგორც ვერა აიდაროვამო.

ამის შემდეგ ხელფასიც გამიორმაგდა. ჩემი ძირითადი ყურადღება უკვე ჩემი შვილის განათლებას მივაპყარი. მას ვასწავლიდი ენებს საფუძვლიანად, ძალიან ნიჭიერი ბიჭი იყო და მართლა სწავლისათვის მონდომებული. ვფიქრობდი მისთვის ხელი შემეწყო, რომ მართლა კარგი მეცნიერი დამდგარიყო. ჩემს სადოქტოროზე აღარ ვფიქრობდი. შოთიკოს უკვე სერიოზული გამოკვლევებიც ჰქონდა. ლექციების შემდეგ ის სულ საჯაროში იჯდა და მეცადინეობდა. იმ საბედისწერო დღესაც საჯაროში იყო. მეგობარმა უთხრა, წავიდეთ, უკვე ღამდებაო, არ გამოჰყვა, – კიდევ მაქვს სამუშაოო. ოპერასთან დახვდნენ. გზაარეულ დამნაშავეებს თამაში წაეგოთ, დავალება კი ასეთი ჰქონდათ: უნდა მოეკლათ პირველივე სათვალიანი გამვლელი. ასეთი ჩემი შოთა აღმოჩნდა. მე არ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. ჩემთვის მაშინ დამთავრდა სიცოცხლე. მთელი თბილისი გლოვობდა შოთიკოს, მის საფლავზე ვიყავი დღე და ღამე, უამრავი ხალხი მოდიოდა ყვავილებით. ეს ჩემთვის დიდი ნუგეში იყო...

მე ცოცხალმკვდარი ვიყავი ისევ, რომ ვინოგრადოვი მოიწვიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. უთხრეს ჩემი მდგომარეობა. აუცილებლად შემახვედრეთო. მთელი საათი მესაუბრა, უნდა ჩამოხვიდე მოსკოვში და სადოქტოროზე მუშაობა გააგრძელოო. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მან ძალიან მკაცრად დამავალა ჩავსულიყავი მოსკოვში და დოქტორანტურაზე გამეგრძელებინა სწავლა.

უნდა გითხრათ, რომ მართლაც რაღაცნაირი არაადამიანური ენერგიით ჩავები ამ საქმიანობაში. დავწერე სადოქტორო დისერტაცია და დავიცავი მოსკოვშივე. მე ძალიან დიდად ვიყავი დავალებული ვიქტორ ვინოგრადოვისგან, მისი ოჯახისგან, მათი სითბო

დღემდე მომყვება და გულს მითბობს, რა მადლობელი ვარ ღმერთის, რომ ღირსი გამხადა ასეთ ადამიანებს შევხვედროდი და მეგრძნო ის ადამიანური სითბო და გულისხმიერება, რაც მათ უხვად ჰქონდათ.

აკადემიკოს ვიქტორ ვინოგრადოვის ხელმძღვანელობით მუშაობა უდიდესი ბედნიერება იყო. თუ ცხოვრებაში რამეში გამიმართლა, ერთ-ერთი სწორედ ის იყო, რომ მასთან მომახვედრა. მე არ მინახავს და არ გამიგია ასეთი მზრუნველი ხელმძღვანელი. ის სულ ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს არა მარტო სამეცნიერო საქმიანობას, არამედ საერთოდ, მთელს ჩემს ცხოვრებას. ბოლო დროსაც, შოთიკოს სიკვდილი რომ გაიგო, ისევ მან წამომაყენა ფეხზე.

უამრავი წიგნი მაქვს მისივე ავტოგრაფით, ჩემს ოჯახში ძვირფას რელიქვიად ითვლება მისი ნაჩუქარი ხატი.

არა მარტო თვითონ, მისი მეუღლეც ასევე ყურადღებიანი იყო ჩვენ მიმართ. ჩემს იუბილეზე ჩამოსულმა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა ჯულიეტა ოსტაევამ მიამბო: ვინოგრადოვის მეუღლემ მითხრა, ვერა ნიკალაევნას ნიჭი და პასუხისმგებლობა ყოველთვის გასაოცარი იყო. ის ერთ-ერთი უსაყვარლესი ასპირანტი იყო ვიქტორ ვლადიმიროვიჩისა და სხვებს სულ იმას ეუბნებოდა, მიბაძეთ მას, შრომა ჩემთან ისეთი დასრულებული სახით მოჰქონდა, რომ არ მჭირდებოდა შენიშვნების მიცემაო.

იმაზე, თუ როგორი სიახლოვე იყო ქალბატონ ვერასა და ვინოგრადოვების ოჯახს შორის, მეტყველებს უამრავი წერილი, რომლებიც გამოუგზავნიათ ვინოგრადოვებს. ამ წერილებში აშკარად იკითხება ის სითბო და სიახლოვე, რაც მათ აკავშირებდათ. მოვიყვან ვინოგრადოვების წერილებიდან რამდენიმე ამონარიდს:

1990 წელი

"Дорогая Вера Николаевна

Как вы себя чувствуйте и как поживает ваш муж?

У нас всё по старому, если не считаем, что старсем каждым днём. У Виктора Владимировича сильный диабет, больная печень, но он работает очень много, как и прежде.

Обнимаем оба мы и шлём привет вам и всем, кто помнит нас в Тбилиси."

1992 წელი
„Дорогая Вера Николаевна
Как вы поживаите, как ваш муж, как сын...
Как ваша работа?"...

1993 წელი
„Дорогая Вера Николаевна
Пожалуйста, простите меня за столь долгое молчание. Все эти месяцы у меня была краине трудная жизнь. В Москве жизнь очень трудная, стою в очередах два-три часа, а мне в магазинах плохо бывает из за плохих сосудов мозга и сердце сдаёт"...

ბოლო ხანებში წერილებს ქალბატონ ვერას მათი შვილი უგზავნიდა.

ცხინვალსა და თბილისში პარალელურად ვმუშაობდი. ეს იყო არაჩვეულებრივი წლები ჩემი ცხოვრებისა. ცხინვალში მივდიოდით თბილისელი მეცნიერების საკმაოდ დიდი ჯგუფი. სიხარულით ჩავდიოდით იქ, რადგან იქაურები დიდი სიყვარულით გვეგებებოდნენ. ბევრი ცნობილი ქართველი მეცნიერი მოღვაწეობდა იმ დროს ცხინვალში: ალექსანდრე ღლონტი, იოსებ მეგრელიძე, აკაკი თოფურია, პროკოფი ვადაჭკორია, ოთარ ქაჯაია, რაფიელ შამელაშვილი, ანდრო მირიანაშვილი, ტიტე სულაბერიძე, კარპეზ დონაძე, მურმან კიკვაძე, ლევან ბოლქვაძე, შალვა სააკაძე, ნოდარ მესხრიკაძე და სხვები.

აქვე მინდა ვთქვა რამდენიმე სიტყვა საერთოდ მაშინდელ ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. ხალხი ომის ჭრილობებს ერთად იშუშებდა და ნამდვილად არავინ ყოფდა ოსს ქართველისაგან და პირიქით. ეს გაჭირვებული ხალხი ერთმანეთს ედგა მხარდამხარ. ცხინვალში ჩასულ ქართველ ლექტორებს ღამის გათევა უხდე-

ბოდათ ხოლმე მატარებლების სადგურთან მდებარე სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, მათთვის გამოყოფილ ცალკე ოთახებში. მეც იქ ვრჩებოდი ღამის გასათევად. იყო გადაპატიჟებები, მიწვევა და სიამტკბილობა. ოსი ლექტორების ოჯახებში წვეულებები თბილისიდან ჩასული ლექტორების გარეშე არ იმართებოდა. სრული ურთიერთგაგება და მეგობრობა სუფევდა. ისიც მახსოვს, თუ ვინმე ამ წვეულებაზე ვერ წავიდოდა, მოსაკითხს აქეთ მოუტანდნენ განთქმული ოსური ხაბიზგინებითა და ლუდით.

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი მართლაც ინტერნაციონალური კერა იყო. აქ სწავლობდნენ და მუშაობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. უმეტესად ოსები და ქართველები. ამ ინსტიტუტმა კიდევ უფრო დააახლოვა ეს ორი ერი ერთმანეთთან. მე ერთ ამბავს გავიხსენებ იმ წლებიდან. არ მახსოვს რომელი ფაკულტეტის სტუდუნტები იყვნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ სექტემბერში ლექციებზე დაბრუნებულებს ერთ კურსზე ოთხი ახალი დაწყვილებული დაგვხვდა. ოთხი შერეული ოჯახი შეიქმნა. მაშინ ეს სასიხარულო მოვლენა იყო. სასიხარულო, რადგან ეს ამ ხალხის ურთიერთსიყვარულის გამომხატველი იყო.

ჩემი ცხოვრების უმეტესი წლები მე ცხინვალში გავატარე. ბოლო ხანებში იქც საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ ასე საუკუნეობით ნაგებ მეგობრობას უცბად გადაუსვეს ხაზი. მე ცხინვალში არ მეგულებოდა ოსი, ქართველი ნათესავი არა ჰყოლოდა და პირიქით. თუ სისხლისმიერი არა, ნათლიად მოკიდებული მაინც ეყოლებოდა და ეს თავისთავად მეტყველებდა მათი სულის ერთიანობაზეც, აღარაფერს ვამბობ ტრადიციებზე, კულტურაზე.

მე იმ ვითარების ანალიზს არ ვაპირებ, მხოლოდ იმას გიამბობთ, რაც იყო, რაც ჩემს თვალწინ ხდებოდა. 1990 წელი იყო, სახელმწიფო გამოცდებზე კომისიის თავმჯდომარედ ვიყავი ცხინვალში მივლინებული. გამოცდის შემდეგ სუფრასთან მოვიყარეთ თავი.

ძალიან წყნარი ზაფხულის საღამო იყო. ქუჩებში ხალხი მორიდებით გეესალმებოდა, პატარაა ცხინვალი და ყველა გვიცნობდა. ცხინვალის შესასვლელში, მაღლობზე ერთი არაჩვეულებრივად ლამაზი რესტორანი იყო აგებული. სწორედ იმ

რესტორანში დავსხედით, რომელიც შემდეგ ოთხასი ავტობუსით მისულებმა აიკლეს და დაანგრიეს. ეროვნული თავისუფლების ლიდერები თბილისში დემონსტრაციას დემონსტრაციაზე მართავდნენ. მიტინგებზე უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა: უცხოტომელები წაეთრიონ აქედანო. რასაკვირველია, მე არასოდეს მიფიქრია, რომ ქართველისათვის უცხო ტომელი ვიყავი. არც სხვა ჩემნაირი ფიქრობდა ალბათ, ამიტომ იყო, რომ ვმღეროდით ქართულ, ოსურ სიმღერებს, სუფრასთან ოსებიც იყვნენ, ქართველებიც. ექვსი შერეული ოჯახი იყო, ჩვენი თანამშრომლების, რომელთაგანაც ამ არეულობის შემდეგ ზოგის ქმარს გაუსკდა გული ამ ამბების გამო, ზოგის – ცოლს. ვის ინტერესებს ემსახურებოდა ეს ამბები, რაც შემდეგ მოხდა, ვის აწყობდა და უხარებდა ეს ამბავი გულს, აი, ეს არის საკითხავი...

ეს იყო ცხინვალში ჩემი ბოლო ყოფნა. მას შემდეგ მე იქ აღარ ჩავსულვარ. არა იმიტომ, რომ არ შემეძლო, უბრალოდ, მე მინდა ცხინვალი ისევ ისეთი მახსოვდეს, როგორიც იყო: წყნარი, იდილიური, არაჩვეულებრივი ხალხითა და ატმოსფეროთი. მე იმას ალბათ ვეღარ გადავიტან დანგრეული სახლები და ჩემი ქალაქი აწიოკებული ვნახო. ამბობენ, ხალხიც სულ სხვანაირი გახდაო.

რაც შეეხება იმას, თუ მე უშუალოდ როგორ შემეხო ეს ამბავი, მაგასაც გეტყვით. მართალია, მე ოსი ვარ, მაგრამ ქმარი, შვილი ქართველები მყავდნენ, ისინი იყვნენ ჩემი ცხოვრების აზრი და შინაარსი. მე მთელი ცხოვრება ქართველების გვერდით ვცხოვრობდი, უამრავი ქართველი აღვზარდე, უამრავი სტუდენტი მყავდა (70-წლიანი პედაგოგიური სტაჟი მაქვს), რომლებიც ასევე შვილებივით მიყვარან, ახლაც მაქვს მათთან ურთიერთობა. მე დიდად მადლობელი ვარ ბედის, რომ ქართველებში მოვხვდი. საქართველოა ჩემი სამშობლო. ოსებთან ერთად ქართველები არიან ჩემები, ჩემი ხალხი. მე განუყოფელი ვარ მათგან და მიმძიმს თქმა, მაგრამ ალბათ უნდა ვთქვა, იქნებ სხვამ აღარ გაიმეოროს ასეთი შეცდომა – დაუმსახურებლად ადამიანისათვის გულის ტკენა. კონფლიქტის წლებში თბილისში მაცხოვრებელი ოსებიც, რა თქმა უნდა, მშვიდად ვერ ვიქნებოდით, რადგან ყოველ წუთს ჩაგვესმოდა, აგერ თქვენმა ოსებმა რა ქნეს, ხედავთ, ის მოთრეულები, რას ბედავენ. და უარესებიც. ყოველივე ეს რომ თავიდან აგეცილებინა, სახლში

უნდა მჯდარიყავი. გარეთ გასვლას ვერიდებოდით. მაგრამ სამსახურში ხომ უნდა გვევლო. იმ არეულობის წლებში, მაშინდელი სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით ოსებს სამუშაოდან ათავისუფლებდნენ. მე ძალიან კარგ კოლექტივში მიხდებოდა მთელი ცხოვრება მუშაობა, ირგვლივ ყველა სიყვარულითა და პატივისცემით მექცეოდა, და დიდადაც ვარ დავალებული ბევრი რამით ამ კოლექტივისაგან. ამიტომ არ ველოდი, მოულოდნელი იყო ერთი ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომლის, ლაბორანტის განცხადება ჩემი თანდასწრებით ერთ დღისით რომ გააკეთა: ჩვენს დანესებულებაში სამი ოსი მუშაობს, თქვენ და ორიც სხვა, ერთი ყარაული და ერთი ცეცხლფარეშიო. ეს იმას ნიშნავდა, რომ გასათავისუფლებელთა სია მზად იყო. და მე ამდენ უბედურებაგადატანილმა ქალმა ერთი კი გადავხედე და არაფერი ვუთხარი, ისე კი ვერც ვეტყოდი, პირი ისე მქონდა მღელვარებისაგან გამშრალი. მან ალბათ არ იცოდა, რა ძნელია უდანაშაულო ადამიანის დასჯა, რაც მე მრავალჯერ გადამიტანია ცხოვრებაში და რას წარმოვიდგენდი, რომ მეც მომიხდებოდა ვილაცის წინაშე ჩემი ეროვნების გამო დამნაშავის როლში ყოფნა, როგორც ერთ დროს ჩემი ოჯახის სხვა წევრებს. ამ ამბის გამო რამდენიმე დღე ძალიან ცუდად ვიყავი, მადლობა უფალს, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, თუმცა მოგვიანებით გავიგე, იმ ორიდან არც ერთი აღარ მუშაობდა ჩვენთან.

უნდა გავიხსენო, რომ ინსტიტუტში ხშირად ტარდებოდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები. ჩვენ ქართველი სტუდენტების წარმატებები ისევე გვიხაროდა, როგორც ოსებისა, ასევე მათ. შემდეგ კი წარჩინებულებს თბილისში ვგზავნიდით, სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტურაში, თბილისელი მეცნიერ-ხელმძღვანელები პატრონობდნენ, ხელმძღვანელობდნენ. რამდენი სამეცნიერო კადრი მომზადდა თბილისში, რამდენი ქართველი მეცნიერის შრომა და ღვაწლია, ენერგიაა ამაში ჩაღვრილი. ყველაზე მეტად დღეს იმაზე მწყდება გული, რომ ეს ტრადიცია მოიშალა, აღარ არის. აქვე, გვერდით ამხელა სამეცნიერო პოტენციალია, ამხელა უზარმაზარი სამეცნიერო სკოლაა და ოსი ახალგაზრდა რუსეთში მიდის, შორს და მისთვის უცხო ქვეყანაში და არცთუ დიდი ხალისით, ქართველებისკენ გული აღარ მოუწევს, ან იქნებ მოუწ-

ევს კიდეც გული, მაგრამ სხვა რაღაცა უშლის ხელს, სხვა რაღაცის გამო იკავებს თავს. ერთი კი ცხადია, ამ ხალხების იმ ძველ თაობას, რომელსაც გვერდიგვერდ უწევდათ ცხოვრება, მუშაობა, დღესაც შემორჩენილი აქვთ ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა ისინი ჩემს იუბილეზე შეხვდნენ ერთმანეთს. სწორედ მათ უნდა ითამაშონ დიდი როლი ამ ხალხის ისევ აქეთ შემობრუნებაში, ამ ხალხის გაციებული ურთიერთობის აღდგენაში.

მახსოვს ძალიან კარგი ტრადიცია იყო ქართველი მეცნიერების, მწერლების საიუბილეო დღეების აღნიშვნა ცხინვალში. სწორედ იქ ჩატარდა გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა, აკად. აკაკი შანიძის იუბილე, ყველაფერი ეს ხელს უწყობდა ამ ორი ხალხის დაახლოებას.

უნდა ვთქვა, რომ ერთი შეკრული კოლექტივი იყო ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის პედკოლექტივი და ძალიან დიდ საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. ახლა ცხინვალის ინსტიტუტში მხოლოდ ოსები სწავლობენ. ეს აღარ არის ის მეგობრობის კერა, რომელიც მე დამამახსოვრდა. ახლა თბილისში ოსი სამეცნიერო კადრები აღარ მზადდება, მათ უფრო შორს უხსდებათ ამისათვის წასვლა. საქმე ამაში კი არაა შორს წავა, თუ არა, საქმე ისაა, ის სიახლოვე აღარაა ქართველსა და ოს ინტელიგენციას შორის, ის ძაფები აღარ იბმება, რომელიც სამეგობრო კავშირს ამყარებს. ახლა ვხედავთ გაუცხოებულ ოსსა და ქართველს და გულსატკენი სწორედ ეს არის. მაგრამ მე მტკიცედ მჯერა, თუმცა შეიძლება მე ვერ მოვესწრო, მაგრამ მტკიცედ მჯერა, და ამ რწმენით სავსე მინდა წავიდე იმ ქვეყნად, რომ ის ძველი სიყვარული ისევ აღდგება ოსსა და ქართველს შორის, ისევ ისეთი მეგობრული ურთიერთობით გააგრძელებენ ცხოვრებას ოსები და ქართველები და საერთოდ მჯერა, რომ კავკასიელებს გვეყოფა ჭკუა საიმისოდ, რომ ერთად ვიდგეთ, ძმურად ვიცხოვროთ, მშვიდობიან კავკასიაში. მინდა ამ რწმენით გავატარო დარჩენილი დღეები...

ნაირა ბეპიევი

ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ნაირა ბეპიევი-პოპიაშვილი, დაიბადა 1948 წლის 29 ივლისს ყვარლის რაიონ სოფ. მთისძირში. დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინებით. მუშაობდა ქ. ყვარელში განათლების მუშაკთა პროფკავშირების რაიკომის თავჯდომარედ 1970-73 წლებში, პარალელურად მთისძირის საშ. სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. 1973 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს თბილისში. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, აკადემიური დოქტორი, პროფესორი. მეუღლე – ავთანდილ პოპიაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი 1990–1992 წლებში, გარდაიცვალა 1998 წელს. ჰყავს ორი ქალიშვილი. ამჟამად მუშაობს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში".

დავიბადე 1948 წლის 29 ივლისს, ყვარლის რაიონ სოფელ მთისძირში. დედა – ნადია (თამარა) არსენის ასული ცეცხლაშვილი, ეროვნებით ქართველი, ამავე რაიონის სოფელ შილდაში იყო დაბადებული. მამა – ირაკლი ივანეს ძე ბეპიევი – ზნაურის რაიონის სოფელ ბალთიდან.

დედას წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული ჯერ შილდის საშუალო სკოლა, შემდეგ თელავის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმი, აგრონომის სპეციალობით. რაკი სულ ფრიადები ჰქონდა (ახლაც გვაქვს მისი დიპლომი, სადაც მხოლოდ ხუთიანებია ჩაწიკწიკებული), მას უფლება ეძლეოდა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა, შეუთავაზებიათ კიდეც, სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში გაეგრძელებინა, მაგრამ მის ოჯახს იმისი საშუალება არ ჰქონდა, ქალიშვილი თბილისში შეენახა და ამიტომ გადაწყვიტეს, თელავში შეეყვანათ. სასოფლო-სამეურნეო ტექნი-

კუმის დამთავრების შემდეგ დედა გაგზავნეს სამუშაოდ სოფელ მთისძირში. იგი კარგა ხანს მუშაობდა სოფელში მთავარ აგრონომად. სწორედ მაშინ გაიცნო და შეუყვარდა მამაჩემი, რომელიც ომიდან ახალი დაბრუნებული იყო და კახეთში სტუმრად იყო ჩასული.

მამა ბალთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოუყვანიათ. მას პედაგოგიურ სასწავლებელში გაუგრძელებია სწავლა. აქ იგი ცხოვრობდა დედის ძმასთან, ქიოია ქოზაევთან. ოჯახს საკმაოდ უჭირდა, და როგორც მამა ყვებოდა, ნახევარჯერ მშივრები ყოფილან. მამას ეს ტექნიკუმი არ დაუმთავრებია, 1938 წელს მოხალისედ წასულა ჯარში. მან დაამთავრა სამხედრო სკოლა და უფროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. იყო ასმეთაური და ჰქონდა მრავალი ჯილდო ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის. ომიდან დაბრუნებული მამიდას ესტუმრა კახეთში, სადაც დედაჩემი მოეწონა და ცოლად შეირთო. შემდეგ მთისძირის შვიდწლიან სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად.

– როგორი იყო მშობლების რეაქცია მათ შეუღლებაზე?

– კარგად მახსოვს ჩემი ქართველი და ოსი ბებიების მონაყოლი ამის თაობაზე. მოვიყვან ნაწყვეტებს ორივეს მონათხრობიდან:

„სანამ მამაშენს გავიცნობდი, – იგონებდა ბებიაჩემი, თამარა ელიზბარაშვილი, – მე საერთოდ ოსს არავის ვიცნობდი. ჩვენი სოფელი, შილდა, კახეთის ისეთი ტრადიციული ქართული სოფელია, სადაც მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. ასე რომ, დედაშენის გათხოვება ოსზე ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის ძალიან დიდი ტრავმა იყო. სოფელი რის სოფელია, თუ ყველამ მომხდარზე თავისი აზრი არ გამოთქვა, რა სჭირდა სამაგისო, რომ ოსს (თან ამატებდნენ – ვილაც ოსს) გაჰყვაო, კი არ მილოცავდნენ, თითქმის მისამძიმრებდნენ. ეს, რასაკვირველია მანამ, სანამ გავიცნობდით. რაკილა უკმაყოფილონი ვიყავით, ჩვენი გაცნობა მაშინვე არ მომხდარა. გაიარა რამდენიმე კვირამ და ჩვენს სახლს მოადგა არაჩვეულებრივად ლამაზი, მაღალი, არისტოკრატული გარეგნობის მამაკაცი. იგი კითხვა-კითხვით მოვიდა (ძალიან კარგი მოქართულე იყო). სოფელი ხომ იცი, როგორი ცნობისმოყვარეა და ყველა კითხულობდა თურმე, ვინ არის ეს ლამაზი ვაჟკაცი და ვისთან მიდისო. ეს იყო მამაშენი, რომელიც მერე ქართველ სიძესაც მერჩია და ბევრ სხვასაც.“

მამაცემისა და ბებია-პაპას ურთიერთობაში ორივე ერისათვის დამახასიათებელი ისეთი ტრადიციული (უფროსუმცროსობის) ურთიერთპატივისცემა და რიდი შეიმჩნეოდა, როგორიც მე ახლა ძალიან იშვიათად მხვდება.

მამაჩემმა ქართული სუფთად იცოდა, აქცენტიც კი არა ჰქონდა.

„ომის შემდეგ მამაშენი ჩვენი სოფლის თავმჯდომარედ მუშაობდა. ის აქედან, ზნაურიდან, სტუმრად ნავიდა მამიდამისთან (საშა ბეპიევა- ჯუსოევასთან), იქ გაეცნო და მოსწონებოდა დედაშენი, – მიყვებოდა ოსი ბებია, მაიკო ქოზაევა, – რა თქმა უნდა, მე ჩემი ეროვნებისა, ოსი მერჩია, ოს რძალს ჩემს ენაზე დაველაპარაკებოდი, მით უმეტეს, მამაშენი ბევრ კარგ ოს გოგოს მოსწონდა და რატომღაც მოულოდნელი იყო ჩვენთვის მისი გადაწყვეტილება. დედაშენი ძალიან მოგვეწონა, კარგი ადამიანია, მაგრამ რომ მოვიყვანეთ, დედაშენმა ძროხის მოწველაც არ იცოდა. ჩვენთან კი ეს ქალმა აუცილებლად ბავშვობიდან უნდა იცოდეს. ჩვენი წესები ცოტა სხვანაირია, მერე კი ყველაფერი ისწავლა..“

ასევე ძალიან დიდ პატივსა სცემდნენ დედაჩემს ჩემი ოსი პაპა-ბებია. დედაშენი ნასწავლი ქალიაო (მაშინ იშვიათი იყო სოფელში დიპლომიანი).

უნდა გითხრათ, რომ მე ძალიან მორწმუნე ბებია-პაპები მყავდა. სოფელ შილდაში ბევრი რელიგიური დღესასწაული ჰქონდათ: კოხიაობა, შვიდმაისობა, ნინოობა. მთელი სოფელი დღესასწაულობდა. გარდა ამისა, ბებია არ ვიცი, რასთან დაკავშირებით (მას შვილი ჰყავდა ომში დაკარგული, შეიძლება ამის გამოც), დააცხობდა ნიგვზიან ქადებს, აიღებდა ხელადით ღვინოს, ხან ქათამსაც კლავდა და იქვე ახლოს, ღვთისმშობლის ნიშთან მივდიოდით და სანთლებს ვანთებდით. ბებია ხან თეთრ გიორგში მიდიოდა სალოცავად, ხან – ნეკრესში (ეს სალოცავი შილდის მთაზეა წამომართული. იგი ათცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, – აბიბოს ნეკრესელს უკავშირდება, რომელიც მეექვსე საუკუნეში მოსულა სხვა მამებთან ერთად, არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომელსაც ლევან ჭილაშვილი აწარმოებდა, უფრო ადრინდელი პლასტებიც აჩვენა).

ასევე დიდად მორწმუნე გახლდათ არსენა პაპა. ერთხელ, ძალიან პატარა ვიყავი, რაღაცასთან დაკავშირებით, ღმერთო ჩე-

მო-მეთქი, ვთქვი. „ღმერთი ჯერ შენი სახსენებელი არ არისო“, – მწყრალად მითხრა. მიმითითა, უფლის ხსენებაზე, კრძალვა რომ გვმართებს.

ბალთაში, მაღალ მთაზე წმიდა ელიას სალოცავია. 2 აგვისტოს მთელი ახლომახლო სოფლებიდან მოდიან იქ. მაიკო ბაბო სხვებივით აუცილებლად გამოაცხობდა ხაჭაპურებს, დაკლავდა ქათამს, საგანგებოდ მომზადებულ ლუდს ჩამოასხამდა, ან ღვინოს და მივდიოდით სალოცავში. იქ იმართებოდა დიდი ლხინი, ცეკვა, თამაში. ასევე მივდიოდით ატოცის წმინდა გიორგის სალოცავში, იქ ღამისთევითაც ბევრჯერ ვყოფილვართ.

– რას გვეტყვით თქვენი სოფლისა და მისი შემოგარენის შესახებ?

– ჩვენ ყვარლის რაიონში, სოფელ მთისძირში ვცხოვრობდით. ამ სოფელში ოდითგან, რასაკვირველია, ქართველები ცხოვრობდნენ, შემდეგ ლეკები ჩამოსახლებულან. ხოლო 1944 წლიდან აქ ჩამოუსახლებიათ ისევ ქართველები, ძირითადად, მესხეთ-ჯავახეთიდან (ასპინძის რაიონიდან). სოფელს მდინარე არეში ჰყოფს შუაზე. მდინარის მარჯვენა ნაწილს ქალაქს ეძახდნენ და აქ ცხოვრობენ ჯავახები: ჯავახიშვილები, პაპაშვილები, გელაშვილები, წინწალაშვილები, ლეკიშვილები, ოქრიაშვილები, ყრუაშვილები, პოსოშვილები, ადეიშვილები, მურადაშვილები და სხვები. აქვე ცხოვრობენ კახეთის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსახლებულებიც: ტალაშვილები, ბაღაღოშვილები, მოდებაძეები, ცალკენაშვილები, ხეჩიაშვილები, ცეცხლაშვილები და სხვები.

მდინარის გაღმა ნაწილს ენძებას ეძახიან (ეს სახელი ამ უბნისათვის ლეკებს დაურქმევიათ), ენძებაში უმეტესად ოსები ცხოვრობდნენ (კონფლიქტის შემდეგ ზოგმა მიატოვა აქაურობა და წავიდა): ბაგაევები, დუდაევები, გიგოლაევები, მარგიევები, სიყოევები, გასიევები, ელბაქიძეები, თვაურები და სხვები.

ცხოვრობენ ზაიკინები, შჩურები...

სოფელში მაცხოვრებელთა გვარები საგანგებოდ ჩამოვთვალე, რათა უფრო ცხადი გახდეს, თუ როგორი ეთნიკური სიჭრელე იყო ამ სოფელში. მიუხედავად ამისა, ურთიერთსიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით იყვნენ ყველანი ერთმანეთის მიმართ გამსჭვალულები. სოფელს ერთი ჰქონდა ჭირიცა და ლხინიც. ასე რომ, ბავშვობიდან მე ვიზრდებოდი ისეთ გარემოცვაში, სადაც

მრავლად იყვნენ ქრისტიანებიც, არაქრისტიანებიც, ქართველებიც, ოსებიც, ლეკებიც, რუსებიც და უკრაინელებიც. სწორედ იქიდან გამომყვა ყველა ერის მიმართ სიყვარული და ადამიანს მხოლოდ ადამიანური ღირსებების მიხედვით ვაფასებ და არა – ეროვნული ან რელიგიური ნიშნით.

ისტორიულ ექსკურსს გავაკეთებ და მოგიყვებით ჩვენი სოფლის ისტორიის შესახებ. სოფელი მთისძირი – ესაა ისტორიული ქალაქი არეში, რომელიც კავკასიონის მთების ძირში მდებარეობს. მის შესახებ ცნობებს ჯერ კიდევ „მატიანე ქართლისაი“ გვაწვდის: „მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი და კვირიკეს ორჭობი“. არეშს არაერთგზის იხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი. გარდა ამისა, ეს სოფელი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ის სპეციალური შესწავლის საგანიც გამხდარა. 1973 წლიდან მთელი ათი წლის განმავლობაში, 1982 წლამდე, აქ წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები და საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაპოვრების საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა სპეციალური ნაშრომი (ლ. ჭილაშვილი, „არეში“, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1991 წ.). მკვლევრის დასკვნით, ნაქალაქარი, რომელიც გაიგივებულია შუა საუკუნეების ქართულ პუნქტთან, არეშთან, მდებარეობს ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირის ტერიტორიაზე, მდინარე არეშის წყლის ზედა წელში. არეშის ისტორია ორ ნაწილად უნდა გავყოთ: პირველი, ადრე ქრისტიანული ხანა, მეოთხე საუკუნიდან მეცხრე საუკუნემდე – ბრძოლა ქრისტიანობასა და წარმართობას შორის, იმ დროს პრიმიტიული ეკლესიები აშენებული ყოფილა რიყის ქვით, ტალახით ან მშრალი წყობით. ყველა ეკლესია ერთიმეორისაგან ორასი მეტრითაა დაცილებული (რაღაც რელიგიური კანონზომიერება ძევს ამაში). ამავე პერიოდში, ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვების შემდეგ იმდენი ეკლესია შენდება (ცხრა ეკლესია), რომ ეჭვს გარეშეა, ესაა საეკლესიო ქალაქი.

მეორე პერიოდი, მეათე – მეთოთხმეტე საუკუნეები. ეკლესიებს ანგრევს მტერი. არეშის ცხოვრების ეს პერიოდი მტრების შემოსევების შედეგად მე-15 საუკუნეში მთავრდება.

განსაკუთრებული ყურადღება გათხრების დროს იმან მიიქცია, რომ აქ აღმოჩნდა ცხრა ეკლესია, ისტორიული მნიშვნელობის ადგ-

ილები (საყდრის ყურე, 17 ჰექტრიანი), სამაროვნები, ნასახლარები, უამრავი ისტორიული ნივთი.

არეშის სამნავიანი ბაზილიკა სპეციალისტებმა დაათარიღეს მეხუთე საუკუნით. თვითონ არეში, პროფ. ლ. ჭილაშვილის აზრით, უნდა ყოფილიყო საეპისკოპოსო ქალაქი უკვე მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში.

სწორედ ამ სოფელში აღმოაჩინეს ერთ-ერთი უმდიდრესი სამარხი, რომლის შესახებაც მკვლევარები აღნიშნავენ: "ყველაზე მნიშვნელოვანია ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც აღმოჩენილი იყო მიწის სამუშაოების დროს. 1962 წელს – 305 მონეტა, 1988 წელს – 279, ხოლო 1989 წელს – 112 ცალი. მონეტების მოჭრის ადგილებია: სამარყანდი, ქირმანი, დამასკო, ვასიტი, ბალხი, მუჰამადია, ქუფა, ნიშუპური, ანდალუზი. ყველაზე ადრინდელია სასანური დრაქმები, ყველაზე გვიანი – ჰარუნ არ-რაშიდისა (786–809). განძი დაფლული უნდა იყოს მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში" (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 138).

არეშის ტერიტორიაზე ნაპოვნი ნივთები (რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს): სპილენძის ჯვრები, ფრინველის გამოსახულებიანი ფიალები, მინის სამაჯურები, ბრინჯაოს ბალთები, ქართულწარწერიანი კრამიტები თუ სხვა უამრავი ნივთი ძველი საუკუნეებით თარიღდება და დღეს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

საყურადღებოა, რომ ჰერეთის არეშის მიხედვით ეს სიტყვა საგვარეულო სახელწოდებაში აისახა. ვხვდებით მისგან წარმოქმნილ გვარებს: არეშიშვილი, არეშიძე, არიშიანი კი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთი წარწერის მიხედვით, სამეფო მოხელეთა რანგშია დასახელებული და მსახურთუხუცესს აღნიშნავდა.

უამრავი საყურადღებო დასკვნის მიუხედავად, მკვლევარი ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს: „მუშაობის ერთი ათწლეული ასეთი ვრცელი ნაქალაქარის შესასწავლად არამც და არამც არ არის საკმარისი. არ ვკარგავ იმედს, რომ არეშის ნაქალაქარი კვლავაც გახდება შესწავლის ობიექტი და თეთრი მეცნიერული ლაქები მისი მიდამოებიდან გაქრება“ (გვ. 184). სამწუხაროდ, ეს თეთრი ლაქები ისევ არსებობს, რადგან აღარავინ დაინტერესებულა იმ ადგილების კვლავ შესწავლით, რაც ხვალ და ზეგ უკვე შეუძლებელი გახდება,

თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ რეალობას, სოფლის უძველესი ძეგლებზე დღეს არავინ ზრუნავს (მეოთხე საუკუნიდან საეპისკოპოსო ქალაქში, სადაც ცხრა ეკლესია იყო, დღეს ერთიც აღარ არსებობს) და ყველაფერი მხოლოდ ინგრევა.

– როდიდან სახლობენ აქ ლეკები?

– როგორც აღვნიშნე, სოფელი კავკასიონის მთების ძირშია გაშენებული. ქედს გადაღმა უკვე დაღესტანია და ადრე თურმე ძალიან ხშირი იყო ლეკთა თავდასხმები. ჩამოდიოდნენ და აწიოკებდნენ ქართველ მოსახლეობას. თანდათან ძირძველი ხალხის ნაცვლად აქ ლეკები დასახლდნენ. 1944 წელს ისინი აქედან ჩეჩნეთში გადაასახლეს და სოფელში, როგორც მოგახსენეთ, ქართველები – ჯავახები და კახელები ჩასახლდნენ, მოვიდნენ ოსებიც და ეს ყველანი, მცირე საფასურის გადახდის შემდეგ, ლეკთა მიერ აშენებულ სახლებში შეასახლეს. ჩემ დროს უკვე მშვიდობიანობა იყო და ლეკები სტუმრად ჩამოდიოდნენ თავიანთ ყონაღებთან, ანუ მათთან, ვინც მათ მიერ აშენებულ სახლებში ცხოვრობდნენ. მე მახსოვს კიდეც მათი სახელები: ტაღო, დუღანა, ბახრუდინი, ხადიჯათი და სხვები, რომლებიც ჩვენი და ჩვენი მეზობლების ყონაღები იყვნენ.

მალე მთისძირიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლებული ეს ლეკები თავიანთ სახლ-კარში მიბრუნებულმა ჩეჩნებმა აიძულეს წამოსულიყვნენ. ჩამოვიდნენ ჩვენს სოფელში და მოითხოვეს ისევ მთისძირში დასახლება. კარგად მახსოვს როგორ დაბანაკდნენ ჩვენი სახლის წინ, მათ მიერ აშენებულ მეჩეთში და მის ეზოში. იქ ათენებდნენ და აღამებდნენ, მოსახლეობას არ ერჩოდნენ, მაგრამ, დროდადრო ხილსა და ბოსტნეულს იპარავდნენ. მალე სამხედროები გამოგზავნეს და იძულებითი წესით უკანვე, დაღესტანში გააბრუნეს. მახსოვს, როგორ მღეროდნენ: „ჩვენ დაღესტანი არ გვინდა, ჩვენ დაღესტანი არ გვინდაო!“ ნაწილი დაიმალა, არ გაჰყვა მათ, ჯერ ტყეს შეაფარა თავი და როცა ჩაწყნარდა ვითარება, გამოვიდნენ იქიდან, მოელაპარაკნენ (ამბობენ, რაღაც საზღაურიც მისცესო) საბჭოს თავმდომარეს და ჩვენი სოფლიდან სულ ორ-სამ კილომეტრში ქოხმახები ჩადგეს. ჯერ ოთხი-ხუთი კომლი იყო, ძალიან მალე სხვებმაც ამ ხერხს მიმართეს, მომრავლდნენ და მთისძირის გვერდით ასე დაარსდა ლეკთა სოფელი თხილისწყარო, ამავე გზით რაიონში გაჩნდა ლეკთა სხვა სოფლებიც: თივი,

ჩანთლისყურე, სარუსო.

მთისძირის გარშემოც ასევე სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობდა. აღმოსავლეთით ლეკური სოფელი იყო, თხილისწყარო, დასავლეთით – ჯერ ოსური სოფელი გუჯარეთი, შემდეგ – აზერბაიჯანული სოფელი კაბალი, სამხრეთით – ოსური სოფელი არეშფერანი, ერთ მხარეს კი, ქართული სოფლები: ახალსოფელი, ჭიკაანი, გავაზი.

ყოველ კვირა დღეს ამ სოფლებისა და ასევე ახლომდებარე ქართული სოფლის მაცხოვრებლები იკრიბებოდნენ კაბლის ბაზარზე (სოფელ ბაისუბანთან იყო და სახელი კი ასეთი ჰქონდა, ვფიქრობ, მდინარის გამო) და იქ იყო გაცხოველებული ვაჭრობა. ერთმანეთში ირეოდა ქართველი, აზერბაიჯანელი, ოსი, ლეკი, რუსი და ათასი სხვა ეროვნების ადამიანი. რასაკვირველია, ზოგჯერ ბავშვებსაც გვერგებოდა ხოლმა სიამოვნება „ცხენის ტაჭკით“ ბაზარში გასეირნებისა. არ მახსოვს ასეთ ჭრელ ბაზარში რაიმე ჩხუბისმაგვარიც კი. ამ ბაზარზეც უნდა გითხრათ: ყველას თავისი ნაჭირნახულევი გამოჰქონდა დაუუფრო მეტად, კაბლელ თათრებს. ძალიან მშრომელი ხალხია და რა აღარ მოჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ ყველანი მრავალშვილიანები იყვნენ, ბაზარში მწვანილი, ბოსტნეული (დღეს თბილისსაც კი ამარაგებენ ცნობილი კაბლის კიტრითა და პამიდვრით, არადა ერთი ჩვეულებრივი სოფელი იყო ჩემს დროს, არც ისე დიდი), ქათამი, ყველი, ხაჭო (კალტი, მათებურად), ხახვისა თუ ნივრის გრძლადდაწნული (ლამაზი) გალები. მოკლედ, ღორის ხორცის, ღვინისა და არყის გარდა ყველაფერს ისინი ყიდდნენ. თან ბევრ მათგანს ზურგზე შალში ან დიდ ნაჭერში გამოკრული ბავშვი ეკიდა, რომელსაც მხოლოდ თავი მოუჩანდა. იქვე დარბოდნენ მათი უკვე ცოტა მოზრდილი ოთხი, ხუთი, ექვსი წლის ბავშვები, რომლებიც თავისზე დიდი თუნგებით წყალს დაარბენინებდნენ და მთელი ხმით გაჰკიოდნენ, წყალიი, წყალიი! არ მახსოვს (უფრო ახლოს ქართული სოფლები იყო) ან ქართველის, ოსისა თუ სხვა ეროვნების ბავშვს იქ ამდაგვარი რამ გაეკეთებინა. არადა მე იმდენი გაჭირვებული ქართველი დაშოსი ვიცოდი ჩემს სოფელში, რომლებსაც შრატიც არ ჰქონდათ, რომ ბავშვებისათვის დაელევინებინათ, აღარაფერს ვამბობ პურზე. ამიტომ იყო, რომ მალე აზერბაიჯანელებმა მშვენიერი სახლები წამოჭიმეს და გამრავლდნენ. სხვა სოფლები

კი სანახევროდ დაიცალა. ის თითო-ოროლა ბავშვიც, რომელიც აქ გაიზარდა, ქალაქისაკენ გაემართა და შეეძლო თუ არ შეეძლო, უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა. ზოგიერთმა, სოფლის სამუშაო აღარ იკადრა, მიწას მოსწყდა და ქალაქშიც ვერაფერს მოეკიდა, ანუ გაუსაქმურდა. მშობლები წელებზე ფეხს იდგამდნენ და რაც მოჰყავდათ, მათ უგზავნიდნენ სარჩენად. აქვე უნდა ვთქვა, რომ აზერბაიჯანელებიც გზავნიდნენ სასწავლებლად შვილებს, ძირითადად ბაქოში ან რუსეთის სხვა ქალაქებში, მხოლოდ მარტო მათ, რომლებიც მართლა სწავლობდნენ. მართალია, არც ისინი ბრუნდებოდნენ უკან, თითო-ოროლას გარდა (ექიმები, მასწავლებლები, სოფლის ხელმძღვანელი და სხვა, მათ თავიანთი ჰყავდათ ყოველთვის), მაგრამ მათ სხვა შვილებიც ბლომად ჰყავდათ, ასე რომ, აქ სოფელი არა თუ არ დაცლილა, არამედ გაიზარდა. მე ამას იმიტომ კი არ ვამბობ, თითქოს მათი მეხარბებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ამაში მისაბაძს ვხედავ და ვინმეს იქნებ მათი მრავალშვილიანობა კარგ მაგალითადაც გამოადგეს ცხოვრებაში.

ისე, ერთი რამეც შემიმჩნევია ამ სოფელში: სახლებთან, გზის პირას გაკეთებულ გრძელ სკამებზე მხოლოდ მამაკაცები ისხდნენ: კრიალოსანს მარცვლიდნენ, ბოსტნეულიც ქალებს მოჰყავდათ, ბაზარშიც მხოლოდ ქალები ვაჭრობდნენ, ბავშვებიც მათ ეკიდათ ზურგზე.

– რას იტყვით თქვენს ოჯახზე?

– ჩემი მშობლები ძალიან მშრომელი ხალხი იყო. ამიტომაც იყო, რომ ჩვენს მრავალშვილიან ოჯახს არასოდეს გასჭირვებია. მათი წყალობით ჩვენ არც ჩასაცმელი გვაკლდა და საჭმელ-სასმელიც ყოველთვის ბლომად გვქონდა. მე მათი ლოგინი გაშლილი არ მინახავს. დავწვებოდით, ისინი ისევ საქმიანობდნენ, ავდგებოდით, ისინი უკვე ბაღჩა-ბაღში მუშაობდნენ. დილაუთენია ფეხზე იყვნენ და საქმიანობდნენ და საღამოს გვიანღა იძინებდნენ.

დედაჩემი დიდი წიგნიერი ქალი იყო. არა მარტო ქართული ლიტერატურა, საზღვარგარეთის ლიტერატურაც არაჩვეულებრივად იცოდა. საერთოდ, რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, საღამოს აუცილებლად წიგნს, გაზეთს ან ჟურნალს კითხულობდა, მამა საყვედურობდა, ხომ დაიღალე, ახლა მაინც დაისვენეო. ის კი პასუხობდა, რა გინდა, კაცო, მე ასე ვისვენებო. დღემდე (85 წლის

ქალი) წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვით იბრუნებს ათასი უბედურებით გადაქანცულ სულს.

ბავშვებს (ექვსი და-ძმა ვიყავით) სანამ სკოლაში მივიდოდით, მანამდე გვასწავლიდა წერა-კითხვასა და ანგარიშს. ყველას გვქონდა მომარაგებული წიგნები თუ სასკოლო ნივთები სკოლაში მისვლამდე. გამონერილი გვქონდა საბავშვო ჟურნალ-გაზეთები. მახსოვს, როგორი დიდი სიხარულით ვხვდებოდით ჟურნალ „დილას“, მერე კი „ნორჩი ლენინელისა“ თუ „პიონერის“ მოსვლას. ჩვენთვის ეს დღესასწაული იყო. ერთმანეთს არ ვაცლიდით კითხვას მე და ჩემი და-ძმები. სკოლაში მისვლამდე ლექსებსა და მოთხრობებს სწორედ აქედან ვსწავლობდით.

ჩემი უფროსი და რომ წავიდა სკოლაში, გული დამწყდა, რომ მე სკოლაში არ დავდიოდი. ასე გავიდა ერთი წელი. მომდევნო წლის 1 სექტემბერს (6 წლისა ვიყავი და სკოლაში მხოლოდ 7 წლისებს იღებდნენ) ავიღე ჩანთა და სკოლაში გავყევი ჩემს დას. რა თქმა უნდა, უარი მითხრეს. მე მაინც ყოველ დილით ადრიანად ვდგებოდი, გავემზადებოდი და ჩანთით სკოლაში გავრბოდი. არც გაკვეთილს არავინ მეკითხებოდა, არც სიაში ვეწერე. ერთ დღესაც დირექტორი, უმკაცრესი და უაღრესად პრინციპული ადამიანი – გივი ღლონტი (რომელიც შემდეგ ყვარლის III საშუალო სკოლის დირექტორი იყო ათწლეულების განმავლობაში) დაგვესწრო გაკვეთილზე (მაშინ ეს ძალიან მოდაში იყო). მასწავლებელმა გაიძახა დაფასთან თავისი სანაქებო ბავშვები. უპასუხეს, შეაქეს და დასხეს. უცბად დირექტორმა მე ამაყენა ფეხზე და რამდენიმე კითხვა დამისვა. თურმე შეუმჩნევია, მასწავლებელი კითხვას რომ დასვამს, მე ტუჩების ცმაცუნით პასუხს ვამბობ. ხელს კი არ ვეწევი, ჩემი აზრით, არა მაქვს უფლება, რადგან არასრულფასოვანი წევრი ვარ, არავინ მეკითხება. მერე წამაკითხა და თქვა, ეს ბავშვი რა სხაპასხუპით (ეს სიტყვა ჩემთვის უცხო იყო და დამამახსოვრდა) კითხულობსო. (რა თქმა უნდა, სხვები აქ გაეცნენ ანბანს პირველად და მე ჯერ კიდევ სახლში მასწავლა დედაჩემმა ასოები და მერე ჩემი და რომ სწავლობდა გაკვეთილებს, მეც ვსწავლობდი და ეს პროგრამა ზეპირად ვიცოდი). – აი, ეგ ბავშვია, რომ გეხვეწებოდით, მივიღოთ პირველ კლასშიო, – უთხრა შემდგომში ჩემმა პირველმა მასწავლებელმა თამარა ჩიტაშვილმა. თვითონ დირექ-

ტორმა (სულიკო ღლონტმა) მიშუამდგომლა განათლების განყოფილებაში და როგორც გამონაკლისი, 6 წლისა სკოლაში მიმიღეს (ამიტომ იყო, რომ კლასშიც და კურსზეც ყველაზე პატარა ვიყავი). ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მას მერე წინა მერხს არ მოვცილებივარ და შვიდი კლასი ჩემს სოფელში ფრიადებზე დავამთავრე. მაშინ კლასში დატოვება მოდაში იყო. ზოგი სამჯერ და მეტჯერ ერთ კლასში რჩებოდა, მათ „ბებიებს" და „პაპებს" ვეძახდით. ზოგიერთი ვაჟი მეექვსე კლასიდან სამხედრო სამსახურში მიჰყავდათ, ზოგი გოგო კი ისე მწიფდებოდა გასათხოვრად, რომ მეექვსე-მეშვიდე კლასიდან ათხოვებდნენ.

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, საერთო საქმიანობაში ჩვენც ჩაგვრთეს. მამაჩემის სიტყვები მახსოვს: თუ კითხულობ, წაიკითხე (ტაბუ გედო), თუ არა, მაშინ საქმე გააკეთეო. საქმეს კი რა გამოლევდა, ხან ღორები იყო მოსამწყემსი, ხან ვაზი იყო გასაფურჩქნი, ხან რა და ხან რა (რაშიც მე მაინცადამაინც მარჯვე არ ვიყავი, ამეებში უფრო მეტად უფროსმა ცირამ და უმცროსმა ციალამ ივარგეს, მე „თეთრხელება მუშას" მეძახდნენ), რომლებიც ასევე ფრიადებზე სწავლობდნენ. მე მერჩია ბიბლიოთეკიდან დედაჩემის გამოტანილი წიგნი მომეფარებინა (რადგან მიაჩნდათ, ის საბავშვო წასაკითხი არ იყო, რაც კიდევ უფრო მიზიდავდა) და ის წამეკითხა. აქვე უნდა ვთქვა, რომ მე და ჩემი და-ძმების სურათები, მიუხედავად იმისა, რომ „შრომის ფერხულში აქტიურად ვიყავით ჩაბმულნი," მთისძირის შვიდწლიანი სკოლის ფრიადოსნებისთვის განკუთვნილ დაფაზე იყო გამოკრული.

მამაჩემის „ტაბუ" მხოლოდ სკოლის პერიოდში ჭრიდა. ზაფხულში იწყებოდა ნამდვილი შრომითი სემესტრი. იქ ნამკალში დაბნეული ხორბალი უნდა გვეკრიფა სათითაო მარცვლებად, ან მამას მოთიბული ბალახი უნდა აგვექუჩებინა, მაყვალი მოგვეკრიფა, მშობლებთან ერთად რკოს საკრეფად წავსულიყავით ტყეში და რა ჩამოთვლის რამდენი საქმე იყო გასაკეთებელი. მამაჩემი უსაქმურობას ვერ იტანდა და ყოველთვის ცდილობდა შვილები შრომას მიეჩვია (მაშინ რა მოგახსენოთ, მაგრამ ახლა ძალზე მადლობლები ვართ მამაჩემის ინდივიდუალური პედაგოგიური მეთოდისა). მერე ამბობდა ხოლმე, თქვენ რომ არ დამხმარებოდით, რა მეშველებოდაო. მე ასე ვფიქრობ, მამაჩემის შრომისმოყვარეობა და დედაჩე-

მის გონიერება (რასაც მამა ძალიან აფასებდა და მის უკითხავად არაფერს აკეთებდა) ისე კარგად შეერწყა ერთმანეთს, რომ ოჯახი ფეხზე ძლიერად იდგა. ჩვენ უამრავი საქონელი გვყავდა. ძროხები, კამეჩები, ცხენი (ყოველთვის საუკეთესო, საერთოდ, ცუდ საქონელს მამაჩემი ეზოში არ შემოიყვანდა), ღორები, ცხვრები და თხებიც კი. გვყავდა ასევე უამრავი ფრინველი, ციცარიც კი.

მეურნეობაც ძლიერი გვქონდა. სათბურს აკეთებდნენ, რომ საადრეო კიტრი და პომიდორი ჰქონოდა ოჯახს. უზარმაზარი ვენახი გვქონდა და ყოველთვის თავის დროზე მოვლილი. ჩემი მშობლები არ დაიძინებდნენ და საქმეს კი არ ჩამოარჩენდნენ. მარანი სავსე იყო მურაბებით, ჯემებით, საწებლებით, კომპოტებით, ხილითა თუ ნაირ-ნაირი მწნილებით... ხის კასრები ყველით, ემალის ვედრები ცხიმით და ა. შ. ასევე სავსე იყო ხილით სახლის სხვენი.

მამაჩემი ცოტა ფიცხი ბუნების კაცი იყო, მაგრამ არც ერთხელ არც ერთი შვილი არ უცემია. დაყვირება კი იცოდა, მხოლოდ არა უსაფუძვლო. მცონარობას ვერ იტანდა და შემოგვიძახებდა ხოლმე. შამაგიეროდ, მოფერება იცოდა არაჩვეულებრივი. შემოგვისხამდა შვილებს და გვკოცნიდა (დედაჩემისაგან განსხვავებით, რომელიც არასოდეს არ გვკოცნიდა), გვეფერებოდა, გვამღერებდა. პატარაობაში მახსოვს ასეთი სიმღერით გვართობდა:

"ბუბლი, ბუბლი, ბუბლალასა,
ქადამ შავეს?
ნა ქუსჯიტამ ყიბილ ხასსინ."

მერე მისამღერი ჰქონდა ამ ოსურ ხალხურ სიმღერას.

მამა ხან ოსურ სიმღერებს გვასწავლიდა („ოი ჩიზგაი", „აისაი ანაზაი", ხან – ქართულს („მინდორში, ბალახბულახში" „ტირიან თუშის ქალები", „თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ", „შენ, ბიჭო, ანაგურელო", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", „ჩაუხტეთ ბარათაშვილსა" და სხვა მრავალი).

თვითონ არაჩვეულებრივი ბანი ჰქონდა და ჩვენც გვასწავლიდა. ჩვენს ოჯახს საკუთარი სიმღერაც ჰქონდა (დღემდე ჩვენი ოჯახის ჰიმნს ვეძახით), რომელსაც თავშეყრის დროს ყველა ერთად ვმღეროდით (პირველ ხმას ცირა ამბობდა (ბავშვებში ყველაზე კარგი ხმა ჰქონდა), ბანს - მამა, დანარჩენები – მეორეს, დედა არ მღეროდა, ეტყობა გადაქანცულს არც ემღერებოდა, თორემ ხმა

კარგი ჰქონდა და გიტარაზეც იცოდა დაკვრა. აი, ეს სიმღერაც:

„გავხედავ ველებს, ვერ სწვდება თვალი,
ზოგან ვაკეა, ზოგან მთიანი,
ვერსად ვერ ნახავთ ისეთ ქვეყანას,
როგორიც ჩვენი სამშობლო არის“...

ჩემთვის და ჩემი და-ძმებისათვის ბავშვობა იყო შრომა-სწავლაში გატარებული დრო, რომელსაც მხიარულება ახლდა თან. ერთმანეთთან არასდროს არ გვიჩხუბია და დღემდე ერთმანეთის მიმართ სიყვარული და მოკრძალება გვაქვს.

– თქვენს სოფელში ადრე მხოლოდ შვიდწლიანი სკოლა იყო, სწავლა სად გააგრძელეთ?

– ჩემი სოფლის 7-წლიანი სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად ზნაურის რაიონში, სოფელ ბალთაში ჩამიყვანეს. ბალთაც ისტორიული ქართული სოფელია, საქართველოს ისტორიაში აღნიშნულია, რომ იქ იყო ერთ-ერთი უძველესი ნამოსახლარი და ჩანს, უძველესი ხანის ადამიანებით ყოფილა დასახლებული (იხ. საქართველოს ისტორიის VIII-IX კლასის სასკოლო სახელმძღვანელო).

ბალთა ულამაზესი სოფელია. მას მდინარე ფრონე ჩამოუდის და შუაზე ჰყოფს (ფალლაგყავი – ზედასოფელი და დალლაგყავი – ქვედასოფელი, ანუ ლაშე ბალთა). ეს მდინარე ჩემს ბავშვობაში ათასგვარი თევზით იყო სავსე და როგორც ჩასულ ახლობელს, ვინც კი იჭერდა, ყველა გვიგზავნიდა და ახლაც მახსოვს იმ მდინარის თევზის გემო, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ ბადით ან ხელით იჭერდნენ.

ლაშე ბალთაში (მდინარე მარილიანი იყო და ალბათ, მლაშე ბალთა ერქმეოდა) უმეტესად ბებიევები ცხოვრობდნენ და ოსთა წესის მიხედვით, ყველანი და-ძმებად მიიჩნეოდნენ. ამიტომ მე როცა იქ ჩამიყვანეს, ვერ აგიწერთ, როგორი თბილი გარემო დამხვდა. მთისძირში, სადაც მე დავიბადე, ნათესავიც არავინ გვყავდა. მამაჩემს კახეთში მხოლოდ ერთი მოხუცი მამიდა ჰყავდა, ისიც სხვა სოფელში. დედას ერთი და ჰყავდა, სოფელ გავაზში იყო გათხოვილი. მოკლედ, ამ მხრივ მართლაც ეულად ვგრძნობდით თავს, იქ ალალი ბიძაშვილი კი არა, მოგვარეც კი არ გვყავდა.

ბალთაში სულ სხვა ვითარება იყო, ყველა ზრუნავდა ჩემზე,

რადგან ყველა თვლიდა, რომ ან და იყო ჩემი, ან – ძმა, ან – ბიძა და ა. შ. ახლაც მენატრება ის გარემო და რომ მკითხონ, სად გინდა წასვლაო, არც ერთ ქვეყანას არ ვინატრებ, ბალთაში მინდა ჩასვლა და იმ თბილი, განუმეორებელი ხიბლით აღვსილი დღეების გახსენება, როცა წინსაფარში გამოხვეული თეთრი პურის ნატეხი ბაგიანს მოჰქონდა ჩემთან და ხაჭაპურისა – ჯანიანს (ეს ქალები ბეპიევების ცოლები კი იყვნენ, მაგრამ ოსებში ქალს თავისი გვარის მიხედვით მიმართავდნენ. ბებიაჩემი, მაგალითად, მაიკო ქოზიანი (ქოზაევი) იყო).

ჩვენი სახლი ბალთაში მდინარის პირას, ოდნავ მომაღლო ადგილზე იდგა. მდინარის ხმაური, განსაკუთრებით ღამე, არაჩვეულებრივად ისმოდა. სახლი ორსართულიანი იყო და რაკი მაღლობზე იყო წამომართული, იქიდან ულამაზესი ხედი იშლებოდა, სახლის ქვედა სართული ქვითკირისა იყო, ზედა – ხისა. ჰქონდა ხისავე გრძელი აივანი, რომელსაც რიკულებიანი ხის მოაჯირი ამშვენებდა. სახლს უკან ჰქონდა მარანი, ქვევრებით. გვერდით საქონლის სადგომი. ეზოში თუთის უზარმაზარი ხე გვედგა. ვენახი (თუ ამას ვენახი ერქვა კახურთან შედარებით), ანუ ორმოცდაათიოდე ძირი ჭიგოზე აკრული ვაზი, ქვემოთ, ჭალაში გვქონდა. იქვე იყო პატარა საბოსტნეც. სოფელი მცირემიწიანი იყო და მთისძირთან შედარებით, ნაკვეთი საეზოეს ტოლად მეჩვენებოდა. აქ ვერც ბოსტნეული მოჰყავდათ (კიტრი, პამიდორი), ვერც ყურძნით (მხოლოდ შავი ყურძენი გვედგა) დაიკვეხნიდნენ, ვერ ასწრებდა დამწიფებას, აცივდებოდა ხოლმე. ხილი კი გემრიელი იყო.

შამაგიეროდ, საქონლის გასადევარი კარგი ჰქონდათ. მოწველიდნენ თუ არა საქონელს, შერეკავდნენ იქვე, ტყეში და საღამომდე მიკითხებაც არ უნდოდა. საღამოს კი აუცილებლად უნდა მოერეკათ, თორემ ნადირი დაგლეჯდა (ღამღამობით მგლისა და ტურის ხმა, განსაკუთრებით ზამთარში, გარკვევით ისმოდა).

ასე რომ, აქ ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. ოთხიხუთი მეწველი აქ ყველას ჰყავდა. აკეთებდნენ ყველს, დღვებდნენ კარაქს, რძეს მოუყრიდნენ თავს, შემდეგ ჩაასხამდნენ ხის სადღვებელაში, დაჯდებოდა მაიკო ბებია და საათობით უნდებოდა დღვებას. მისი შეჩერება არ შეიძლებოდა, რომ არ „გაბუტულიყო" რძე და ნაკლები კარაქი არ მოეგდო. ოსურ საწესჩვეულებო პოეზიაში

ამ დროისათვის სპეციალური მისამღერიც არის შემორჩენილი, აი, ეს ლექსიც:

„კარაქის დღეების დროს ნამღერი“
„იქეც ერბოდ,
იქეც ერბო-კარაქად
და ამოდი ჩემი თავისხელა.
იქეც ერბოდ,
იქეც ერბო-კარაქად,
ერბო დადნეს –
გააოცოს ყველა!“[24]

კარაქს რომ შედღვებდნენ, ერბოდ გადაადნობდნენ. დოს კი (რაც რძის შედღვების შემდეგ რჩებოდა) მიირთმევდნენ (ესაა მომჟავო გემოს მქონე), ამ დროს აუცილებლად აკეთებდნენ შარვახსიდს. შარვახსიდი ერბოსა და ფქვილისაგან მზადდება. ამას ოსურ ეროვნულ კერძს ეძახიან: ერბოს მოადუღებენ, მოუკიდებენ ფქვილს და ადუღებენ ცეცხლზე. მან ცხიმი უნდა მოიგდოს და მოფაფავდეს. ადუღდება და ცოტა ხანში საჭმელი მზადაა.

ოსური ნაციონალური კერძია ჯიკკაც (იგივე ძიქკა, ქართულად – ელარჯი). მთლად ახლად ამოყვანილ ყველს სპილენძის ქვაბში მოათავსებდნენ და ცეცხლზე შემოდგამდნენ. განუწყვეტლივ ურევდნენ და ძალიან გემრიელი და ნოყიერი საჭმელი მზადდებოდა. ერთ-ერთი უძველესი ოსური ხალხური ლექსის მიხედვით ძიქკას გაკეთების დროს რიტუალიც სრულდებოდა და მას უმღეროდნენ კიდეც, რომ ცხიმიანი და გემრიელი გამოსულიყო:

„ძიქკას სიმღერა“
„ციდაიონი ძიქკას ხარშავს,
ვერ ველირსეთ ცხიმის გაშლას,
წვიმა მოდის აქაც, იქაც,
ცხიმს არ იგდებს ჩვენი ძიქკა!
ჩვენო ძიქკა, მოფაფავდი!

[24] ლექსი თარგმნა ნაირა ბეპიევმა, იხ. “ოსური ფოლკლორი”, თბ., 2002.

გარეთ ისევ წვიმს,
ფაფავდება ჩვენი ძიქკა
და იკეთებს ცხიმს!"[25]

როგორც ვთქვი, ბალთაში მეწველი თითქმის ყველას ჰყავდა, მაგრამ ხალხი მაინც ღარიბულად ცხოვრობდა. ვერ მოჰყავდათ ბოსტნეული, ხილი ცოტა ჰქონდათ. ბაზარი არ იყო ახლოს – რაიონში უნდა წასულიყვნენ და საერთოდ, ხალხს ფული არ ჰქონდა, ძალიან უჭირდათ, ისევე როგორც ყველა მთაში მცხოვრებთ. ერთადერთი ხელს იმითი ინაცვლებდნენ, რომ შემოდგომობით ტყეში უამრავი ჯონჯოლი იყო და ვისაც შეეძლო, იმას კრეფდა, ხის კასრებში ამწნილებდა, გაზაფხულზე გამოჩნდებოდა მუშტარი და მიჰყიდდა.

ამ სოფელში ცხოვრობდნენ მამაჩემის მშობლები და ჩემი მამიდები, ერთი გათხოვილი იყო ქართველზე (გულიკაშვილზე), სოფელ ატოცში. მეორე – ოსზე (ბაგაევზე) ფიჭიჯინში. მე ბებიასთან და პაპასთან ვცხოვრობდი მდინარის გაღმა მხარეს. აქვე უნდა ვთქვა, რომ ბებიამ და პაპამ ქართული შესანიშნავად იცოდნენ, განსაკუთრებით პაპაჩემმა, რომელიც ლექსებსაც თხზავდა ქართულ ენაზე. მას აქცენტიც კი არ ჩქონდა, ისეთი გამართული ქართულით საუბრობდა. პაპას კარგად ესმოდა სწავლის ფასი და ყველა შვილიშვილს უჩიჩინებდა, ისწავლეთო. „ისწავლეთ, გენაცვალეთ, უსწავლელი კაცი ბრმაა, ყრუ და მუნჯიო", – ხშირად იცოდა სიტყვა „გენაცვალეს" ხმარება. ამის გამო „გენაცვასაც" ეძახოდნენ ზედმეტ სახელად. იგი ხშირად მიყვებოდა ოსურ ზღაპრებს, მითებს, ლეგენდებს (ახლა ძალიან ვნანობ, რომ არ ჩავიწერე, თუმცა ზოგიერთი კარგად მახსოვს და მსგავსი სიუჟეტი არც ნართების ეპოსში წამიკითხავს და არც სხვა ზღაპრებში), მეტყოდა ხოლმე, ეს ჩემი გამოგონილია,. გენაცვაო. ერთი პატარა გლექსის ნაწყვეტი (მისი შეთხზული) ასეთი იყო:

„ჩვენი საბძელი,
ვიწრო და გძელი
რამოდენ რამეს იტევს,

[25] ლექსი თარგმნა ნაირა ბეპიევმა, იხ. "ოსური ფოლკლორი", თბ., 2002.

ადამიანის გულიც ასევე
რამოდენ რამეს ითმენს“.

ასევე მახსოვს მის მიერ მოყოლილი ზოგიერთი ზღაპარი თუ ლეგენდა, რომლითაც ახლა თავს არ შეგაწყენთ.

მახსოვს, სწავლის გასაგრძელებლად რომ ჩამიყვანეს, მითხრა, თუ შენ მასახელებ და ხუთიანებზე ისწავლი, საათს გიყიდიო. არც რვეულსა და კალამს მაკლებდა, არც რომელიმე სასკოლო ნივთს. თუმცა უკვე მოხუცი იყო, აინტერესებდა, რა ეწერა წიგნში და „ვეფხისტყაოსანს“ რომ ვსწავლობდი (მაშინ მერვე კლასში ისწავლებოდა), ხმამაღლა მაკითხებდა. საზეპიროები მანაც ბევრი ისწავლა ჩემთან ერთად. მე ხმამაღლა კითხვა არ მიყვარდა და ქართულს საგანგებოდ ღამე ვსწავლობდი, რომ ჩუმად მეკითხა.

მერვე კლასი ფრიადებზე დავამთავრე, პაპაჩემმა დანაპირები შეასრულა და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ჯერ „ზვეზდა“ საათი მომიტანეს და შემდეგ, რომ არ მომეწონა – მაღალშუშიანი „ზარია“, რომელიც ახალი გამოსული იყო. ეს იყო კარგად სწავლისთვის მირებული პირველი ჯილდო. სიხარულით მეცხრე ცაზე ვიყავი, მახსოვს, გრძელმკლავებიანი კაბის სახელოს საგანგებოდ ავიწევდი ხოლმე, რომ დაენახათ, რა ბრჭყვიალა საათი მეკეთა!..

სკოლა გამოლმა იყო და მდინარეზე გადებულ ხის ვიწრო ხიდზე სულ კანკალით გავდიოდი ხოლმე. იქაურები მიჩვეულები იყვნენ და აკრობატებივით სწრაფ-სწრაფად გადარბოდნენ. ზედ რომ თოვლი დაეყინებოდა ხომ გავლა შეუძლებელი იყო. ხშირად ხიდი ადიდებულ წყალს მიჰქონდა და ჩვენ მხოლოდ ურმით შეგვეძლო გასვლა. ხან ასეთი ურემიც არ იყო და ბუხართან მჯდარი ვტიროდი ხოლმე, რომ სკოლას ვაცდენდი.

ბალთის საშუალო სკოლაში ერთი წელი ვსწავლობდი. ეს იყო ქართულ-რუსულ-ოსური სკოლა. მე ქართულ სექტორზე ვსწავლობდი, სადაც ძირითადად, ქართველი ბავშვები სწავლობდნენ: ქალეთიდან – გოგოლაძეები, ტეფნაძეები, ჭვრინისიდან – ხარაზიშვილები, ატოციდან – გულიკაშვილები და სხვ. მათი სახლიდან სკოლამდე თითქმის კილომეტრზე მეტი მანძილი იყო. განსაკუთრებით ზამთარში უჭირდათ სიარული.

სკოლის დირექტორი იყო სლავა მაღრაძე. კლასის დამრიგე-

ბელი და მათემატიკის მასწავლებელი გვყავდა ნარიზა მაჭარაძე. ისტორიას გვასწავლიდა ვასო ნადირაძე, ქართულს – სონია ბეგიაშვილი, რომელიც ოსის (ასევე პედაგოგისა და არაჩვეულებრივი პიროვნების) რამანა თადტაევის მეუღლე იყო (ესენი სოფელ მეტეხიდან, 2 კმ-ის მანძილიდან ფეხით დადიოდნენ ყოველდღე ჩვენს სკოლაში).

დაწვრილებით ვყვები, რათა ცხადი გახდეს, რომ აქაც ქართულ-ოსურ გარემოში ვტრიალებდი და გითხრათ ისიც, რომ არც აქ მიგრძვნია, რომ ამ ორ ერს შორის რაიმე განსხვავება იყო. მე ბავშვობა ისე გავატარე, ხუმრობით და მოფერებით თუ მეტყოდნენ ხოლმე, აი, შე ქართველოო, ოსები, თორემ სხვაგვარი დამოკიდებულება არასოდეს არც ერთი მხრიდან არ მიგრძვნია.

მერვე კლასს რომ ვამთავრებდი, ბებია გარდამეცვალა და მომიხდა იქიდან წამოსვლა. სკოლაში საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი და საბუთებს არ მაძლევდნენ, არ უნდოდათ ჩემი გამოშვება.

სწავლა მეორე ბებია-პაპის სოფელში გავაგრძელე, სოფელ შილდაში. შემდეგ უფრო ახლო სოფელში, ახალსოფელში დავდიოდი. ეს სოფელი 7 კმ-ის მანძილზეა ჩემი სოფლიდან და მე და ერთი ჩემი თანასოფლელი, თანაკლასელი, ოთარ კალაიჯიშვილი, ყოველდღე ავტობუსით ამ მანძილს გავდიოდით, ზოგჯერ, თუ ავტობუსი არ იყო, ფეხითაც გვიხდებოდა სიარული და დილის 7 საათზე გასულები საღამოს 7-ზე ძლივს მოვლასლასებდით სახლებში. ეს ძალიან მიშლიდა ხელს სწავლაში, ბევრჯერ გაკვეთილების მომზადებას ხეირიანად ვერც კი ვასწრებდი.

ასე მონაცვლეობით მიხდებოდა ცხოვრება, ხან ოსურ და ხან ქართულ გარემოცვაში. ამიტომაცაა, რომ ამ ორი ხალხის სიყვარული ბავშვობიდან ასე ძალუმად შევისისხლხორცე. მე უბრალოდ შერეული ოჯახის წარმომადგენელი კი არა ვარ, ამ ორი ერის გარემოცვაში ვტრიალებდი მთელი ცხოვრება, სკოლაში ხან ყვარლის რაიონში ვსწავლობდი, ხან ზნაურის რაიონში. ინსტიტუტი – ცხინვალში დავამთავრე წარჩინებით, ასპირანტურა თბილისში. ასე რომ, ხან ოსებთან მიხდებოდა ცხოვრება, ხან – ქართველებთან.

– თქვენი სტუდენტობის წლებს როგორ გაიხსენებდით?

– 1965 წელს დავამთავრე ახალსოფლის საშუალო სკოლა.

მისაღები გამოცდები იმავე წლის აგვისტოში ჩავაბარე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჩემი უფროსი და, ცირა, უკვე იქ სწავლობდა, მათემატიკის ფაკულტეტზე. ოჯახს რომ გაადვილებოდა ჩვენი შენახვა, ამიტომ გადაწყდა, მეც იქ გამეგრძელებინა სწავლა. მისაღები გამოცდების პროგრამა ვიშოვე ვაი-ნვალებით, ჩავუჯექი და დამოუკიდებლად დავიწყე მომზადება. დღესა და ღამეს ვათენებდი. მაშინ უკვე ერთი-ორი ლექსი სკოლაში დაწერილი მქონდა და, ბუნებრივია, ფილოლოგიურზე მინდოდა სწავლის გაგრძელება.

მეთერთმეტე კლასში რომ ვიყავი, გადაწყდა, ათი კლასი ყოფილიყო დამამთავრებელი და ორი გამოშვება ერთად მიაწყდა უშაღლესი სასწავლებლის კარს. 320 აბიტურიენტი აბარებდა 20 ადგილზე. არ მავიწყდება ის დღე, როცა ზეპირი გამოცდა გვქონდა ქართულში (წერა პირველი იყო, მაგრამ ნიშნები ზეპირზე უნდა გამოეცხადებინათ). მე დილით ავტობუსს უნდა დავხვედროდი, რომ ჩანთა, რომლითაც მშობლებმა საჭმელი გამომიგზავნეს, მიმეღო (მაშინ ფული იმდენი სად ჰქონდა ჩემს მრავალშვილიან ოჯახს, რომ ჩვენთვის ეგზავნათ და მთისძირიდან ცხინვალში უმეტესად გვიგზავნიდნენ საჭმელს, პროდუქტს და ხან – შეშასაც). დამაგვიანდა გამოცდაზე. სხვები შენობაში უკვე ათი-თხუთმეტი წუთის შესულები იყვნენ. გავუწოდე ჩემი პასპორტი (ჯერ საგამოცდო არ მქონდა), კარებთან მდგომს და ვთხოვე, შევეშვი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა მითხრა, შენ გეძებდნენ, გელოდებოდნენო. გამიკვირდა, მე ხომ არავინ მიცნობდა იქ. თურმე იმ სამას ოცი ბავშვიდან შვიდს მიელო მაღალი შეფასება და ერთ-ერთი მათგანი ვიყავი და საგანგებოდ იმიტომ მელოდებოდნენ.

გულისხეთქებით ავედი მეორე სართულზე. შეჯგუფულთაგან გამოცდაზე გასვლას ვერავინ ბედავდა და მთელი ბავშვები, როგორც კი გამოაცხადებდნენ, შემოდითო, სადღაც დერეფნის ბოლოში იკუნჭებოდნენ. მე ვთქვი, მე გამოვალ პირველი, თუ შეიძლება-მეთქი და პირველი შევედი (ამითი იმისი თქმა კი არ მინდა, რომ მე გამბედავი ვარ, პირიქით, საერთოდ, ძალიან მშიშარა ვარ. უბრალოდ, ვფიქრობდი, რაც იქნება, იქნება, ჯობია, დროზე გავიგო, რაც მოხდება), საპასუხოდაც მოუფიქრებლად გავედი და აქაც მაღალი ნიშანი დავიმსახურე. შემდეგ ყველა ამბობდა, იმითი დაგ-

ვამახსოვრდი, პირველი რომ გაბვედი და კიდევ იმითი, რომ შუა პაპანაქება სიცხეში, აგვისტოში, შალის, ყელამდე შეკრული მუქი ფერის (ჩემი უფროსი დის) გრძელსახელოებიანი კაბა გეცვაო...

ინსტიტუტის რექტორი იყო პავლე დოგუზოვი. მისი დიდი კრძალვა გვქონდა ყველას, სტუდენტსაც და პროფესორ მასწავლებელსაც. პრორექტორი იყო გიორგი ჯიოევი, დიანოზოვიჩი. არაჩვეულებრივი პიროვნება, ასევე, მოგვიანებით, ჩვენი პრორექტორი იყო ლუდვიგ ჩიბიროვი, რომელიც ძალიან განონასწორებული, უაღრესად კეთილად განწყობილი პიროვნება იყო ყველას მიმართ და ძალიან გვიყვარდა. ისე თავდახრით მოგვესალმებოდა ხოლმე სტუდენტებს, თავს პროფესორად გვაგრძნობინებდა (მერე, როცა მის შრომებს გავეცანი, მივხვდი ეთნოგრაფს, ხალხის კულტურაზე, წეს-ჩვეულებებზე და ტრადიციებზე მოფიქრალს, უამრავი შრომის ავტორს ამ დარგში, ყველა ადამიანის მიმართ დიდი სიყვარული ჰქონდა).

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა მაშინ დაკომპლექტებული იყო თბილისიდან ჩასული კადრებით. ჩვენ გვზრდიდნენ არაჩვეულებრივი სპეციალისტები. კათედრის გამგე იყო დოცენტი ოთარ ქაჯაია, შემდეგ პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი. გვასწავლიდნენ პროფ. რაფიელ შამელაშვილი, დოცენტები, სერგო მოდებაძე, ანდრო მირიანაშვილი, შალვა საკაძე, ტიტე სულაბერიძე, ნოდარ მესხრიკაძე, ლევან ბოლქვაძე, პროკოფი ვადაჭკორია, მიხეილ ცოტნიაშვილი და სხვები.

არ შეიძლება არ შეგემჩნიათ ის ერთსულოვნება და ურთიერთპატივისცემა, რაც მაშინ ამ ინსტიტუტის პედკოლექტივში სუფევდა. ამიტომ იყო, რომ ასეთივე განწყობა იყო სტუდენტებს შორისაც. ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდნენ ოსები, ქართველები, ებრაელები და არავის აზრადაც არ მოსდიოდა, ოსი რაკი იყო, ოსთან ემეგობრა ან ქართველს – ქართველთან. ძალიან მეგობრული ჯგუფი იყო. ეს იყო ერთი სამეგობრო: სამხარაძე, თიგიშვილი, თინიკაშვილი, ნართიკოევი, თაბუევი, ტეხაშვილი, გიგაური, მამისთვალოვი, ელიშაკოვი, ჭოველიძე, ოთინაშვილი, გაწერელია, კულუმბეგოვი და სხვები. ერთად დავდიოდით სტუმრად ერთმანეთის ოჯახებში. ჩემთან, კახეთში, თითქმის მთელი კურსი ორჯერ ჩამოვიდა. სამი-ოთხი დღე დარჩნენ, ძალიან ვიმხია-

რულეთ, დასვენების დღეებში, რასაკვირველია.

სხვათა შორის, რაკი დიდი იყო არჩევანის საშუალება, სულ საუკეთესო ბავშვები შეარჩიეს ცხინვალში და ეს იყო ერთ-ერთი უძლიერესი გამოშვება. 20 კურსდამთავრებულიდან ხუთმა გააგრძელა სწავლა ასპირანტურაში და დღეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობენ. ერთი ჩვენი ჯგუფელი, მედეა ნართიკოევა, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორია, ზაირა თაბუევა და გულიკო ჭოველიძე გორის პედაგოგიურ უნივერსიტეტში მოღვაწეობენ. ჩვენ დღესაც ვაგრძელებთ მეგობრობას და ცხინვალში რომ ჩავდივარ, ჩემი თანაკურსელი მეგობრები, მედიკო და ზაირა არიან ჩემი მასპინძლები.

ცხინვალში გატარებული წლები იყო ჩემი ცხოვრების ულამაზესი ხანა. გამოცდებზე დღესა და ღამეს ვათევდით. მახსოვს, მედეა ნართიკოევთან ან ჩემთან ვიყრიდით თავს და ერთად ვმეცადინეობდით. მედეას დედა თავისი ხაბიზგინებითა და შახარაჯინებით გვიწყობდა ხელს. ასევე ჩემთან, ჩვენებისაგან ამ დროს საგანგებოდ გამოგზავნილი საჭმელ-სასმელი ბლომად გვქონდა.

ცხინვალში სწავლის დროს ლექსების წერას ვაგრძელებდი და ეს ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ. მე არასოდეს მომწონდა ჩემი ლექსები და, რასაკვირველია, მათ დაბეჭდვაზე არც მიფიქრია. მედიკო იყო ჩემი ბიბლიოფილი და სწორედ მან მიიტანა და დაბეჭდა ჩემი ლექსები გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“. მერე შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელად ამირჩიეს და ვიხილავდით ხოლმე ლექსებს. ჩემი ლექსების განხილვაზე საქებარი სიტყვები არ დაიშურეს კათედრის გამგემ ო. ქაჯაიამ, ტ. სულაბერიძემ, ა. მირიანაშვილმა ლ. კასრაძემ. ინსტიტუტში გამოდიოდა დამწყებ შემოქმედთა ჟურნალი „ლიახვი“. იქაც მედიკომ მიიტანა ჩემი ლექსები (რომელთაგან მე არც ერთი აღარა მაქვს). ამას თავმდაბლობით კი არ ვამბობ, გულწრფელად მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ჩემი ლექსები არ არის იმ დონისა, რომ მის გამოქვეყნებაზე იზრუნოს კაცმა. და არც არასოდეს არავინ შემიწუხებია ამაზე. თუმცა იმ რადენიმე ლექსს, რომლებიც მედიკოს წყალობით გამოქვეყნდა, საკმაო წარმატება ხვდა წილად: დღესაც მეამაყება, რომ ოსურ ენაზე თარგმნეს ცნობილმა ოსმა პოეტებმა გიორგი ბესთაუთმა, გერსან კოდალაევმა და ზინა ხოსტიკოევამ. გარდა ამისა, თბილისიდან ჩამოსულმა ავთანდილ

გურგენიძემ დ ბენო კონჯარიამ საქართველოს ტელევიზიაში მოიწვიეს ოსი პოეტები: გიორგი ბესთაუთი, გიორგი ძუგაევი, რევაზ ასაევი და... მე. მანქანა საოლქო კომიტეტმა გამოგვიყო, მძღოლი იყო ზაურ მარგიევი და ერთად წაგვიყვანეს თბილისში.

მე დიდი პატივი მხვდა წილად, როგორც მანდილოსანი, წინ დამსვეს. გზაში ქართულად საუბრობდნენ (ასეთი დიდი პოეტების გვერდით მოხვედრილი მორიდებულად ვიჯექი, მხოლოდ ვუსმენდი მათ, საუბარში არ ვერეოდი). ქართული გიორგი ბესთაუთმა შესანიშნავად იცოდა (ამის დასადასტურებლად მის მიერ ოსურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანიც“ გამოდგება, სადაც ალიტერაციაც კი შესანიშნავადაა გადატანილი ოსურ ენაზე). ასევე კარგად იცოდნენ ქართული რეზო ასაევმა და გიორგი ძუგაევმა (ეს უშესანიშნავესი ინტელიგენტი და უაღრესად დიდბუნებოვანი პიროვნება იყო). ის კი არა, გზად მიმავლები ქართული რითმების თქმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ეს ადგილი ასე შევცვალოთ:

მახსოვს რეზო ასაევი ფანჯარაში იყურებოდა და რითმა შეაწყვილა: მართული... გართული. გიორგიმ შენიშნა:

„ჩემო რეზო, შენი რითმა
არ არის გამართული,
მავთულია სწორი ფორმა,
და არა... მართული“.

რევაზ ასაევმა მალევე უპასუხა: მართალი ხარო. მე კი მისი პასუხი ასე გავრითმე:

„მართალი ხარ, ჩემო გიო,
ვერ ვთქვი სწორი ქართული,
როცა მაგ რითმას ვამბობდი,
ფიქრში ვიყავ გართული“.

ჩემი პოეტური პასუხი ყველას მოეწონა და კვლავაც ლექსებით გავაგრძელეთ გზა. ასე ხალისიანი განწყობით ჩამოვედით თბილისში. იქ არაჩვეულებრივად თბილი შეხვედრა მოგვიწყვეს და შემდეგ (მე მგონია, რაღაცა საიუბილეო თარიღი იყო ოლქისა) ჯერ საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი – გიორგი ჯუსოევი გამოვიდა, შემდეგ პირდაპირ ეთერში ჩვენ წარგვადგინეს. მახსოვს, ორი თუ სამი ლექსი წავიკითხე, დიქტორი იყო ჟანეტა ასლამაზიშვილი ან ჟანეტა არჩვაძე. მან მითხრა (დამიწერა კიდეც): კარგა ხანია, მე

ასეთი სიამოვნება არ განმიცდია, დიდი მადლობა ასეთი ლექსებისათვისო. ამას თავის მოსაწონებლად კი არ ვამბობ, უბრალოდ იმისათვის, რომ გითხრათ, მე ყურადღება კი არ მაკლდა, არამედ საკმარისზე მეტიც მქონდა ოსებისაგანაც და ქართველებისაგანაც.

საკმაოდ აქტიური სტუდენტი ვიყავი, ვსწავლობდი ფრიადებზე, ამ წლებში ჩატარებულ სტუდენტთა ყველა სამეცნიერო კონფერენციაზე ვკითხულობდი ნაშრომს ქართულ ლიტერატურაში, ასე გასინჯეთ, სიმღერის გუნდის წევრიც კი ვიყავი. ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე და კადრების განაწილების დროს დამტოვეს კათედრაზე, მაგრამ ადგილი, ანუ შტატი არ ჰქონდათ და მითხრეს, თვითონ მომეძებნა სამუშაო. რაღას ვიზამდი, წამოვედი მთისძირში და დავიწყე მუშაობა მთისძირის რვაწლიანი სკოლის ქართულის მასწავლებლად (რის ვაივაგლახით). ორი თვის მუშაობის შემდეგ განათლების მუშაკთა პროფკავშირის ყვარლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ასე რომ, ვასწავლიდი სკოლაში, პარალელურად ვმუშაობდი პროფკავშირის თავმჯდომარედ და სასკოლო ინსპექტორად რაიონის სკოლებში ქართულის გაკვეთილებს მეთოდკაბინეტის გამგესთან ანიკო ტურაშვილთან ერთად ვესწრებოდი და ვაანალიზებდი. ამ დროს 21 წლის ვიყავი.

სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი ერთი წუთით არ მიმიტოვებია. რაიონში სამი წლის მუშაობის შემდეგ ჩავაბარე მისაღები გამოცდები მიზნობრივ ასპირანტურაში (სხვათა შორის, მე ამ ადგილს აღარც ველოდებოდი და საკანდიდატო მინიმუმის ორი გამოცდა ფილოსოფიასა და უცხო ენაში უკვე ჩაბარებული მქონდა). ჩავაბარე მესამე გამოცდა სპეციალობაში – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ჩავირიცხე ასპირანტურაში. მახსოვს უნივერსიტეტის პრორექტორმა, ბატონმა სერგო ჯორბენაძემ ასპირანტებთან (ასზე მეტი ასპირანტი ვიყავით) შეხვედრისას ჩემზე თქვა: მან ყველას პირველკურსელს აჯობა, რადგან ყველა გამოცდა უკვე ჩაბარებული აქვსო. უნდა ვთქვა, რომ ამას ძალიან დიდი წვალებითა და დღედაღამ მეცადინეობით მივაღწიე (ისევე, როგორც სხვას ყველაფერს, თუ რაიმესთვის მიმიღწევია).

მახსოვს, ფილოსოფიაში საგამოცდოდ მოვემზადე, ბევრი ვიმეცადინე, მაგრამ მინდოდა გამოცდამდე ვინმეს, სპეციალისტს შეემოწმებინა ჩემი ცოდნა. მეგობარმა, ნათელა მოლაშვილ-

მა, შუამდგომლობა – წერილი გამომატანა თავისი სტუდენტობის მეგობართან. ასე გავიცანი ჩემი მეუღლე, გურამ თევზაძის ასპირანტი (რომელიც მისი არა მხოლოდ ხელმძღვანელი იყო, არამედ გზის გამკვალავიც), ავთანდილ პოპიაშვილი. ასპირანტურის მეორე კურსზე რომ გადავედი, შევუღლდით. მას მზად ჰქონდა უკვე საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიის ისტორიაში და ოთხი თვის შემდეგ დაიცვა კიდეც. იგი უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა, მე ასპირანტი ვიყავი, ბინა ნაქირავები გვქონდა და საკმაოდ ხელმომჭირნედ ვცხოვრობდით. დედამისი რაც შეეძლო, გვეხმარებოდა, ბინის ქირას გვიხდიდა. ჩვენები საჭმელ-სასმელს გვიგზავნიდნენ სოფლიდან და თავი გაგვექონდა. ხუთი-ექვსი წელი ქირით ვცხოვრობდით. შეგვეძინა ორი გოგონა: 1976 წლის 12 მარტს გვეყოლა ნინო. ეს იყო ყველაზე დიდი სიხარული იყო ჩვენს ცხოვრებაში. ზედ დავკანკალებდით მეც და განსაკუთრებით მამამისი, 1977 წლის 2 ოქტომბერს შეგვეძინა თამარი, ჩვენი საყვარელი თამარ-ქალი, ავთო სიხარულით აღარ იყო. აქვე უნდა ვთქვა, რომ ქვეყანაზე არც ერთ მამაკაცს ისე არ უნდოდა ვაჟი ჰყოლოდა, როგორც ავთოს, მაგრამ გოგონებისთვის ისეთი თბილი მამა იყო, არა მგონია ამაზე ძლიერი სიყვარული წარმოსადგენი იყოს. ათასგვარ მოსაფერებელ სახელებს ეძახდა და თოთო ბავშვებს თვითონ აბანავებდა.

ცოტა რომ მოიზარდნენ, მეგობრებივით ესაუბრებოდა მათ. თვითონ რომ მამის სითბო აკლდა, უნდოდა, მის შვილებს ეს უხვად ჰქონოდათ. არც ეს სურვილი შეუსრულდა...

ჩვენი შვილები დღესაც მისი თვალით ზომავენ ყველაფერს, მის მიერ ჩანერგილი ღირებულებებით ცხოვრობენ. მან თავისი ცხოვრებით აჩვენა მაგალითი იმისა, რომ შეიძლება ადამიანმა იცხოვრო სულიერად დაბინძურებულ გარემოში, მაგრამ ჭუჭყი კი არა, მტვრის ნატამალიც არ მიიკარო...

უფროსმა, ნინომ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა წარჩინებით, გაიარა ასპირანტურის კურსი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით.

უმცროსმა, თამარმა, ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი დაამთავრა, ჰყავს მეუღლე და ერთი გოგონა,

ცხოვრობს გერმანიაში.

– რას იტყვით თქვენს მეუღლეზე?

– საერთოდ მინდა გითხრათ, რომ ავთოზე ლაპარაკი არ მიყვარს... ყოველთვის მეშინია, არაფერი დავაკლო, ვაითუ რაიმე ისე ვერა ვთქვა, იმის სულს რომ ეკადრებოდა, ისე კი, რამდენიც გინდა ვილაპარაკო, მე მას ვერაფერს შევმატებ, უბრალოდ ვიტყვი, ავთო იყო სრულიად განსხვავებული და ეს განსხვავებულობა თვითონ უნდა შეგეცნო, ან ჩასწვდებოდი მის უბრალოებაში მიმალულ სიმაღლეს, ან ვერა. და თუ ვერ ჩასწვდებოდი, მოგეჩვენებოდა ჩვეულებრივ ადამიანად, ის კი არამიწიერს უფრო მოგაგონებდათ... ამაღლებული, სრულყოფილი პიროვნება იყო მაღალი ღირსებებითა და მაღალი სულის, ცაში უფრო იყო, ვიდრე დედამიწაზე... ავთო იყო კარგი მეუღლე, სანიმუშო მამა და მამულიშვილი...

ჩემი მეუღლე, ავთანდილ პოპიაშვილი, წარმოშობით კახელი იყო. მისი წინაპრები, ქიზიყში, მირზაანში სახლობდნენ. ავთოს პაპა, იოსები გადმოსულა უზუნდარაში (ის ძალიან ჯანიანი, ბრგე აღნაგობის კაცი ყოფილა), გაუკაფავს ჯაგნარი და იქ დასახლებულა. მამამისი იმ დროისათვის განათლებული კაცი ყოფილა, კიევში მიუღია განათლება გეოდეზისტის სპეციალობით. ჩემს მეუღლეს პაპა კი არა, მამაც არ ახსოვს, ის ორი წლისა დაობლებულა. სამაგიეროდ, კარგად ახსოვდა ოლა ბებია, რომელიც ავთოს განსაკუთრებით უყვარდა (მას 100 წელი უცოცხლია და ავთოს დედას ობლების დაზრდაში ეხმარებოდა შეძლებისდაგვარად). როგორც მისი დები ყვებიან, ავთო თავიდანვე უცნაური ბავშვი ყოფილა. მას ძალიან ჰყვარებია ცხოველები – ძაღლები, კატები, ფრინველები და საერთოდ, ბუნება. ხალხთან ნაკლები კონტაქტი ჰქონდა, უფრო ხშირად, განმარტოება და ფიქრი უყვარდაო. უნდა გენახათ მისი განცდები, როცა იხსენებდა, როგორ წაართვეს საყვარელი ძაღლი (რომელიც ლეკვობიდან მას გაუზრდია, ხან მის გვერდითაც ბევრჯერ ჩასძინებია) და სხვას გაატანეს. სოფლის ბოლომდე ღრიალით მიჰყვებოდა თურმე ბიძამისს – დამიბრუნე ჩემი „სამურაო“, მერე კარგა ხანს ისე დარდობდა, არავის ხმას არ სცემდა თურმე (დედამისი მერე ნანობდა, ჭკუა სადა მქონდა, ბავშვი ისე დარდობდა, რამე რომ მოსვლოდა, რა მეშველებოდაო), ბავშვს კი სამუდამო ტკივილად დარჩა ესეც, როგორც სხვა მრავალთან ერთად კიდევ

ერთი დაუმსახურებლად მიყენებული ტრავმა.

ალბათ უცნაურობად ისიც აღიქმებოდა, რომ გარშემო მყოფთაგან განსხვავებით, უაღრესად გულუბრყვილო და მიმნდობი იყო (რასაც ზოგიერთი ახლობელიც კი ძალიან ცუდად იყენებდა). ეს თვისება მას ბოლომდე შერჩა. თვითონ არასდროს ტყუილს არ გეტყოდათ და სხვისგან ნათქვამიც ასეთივენაირად სჯეროდა: შვილებს არიგებდა, ტყუილი იმხელა ცოდვაა, ქვეყნად არავინ არ ღირს, რომ მის გამო ტყუილი თქვათო.

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, მრავალ საკითხში იყო გათვითცნობიერებული, მათ შორის, ისტორიაში. მასა და ისტორიის მასწავლებელს შორის კონფლიქტიც კი წარმოშობილა, ავთოს უთქვამს, ისტორიის წიგნში სულ ტყუილები წერიაო. სოფლის მასწავლებელს ვერ გაეგო, ან არ უნდოდა, მიმხვდარიყო, რას გულისხმობდა ბავშვი. იბარებდა დედამისს და ემუქრებოდა, კარგ ნიშანს არ ვაღირსებო...

მის უცნაურობას მიაწერდნენ იმასაც, რომ რამდენიმე სასწავლებელი გამოიცვალა, ვიდრე ფილოსოფიის ფაკულტეტზე მოხვდებოდა. ეს კი ასე ყოფილა:

სკოლაში გამორჩეულად სწავლობდა. მაშინ ვაჟებისათვის მოდაში იყო სამშენებლო-საინჟინრო ფაკულტეტი ტექნიკურ ინსტიტუტში, როგორც მაშინ ეძახდნენ, გეპეიში. ახლობლებმა სწორედ იქ ურჩიეს სწავლის გაგრძელება. ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა კიდეც. ხრუშჩოვის პერიოდი იყო და სტუდენტები პირველივე კურსიდან პრაქტიკებზე მიჰყავდათ. ქარხანაში „პრარაბი" მათივე ფაკულტეტდამთავრებული იყო, რომელმაც რაღაც უწყისზე მოაწერინა სტუდენტებს ხელი და გამოწერილი თანხა ჯიბეში ჩაიდო (ნაწილი ალბათ სხვასაც არგუნა). – ეს რომ დავინახე, ვიფიქრე, ე. ი. მე ეს უნდა გამოვიდე-მეთქი და მიუხედავად იმისა, რომ სემესტრი კარგი ნიშნებით დავამთავრე, და მიუხედავად იმისა, რომ ყველა წინ აღუდგა ჩემს სურვილს, საბუთები სასწრაფოდ გამოვიტანეო, – ყვებოდა ავთო.

ოჯახში შეშფოთდნენ, მისი არავის ესმოდა, გიჟადაც ნათლავდნენ თურმე. იმეცადინა და ხელახლა ჩააბარა მისაღები გამოცდები. ფილოსოფიურზე უნდოდა ჩაებარებინა, სადაც გამოცდებამდე იყო გასაუბრება მათემატიკაში. მისთვის ეს საგანი უცხო არ იყო, მით

უფრო, რომ გეპეიში სწავლობდა. როდესაც გასაუბრებაზე მისი ამბავი გაიგეს, რომ ტექნიკური ინსტიტუტიდან საბუთები გამოიტანა და ფილოსოფიურზე აბარებდა, გამომცდელებმა „კეთილი“ რჩევა მისცეს: დაბრუნდი შენს სასწავლებელში, ფილოსოფიურზე რა დაგრჩენია, შემდეგ შენს სოფელში ნახვალ და სოფელსაც გამოადგები და ოჯახსაც. გაუფორმეს არადამაკმაყოფილებელი... ავთო სხვანაირი ადამიანი იყო, ადვილად არ ეპუებოდა დაბრკოლებებს. საბუთები აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შეიტანა, სადაც დიდი კონკურსიც იყო, რადგან იმ წელიწადს ყველა სხვა ჰუმანიტარულ მიმართულებაზე შემოიღეს გასაუბრება მათემატიკაში, რაც ჰუმანიტარებისათვის რთული დასაძლევი აღმოჩნდა. ასე ჩაირიცხა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, ირანული ენის სპეციალობით. „სულ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მქონდა, სანამ არ მოვხვდი ფილოსოფიის ლექციაზე, მაშინ კი მივხვდი, რაც მინდოდა და ვითხოვე ამ ფაკულტეტზე გადაყვანა, რაზედაც უარი მივიღე. რას ვიზამდი, დავდიოდი ჩემს ლექციებზე და ფილოსოფიის ფაკულტეტის ლექციებზეც. დავხურე კურსი აღმოსავლურზე და გადავედი ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც ისევ პირველი კურსიდან მომიხდა სწავლის გაგრძელებაო,“ – ნაღვლიანად იხსენებდა. ეს მონაცვლეობა, ანუ ფაკულტეტების ცვლა ბევრისათვის გაუგებარი იყო და ოჯახისათვის ხომ დიდ ტრაგედიას ნიშნავდა. ზოგი ერთხელ ვერ აბარებდა უმაღლეს სასწავლებელში და ავთომ სამჯერ გამოიცვალა სპეციალობა. სწორედ აქ შეხვდა იგი თავის საყვარელ პედაგოგს პროფ. გურამ თევზაძეს, რომელმაც შენიშნა მისი ნიჭიერება, მისი მონდომება და გზა გაუკვალა ფილოსოფიური მეცნიერებისაკენ, რაც, რასაკვირველია, წმინდა მეცნიერული თუ პატრიოტული მიზნით იყო განპირობებული, რისთვისაც ავთო მთელი სიცოცხლე მისგან დიდად დავალებულად თვლიდა თავს. ამხელა კაცი იყო და თავისი მასწავლებლის მიმართ კრძალვა მოსწავლური მორიდებულობით ჰქონდა შემორჩენილი. ტელეფონით საუბრის დროსაც კი (რასაც იშვიათად ბედავდა) ფეხზე იდგა და ისე ელაპარაკებოდა. თუ არა ბატონი გურამი, ალბათ მისი ნიჭიც ისევე მიინავლებოდა, როგორც არაერთი უყურადღებოდ დატოვებული ქართველი ახალგაზრდისა.

თვით ავთოს ნიჭიერი ახალგაზრდები ძალიან უყვარდა. ყვე-

ლას ეხმარებოდა, რითიც შეეძლო. ბევრჯერ თავის საქმეს გადადებდა და სხვისი საქმის მოსაგვარებლად მიდიოდა. ეს ტერმინი „საქმის მოგვარება“ ტყუილად ვიხმარე. ისეთი პირდაპირი კაცი იყო, საგნებსა და მოვლენებს თავის სახელს არქმევდა. ამიტომ საქმის მოგვარება ალბათ აქ პირობითად უნდა გავიგოთ, რადგან აქ არ იგულისხმება საქმეების ჩაწყობა, რაც ასე მოდაშია ჩვენთან და რაც ასე უცხო იყო მისთვის. ის სწავლისკენ აღებინებდა გეზს ნიჭიერ ახალგაზრდას... ზედმეტია აქ იმისი თქმა, რომ არასოდეს ანგარებით საქმე არ გაუკეთებია. ასეთი უანგარობით ჩაერთო ეროვნულ მოძრაობაში.

ავთო განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდა და სწავლობდა საქართველოს ისტორიას. მას სკოლაში სწავლის დროს უკვე აწუხებდა ის, რომ საბჭოთა კავშირის ისტორიას ასწავლიდნენ და საქართველოს ისტორია სათანადოდ არ ისწავლებოდა. მუდმივი კონფლიქტი ჰქონდა ისტორიის მასწავლებელთან. სკოლის წიგნებში ტყუილები წერიაო, ეუბნებოდა. სოფლის სკოლის მასწავლებლისათვის, ბუნებრივია, უმთავრესიის იყო, რაც სახელმძღვანელოში ეწერა. შეიძლება მასწავლებელი ხვდებოდა კიდეც, ავთო რასაც ამბობდა, მაგრამ მაშინ დროც ისეთი იყო, ყველას ყველაფრისა ეშინოდა და ამიტომაც ჩემს ადრე დაქვრივებულ დედამთილს ხშირად იბარებდნენ სკოლაში, – შენი შვილი ისტორიას არ სწავლობსო. სტუდენტობის პირველივე თვეებიდან, ჯერ კიდევ ტექნიკურ ინსტიტუტში სწავლის დროს დაუკავშირდა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამგვარი სულისკვეთებით სუნთქავდნენ. ღამეებს ათენებდა საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებაში. სულით ილიაოლოგი, იყო, ანუ ილია ჭავჭავაძის იდეების ერთგული მატარებელი. ამოოხვრით იტყოდა ხოლმე, ილია ხელახლა მოკლეს, როცა მისი იდეები აბსოლუტურად შებრუნებით ასწავლეს სკოლებშიო. თვითონ, როგორც შეეძლო, ყველას უხსნიდა რაში მდგომარეობდა ქართველის უპირველესი ვალი: „დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“, – ამბობდა ხოლმე ხშირად.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს, მოგეხსენებათ, თავისუფალი სიტყვა იდევნებოდა. ძალიან რთული იყო ცხოვრება მათთვის, ვისაც პატიოსნება, სიმართლე სწყუროდა. ყველა რაღაცას იპარავდა და ეს ცხოვრებისეული ნორმა იყო. მე ჯერ ასპირან-

ტი ვიყავი, შემდეგ, დავიცავი დისერტაცია და დოცენტი გავხდი. ხელფასის გარდა, რა შემოსავალი უნდა მქონოდა? ჩემი მეუღლე კი – ფილოსოფოსი, ფილოსოფიის ისტორიის მკვლევარი იყო. ის გერმანულ ფილოსოფიაში მუშაობდა: ფიხტეზე, კანტზე, ფრიდრიხ ნიცშეზე, სორენ კირკეგორზე, მარტინ ჰაიდეგერზე წერდა. ორივე დისერტაციაც – საკანდიდატოცა და სადოქტოროც – გერმანულ ფილოსოფიაში აქვს დაცული. ასეთ პირობებში ჩვენთვის ცხოვრება რთული იყო. გარდა იმისა, რომ ჩვენი ხელფასი არ იყო მაღალი, ავთოს ბევრი წინააღმდეგობა ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის მხრიდან. ხშირად უმალავდნენ წიგნებს, საჯარო ბიბლიოთეკაში არსებობდა „აკრძალული წიგნების“ სია და ვინც იმ წიგნებს მოითხოვდა, აუცილებლად აკონტროლებდნენ. ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ ავთო მაინც არ ეპუებოდა ამ „წესს“. კატეგორიულიც იყო ზოგჯერ. ამიტომაც გვქონდა დაბრკოლებები. მახსოვს, ფილოსოფიის ინსტიტუტში, დასავლური ფილოსოფიის განყოფილებაში მუშაობდა და ერთხელაც მარქსიზმის განყოფილებაში გადაიყვანეს. ძალიან განერვიულებული იყო. ინსტიტუტის დირექტორმა, ნიკო ჭავჭავაძემ დაამშვიდა, მერე ისევ დაგაბრუნებ ძველ განყოფილებაში, ახლა ასე დარჩესო, როგორც ჩანს, ეს უშიშროების მოთხოვნა იყო, რომ „გამოესწორებინათ“ ავთო, რადგან მარქსიზმის განყოფილების თანამშრომელს სამეცნიერო შრომებიც მარქსიზმზე უნდა მოემზადებინა, რაც ავთოსთვის სრულიად მიუღებელი იყო 70-იან, 80-იან წლებშიც კი. ხშირად იტყოდა ხოლმე – რამდენი წელი დამაკარგვინესო (მან მარქსიზმზე შრომა არ დაწერა და ისინი სხვა წლიურ შრომას არ იღებდნენ მისგან), რამდენჯერმე სახლშიც მოვიდნენ უცნობი ადამიანები, სახლში ბევრი წიგნი გვქონდა, ფილოსოფიური, ისტორიული, ფილოლოგიური, სხვადასხვა დარგობრივი. გვქონდა ე. წ. „სამიზდატის“ სახარებაც (ჩუმად, რა თქმა უნდა).

მე ჩემი ოჯახის მაგალითიდან დავიწყებ. ბავშვები ბაღში დადიოდნენ და ორმაგ იდეოლოგიას ისმენდნენ, სახლში მამისაგან და ბაღში – მასწავლებლებისაგან, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად კომუნისტური იდეოლოგიით ჟღენთავდნენ ბავშვებს. ერთ დღეს ნინო მოვიდა ბაღიდან და თავისთვის იმეორებს: – ლენინი ჩვენი მამაა, ლენინი ჩვენი მამაა. ავთო საკმაოდ გაღიზიანებული მიუბრუნდა, „– ლენინი კი არა, მე ვარ მამაშენი, ეგ საიდან

მოიტანეო!“ ნინომ, რომ არც დაფიქრებულა, ისე მიუგო: – ლენინი ჩვენი ერთობლივი მამააო. გაოცდა ავთო: – ხედავ, ბავშვებს პასუხიც კი მზად აქვთ, ისე არიან დამუშავებულებიო. დამუშავების რა მოგახსენოთ, მაგრამ ავთო სულ ცდილობდა ბავშვებს სინამდვილე ისეთი დაენახათ, როგორიც ის იყო. ამიტომ იყო, რომ სხვა მათი თანატოლები ოქტომბრელობას რომ ზეიმობდნენ, ჩვენს ბავშვებს რეაქცია არ ჰქონდათ, რადგან იცოდნენ, ამაში სასიხარულო და, მითუმეტეს, საზეიმო არაფერი იყო.

საკმარისი იყო ცოტა ხანს მასთან მოხვედრილიყავით, მისთვის მოგესმინათ და მაშინვე შეიგრძნობდით, რომ ის დიდი ადამიანი იყო. უაღრესად თავმდაბალი და დიდი ადამიანი, ეს იყო კაცი, რომელიც ანთებული იყო თავისი ქვეყნის სიყვარულით. სალოცავში რომ შევიდოდით, ევედრებოდა: „ღმერთო, სამშობლო ბედნიერი მიმყოფეო“. ერთხელაც, შევბედე და ვუთხარი: „ჯერ შვილების ბედნიერება შესთხოვე-მეთქი“. „ჩემი სამშობლო რომ ბედნიერი იქნება, ჩვენი შვილებიც ბედნიერები იქნებიანო“, – მიპასუხა.

ისეთი აღფრთოვანებული იყო ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, მთელი დრო და ენერგია იქ ჩაღვარა. ძალიან სწყდებოდა გული, თავის თანამემამულეებს რომ ვერ აგებინებდა ძირითადს – წავიდა კომუნისტური იდეოლოგიის აღზევების დრო. დროა, გონს მოვეგოთ. მაინც არ ისმინეს. ერთადერთი რაიონი, სადაც რაიკომის მდივანი ირჩიეს, მისი რაიონი იყო, გული სტკიოდა. მერე კი მიხვდნენ, ავთოს ნათქვამის სისწორეს, მაგრამ რაღა დროს...

ჯერ ნოდარ ნათაძესთან იყო „სახალხო ფრონტში“ (მაშინ ყველანი იქ იყვნენ, ერთად ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ერთად დააარსეს სახალხო ფრონტი. სულ ორმოცი ადამიანი იყო. მათ შორის, ზვიად გამსახურდია და სხვები. ავთოც მათთან იყო, დამაარსებლებს შორის.). შემდეგ, კოალიციაში: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე აქვს ხელი მოწერილი. ძალიან თავმდაბალი და წესიერი ადამიანი იყო. მაშინ, დამოუკიდებლობის აქტი რომ მიიღეს, ზოგი დეპუტატი მაშინვე ტრიბუნას მიეჭრა, დიდი ასოებით აწერდნენ ხელს. ავთო თავის რიგს დაელოდა, როცა მის გვარს ამოიკითხავდნენ ხელმოსაწერად. ერთ-ერთ ბოლო სვეტში ძალიან პატარა ასოებით, თუმცა ძალიან გარკვევით

მოაწერა ხელი: „ავთანდილ პოპიაშვილი“.

საერთოდ აღარაფერი ახსოვდა ამქვეყნად ეროვნული მოძრაობის გარდა. მიტინგებზეც დადიოდა, მოსახლეობასაც მოძღვრავდა, ნანატრი თავისუფლება ახლოსაა, ახლა ყველამ საქვეყნო საქმეზე იფიქრეთო. ახალგაზრდებთან განსაკუთრებით დიდ დროს ხარჯავდა. ხან რაიონში იყო და იქ ესაუბრებოდა მოსახლეობას. ორი, სამი დღეც გასულა, სახლში არ შემოდიოდა. ერთხელ მივაკითხე სახალხო ფრონტში, სკამებზე ეძინათ...

არც სახლი ახსოვდა, არც კარი. მთელი მისი დრო და ენერგია იქ ინთქმებოდა, ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამოვნებით ეწეოდა ტანჯვით სავსე უღელს.

9 აპრილსაც იქ იყო, საერთოდ, სულ ორგანიზატორებს შორის იდგა, ტრიბუნაზე, თავის გამოჩენა არ უყვარდა, თუმცა როცა საჭიროდ ჩათვლიდა, სიტყვითაც გამოდიოდა. არ შეეძლო და არ უყვარდა ტყუილად, უსაგნოდ და უსაქმოდ ლაპარაკი, მათ შორის, მიტინგებზეც. პატრიარქი რომ გამოვიდა სიტყვით, შემდეგ მომიტინგეთა ერთმა ნაწილმა გააცილა, მათ შორის ავთოც იყო. იმ ღამეს მე და ბავშვებს თვალი არ მოგვიხუჭავს, გამთენიისას შემოვიდა, დავიღუპეთო, თქვა, საუბრის თავიც არ ჰქონდა, იმდენად შეძრული იყო მომხდარით...

დეპუტატად რომ აირჩიეს, ხედავდა, ზვიადის გარშემო არაჯანსაღი პოზიციის ხალხიც იყო, ამაზე ძალიან წუხდა, ეგენი დაღუპავენ ზვიადსაც და ქვეყანასაცო. ამბობდა, ზოგიერთის ქცევას რომ ვუყურებ, მებრაზება, ეროვნული მთავრობის წევრები ასე არ უნდა იქცეოდნენო. ბევრზე გული სწყდებოდა, ზოგიერთი ისეთი იყო პარლამენტში, ეროვნული რომ არაფერი ეცხო. მალე დაიქცა ქვეყანა. უფრო სწორად, დააქციეს ქვეყანა სულ სხვებმა...

ბოლო ხანებში ძალიან გულგატეხილი იყო. ადრე რაღაცის იმედი იყო, რაღაცას ველოდითო. ეს რას დაემსგავსა ჩვენი ქვეყანაო, გულისტკივილით ამბობდა. მისი ტკივილი თითო-ოროლა ადამიანს თუ ესმოდა. მოუწოდებდა ასეთ ადამიანებს გავერთიანდეთო, დაბეჭდა კიდეც, ერთ-ერთ ასეთ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანად ნაირა გელაშვილი მიაჩნდა, იმ წერილში იხსენიებდა კიდეც, სადა ხართ, გვერდიგვერდ დავდგეთო...

არაფერი ისეთი მოულოდნელი არ იყო ჩემთვის, როგორც ის

ორი დიდი უბედურება, ერთ დღისით, 22 ივლისს რომ მეწვია, ჩემი უმცროსი ძმის ტრაგიკული დაღუპვა და ავთოს უკურნებელი სენის დიაგნოზი. იმ დღისით მე ორჯერ დავენარცხე მიწას მთელი ძალით... იმ დღისით მე ორჯერ მეწვია სიკვდილი... ერთი უეცარი იყო, ნოდარი ავარიაში დაიღუპა... მეორემ ექვსი თვე კიდევ მაწამა, დაუჯერებლობის ნისლში მაცურავა და მერე გამიყინა სისხლი ძარღვებში...

დამრჩა დიდი ტკივილი და სიცარიელე, რომელსაც ვერაფრით ვერასოდეს ამოვავსებ. მე ხან ვფიქრობ, ჩემი ცხოვრება სხვა იყო მანამდე, სულ სხვანაირი გახდა ცხოვრება და ალბათ ახლიდან დავიწყე უკვე ძალიან მძიმე, მტანჯველი დღეების გათრევა... მაგრამ მაინც უბედნიერესი ქალი ვიყავი, რომ ღმერთმა ამისთანა ადამიანს შემახვედრა, უბედნიერესი ვიყავი, რადგან ასეთი ამაღლებული ადამიანის გვერდით ვცხოვრობდი. რომ ჩემს შვილებს ასეთი სპეტაკი სულის მამა ჰყავდათ, რომ ასეთი გულწრფელი და ალალმართალი კაცი იყო მათი მამა. რომელსაც სამშობლოს, მამულის სიყვარული ადამიანის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა.

– ვინ იყვნენ მისი მეგობრები?

– ბევრი მეგობარი არ ჰყოლია, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ იტანდა მედროვეებს, ცრუ და მომხვეჭელ ადამიანებს. არც მოჩვენებითი საქმიანი ადამიანების ატანა შეეძლო და თქვენც კარგად იცით, რამდენად ძნელია დღეს ამქვეყნიურ საცდურს თავდაღწეული ადამიანების პოვნა. არიან, მაგრამ ყველა ხომ შენს გვერდით არაა. სტუდენტობის მეგობრები ჰყავდა კარგები, უყვარდა და აფასებდა მათ ნიჭიერებას, მათ ადამიანობას: პროფესორები მიხეილ მახარაძე (რომელიც ავთოს ბოლო დღეებში გვერდიდან არ მოსცილებია და მერეც ძმის მაგივრობა გაუწია მის ოჯახს), ნაპოლეონ კვარაცხელია, მისი მეგობრები იყვნენ ამირან გომართელი, ორდე ბებია, გურამ ნაჭყებია, ზურა ხასაია და სხვ. მისი ერთ-ერთი მეგობარი იყო ხვთისო გოგოჭური, რომლის დაკარგვა ძალიან განიცადა.

საერთოდ ისეთი მგრძნობიარე იყო, ყველა ეცოდებოდა. ბევრჯერ ნამდვილ ჭირისუფალზე მეტად განუცდია მომხდარი. ინსტიტუტის თანამშრომელთაგან უყვარდა გერონტი შუშანაშვილი, ვაჟა გოგობერიშვილი (მე მაპატიონ ყველას თუ ვერ ჩამოვთვლი,

მაგრამ ავთო ის კაცი არ იყო მდგომარეობის, თანამდებობის გამო ვინმესთან ემეგობრა და ვერ შევბღალავ მის სახელს, ვინც მე არ ვიცი, ვერ დავასახელებ). უძალიან უყვარდა აკადემიკოსი გურამ თევზაძე, აკად. ნიკო ჭავჭავაძე, ზურაბ კაკაბაძე, თაზო ბუაჩიძე და ბევრი სხვაც.

ეროვნულ მოძრაობაშიც ბევრი თანამოაზრე ჰყავდა.

– თბილისში თქვენი შრომითი ბიოგრაფია როგორ გაგრძელდა?

ბავშვები ბაგა-ბაღში მივიყვანე და სამსახური დავიწყე ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. აქვე მოკლედ გეტყვით ამის შესახებაც. სამსახურის შოვნა საკმაოდ გამიძნელდა და ამ დროს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ბრძანებულებით ამ ინსტიტუტში გაიხსნა სინქრონული თარგმანის კურსები ოსებისათვის და აფხაზებისათვის. მე ცხინვალიდან ჩამოვიყვანე მსურველები აუცილებლად უმაღლესდამთავრებულები უნდა ყოფილიყვნენ, ანიკო წვინარია-აბრამიშვილმა – სოხუმიდან და ასე გაიხსნა ეს ორწლიანი კურსები. მათთვის გამოყვეს საერთო საცხოვრებელში ადგილები, დაუნიშნეს სტიპენდიები და წლების განმავლობაში ვასპეციალებდით მათ თარგმნაში (ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ ენებზე). ჩვენ შესანიშნავი კადრები გავზარდეთ მაშინ (ოსურ ჯგუფს ჩემთან ერთად ასწავლიდა მეგობრობის ინსტიტუტის უფროსი მეცნერ-თანამშრომელი, ხელოვნების ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რუბენ ჩეთითი, რომელიც არეულობის შემდეგ ვლადიკავკაზში წავიდა ოჯახით) აფხაზურს, – ანა ნვინარია და ალა აჩბა.

სამწუხაროდ, მხოლოდ სამი გამოშვება, ანუ ექვსი წელი იყო ეს ტრადიცია. ამ ბაზაზე (გვქონდა არაჩვეულებრივი ლინგაფონები, აპარატურა) უფრო პრიორიტეტულად მიიჩნიეს ქართულ-ევროპული ენების სინქრონული მთარგმნელების მომზადება, რომელიც, დიახაც, აუცილებელი და ძალიან კარგი საქმეა. მაგრამ თუ იმასაც გავითვალისწინებთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამჟამად ქართულის სწავლებას ოსებისათვის, სადაც მოდის ახალგაზრდობა, რომელმაც ქართული ასოების ცნობაც კი არ იცის, არამც თუ კითხვა და თარგმნა (რადგან ცხინვალში ქართველები აღარ ცხოვრობენ, ასევე, იქაურ სკოლებში ქართული აღარ ისწავლება). იქნებ ღირს დაფიქრებად და ამაზე ზრუნვა, ამ მიმართებითაც მუშაობა,

თუნდაც მცირე მასშტაბებით, თითო-თითო ჯგუფის მომზადება წელიწადში.

დამავიწყდა მეთქვა, რომ 1980 წლის 17 ოქტომბერს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ოსი სტუდენტების წასვლის შემდეგ ისევ ამავე ინსტიტუტში ვასწავლი ქართული ენის პრაქტიკულ სტილისტიკას სინქრონული თარგმანის განყოფილებაზე (უმაღლესდამთავრებულებს: ინგლისური, ფრანგული, გერმანული ენის სპეციალისტებს). პარალელურად, წლების განმავლობაში ვკითხულობდი ლექციების კურსს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. საერთოდ, უნდა ვთქვა, რომ თავიდანვე დამებედა ორ ადგილზე მუშაობა და ასე გრძელდება დღემდე. ვმუშაობ ილია ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილი უცხო ენების ინსტიტუტი) დოცენტის თანამდებობაზე და კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლში“ ოსური სექტორის გამგედ.

– თქვენ უშუალოდ როგორ შეგეხოთ კონფლიქტი?

– ეს კონფლიქტი რომ დაიწყო მე უკვე ოჯახი კარგა ხნის შექმნილი მქონდა. ბავშვები მოზრდილები იყვნენ და ჩემს ოჯახში ოსი ნათესავიც ბევრჯერ მოდიოდა და ახლობელიც.

მეუღლე უზენაესი საბჭოს დეპუტატი იყო.

მოხდა წარმოუდგენელი რამ... როგორ დაიწყო და როგორ განვითარდა ამ დეტალების მოყოლას არ შევუდგები.

ისეთი საშინელი განცდები მქონდა, ენით აუწერელი. ამისი გადმოცემა შეუძლებელია, ეს ადამიანმა თვითონ უნდა განიცადო, რომ მიხვდე. ცხინვალში გათხოვილ დას ქმარ-შვილი ქართველი ჰყავდა და ოსებმა ეს არ აპატიეს (ან მთლიანად ერს რატომ ვსვრი), ოსებმა კი არა, ვიღაც-ვიღაცებმა, თორემ ვინც ჩემი დის ოჯახს იცნობდა, ისიც ეცოდინებოდა, რა „ექსტრემისტი“ ქმარ-შვილიც ჰყავდა...

იქით (კახეთში) უკვე კარგა მოხუცი მამაჩემი ჩაიკეტა სახლში და გარეთ ვეღარ გამოდიოდა შიშით (კაცი, რომელიც ომის საშინელებებს არ შეუშინებია, რომელიც ომში ასეულს მიუძღვოდა მტრის წინააღმდეგ, ორჯერ დაიჭრა და ორივეჯერ გამოჯანმრთელებამდე

ისევ ფრონტზე წავიდა და მის დამთავრებამდე იქ იყო), ახლა მეზობელს უფრთხოდა, ქართველ მეზობელს, არადა ცოლიც ქართველი ჰყავდა, სამი სიძეც. თავის დაძლილ მუხლებზე გაზრდილი შვილიშვილებიც...

ოსების მისამართით ათასი უგვანი რამ ესმოდა, ვერ იტანდა, ნერვიულობდა. მარტო იმას ამბობდა, მე რა შუაში ვარ, მე რა დავაშავეო.

ძმა საერთოდ წავიდა საქართველოდან, გაერიდა ან ქართველს არაფერი დაეწამა, ან ოსს.

მაინც ვერ ავცდით საშინელებებს...

მამიდაშვილი ბალთიდან ცხინვალში მიდიოდა შვილთან ერთად, ქალეთიდან ნასროლმა ბრმა ტყვიამ (იქ იყვნენ ვ. ადამიას რაზმები და დრო და დრო ისროდნენ ბალთისკენ) იმსხვერპლა 45 წლის ქალი. იქვე, შვილის ხელში დალია სული...

ქართველებმა მომიკლეს უდანაშაულო, ქვრივად დარჩენილი ორი შვილის დედა, დუნია ბაგაევა...

ოსებმა გამომიძევეს ჩემი დის ოჯახი ცხინვალიდან, დაუნგრიეს ბუდე და აქა-იქა საწონიალოდ გაუხადეს საქმე ჩემს ანგელოზებივით დისშვილებს, რომელთაც დაღვინებაც ვერ მოასწრეს...

მე არავისი განმსჯელი არა ვარ, მაგრამ ვიცი:

მათი და ყველა უდანაშაულოების ცოდვა მძიმე ტვირთად იმის კისერზეა, ვინც ეს კონფლიქტი გააჩაღა, ვისაც ეს კონფლიქტი აწყობდა და აწყობს...

ძალიან მძიმეა ჩემთვის ამ საკითხზე საუბარი...

ერთი მხრიდანაც ტკივილი, მეორე მხრიდანაც.

ორივე მხარეს ჩემი ხალხი იდგა,

ოსი და ქართველი,

ქართველი და ოსი.

ანუ იქითაც მე ვიყავი და აქეთაც.

იქითაც ჩემი სისხლი იღვრებოდა, აქეთაც...

რა გითხრათ, როგორ გადმოგცეთ ეს განცდები, ძნელია, მიმძიმს. ჯერ მოუშუშებელია, ჯერ ისევ ძალიან მტკივა, ცოტა დრო გავიდეს, ცოტა სული მოვითქვა და მერე შევძლებ დანარჩენის მოყოლას, ალბათ, ახლა კი გამიგეთ. მიჭირს მოყოლა,

რომ მახსენდება, როგორ მალავდა ავადმყოფი მამაჩემი ცქა-

რთველ ექიმთან თავის გვარს, მონაგონს კი ვეღარ იხსენებდა ნერვიულობის გამო...

ძალიან მიჭირს...

რომ მახსენდება, როგორ ეხვეწებოდა ჩემი და ოსებს, ნუ გაგვაძევებთ აქედან, მე ხომ თქვენი სისხლი და ხორცი ვარო და იმ ტყვიების ზუზუნში ნამცეცისოდენა იმედს ებღაუჭებოდა, ყველაფერს იტანდა. მაინც არავინ დაინდო...

ახლა ხომ ხვდებით, როგორც შემეხო კონფლიქტი,
როგორ და ყველანაირად,
მთელი სიმძიმით,
მთელი საშინელებით,
იქიდანაც და აქედანაც,
ორივე მხრიდან,
ანუ ყველა მხრიდან.

და არა მარტო მე, არამედ ყველა ჩემნაირი შერეული ოჯახის შვილი ჯოჯოხეთის კოცონზე ატრიალა ამ კონფლიქტმა, ყველას ნერვები დაუფლითა და დააწყვიტა, ყველას, გარდა მათი, ვინც ასეთ კოცონზე ითბობდა ხელს...

– როგორც ვიცი, არსებობდა იდეა, შექმნილიყო ქართულ-ოსური ურთიერთობების ცენტრი.

– „კავკასიურ სახლში“ ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენაზე დღე და ღამე ვფიქრობდით. ვფიქრობდით, საიდან დაგვეწყო საქმე. ცხინვალიდან თბილისში ვერ ჩამოდიოდნენ, თბილისიდან ცხინვალში ვერავინ მიდიოდა. არადა, როდემდე შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო. კონფლიქტური ზონის საზღვარზე, ერგნეთთან იყო თავისუფალი არაჩვეულებრივი ადგილი, რომელიც ქართულ-ოსური კულტურის ცენტრისათვის უაღრესად შესაფერისი იქნებოდა. ჩემი დისშვილები, დათო და კახა ინაურები შერეული ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ და მათთვის ორივე ხალხი ერთნაირად ახლობელი იყო. ამიტომაც ფიქრობდნენ დანგრეული ურთიერთობების მშვიდობიანად აღდგენაზე, ცხინვალთან ახლოს, სოფელ ერგნეთის ტერიტორიაზე ქართულ-ოსური ცენტრის აშენების იდეაც მათ ეკუთვნოდათ. ეს იდეა „კავკასიური სახლის“ დირექტორს, ქალბატონ ნაირა გელაშვილსაც ძალიან მოეწონა. 1996 წლის სექტემბრის თვეში ჩემს დისშვილებთან, დათო და კახა ინაურებთან

ერთად „კავკასიური სახლიდან“ გორის მუნიციპალიტეტში ჩავიდნენ დირექტორის მოადგილეები: ანიკო წვინარია-აბრამიშვილი და მიხეილ ბეროშვილი. მათ ძალიან მოეწონათ ეს ადგილი, ესაუბრნენ გორის რაიონის ხელმძღვანელობას და გადაწყვიტეს, აქ ასაშენებელი ქართულ-ოსური კულტურის ცენტრისათვის დამფინანსებელი მოეძებნათ. დრო არ იცდიდა, უფრო სწორად, იქაური „ფულიანი ბიძები“ არ იცდიდნენ. შემოგვითვალეს, თუ აშენებთ რამეს, ააშენეთ, თუ არა, ჩვენ მივხედავთო. თანხა არ გაგვაჩნდა, რითი ავაშენებდით. ჯერ პატარა ადგილზე გახსნეს ბაზრობა, მალევე შემოლობეს ის ადგილი და სულ ცოტა ხანში გაიზარდა და უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაიჭიმა. ერთი მხრივ, ეს კარგი იყო, ქართველები და ოსები ამ სავაჭრო ურთიერთობებში იყვნენ ჩართულნი, თავს ირჩენდნენ და გარკვეულ კონტაქტს ამყარებდნენ ერთმანეთთან, რასაც პოზიტიური შედეგი მოჰქონდა ორივე მხარისათვის. მაგრამ ამან მალე მიიღო სხვა ხასიათი – ერთეულთა ჯიბის გასქელება კონტრაბანდის მეშვეობით. ისევ ვამბობ, თავისთავად ბაზრის არსებობა ამ ტერიტორიაზე ძალიან კარგია, მას ოსებისთვისაც და ქართველებისთვისაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სულ სხვა იქნებოდა იქ გახსნილი ჩაფიქრებული კულტურის ცენტრი, რომელიც განუხორციელებელ იდეად დარჩა უსახსრობის გამო“.

– რა საქმიანობას ეწევა „კავკასიური სახლი“ და მისი ოსური სექტორი ზოგადად კავკასიური საკითხებისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში?

– „კავკასიურ სახლს“ სათავეში უდგას შესანიშნავი მწერალი, არაჩვეულებრივი პიროვნება ნაირა გელაშვილი. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნო ის სულისკვეთება, რაც ამ კოლექტივში სუფევს. ეს სახლი მულტიკულტურული კერაა, რაც არის თავად კავკასია. აქ გვერდიგვერდ მუშაობენ ქართველი, რუსი, აფხაზი, ოსი, ქისტი, ჩერქეზი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ერთმანეთის მიმართ მხოლოდ სიყვარულით არიან განმსჭვალულნი (შესაძლოა, ფიქრობთ, შაბლონური ფრაზა გამომივიდა, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ასეა). როცა პირველი ჩეჩენი ლტოლვილები მოაწყდნენ თბილისს და მეტროში გაჩხერილებმა (მილიციამ შეაჩერა) არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ, პირველები „კავკასიური სახლის“ თანამშრომლები მივედით და დახმარების ხელი გავუწოდეთ, უბრალოდ, დავაკვალიანეთ სად

წასულიყვნენ, ვისთვის მიემართათ. როდესაც ზოგიერთი ჩეჩენი უსახლკაროდ დარჩა, ჩვენ შევიფარეთ და ვისაც როგორ შეგვეძლო, ვეხმარებოდით. ყოველთვის ერთმანეთის გვერდით ვართ და ერთმანეთის წუხილს ვიზიარებთ, ერთმანეთის სიხარულს ვიყოფთ. როდესაც ოსური ფოლკლორის პრეზენტაცია ჩატარდა ცხინვალში, მიუხედავად დაძაბულობისა, ჩერქეზი თამარ უჯუხუ და ქისტი მექა ხანგოშვილიც წამოვიდნენ ოსებთან და თბილი სიტყვებითაც მიმართეს მათ. ასევე, მექას გვერდით ვიყავით ყოველთვის, როცა ჩეჩნურ საბავშვო ფოლკლორს თარგმნიდა, ან როცა ამ წიგნს პანკისში ურიგებდა ლტოლვილებს. ეს ყველაფერი ჩვენი დირექტორის – ნაირა გელაშვილის დამსახურებაა (ისევ კომუნისტური ფრაზა?!). შეუძლებელია მის გვერდით იმუშაო და არ იგრძნო, რამხელა სიყვარული აქვს ყველა ხალხის მიმართ, როგორ ეცოდება ყველა გაჭირვებული და როგორ ცდილობს შეძლებისდაგვარად ყველას დახმარებას.

არ შეიძლება არ აღვნიშნო „კავკასიური სახლის" დიდი დამსახურება ქართულ-ოსური ურთიერთობის მოწესრიგებაში. ჩვენ ბევრს ვაკეთებთ, რათა ეს დროებით გათიშული ორი ერი კვლავ დაახლოვდეს.

2002 წელს ვთარგმნე და გამოვეცი ოსური ფოლკლორი, ჩეჩნური ფოლკლორი (მექა ხანგოშვილთან ერთად) – 2000 წელს. თბილისში ჩავატარე ქართულ-ოსური შეხვედრები, ცნობილი ოსი მწერლის, გიორგი ბესთაუთის იუბილე, ოსი მეცნიერის პროფ. ვერა აიდაროვას იუბილე, ცხინვალში „ოსური ფოლკლორის" პრეზენტაცია, რასაც დიდი შეფასება მისცეს ქართულ თუ ოსურ პრესაში.

„კავკასიურ სახლში" ქართველებისა და ოსების მონაწილეობით ჩავატარეთ მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, რომლებსაც დიდი სამშვიდობო დანიშნულებაც ჰქონდა.

ასევე ჩავატარეთ ქართულ-ოსური ოჯახის წარმომადგენელთა შეხვედრები (2003 წლის 27 ივნისსა და 5 სექტემბერს, იხ „Кавказский Акцент" 14 (87) და 18 (91).

2002 წლის 10 მაისს „კავკასიურ სახლში" ჩავატარეთ ცნობილი ოსი მწერლის, „ვეფხისტყაოსნის" ოსურ ენაზე მთარგმნელის, გიორგი ბესთაუთის იუბილე (იხ. „Кавказский Акцент", 2002 №10 (59).

იუბილეზე სტუმრებს მიესალმა და შესავალი სიტყვა წარმოთქვა ნაირა გელაშვილმა. გიორგი ბესთაუთის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვისაუბრე მე. საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ მისი სტუდენტობის დროინდელი მეგობრები, ხვთისო არჩემაშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, ზურაბ ლომიძე, მის შესახებ ისაუბრეს ვლადიმერ პატეიშვილმა, პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ, ჯემალ აჯიაშვილმა, ზეზვა მედულაშვილმა, ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ცხინვალიდან ჩამოსული სტუმრები, მწერლის მეუღლე სალიმა ზოზირაევა, ასევე მწერლის მეგობრები. საღამომ ძალიან გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, სტუმრებს ძალიან მოეწონათ „კავკასიური სახლის“ გოგონათა ანსამბლ „ლარგოს“ მიერ შესრულებული ოსური სიმღერები. ცხინვალელ ლტოლვილთა ანსამბლმა „ლიახვმა“ მწერლის ხსოვნის საპატივსაცემოდ შეასრულა სიმღერები ქართულ და ოსურ ენებზე.

ეს იყო ქართველებისა და ოსების მეგობრული საღამო, რომელსაც ურთიერთმონატრების გრძნობა ათბობდა. კარგა ხანია ასეთ სასიამოვნო საღამოს არ დავსწრებივარ, კარგა ხანია ასეთი თბილი სიტყვები არ მომისმენია, დიდი მადლობა „კავკასიურ სახლს“ ამისათვის, – ამბობდა ცხინვალელი სტუმარი ლილი გასიევა.

2003 წლის 11 აპრილს „კავკასიურ სახლში“ აღინიშნა ოსი მეცნიერის პროფ. ვერა აიდაროვას 85 წლის იუბილე. ქალბატონი ვერა წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ალექსანდრე პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. საღამოს მოწვეულები იყვნენ იუბილარის მეგობრები ცხინვალიდან და თბილისიდან. ეს იყო ქართველი და ოსი ინტელიგენციის პირველი ასეთი მასშტაბური შეხვედრა. იუბილეზე იყო მონატრების ცრემლები, შეხვედრით გამოწვეული სიხარულის ცრემლები...

– მე ალბათ ასეთი ბედნიერი დღეები ჩემს ცხოვრებაში თითებზე ჩამოსათვლელი მახსოვს. დღეს ჩემი ქართველი და ოსი ხალხი ვნახე ერთმანეთს როგორ ეფერებოდნენ, მე დღეს უბედნიერესი ქალი ვარ. ამბობდა იუბილარი.

„ამ შეხვედრამ ათასჯერ მეტი გააკეთა, ვიდრე წლების განმავლობაში ჩატარებულმა ოფიციალურმა შეხვედრებმა, ამ შეხვე-

დრაზე ცხადი გახდა ერთი რამ, ხალხს ერთმანეთი უყვარს და ენატრება, ამას მოწმობს დღევანდელი გამომსვლელის ყველა სიტყვა. ჩვენს შორის ურთიერთობას სწორედ ასეთი სახის შეხვედრები მოაწესრიგებს", – თქვა ამ შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ აზა კოკოევამ (ამ შეხვედრის შესახებ იხ. გაზ. „Кавказский Акцент", 8 (81), 2003.

2002 წელს გამოვეცით ოსური ფოლკლორული კრებული. ამავე წლის 22 ნოემბერს ცხინვალში ჩავატარეთ ამ წიგნის პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ აკად. ნაფი ჯუსოითი, მწერალი მერი ცხოვრებოვა, საგარეო საქმეთა მინისტრი მურად ჯიოევი, ინფორმაციისა და ბეჭდითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარე ირინა გაგლოევა, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორი, თემურ კოკოევი, ფოლკლორისტი ზარა აბაევა და სხვ.

ამ წიგნის გამოცემით დიდი საქმე გაკეთდა, ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა ოსური ფოლკლორი, დიდი მადლობა „კავკასიურ სახლს," რომ მან ასეთი საყოველთაო გაჭირვების მიუხედავად ასეთი საქმე იტვირთა. თუმცა ალბათ უკეთესი იქნებოდა, თუ ეს კრებული ოსურენოვანიც იქნებოდა, – აღნიშნეს გამომსვლელებმა.

ცხინვალში წიგნის „ოსური ფოლკლორი" პრეზენტაცია იყო ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებული პირველი ასეთი მასშტაბური კულტურული ღონისძიება, რასაც დიდი შეფასება მისცეს ქართულ თუ ოსურ პრესაში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს ასევე დიდი სამშვიდობო დანიშნულებაც ჰქონდა, რამეთუ თითოეული ღონისძიება გამსჭვალული იყო კეთილმოსურნეობის სურვილით (იხ. „Кавказский Акцент", 2002, 23 (72)

– თქვენი მისია ქართულ-ოსურ კონფლიქტში.

– პატარები რომ ვიყავით მამაჩემს თავის სოფელში მივყავდით. ეს მგზავრობა მაშინ უაღრესად რთული იყო, მამაჩემისთვისაც, რომელიც ორ პატარა ბავშვთან ერთად ამხელა გზას გაუდგებოდა ხოლმე და ჩვენთვისაც – მისი შვილებისთვის. ჯერ გურჯაანამდე უნდა გავსულიყავით რამენაირად. ნახევარი გზა ფეხით უნდა გაგვევლო. მახსოვს ალაზანზე ბორანი იყო, სადაც ადამიანები და ცხოველები ერთად გაჰყავდა მებორნეს. სულ მეშინოდა, ან ცხენს

არ ეკრა წიხლი, ან ძროხას არ ამოეტია და მამაჩემს ვეკვროდი შეშინებული. მერ თბილისში უნდა გაგვეთია სადმე ღამე. მეორე დღეს აგარამდე უნდა ჩავსულიყავით და იქიდან შვიდი თუ რვა კილომეტრი ფეხით გვევლო. ცირა ყოჩაღად მიჰყვებოდა ხოლმე მამას გვერდით, მე ხშირად ვიღლებოდი და ხელში აყვანას ვითხოვდი. ერთხელაც მითხრა, მეც დავიღალე, ახლა ფეხით წამოდიო. მე ვიუარე და გზაზე ჯიუტად დავჯექი, ფეხით ვერ წამოვალ-მეთქი. იჯექი მაშინ, ჩვენ წავალთო და დამტოვეს. იქვე მოსახვევი იყო, ვხედავ, მოსახვევს გასცდნენ, ვიფიქრე, ნამდვილად მიმატოვეს-მეთქი და წამოვხტი, დავედევნე. მოსახვევში მიმალულან თურმე, რომ დამინახეს, სიცილი ატეხეს: – აკი სიარული აღარ შეგეძლოო.

ბალთაში ჩვენი სახლი და უბანი მომაღლო გორაკზე იყო. შორიდანვე შეგვამჩნევდნენ და ყველა ჩვენს შესაგებებლად მორბოდა. ყველაზე წინ – ჩემი მაიკო ბებია, ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა და ქართულად წამღერებული სიტყვებით ჩაგვიკრავდა ხოლმე გულში... რამ პარირა რა რამ პარა, ჩემი შვილიშვილები, ჩემი შვილიშვილები, – იმეორებდა ამ სიტყვებს და თან ტიროდა. მივდიოდით, ტიროდა, მოვდიოდით, ისევ ტიროდა და კიდევ – ძველებური ხის დიდი „შიფანერკის" უჯრაში დაწკრიალებული ეწყო წინა წელს იქ დატოვებული ჩვენი დაპატარავებული სანდლები, რომლებსაც ეფერებოდა თურმე, რომ მოვენატრებოდით...

მახსოვს ისეთი დაღლილები ჩავდიოდით, ფეხზე ძლივს ვიდექით.

ზოგი იფიქრებს, რა ძალა ჰქონდა ამ კაცს, ამხელა გზაზე პატარებს რომ მიაწოწიალებდაო. ჩვენ კახეთში ვიზრდებოდით, ძირითადად მაინც ქართულ გარემოში, ქართული სულისკვეთებით, ქართული დედა ენით. მამა წინ გამხედი კაცი იყო, იცოდა ჩვენი ფესვები იქ, ბალთაშიც იყო, ცალმხრივად არ უნდა განვვითარებულიყავით, ძირებს მთლიანად არ მოვმწყდარიყავით და თავიდანვე შეგვეყვარებინა ის ყველაფერი, რაც ჩვენი იყო, რომ მერე არ გავუცხოებულიყავით...

ამიტომ იყო, რომ

ბავშვობიდან შევიყვარეთ მე და ჩემმა და-ძმებმა ის ორი ხალხი, რომელთა სისხლი ჩვენს ძარღვებში ჩქეფს.

ბავშვობიდან ვხედავდით ამ ორი ერის წარმომადგენლებს

ჩვენს ოჯახში შეხმატკბილებულად მცხოვრებთ.

ბავშვობიდან ვეზიარეთ ქართულ „იავნანას“, „აი იას“ სიტკბოსა და „სიმდის“ სინაზეს,

და ამიტომაც არის:

ორივე ერი ჩვენია,

და კითხვაზე „დედა გიყვარს თუ მამა „ დაბნეული, მაგრამ შემდეგ გონს მოსული ბავშვივით მყარად გპასუხობთ: ორივე! ორივე!

ჩვენ ორივე ერი გვიყვარს,

ჩვენ ორივე ერს ვეკუთვნით

და რა სახის კონფლიქტიც არ უნდა მოხდეს ამ ორ ერს შორის,

და რა სახის ქარიშხალმაც არ უდა დაქროლოს მათ შორის,

ჩვენ ვერ შევძლებთ ერთ მხარეს დგომას, რადგან მეორე ნაწილი უფრო ძალუმად აგვტკივა მაშინ...

ჩვენ ვერ დავდგებით ვერც ერთის საპირისპიროდ...

ჩვენ შეიძლება მხოლოდ შუაში ჩავდგეთ

და თუ გაგვიმართლა,

თუ მოვარიგეთ,

თუ ორივეს შემაერთებელ ხიდად ვიქეციო,

ჩვენი მისია ეს იქნება სწორედ!

– რის გაკეთებას აპირებთ სამომავლოდ?

– ცხოვრება მიდის, წლები მემატება... ჩემი ცხოვრების რიტმი ალბათ კი არ გაძლიერდება, თანდათან შენელდება. ჯერ ისევ ვკითხულობ ლექციებს ქართული ენის პრაქტიკულ სტილისტიკაში ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

“კავკასიურ სახლში“ ვხელმძღვანელობ ოსურ სექტორს, ვცდილობ, ჩემი წვლილი შევიტანო ჩემი ორი ხალხის ცხოვრებაში, კიდევ უფრო აქტიურად მივიღო მონაწილეობა ქართულ-ოსური ურთიერთობის დარეგულირების საქმეში...

სამომავლოდ?

მე ასაკით არც ისე პატარა ვარ, დიდი სამომავლო გეგმები მქონდეს. ამასთანავე, ძალიან ბევრი უმძიმესი დღე გავიარე, რამაც ჩემს ჯანმრთელობას საკმაოდ დიდი დაღი დაასვა. სულ ხუთიოდე წლის წინ ასეთ შეკითხვას სხვანაირი ოპტიმიზმით ვუპასუხებდი, სხვაგვარი ხალისითა და შემართებით. ბოლო ხუთი წლის განმა-

ვლობაში იმდენჯერ ჩავხედე სიკვდილს ძალიან ახლოდან ცივ და უტყვ თვალებში, იმდენი ძლიერი დარტყმა მაქვს მიღებული, ფრთა-მოტეხილი ჩიტივით მივახახუნებ მიწამდე ჩამოყრილ ფრთებს და ჩემი შვილების, შვილიშვილის ჯანმრთელობას, მათს ბედნიერებას შევთხოვ ღმერთს. და მინდა, რომ ქვეყნად მშვიდობა იყოს, „ქვეყნად მშვიდობა რომ იქნება, ჩვენი შვილებიც ბედნიერები იქნებიან.“ თუ რამე შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ ამისათვის...

და კიდევ... ჩემი დიდი ტკივილი მოუშუშებელი არ დამრჩეს... ყველაფერს ვიღონებ... ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ, ოღონდაც ჩემი წვლილი შევიტანო ქართველებისა და ოსების ძველებური თბილი, მეგობრული, ხალასი ურთიერთობის აღდგენაში...

„ომობანას“ ცხინვალში აღარავინ თამაშობს[26]

ცხინვალში დროს ორ ნაწილად ყოფენ: ომამდე და ომის შემდეგ. ცხოვრების ასეთნაირად დაყოფა, დიდებთან ერთად პატარებმაც იციან.

ომამდე ბავშვები ომობანასაც ვთამაშობდით...

ჩვენს უბანში ერთი ძველთაძველი, ბორბლებგამოცლილი, დაჟანგული ავტობუსის ჩონჩხი ეგდო. ორ ბანაკად გაყოფილი ბავშვების ერთი გუნდი ამ ავტობუსში მოთავსდებოდა და მინებჩამსხვრეული „სანგრის' ფანჯრებიდან გადმოკიდებდა თავის „იარაღებს“, ხის ხმლებსა და „რევოლვერებს“. გარეთ ჩასაფრებულები გააფთრებით უტევდნენ – „ბახ“, „ბუხ“... გაიძახოდნენ... ყიჟინით მივიწევდით წინ, ავიღებდით ამ „ციხე-სიმაგრეს“, დავატყვევებდით მოწინააღმდეგეებს და ჩავსხდებოდით გამარჯვებულები და გაამაყებულები. ახლა თქვენ მოიწევდით გააფთრებით... ეს „ომობანა“ იყო, ყველა ეზოს ბავშვს რომ უყვარდა, იმიტომ, რომ აქ არავინ ზარალდებოდა, მხნედ და შემართებით დარბოდნენ „დამპყრობლები“ და არც „დაპყრობილები“ იყვნენ ცხვირჩამოშვებულები, ისინიც იღიმებოდნენ...

მე რატომღაც შენ გბარდებოდი ტყვედ, გამარჯვებულად ხომ ის მიიჩნეოდა, ვინც ტყვეს აიყვანდა..

ახლა ომობანას ცხინვალში აღარავინ თამაშობს, დაზაფრული ბავშვები ამ სახელს აღარც კი ახსენებენ. ჩემი მეზობლის სამი წლის ბავშვმა, ჯერ რომ გამართულადაც ვერ ლაპარაკობს, ამოოხვრით თქვა, ნეტავი, ეს ოხერი ომი მალე დამთავრდესო...

•

შენ ქართულ სკოლაში სწავლობდი, მე — რუსულში. გზის ერთ მხარეს ერთი იყო, გადაღმა მხარეს — მეორე. ხან შენ მიცდიდი ორღობის გასასვლელთან, ხან — მე. ერთად მივდიოდით ჯერ ხელიხელჩაკიდებულები (ასე გვარიგებდნენ უფროსები), მერე, უბრალოდ, გვერდიგვერდ. თავიდან იქიდანაც ერთად ვბრუნდე-

[26] პირველად გამოქვეყნდა გაზეთში „ახალი ეპოქა“, 2001 წ. 58 (110), 27-30 ივლისი.

ბოდით. მერე კი ხან შენ გქონდა ხუთი თუ ექვსი გაკვეთილი, ხან — მე და სხვადასხვა დროს გვიხდებოდა სკოლიდან შინ დაბრუნება. სახლში მისულები კი ერთმანეთს აუცილებლად მოვიკითხავდით – გოგა მოვიდა თუ არა? – ირა ჯერ არ დაბრუნებულა? ეს თავიდან, მერე...

დიდ დასვენებაზე ჩვენი სკოლის ეზოსთან იდექი ხოლმე, ზარის დარეკვისთანავე იქა ჩნდებოდი. მერე... შენც მაშინ გიმთავრდებოდა გაკვეთილები, როცა მე. გაკვეთილები შენც მაშინ გიცდებოდა (ასე ამბობდი) როცა მე და უწინდებურად ერთად გვიხდებოდა სახლში დაბრუნება... გვერდიგვერდ უბრად მოვუყვებოდით გზას. თითქოს რაღაცას ვხვდებოდი, მაგრამ რას, მაშინ ამაზე არ დავფიქრებულვარ (მაშინ მეგონა, დრო უსასრულო იყო და თავისთავად გაირკვეოდა ის „რაღაც"). ისე კი ორივეს გვსიამოვნებდა სკოლაში ერთად სიარული...

მახსოვს, სასექტემბროდ წიგნებს რომ შეგვიძენდნენ, ნახატებს ერთად ვათვალიერებდით, ჯერ შენს წიგნებში, მერე – ჩემსაში, ან პირიქით, ჯერ ჩემსაში, მერე –შენსაში. ერთხელ შენს წიგნს ვფურცლავდით, ეს რა კარგი სურათიაო – სკოლისკენ მიმავალი გოგობიჭები რომ ეხატა, იმაზე თქვი; ორ გოგონას ხელში ჩანთები ეჭირათ და ორივეს გრძელი ნაწნავები ჰქონდათ, თეთრი, ქათქათა ბანტები ეკეთათ...

ბავშვობიდან მოკლედ მქონდა თმები შეჭრილი, ალბათ, დედის მოუცლელობის გამო, მისი აზრით, ასე უფრო მიხდებოდა. ხოდა, წიგნების დათვალიერებისას როგორ ვინატრე, გრძელი თმები მქონოდა... მერე ვიზრდიდი კიდეც, აღარ ვაჭრევინებდი... ახლაც მესიზმრება წელამდე ჩამოშვებული ორად დაწნული ნაწნავები, ხელში ჩანთა მიჭირავს და სკოლისაკენ მივდივარ, მხოლოდ იმ მეორე გოგონას ნაცვლად, გვერდით შენ მომყვებოდი, როგორც ყოველთვის სკოლაში რომ მივდიოდით...

ცხადი კი შემზარავია, ძალიან შემზარავი...

•

იმ თქვენეულ სახლს ცოტა ხანს გააფთრებით ვიცავდით, სხვებსაც ვანამუსებდით, მალე დაბრუნდებიან და რა პასუხი გავცეთო, შიგ არავის ვუშვებდით. დრო უსაშველოდ გაიწელა (ყოველ-

შემთხვევაში მე ასე მეჩვენებოდა). მერე ასეთივე ხალხი მოაწყდა აქაურობას – თქვენნაირად ძალისძალად გამოყრილები თავიანთი სახლებიდან – ულეიბ-უსაბნოდ, ლამის შიშველ-ტიტველი ბავშვებით გამოქცეულები. გაზიდეს ყველაფერი, რაც კი მიტოვებულ სახლში იყო, აღარაფერი დატოვეს. გარეთ ველარ ვიხედებოდი სირცხვილისაგან. ერთ კვირას მიდი-მოდიოდა ხალხი თქვენს სახლში. მერე მიწყნარდნენ, ალბათ გასაზიდის გაზიდვა დაამთავრეს. კარგა ხანი გავიდა და ძლივს შევიხედე შიგ, იმ ფანჯრებიდან, ჩვენკენ რომ გაქვთ. შევიხედე და შემზარავი რბევის სურათი... მიფხრეწილ-მოფხრეწილი ქაღალდები, რაღაც ჭურჭლის ნამსხვრევები მიმობნეული. ერთადერთი წიგნი ეგდო ოთახის კუთხეში, გადავძვერი, შენი წიგნი იყო, მეოთხე კლასის სახელმძღვანელო, მშობლიური ლიტერატურა. სულ რამდენიმე დღეში თქვენი სახლიც გადაწვეს. ის წიგნი ახლაც მე მაქვს გადამალული და კიდევ... შენი სათამაშო – საღებავგადაცლილი პატარა სათამაშო მანქანა...

•

გაზაფხულობით როგორც ბევრ სხვა სახლს, ჩვენსასაც ჩვენი მერცხლების ჟრიკ-ჟრიკი ავსებდა. ერთ-ორ დღეში თქვენსასაც თქვენი მერცხალი აკითხავდა. რატომღაც ჩვენი ყოველთვის ორი-სამი დღით ასწრებდა მოფრენას. ჩვენსას თითქმის დამთავრებული ჰქონდა ხოლმე ბინა, რომ თქვენიც მოფრინდებოდა. მაინც წაეხმარებოდა ხოლმე თქვენი, მერე ეს ჩვენეულა ეხმარებოდა. მახსოვს როგორ ვცნობდით, ეს ჩვენი მერცხალიაო, ისინიც გვცნობდნენ, რასაკვირველია. თუმცა ზოგს უკვირდა, როგორ ცნობთ, მერცხალი მერცხალიაო, მაგრამ ის უფრო საკვირველი არ იყო, ისინი როგორ გვცნობდნენ. იმათ თვალში ჩვენც ხომ ერთნაირები ვართ – ორი ხელი, ორი ფეხი...

მოკლედ, ბარტყებსაც ერთად ზრდიდნენ და მერე თბილი ქვეყნებისკენაც ერთად მიფრინავდნენ...

ახლაც მოფრინდნენ. პირველი ისევ ჩვენი მოფრინდა, ორი-სამი დღის შემდეგ თქვენიც გვეწვია, სახლის ნანგრევებზე ჩამოჯდა, კი არ ჩამოჯდა დაეზღართა რაღაცა უცნაურად, აღარ ჟრიკ-ჟრიკებდა, უფრო ელდანაცემსა ჰგავდა... თითქოს თვალებს არ უჯერებსო – ცერად გადახრილ თავს სწრაფ-სწრაფად აქეთ-იქით

ამოძრავებდა... ქცევაც უცნაური ჰქონდა, აფრინდებოდა მაღლა, მოკლე წრეს დაარტყამდა სახლს და ისევ დაეშვებოდა. ცოტა ხნის შემდეგ გავხედე... ფრთებში ნისკარტშემალული იჯდა, თვალებიც რაღაცნაირად მიელულა. თითქოს არ უნდოდა დაენახა ის, რაც მის გარშემო იყო. მთელ დღეს ასე იწრიალა, იწვალა. ჩვენებმა ბუდის შენებაში გართულებმა გვიან შენიშნეს, მათ ხომ შესაშური სიმკვირცხლით იციან ბუდის კეთება და ალბათ ამიტომ. მიუსხდნენ მერე ისინიც თქვენსას. რაღაცა ჩაუსხაპასხუპ-ჩაუჟრიკჟრიკეს. ისიც დროდადრო, უფრო კი იშვიათად ამოიჟრიკჟრიკებდა ხოლმე (უფრო ამოიკვნესებდა ხოლმე, როგორც მე მეჩვენებოდა). მეორე დილით ჯერ ისევ გვეძინა, რომ რაღაცა ფრთქიალის ხმა შემოგვესმა. გამოვედი და მეორე ბუდეც შენდებოდა... თქვენი მერცხლისთვისაც გამოინახა ადგილი, აქ გაიკეთა ბინა. ერთად მოზიდეს გამხმარი ბალახბულახი... მერე ბარტყები... დააფრთიანეს და ერთად წავიდნენ თბილი ქვეყნებისაკენ.

გაზაფხულზე ჩვენი მერცხლები ისევ დაბრუნდნე. მას შემდეგ ჩვენს აივანზე ერთი ბუდე შენდება, თქვენი კი აღარ გამოჩენილა. ალბათ მხოლოდ ერთ სეზონი შეაფარა თავი ჩვენს სახლს... ისე კი ვგრძნობ, ის ახლოს არის, აქ, სადღაც, მაგრამ ბუდე არ აუშენებია. ერთი რაღაც კი მენიშნა, მაგრამ დაჟინებით ვერაფერს ვიტყვი, ერთი მერცხალი მოფრინდება ხოლმე, თქვენი სახლის ნანგრევებზე ჯდება, ცოტა ხნით ზის გარინდებული, მერე ჩვენკენაც მოფართქუნდება, ავა მაღლა, სულ მაღლა, რაღაცნაირ წრეს დაარტყამს ჩვენსა და თქვენს სახლს შორის და უჩინარდება...

იმ ნანგრევებს სხვა მერცხალი არ მიჰკარებია...

•

ძალიან პატარა ხელისგულისოდენა მიწა ჰქონდა იმათ სახლს. ასევე ჩვენსას. ამიტომ იყო, მათი ხილიც და ჩვენიც მიჯნაზე იდგა. ჩვენ ლელვს იქითა ჰქონდა ტოტები, იმათ თხილს – აქეთ. არც ერთი არ იყო გაყოფილი. ეს ხილი მათიც იყო და ჩვენიც. თქვენი თხილით ჩვენი დედები (ერთის ქართველი და მეორისა – ოსი) ჩურჩხელას ნემსავდნენ. ჩვენი ლელვით კი მურაბას ხარშავდნენ და იყო სიამტკბილობა ჩვენს ოჯახებში....

ათი წელიწადზე მეტია უკვე, რაც თქვენ წახვედით და იმ თხ-

ილისთვის კი არა მისი ფოთლებისთვისაც კი არ დაგვიკარებია ხელი მე და დედას. ჩამოცვივა ჩვენს მხარეს თხილი და თაგვს ან თხუნელას მიაქვს, ალბათ. ის კი არა, ლეღვიც ზედა ლპება, ფუტკარ-კრაზანა ჭამს. ჩვენ ხელს ვერ ვაწვდენთ, რაღაცა გვბოჭავს, შენც გიგრძვნია, ალბათ, ლუკმა ყელში რომ გეჩხირება და არ გადაგდის. არ ვიცი ამას რა ჰქვია, მაგრამ ერთი კი არის, ორივე ხე მიჯნაზე დგას, ერთი თქვენს (ქართველების) მხარეს, მეორე ჩვენს (ოსების) მხარეს, რომელსაც ადრე არ ვასხვავებდით, არ ვფიქრობდით, ვის ეკუთვნოდა, ორივე ვხარობდით, ახლა? ახლა არც ერთი აღარ ხარობს...

ისეთი გამჭვირვალე ღობე გექონდა გავლებული, ყოველთვის ჩანდა თქვენს ბაღში რამდენი ღერი ხახვი იყო ამოწვერილი. ასევე ჩანდა აქეთაც.

ის იდილიაც არასოდეს დამავიწყდება, ჩვენი დედების საუბრით რომ მეფდებოდა ჩვენს ეზოებში. რაღაცას მხოლოდ ერთმანეთის გასაგონად ამბობდნენ და მხოლოდ გადაკისკისების დროს ახმაურებდნენ ჩვენს ეზო-კარს, ასე რომ უხდებოდა მაშინ ეს ყველაფერი.

რა კარგი იყო ის ყველაფერი, რაც ასე კარგად გრძელდებოდა. მოხუცივით სულ ეს (ალბათ ბებიებისაგან მოსმენილი) სიტყვები მიტრიალებს გონებაში: „ნეტაი იმ დროს“...

•

მარტო თქვენ არა, ოსებიც ბევრნი აიყარნენ ცხინვალიდან, განსაკუთრებით ბავშვებიანი ოჯახები. ომის საშინელებას გააარიდეს პატარები. ზოგმა ნათესავი გამონახა სადღაც, უმთავრესად კი ვლადიკავკაზში გაიხიზნენ... ვლადიკავკაზში... ლტოლვილებად მოედვნენ იქაურობას ახლა უკვე უბინაონი, უსახლკარონი და უპატრონოდ დაყრილნი...

ხანდახან წარმოვიდგენდი, აი, შევყარეთ ჩვენც ჩვენი ავლადიდება და ჩვენც გავემგზავრეთ სადღაც, სიმშვიდის საძებნელად, ჭფიქრშიც კი მიძნელდებოდა ამისი წარმოდგენა, მე ხომ ბავშვი ვიყავი, ვინ რას მკითხავდა... მაგრამ ალბათ დედაჩემსაც იგივე ემართებოდა, რომ იმ საშინელი ტყვიების წვიმაში ხან ერთ კუთხეში მიყუჟულები, ხან მეორეში, ამას ვუძლებდით. წასვლა არც

უხსენებია, ალბათ არც უფიქრია, ბებიაჩემს უკვე კარგა ხანი იყო ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა, უფრო ხანგრძლივი ძილი ჰქონდა მოხუცებულს, ვიდრე ღვიძილი, დაუვიწროვდა, თანდათან დაუპატარავდა ის ღვიძილის დროც და ბოლოს (შვილის ნახვას მონატრებულს – ეს მამის დედა იყო) სულაც შეუწყდა. ძილმა, სამარადისო ძილმა გადაფარა ის პატარა მონაკვეთიც ღვიძილისა და ღამით რამდენიმე კაცმა ჩუმად აიტანა ზღუდერზე და იქ დაკრძალა.

და, როცა წასვლას წარმოვიდგენდი, ვფორიაქობდი, იმ ბარგი-ბარხანაში შენი წიგნის დამალვას ვერ ვახერხებდი, შენი დედაენისა, რომელიც რაღაცა ძვირფას რელიკვიად შემომრჩა და ვერც ჩვენი მერცხლების მიტოვება წარმომედგინა...

ომი ახალი დაწყებული იყო, რომ ლიახვიც ადიდდა, მოგლიჯა ყველაფერი და თან წამოიღო. გვერდიგვერდ მდგარი ორი მთა ჩამოწვა, ჯებირი გააკეთა და სამი დღით შეაკავა ეს საშინელი მასა, მეოთხე დღეს კი ვეღარ გაუძლო და წამოვიდა ხათქახუთქით, ზარითა და გრიალ-გრიალით. დიდი თუ პატარა, ყველანი ზღუდრის მთისაკენ გავცვივდით. ლოგინში მწოლიარე მოხუცებიც კი იქით მიბარბაცებდნენ (სული ტკბილია). წარღვნის კადრებივით ახლაც თვალწინ მიდგას ეს სურათი. ცაზე შავი, ფაფარაშლილი ყომრალი ღრუბლები წამოშლილიყვნენ... დაბლა ყველგან წყალი გაშლილიყო – მოტივტივე საგნებით, ქაფმორეული ტალღებით, დამხრჩვალი ცხოველებითა თუ ფრინველებით.

მერე როგორღაც ნელ-ნელა ჩადგა მღელვარება, დაიწია წყალმა. ჩვენც ჩამოვეფინეთ ფერდობზე. ყველას თავისი აინტერესებდა, ყველა თავისი ბუნაგისაკენ მიისწრაფოდა. ჩვენს დატბორილ, დალეწილ სახლში რომ შევედი, ვეღარ ვიცანი იქაურობა. ეზო ათასგვარი ჩიხაურით იყო სავსე... ვიღაცის ხის სახლი მოეგლიჯა, ჩვენი ეზო გაენგრია და იქ ჩაეხიდა. ვიღაცის ქვაბები, ტაშტები, ბალიშისა და საბნის მაგვარი ჩვარ-ჩვურებადქცეული ტანსაცმელი ჩვენი თუ სხვისი, ერთმანეთში აერია, რაღაცა მიჭეჭყილ-მოჭეჭყილი საგნები აეხორხოლავებინა ეზოში, აეზილ-დაეზილა ყველაფერი ერთმანეთში და შემზარავი სანახავი იყო ეს ყველაფერი. იქვე ეზოს კუთხეში ეგდო მიმხრჩვალი ძაღლი, აქეთ-იქით ეყარა კისერგაშეშებული ქათმები. როგორც იქნა კარებებშემტვრეულ სახლშიც შევაღწიეთ. ჭურჭელი და წიგნები სახლის ერთ კუთხეში

ტივტივებდნენ, ნივთი ნივთს აღარ ჰგავდა... გახსენებაც კი მზარავს ყველაფრისა, დაწერა კი არა... ენით გამოუთქმელი მწუხარება გვეწერა ყველას სახეზე, მერე ქალურმა სისიუსტემ იძალა და ცრემლებად წამოვიდა, მხოლოდ ცრემლი იყო ამჯერადაც ჩვენი პატარა ნუგეში, რომელმაც ამოიტანა ქვემოთ გულის სიღრმეში გაჩხერილი ბალღამის კოლტები და ცრემლების მლაშე ნიაღვრებად გადმოსკდა... ირგვლივ ყველა ვტიროდით, ამ ქვითინით, უსიტყვო, მაგრამ ზარიანი ქვითინით ცოტა სული მოვითქვით თითქოს... მერე დავიწყეთ თვე-ნახევარზე მეტ ხანს ვეზიდებოდით სახლიდან ბარით ამოსაღებ ნაშალ-ნუშალს, ქვიშას, რაღაც გაურკვეველ ნაგავს, რაც ადიდებულ-აბობოქრებულ მდინარეს დაეტოვა...

ერთი რამე ყველაზე ცხადად დამამახსოვრდა. იმ სტიქიას რომ გავურბოდით, არავის ახსოვდა, ვინ ვისთან ერთად გარბოდა ხელჩაკიდებული. ხელი კი აუცილებლად ვიღაცაზე გვეკიდა, ბავშვებსა და ქალებს მითუმეტეს. ხომ შეგინიშნავთ, წყალში გამსვლელისთვის მეორისათვის ხელის ჩაკიდება გზის გაიოლებაა ორივესათვის. ფეხებში ათასგვარი რამ გვედებოდა და ერთმანეთისათვის ხელი არ გაგვიშვია, ისე ავრბოდით მთის ფერდობზე. ის საერთო უბედურება, ფეხდაფეხ რომ მოგვდევდა, ისე სულმოუთქმელად მიგვარბენინებდა, არაფრის ფიქრს არ გვაცლიდა, გავრბოდით რაც ძალი და ღონე გვქონდა, გავრბოდით ოსებიცა და ქართველებიც ხელჩაკიდებულნი... და ის საერთო უბედურება ერთად გადავიტანეთ ოსებმაც და ქართველებმაც... ზოგჯერ ვფიქრობ, ბუნებამ მაშინ ხომ არაფერი გვითხრა, რაც ვერ გავიგონეთ, ხომ არაფერი გვიკარნახა, რასაც ვერ მივხვდით, ისეთი ხომ არაფერი დაგვიწერა იმ მდინარის ენით, რაც ვერ წავიკითხეთ, ვერც ოსებმა და ვერც ქართველებმა. გავრბოდით, არც ენას ვაქცევდით ყურადღებას, არც რწმენას, ყველას ერთმანეთისა გვესმოდა და ერთმანეთს იმაში ვეხმარებოდით, გავქცეოდით უბედურებას, აბობოქრებულ საშინელებას, გამრისხანებულ-გამძვინვარებულ ბუნებას, როგორც პირუთვნელ განმსჯელს ცოდვისა და სიკეთისა, ავისა და კარგისას, რომელსაც ახლა ვერ ვაცნობიერებდით კი არა, ვერც ვუფიქრდებოდით (ნეტავი მერე მაინც გაგვეაზრებინა), რომელიც ახლა ყველას გვაერთიანებდა, ფეხდაფეხ მოგვდევდა, ჩვენს უსუსურობას შეგვაგრძნობინებდა და თან ალბათ ცდილობდა რაღაცა ესწავლე-

ბინა, რაღაცა ჩაეგონებინა...

მახსოვს, ჩვენი დავრდომილი მეზობელი საშა ჯუსოევი ველარ მოგვდევდა, ძლივს მილასლასებდა, სვენებ-სვენებით ძლივს მიფორთხიალებდა ფერდობზე გამხმარი, სიფრიფანა საშა პაპიდა, როგორც მას ვეძახდით. მიბრუნდა კასრაანთ გელა, ბავშვივით აიტატა მოხუცი ქალი ჯოხიანად და ორმეტრიანი ნაბიჯით აუყვა აღმართს.

ახლა ვფიქრობ, ბუნებას ალბათ ძალიან უნდოდა, რაღაც ჩაეგონებინა და ესწავლებინა მაშინ ჩვენთვის – ყველასათვის, ოსებისთვისაც და ქართველებისთვისაც... თავისი ენით...

•

ომისდროიდან ერთი ასეთი ფრაგმენტი მახსოვს – გასუსულები ბნელ სარდაფში ვსხედვართ სამივენი – მე, ბებია და დედაჩემი (მამა და ჩემი პატარა და კარგა ხნის გახიზნულები იყვნენ უკვე). კრინტს ვერა ვძრავთ კი არა, გაფაჩუნებისაც გვეშინია ყურს ვუგდებთ გარეთ ტყვიამფრქვევების გრიალს. ამ სროლის გრიალსა და ტყვიების ზუზუნში მთელი ამ ხნის განმავლობაში სმენადაძაბულებს და ახლა უკვე მოთენთილებს ჩვენდაუნებურად ჩაგვეძინა, სამივეს ჩაგვეძინა. საკვირველება! გარეთ ყველაფერი ინგრეოდა, ზათქისა და ზრიალის ხმა აყრუებდა იქაურობას, ამას ყველაფერს ბანს აძლევდა იქვე მთების სიღრმიდან წამოსული საშინელი ექო და ჩვენ ჩაგვეძინა...

ისიც მახსოვს, სროლა რომ შეჩერდებოდა, შიშნარევი თვალებით ერთმანეთს შევხედავდით ხოლმე – ხომ არ მოგვიახლოვდნენ და ხომ არ შემოცვივდებიან შიგნით? მერე? მერე იმის მერე რა იქნებოდა, ველარ ვაგრძელებდი ფიქრს, უფრო სწორად კი, წარმოვიდგენდი ხოლმე, აი, მოვიდნენ, იარაღიანები, დაგვადგნენ თავს, და შენც მაშინვე ჩნდებოდი, ყველა შემოგხედავდა და იარაღს დაუშვებდა (შენ მხოლოდ მე მიყურებდი და რაღაცა შეუცნობელი სასიამოვნო ჟრუანტელი მივლიდა, შენი წარმოსახვით გამოწვეული). ასე მთავრდებოდა ეს საშინელი „ომობანა“, ეს იყო ჩემი ფიქრის ყველაზე ნეტარი ფრაგმენტი, როცა შენ მოდიოდი და მშვიდობა მყარდებოდა, ყველანი ერთად ვიყავით ისევ... ყველაფერი ასე კარგად მთავრდებოდა შენთვისაც, ჩემთვისაც და, საერთოდ ყველას-

თვის... ჩვენთვის და ჩვენი მერცხლებისთვისაც.

იმ ზრიალ-გუგუნში რომ ჩაგვეძინა, მაშინაც ეს ერთადერთი საოცნებო ხილვები მესტუმრა...

•

თქვენი სახლი გადამწვარია, ჩვენს სახლს კი იქიდან, ცხინვალის შემოსასვლელიდან, ზღუდრიდან ნასროლი ნატყვიარები დღესაც აჩნევია... ეს არის ის, რაც გარედან ჩანს, ან, უფრო სწორად, რაც სახლებს დააჩნდათ გარედან...

ხომ არის რაღაც, რაც გარედან არ გემჩნევა, ან ვერ გამჩნევენ, ვერ ხედავენ... მაგრამ უფრო ღრმაა, უფრო მწვავეა და უფრო ძნელად შესახორცებელი... შენც ხომ გიგრძვნია ასეთი რამ, შენც ხომ გიგრძვნია?

ცირა (მზიური) ბეპიევი

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ცხინვალის №2 რუსულ საშუალო სკოლაში

ცირა (მზიური) ბეპიევი-ინაური, დაიბადა 1947 წლის 9 თებერვალს ყვარლის რაიონ სოფ. მთისძირში. დაამთავრა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. პროფესია – ფილოლოგი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. 1964 წლიდან 1989 წლამდე ცხოვრობდა და მუშაობდა ქ. ცხინვალში. იყო ბიბლიოთეკის გამგე, ცხინვალის მეორე რუსული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. წარდგენილი იყო დამსახურებაზე. 1990 წლიდან ლტოლვილია. ცხოვრობს გორის რაიონ სოფ. ტირძნისში სხვის (მეუღლის ბიძის) სახლში. მეუღლე – ანზორ ინაური. ჰყავდა სამი ვაჟი: დათო, კახა და დიტო ინაურები. დათო და კახა ტრაგიკულად დაიღუპნენ 2001 წელს. 1989 წლიდან უმუშევარია.

მე იმ თაობას ვეკუთვნი, რომელიც საბჭოთა სისტემის პერიოდში მარქსისტულ-ლენინური იდეებით იზრდებოდა. ჩვენს შეგნებაში მტკიცედ იყო განმტკიცებული ერთი ასეთი ფორმულა: ის, რასაც მთავრობა განახორციელებდა, მხოლოდ მშრომელი მასების საკეთილდღეოდ, მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლად ხდებოდა. არავის ჰქონდა უფლება ამაში ეჭვის შეტანისა, არც საუბრისა. ვიზრდებოდით ასე და გვჯეროდა, ცოტაც და კომუნიზმშიც შევიდოდით და მაშინ ხომ ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ექნებოდა. თუმცა აქვე უნდა გითხრათ, რომ ამ ილუზიებისა ბოლომდე არავის სჯეროდა. ისე კი ვითომ მივიწევდით „წინ, კომუნიზმისაკენ“ და უცბად ნგრევა ამ სისტემისა. ნგრევას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ქაოსი, მაგრამ ის, რაც ჩვენს ქვეყანაში მოხდა, ალბათ ქაოსზე კიდევ მეტი იყო. ხალხი, ვითომ ეროვნული თავისუფლებისაკენ მიმსწრაფი, გვერდით მცხოვრებ სხვა ეროვნების ხალხებს უმოწყალოდ დევნიდნენ. დავუშვათ, ეს არ იყო იმ მთავრობის პოლიტიკით

ნაკარნახევი, მაგრამ ქვეყანაში რაც ხდება, ხომ მთავრობის გასაკონტროლებელია და არა ცალკეული ჯგუფებისა, რომელთა სისასტიკესა და ულმობელობას ადეკვატური ღონისძიებებით ხვდებოდნენ სხვებიც. ახე გადაემტერნენ და წაეკიდნენ ერთმანეთს ქართველები და ოსები. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, გადაჰკიდეს და გადაამტერეს ერთმანეთს. მე ახლა არც დამნაშავეთა სახელები და გვარები მაინტერესებს, არც მათი თანამდებობები. მე ვიცი ერთი რამ, იმ დღიდან, რა დღიდანაც მე და ჩემი ოჯახის წევრები ცხინვალიდან ლტოლვილებად ვიქეცით, დაიწყო უბედურების დღეები, საშინელი ტრაგიზმი, რამაც ის ავადსახსენებელი საბჭოთა პერიოდიც მანატრებინა და მაშინდელი ლოზუნგებიც. მაშინ გვასწავლიდნენ, რომ ყველა ერთმანეთის ძმა და მეგობარია, ეროვნული მთავრობის ლოზუნგით კი ზოგს ოკუპანტს ეძახდნენ, ზოგს მოთრეულს და ყველა არაქართველისთვის იყო, ნამდვილად იყო ლოზუნგი: „წაეთრიეთ აქედან“. ამან გამოიწვია უარყოფითი დამოკიდებულება ქართველების მიმართ ცხინვალში და იქიდან ჩვენი კინწისკვრით გამორეკვა, რაც ასევე დიდი უსამართლობა იყო...

დავიბადე 1947 წელს, კახეთში, ყვარლის რაიონში. იქ 14 წლამდე ვცხოვრობდი. ჩვენს სოფელში მხოლოდ შვიდწლიანი სკოლა იყო და სწავლა შილდის საშუალო სკოლაში გავაგრძელე, რომელიც 1964 წელს დავამთავრე.

იმავე წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტში. ამის შემდეგ კახეთში მხოლოდ სტუმრადღა ჩავდიოდი და ისიც, იშვიათად. მთელი ცხოვრების მანძილზე მენატრებოდა ჩემი ბავშვობის ადგილი და მენატრება დღესაც. ეს იყო ის უდარდელი წლები, რომელიც ჩემი ცხოვრების ყველაზე კარგ მოგონებებს უკავშირდება. ვერ ვიტყვი, უზრუნველი ბავშვობა მქონდა-მეთქი, მაშინ მრავალშვილიანი ოჯახის წევრობა ნიშნავდა ბევრ შრომა-წვალებასაც, მაგრამ ხალისი და სიხარული მხოლოდ იქ, ჩემი ბავშვობის დღეებში დარჩა.

ცხოვრების მეტი ნაწილი სწორედ აქ, ცხინვალში გავატარე. ინსტიტუტი დამთავრებული არ მქონდა, რომ გავთხოვდი. მეუღლე აწრისხევიდან ცხინვალში ჩამოსული ინაურების შთამომავალი იყო. დედამისი – კატუშა კოლოტაშვილი ძირძველი ცხინვალელი იყო

– კასრაანთ უბნელი. დედამთილსაც და მამამთილსაც ჩემი ოსი ნათესაობა ისევე უყვარდათ, როგორც ქართველები. ბევრი ოსი ახლო მეგობარი და ნათესავი ჰყავდათ თვითონაც. რაც შეეხება ჩემს ქმარს, ის საერთოდ ქართულ-ოსურ გარემოში ტრიალებდა სულ, ოსურიც იცოდა ბავშვობიდან და მე მგონია, ოსი მეგობრები უფრო მეტი ჰყავდა, ვიდრე ქართველი. მიუხედავად ცხინვალში კარგა ხანს ცხოვრებისა, ამ ოჯახის რძალი თუ სიძე მანამდე მხოლოდ ქართველი იყო. ასე რომ, ჩვენს ოჯახს შერეული ოჯახი ჩემი მისვლის დღიდან დაერქვა.

ინსტიტუტში სწავლის წლებში მეყოლა ორი ვაჟი: დათო და კახა. ცხოვრებას სულ სხვა ხალისი და შინაარსი მიეცა და მეც თან ვსწავლობდი, თან ბავშვებს ვზრდიდი, მეუღლეც შრომობდა.

– ოჯახის შესახებ, სადაც თქვენ გაიზარდეთ, ბევრი რამ გავიგე თქვენი დის მონაყოლიდან. ალბათ უფრო საინტერესო იქნება მოგვიყვეთ ცხინვალში ცხოვრების პერიოდზე.

– საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განვაგრძე ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მამაჩემს ცხინვალის რაიონსა და მეზობელ სოფლებში ნათესავები ჰყავდა და გადავწყვიტეთ, რომ იქ უფრო მოსახერხებელი და უკეთესი იქნებოდა ჩემთვის სწავლა და ცხოვრება. შემდეგ ჩემს გზას მოჰყვნენ ჩემი დედმამიშვილები და ყველამ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა.

მე ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ქართული ენისა და ლიტერატურის საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე ჩავაბარე. დღისით ვმუშაობდი საკონსერვო ქარხანაში, რომ ჩემს მშობლებსა და პატარა და-ძმებს არ დავწოლოდი ტვირთად, საღამოს ვსწავლობდი. სამსახურშიცა და ინსტიტუტშიც ბევრი მეგობარი მყავდა. ცხინვალი პატარა ქალაქია და მალე ჩემი მეგობრების, ჯგუფელების, თანამშრომლების ახლობლები გავიცანი, ბევრი მათგანი ოსი იყო, ბევრი – ქართველი. ჩვენი მაშინდელი შესაძლებლობების მიხედვით, ვცდილობდით ერთმანეთისათვის სითბო და ყურადღება არ მოგვეკლო.

ინსტიტუტში ქართულ განყოფილებაზე, ჩემს კურსზე, ბევრი ოსი სწავლობდა. ლექტორებისა და სტუდენტების განწყობა ყოველთვის ერთნაირი იყო როგორც ქართველებისათვის, ასევე – ოს-

ებისათვის.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ცხინვალთან ახლოს, სოფელ ფრისის ოსურ ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკის გამგედ. უამრავი ქართული წიგნი გვქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სოფელიც ოსური იყო და, შესაბამისად, ბიბლიოთეკაც. ბევრი ოსი მოდიოდა ქართული წიგნების წასაკითხად ბიბლიოთეკაში, იყვნენ ისეთი მკითხველებიც, „ვეფხისტყაოსნის" სხვადასხვა გამოცემა რომ გაჰქონდათ წასაკითხად და შესადარებლად, ქართული მწერლობა, პოეზია რომ აინტერესებდათ და კითხულობდნენ. ნურავინ იფიქრებს, ოსურ ბიბლიოთეკაში მხოლოდ ოსური წიგნებისთვის მოდიოდა მკითხველი. მოდიოდნენ ქართული და რუსული ჟურნალ-გაზეთების წასაკითხადაც. ბიბლიოთეკა ძალიან ლამაზად გვქონდა მოწყობილი. ერთმანეთის გვერდიგვერდ ეკიდა ოსი, ქართველი და რუსი კლასიკოსების სურათები. ვმართავდით შეხვედრებსა და იუბილეებს. ოსი ავტორის ქართულ ენაზე თარგმნა თუ ქართული კრებულის ოსური თარგმნა ჩვენს ბიბლიოთეკაში ყოველთვის საგანგებოდ აღინიშნებოდა ხოლმე. ვაწყობდით ამა თუ იმ ახალი თარგმანის განხილვას და ასე ვცდილობდით ფართო საზოგადოებისათვის გაგვეცნო. ასეთი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ცხინვალის ცხოვრებაში. მკითხველიც მიჩვეული იყო, რომ ასეთი სიახლეები აუცილებლად აღინიშნებოდა ჩვენთან. გვქონდა სტენდი, სადაც, ჩვეულებრივ, ახალ წიგნებს, კრებულებს გამოვფენდით ხოლმე. აქაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ოსური, ქართული და რუსული წიგნები იდო. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ოსურ ბიბლიოთეკაში უმეტესად ქართულ და ოსურ წიგნებზე იყო მოთხოვნა.

– როგორ გგონიათ, რითი იყო ეს განპირობებული? რუსული ენის უცოდინარობით?

– არა მგონია, უფრო, ქართულის ცოდნითა და ინტერესით. ოსები რომ ოსურ წიგნებს კითხულობდნენ, ეს ბუნებრივია. ქართული კი იმ თაობამ შესანიშნავად იცოდა. ეს ახლანდელმა თაობამ არ იცის, თორემ წინა თაობებმა არაჩვეულებრივად იცოდნენ და დღემდე იციან ქართული. ბევრს ქართული სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ამას გარდა, ბიბლიოთეკაში ყოველთვის განათლებული მკითხველი მოდის, ვისაც საკუთარი ბიბლიოთეკა უკვე აღარ

აკმაყოფილებს. ასეთები კი, ჩვეულებრივ, რამდენიმე ენაზე კითხულობენ.

– თქვენ ცხინვალის რუსულ სკოლაშიც მუშაობდით. როგორ დაიწყეთ პედაგოგად მუშაობა? ადგილი გათავისუფლდა სკოლაში?

– ეს იყო ცხინვალის მეორე რუსული საშუალო სკოლა. ამ სკოლაში, დაწყებით კლასებში, დაუმატეს ოსური ჯგუფები. ქართულ ენას რაც შეეხება, მასწავლებლის ადგილი კი არ გათავისუფლდა, არამედ ქართული ენა საერთოდ არ ისწავლებოდა რუსულ სკოლებში და სწორედ მაშინ მიდიოდა დიდი ბრძოლა იმისათვის, რომ ქართული ენა, როგორც საგანი შემოსულიყო რუსულ სკოლებში. ერთ საიდუმლოებას გეტყვი, ეს ნამდვილად საბრძოლველი საქმე იყო, რადგან მაშინდელი ხელისუფლების (შევარდნაძის პოლიტიკა) ტენდენცია რუსულის პროპაგანდა იყო და არავის უნდოდა ქართული ენა, განსაკუთრებით, რუსულ სკოლებში. თავიდან ქართულის გაკვეთილებს, როგორც კლასგარეშე საგანს, ისე ვატარებდით და საკლასო ოთახებში არც გვიშვებდნენ. სასადილოებში, ბავშვები რომ სადილობდნენ, მაშინ შევდიოდი და ვუყვებოდი ქართველ მწერლებზე, ქართულ სიტყვებს, გამოთქმებს ვამეორებინებდი, თუ ვინმემ ქართული ლექსი იცოდა, ვაქებდი და სხვებსაც ვთხოვდი, თანაკლასელისგან ესწავლა ლექსი. დერეფნებში ვეკითხებოდი ბავშვებს მეორე დღეს იმ ლექსებს, გამოთქმებს, სიტყვებს. დიდი წინააღმდეგობა გვქონდა განათლების სამინისტროდან, საოლქო განყოფილებიდან, მაგრამ იმდენი ვიბრძოლეთ, რომ ქართულ ენას მაინც გავამარჯვებინეთ – ყველა რუსულ სკოლაში ისწავლებოდა ქართული და მერე უკვე საკუთარი კაბინეტიც გვქონდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი რომ დავაწერეთ ქართულად, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ოთახი ძალიან ლამაზად მოვაწყეთ. ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სურათები ჩამოვკიდეთ, მათი ძვირფასი გამონათქვამები, შეგონებები გამოკრული გვქონდა. ცენტრში კი – შოთა რუსთაველის სიტყვები იყო მიწერილი მეგობრობასთან დაკავშირებით.

– რომელ კლასებში ისწავლებოდა ქართული?

– თავიდან მესამე კლასიდან იწყებდნენ რუსულ სკოლაში ქართულის სწავლებას. მერე იმდენს მივაღწიეთ, რომ პირველი კლა-

სიდან დავიწყეთ ქართულის სწავლება კვირაში 3 საათი. კლასებში ბევრი ბავშვი თუ იყო, ჯგუფი ორად იყოფოდა.

– თქვენი სკოლის დირექტორი მაშინ ტორეზ კულუმბეგოვი იყო, შემდგომში ქართულ-ოსური კონფლიქტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი, „ადამონ ნიხასის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და, როგორც ქართველებშია ცნობილი, ქართველთა დიდი მოძულე. როგორი იყო მისი, როგორც სკოლის თავკაცის, დირექტორის განწყობა ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით?

– მინდა გითხრა, რომ ტორეზ კულუმბეგოვის ხელშეწყობით, სკოლაში ქართული ენა ყვაოდა! წიგნები, სასკოლო ინვენტარი ყოველთვის წესრიგში იყო. არ მახსოვს მე მისთვის ქართული ენის კაბინეტისათვის თვალსაჩინოება მეთხოვა და მას უარი ეთქვა ან დროულად არ მოეწოდებინა. პირიქით, ხშირად შემოდიოდა კაბინეტში და მეკითხებოდა, რამე ხომ არ მჭირდებოდა. ესწრებოდა ჩვენს ღონისძიებებს, სასკოლო წარმოდგენებს. ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილ იუბილეებზე სიტყვითაც გამოდიოდა ხოლმე და ამა თუ იმ მწერლის დამსახურებაზე ლაპარაკობდა. ღია გაკვეთილების დროსაც აუცილებლად მესწრებოდა. არაჩვეულებრივი პედკოლექტივი გვქონდა, ერთიანი, შეკრული, ღირსეული. იქ მაშინ ქართული კი არ იდევნებოდა, პირიქით, ყველა პედაგოგი იმას ცდილობდა რაიმეთი დამხმარებოდა. ასეთმა ერთსულოვნებამ და ურთიერთსიყვარულმა განაპირობა, რომ მე სკოლაში მიმიხაროდა. მიუხედავად იმისა, რომ მე იქიდან გამოძევებული ვარ და ძვირს უფრო ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მე კარგის მეტი არაფერი მახსოვს მათგან და ძვირს ვერაფერს ვიტყვი, ისინი ყველანი ახლაც ძალიან მიყვარან. საერთოდ ძვირი რა სახსენებელია, იქ იყო იდეალური პედკოპლექტივი, იდეალური შეგნება-განწყობით ქართველთა მიმართაც და ქართული ენის მიმართაც. დირექტორი რომ არ გვყოლოდა კარგი, ჩვენ ასე ვერ დავახლოვდებოდით. ყველა ღონისძიებაზე ერთად ვიყავით. მე იქ ქართველებზე ნათქვამი უარყოფითი არ გამიგონია. როცა ხმამაღალი განცხადებები ისმოდა, ეს ქართული მიწააო, ტორეზ კულუმბეგოვმა კრებაზე თქვა, ეს შეიძლება ქართული მიწაა, მაგრამ აქ ყველამ ერთად უნდა ვიცხოვროთ, ოსებმაც და ქართველებმაც. თვითონ ქართვე-

ლი ცოლი ჰყავდა, მუმლაძის ქალი, სამხედროს შვილი. ქართულად ჩვეულებრივ ლაპარაკობდა.

– რუსულ საშუალო სკოლაში ქართული ენის სწავლება როგორ მიმდინარეობდა?

– მაშინ სკოლებში ვატარებდით ტურებს ქართულ ენაში, გამარჯვებულები იგზავნებოდნენ თბილისში. ვატარებდით კონფერენციებსა და ოლიმპიადებსაც. ჩვენი სკოლის ბევრი მოსწავლე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოპოვებული გამარჯვებისათვის დაჯილდოვდა სიგელებითა და დიპლომებით. მე მეთოდისტი ვიყავი ოლქის მასშტაბით და დამსახურებაზეც წარმადგინეს. მერე ყველაფერი აირია და ჩემი მოკრძალებული დამსახურებაც ჩაიფერფლა იმ ქალაქში სხვა ბევრი ღირსეული ადამიანის დამსახურების გვერდით.

– თუ ყველაფერი ასე ჰარმონიულად და ლამაზად იყო, რამ ითამაშა ნეგატიური როლი ქართულ-ოსურ გარემოში?

– საბჭოთა კავშირი რომ იშლებოდა, ბუნებრივია, ყველგან დაიძაბა ვითარება, მაგრამ ცხინვალი მაინც პროვინცია იყო და თავისი მშვიდი, პროვინციული ცხოვრებით ცხოვრობდა. ყოველ შემთხვევაში, აშკარა დაპირისპირება ქალაქში არ იგრძნობოდა. შემდეგ, გამსახურდიას პოლიტიკამ, აგრესიულმა განცხადებებმა უკვე დაძაბა კიდეც ვითარება. იმ განცხადებას, რომ ოსი ერი, როგორც ერი არ არსებობსო, ძალიან ცუდი რეაქცია მოჰყვა ოსური საზოგადოებისა და მთლიანად, მოსახლეობის მხრიდან.

– როგორი იყო ამ ვითარებაში თქვენი გარემოს განწყობა თქვენ, როგორც ქართული ენის მასწავლებლის მიმართ?

– მე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვიყავი და ქართველი ქმარ-შვილი მყავდა. კონფლიქტის დროს ეს კიდევ უფრო ამძიმებდა ჩემს მდგომარეობას. რა თქმა უნდა, ჩვენს სკოლაში, ვინც მე და ჩემს ოჯახს გვიცნობდა, მათ იცოდნენ, რომ ჩვენ არ ვიყავით არავისი მოძულენი და ჩემ მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა. აკი ვთქვი, მე ისინი მიყვარდნენ და მათგანაც ასეთივე სიყვარულს ვგრძნობდი.

როცა ქართველები ავტობუსებით ცხინვალს მოადგნენ და აშკარა დაპირისპირება გამოიკვეთა ქართველებსა და ოსებს შორის, უკვე ყველგან დაიძაბა ვითარება და ზოგიერთი ჩემს ზურგსუ-

კან ქართული ენის სწავლების აკრძალვაზე საუბრობდა. მე სკოლაში აღარ წავსულვარ იმ დაძაბულობის შემდეგ, ისე, როცა გავიგე, ქართულის სწავლება აიკრძალა სკოლებშიო, ვთქვი: ჩვენ წავალთ, მაგრამ მოვა დრო, რომ ამ სკოლაში ქართველიც ისწავლის, ოსიც და რუსიც და აქ ქართულსაც ასწავლიან ბავშვებს-მეთქი. ამის გამო ზოგმა ირონიულად შემომხედა, მაგრამ აშკარა დაპირისპირება არავის გამოუხატავს და მეც არავისგან განმიცდია შევიწროება.

– ბავშვების განწყობა როგორი იყო დაძაბულობის, კონფლიქტის პერიოდში? უნდოდათ ქართული ენის სწავლა?

– შემიძლია დავიფიცო, რომ ჩემი მოსწავლეები სხვა გაკვეთილიდან რომ წასულიყვნენ, ჩემს გაკვეთილებზე, ქართულის გაკვეთილებზე მაინც შემოდიოდნენ. ჩემი მოსწავლეები დღესაც მხვდებიან და ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით მესალმებიან. იმ პერიოდშიც მომდიოდა მისალოცი ბარათები მოსწავლეებისგან: საახალწლოდ, სარვამარტოდ. ამ ბარათებს ვინახავდი, ვინახავდი მათ ნაწერებსაც, თავისუფალ თემებს: „ვინ მინდა გამოვიდე“, „რაზე ვოცნებობ“, „ჩემი სამშობლო“, „ბუნება და მე“. ამ თემებს ვინახავდი, რომ მერე, სკოლის დამთავრების დროს საზეიმოდ გადამეცა, მაგრამ ყველაფერი ცხინვალში დარჩა და ალბათ, განადგურდა.

კონფლიქტის დასაწყისში თითქოს უფრო გააქტიურდნენ კიდეც ბავშვებიცა და მშობლებიც ქართული ენის ინტერესით, რომ არ შეგუებოდნენ ამ დაპირისპირებას, ან შეიძლება იმიტომ, რომ მე არ მეგრძნო, თითქოს არასაჭირო იყო ქართული ენის სწავლა. ჩემი მოსწავლეების დაინტერესებასა და სიყვარულს ქართული ენისადმი ყოველთვის ვგრძნობდი, არასოდეს არ ვაძალებდი ბავშვებს ქართულის სწავლას, არამედ ყოველთვის ვუხსნიდი, რომ ეს მათთვის იყო საჭირო. არც ვემუქრებოდი და არც არასოდეს ზედმეტად მკაცრად ვექცეოდი. მოსწავლე არასოდეს დამითხოვია კლასიდან. გაკვეთილის უცოდინრობის გამო ყოფილა შემთხვევები, რომ ორიანიც არ დამიწერია და მეორე გაკვეთილზე მოსწავლეს კარგად უსწავლია გაკვეთილი და მომზადებული მოსულა. ქართველებსა და ოსებს შორის სიტუაციის გამწვავებამ თავიდან არ დააბნია ჩემი მოსწავლეები. პირიქით, როგორც გითხარით, უფრო გააქტიურდნენ. ალბათ, მშობლებიც უფრო უწყობდნენ შვილებს ხელს და ქა-

რთული ენისა და ლიტერატურის ცოდნაში ამოწმებდნენ კიდეც, რომ ბავშვებს არ შესძულებოდათ. ჩვენ ყველას ეს გაუგებრობა დროებითი გვეგონა და ველოდებოდით, რომ მალე ყველაფერი გაირკვეოდა. მშობლებისგან დაინტერესება იმითაც იგრძნობოდა, რომ ბოლო დროს, ვითარების გამწვავებისას, მაშინ, როცა უკვე აშკარად რადიკალური მოწოდებები გაისმოდა, ჩემთან მოვიდნენ იმ ბავშვების მშობლები, რომელთა შვილებიც ოსურ ჯგუფებში დადიოდნენ და მთხოვეს, ქართულის გაკვეთილები კერძოდ ჩამეტარებინა მათი შვილებისათვის.

– როგორ წამოხვედით სკოლიდან?

– იმდენი იძახეს, ოსებო, წაეთრიეთ ქართული მინიდანო, ქართველების იქ გაჩერება შეუძლებელი გახდა. დაიწყო ომი. ცხინვალიდან ქართველები ნელ-ნელა დაიცალნენ. ძირძველი მოსახლეობაც კი გაიკრიფა.

დაიწყო ომი. საახალწლო არდადეგების დამთავრების შემდეგ, სკოლაში არავინ მისულა. სწავლა, რა თქმა უნდა, აღარ იყო, რომც ყოფილიყო, რა პირითღ მივსულიყავი სკოლაში? რა მეთქვა ჩემი მოსწავლეებისათვის? როგორ მელაპარაკა ხალხთა შორის მეგობრობასა და მშვიდობიან, ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე, როცა ასეთი ახლოს მდგომი ორი ერი ერთმანეთს დაუპირისპირდა? ეს ჩემთვისაც ძალიან ძნელი იქნებოდა და ჩემი მოსწავლეებისთვისაც გაუგებარი. ჩემთვის არც სკოლის დირექტორს, არც თანამშრომელს, არც მოსწავლეს და არც მშობელს არ მოუყენებია შეურაცხყოფა, არავის შეუვიწროვებივარ, მაგრამ სკოლაში სწავლა რომც დაწყებულიყო, მე თვითონ გამიჭირდებოდა გაკვეთილების ჩატარება. მე თვითონაც გაურკვეველობაში ვიყავი, არ ვიცოდი, რითი რა ამეხსნა. გაიგებდნენ კი ჩემი პატარები, რომ ქართველი ხალხი არაფერ შუაშია და, მითუმეტეს, ქართული ენა? ეს მაშინ, როცა მათ ირგვლივ ქართველი ხალხი ასოცირდებოდა მკვლელთან, მომხვდურთან. ისინი ერთს ხედავდნენ, მე მეორე მელაპარაკა? ამაზე ფიქრში ღამეები მითენებია (ღამეების თენებაზე გამახსენდა, ახლაც ხშირად მესიზმრება, გაკვეთილს ვატარებ, ვუხსნი ბავშვებს, არ ესმით, კიდევ ვუხსნი, ვერ იგებენ, თან ვერცა ვცნობ ვინ არიან, სულ უცხო ბავშვები სხედან, ვერაფერს ვაგებინებ და ვწვალობ, მერე მეღვიძება და ვტირი. ვერ აგიწერთ, როგორ მენატრება ჩემი

სკოლა, როგორ ძალიან, ძალიან მინდა იმ სახემოციმციმე ბავშვებთან ქართულ ენაზე საუბარი, ახლა კიდევ უფრო მეტად რომ გახდა საჭირო და აუცილებელი).

აბა, ომის დროს გაკვეთილებს ვინ ჩაატარებდა, იწვოდა იქაურობა, ცეცხლსა და კვამლში იყო ცხინვალი გახვეული. ვისაც შეეძლო გახიზნა ბავშვები (ოსებზე ვამბობ), როცა სწავლა დაიწყო, უკვე გაუქმებული იყო ქართულის სწავლება და მტრის ხატიც ქართველის სახით გამოკვეთილი, მოკლედ, მიაღწიეს, რაც უნდოდათ ზოგზოგიერთებს, ამ ზოგიერთებში მე, რა თქმა უნდა, ჩემს კოლეგა პედაგოგებს არ ვგულისხმობ.

– რას იტყვით თქვენს სამეზობლოზე?

– ჩემი დედამთილ-მამამთილი ქართველები იყვნენ, გვერდით კი სულ ოსები ცხოვრობდნენ, აქედან – ტიბილოვები, იქიდან – ბიბილოვები. ძალიან კარგი მეზობლები გვყავდა, ომის დროს მე და ჩემი დედამთილი ცხინვალში ვიყავით და სწორედ ოსი მეზობლები გვიფარავდნენ. ეს მაშინ დიდი რისკი იყო მათი მხრიდან. ქალაქში მაშინ ბევრი უცნობი დადიოდა, მათთვის არ არსებობდა არანაირი ეთიკა, ქართველს იფარავდი? ესე იგი მოღალატე იყავი და დაგარბევდნენ, შენი ოსობა ვერ გიშველიდა, აი, ასეთები იყვნენ საშიშნი, თორემ ნორმალურ ვითარებაში მე რატომ უნდა მშინებოდა ვინმესი? მართალია, დედამთილ-მამამთილი, ქმარი ქართველი მყავდა, მაგრამ მე ხომ ოსი ვიყავი? რას მერჩოდნენ? მაგრამ მე მერჩოდა არა ოსი, არამედ ამ არეულობით მოსარგებლე კრიმინალი, ვიღაც, ვინც ცხინვალში ამ არეულობამ მოიზიდა. ყველაზე პირველად ჩვენი სახლი გაძარცვეს, იმიტომ კი არა, რომ ქართველის სახლი იყო, იმიტომ, რომ ჩვენ კარგი მაცხოვრებლები ვიყავით, ჩვენი ოფლით აშენებული სახლ-კარი და ქონება მანქანებზე შეყარეს და ვლადიკავკაზის გზას გაუყენეს, ვინა და საძარცვავად შემოსულებმა. ისე, გამწარებულებიც ბევრნი იყვნენ, ისინიც ჩემსავით უყველაფროდ ტოვებდნენ საკუთარ სახლ-კარს. მე ხომ ისე წამოვედი, რომ ერთი ნემსი რაა, ნემსიც ვერ გამოვიტანე, იმიტომ, რომ მე მეგონა, ეს ყველაფერი ძალიან მალე მოგვარდებოდა და სულ ვფიქრობდი აი, ახლა მოეგებიან გონს, აი, ახლა და დამშვიდდება ყველაფერი, ცოტაც გავძლოთ და ალბათ მშვიდობით დამთავრდება ყველაფერი-მეთქი. ასე ვითმენდი ყველაფერს, სანამ სახლში ვიღაც უცნობი

ოსები არ მოვიდნენ და არ მითხრეს: დღესვე დატოვე აქაურობა, თორემ ვიტყვით, რომ შენ სახლში იარაღი აღმოვაჩინეთ, რომელსაც აქედან წასული ქართველი ქმარ-შვილი გიგზავნისო და ჩემს თვალწინ დაიწყეს ტყვიების ჩალაგება ლოგინში. მე საერთოდ უშიშარი ვარ, არც მაშინ შემშინებია, სიმართლე რომ ვთქვა, მაგრამ მათმა სიტყვებმა დამაფიქრა, ასეთი ტყუილი შეიძლება მართლა ვინმემ დაიჯეროს და ჩემი ქმარ-შვილი, რომლებსაც არასოდეს ფიქრშიც კი არ გაუვლიათ ცუდი ოსებზე, შეიძლება ამათმა ნათქვამმა გასვაროს-მეთქი. წამოვედით მე და ჩემი დედამთილი, ფეხით, რა თქმა უნდა. ეს მოხუცი ქალი იმ თოვლში რამდენჯერმე დამივარდა, ველარ მოდიოდა, მეთოშებოდა, გამხდარი, სუსტი ქალი იყო. თან ვერაფერი წამოვიღეთ, ჯერ ერთი, გვეგონა, გავიდოდით და მალე დაწყნარდებოდა ოსებსა და ქართველებს შორის ყველაფერი მშვიდობიანად (რასაც ღმერთს ყოველდღე ვევედრებოდი!), მეორეც, ვინ გამოგატანდა, ბარგით მიმავალი რომ დაენახე, ცოცხალსაც არ გამოგიშვებდნენ, მახსოვს, გზად მომავლებს ორი გამწარებული ოსის ქალი შეგვხვდა, იმათ ქართველი ვეგონე მეც, ისეთი წყევლა-კრულვა დაგვიწყეს, ოსურად გაჰკიოდნენ, ჩემი შვილის მკვლელებო, თქვენი სისხლი უნდა დავლიოო, გავშრი, ქვები დაგვიშინეს, კინაღამ ხიდიდან გადაგვყარეს, გამწარებულები იყვნენ, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვიყავით?

გამოვედი თუ არა, მეორე დილითვე გამოაცარიელეს ჩემი სახლი იმათ, ვინც გამომაძევა, აქ ხალხი რა შუაშია? მეზობელიც მიცავდა და ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც, რომლებიც იქ მრავლად მყავდა, მაგრამ მაშინ ამ პროცესებს ვერავინ მართავდა, შეუძლებელი იყო ძარცვას ვინმე წინ აღდგომოდა, მაშინვე სხვა იარლიყს მიაკერებდნენ.

სხვათა შორის, ჩემი მეზობლები წინ გადაუდგნენ, უთხრეს, ხალხი არა ხართ, ესენი რა შუაში არიანო, ამათზე უდანაშაულო ხალხი არ არსებობსო. ტიბილოვი ჟორა, საწყალი, ნათელში იყოს, კინაღამ დაწვეს ჩემი სახლის დაცვის გამო.

გამძარცვეს, ყველაფერი წაეღოთ, სამი საძინებელი მქონდა, კარგი სამზარეულო და რა ვიცი, რად მინდა ახლა ჩამოთვლა. რაც არ უნდოდათ, გადაყარეს, საკერავი მანქანა ბაღჩაში ეგდო, წიგნებიც აქეთ-იქით ეყარა, არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა მქონ-

და, მიფლეთილ-მოფლეთილი წიგნები ზოგი გარაჟში ეყარა, ზოგი კიბეებზე, ზოგი ოთახებში, როგორ დამენანა ჩემი წიგნები.

– როგორ ცხოვრობდით ომის დროს ცხინვალში?

– გაჭირვება კი არა, არ ვიცი ამას რა ერქვა. ახალგაზრდები უცბად გავჭაღარავდით და მოხუცებს დავემსგავსეთ. საშინელი ეკონომიკური სიდუხჭირე, მთელი ორი თვე ბლოკადაში ვიყავით. წყალიც დაგვიწყვიტეს, შუქიც არა გვქონდა, პურსაც არ გვაძლევდნენ, პროდუქტი შემოგველია, ზოგი უმაცივრობით გაგვიფუჭდა.

წყალი ლიახვის ნაპირიდან მიგვქონდა. პურს ერთად ვაცხობდით, ერთად ვჭამდით, ქართველიც, ოსიც, ებრაელიც გვყავდა – ბიჭიაშვილი.

– ცხინვალში ომის დროს რამ გაგაძლებინათ?

– ომის დროს ქართველი, ოსი თუ იქ დარჩენილი სომეხი ერთად ვიკრიბებოდით და ხან ერთი ხანძრის ჩასაქრობად მივრბოდით, ხან – მეორისა. რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო. ჭავჭავაძის ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობდი, თებერვალი და მარტის თვე ხალხმა შუაცეცხლთან გაატარა. არავის გვეძინა, გაბრუშა, კრუპნი გოგია, ნინა, მე, ქსენია, ფრონტიკა, მარო, სხვები, ამ ცეცხლის გარშემო ვათენებდით, ან რა დაგვაძინებდა, ხმები იყო დარხეული – ქართველები ან ახლა დაგვესხმიან თავს, ან ახლაო.

მე ისეთ ოჯახში გავიზარდე, ოსი ნათესავიც მოდიოდა და ქართველიც, სტუდენტობისას ოსი მეგობარიც მყავდა, ქართველიც. სამსახურშიც ოსი მოსწავლეც მყავდა, ქართველიც.

შვილები ისე გავზარდე, ერთი ბიძა ქართველი ჰყავდათ, მეორე – ოსი. დეიდა ოსი, მამიდა – ქართველი. აბა ვის დაპირისპირებოდნენ! ერთიც უყვარდათ, მეორეც, ამიტომ საერთოდ გაერიდნენ აქაურობას. ჩემი ქმარი ისეთი წყნარი, ჭკვიანი და რაღაცნაირი უკონფლიქტო ადამიანია, ამისგან საწყენი სიტყვა დღემდე არავის ახსოვს, არც ოსსა და არც ქართველს. ჩვენი მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო, ორივე მხარეს ჩემი ხალხი იყო, ჩემი სისხლი და ხორცი. დღესვე რომ მომკლან, მაინც დღესაც იმას ვიტყვი, მე ორივე ხალხის ტკივილი მტკიოდა. თუმცა ერთხელ ცხინვალიდან მოვდიოდით მე და რომეო ბაქრაძე, ქართული სკოლის დირექტორი და გადაგვიდგნენ ქართველები: ეგ ოსია და ჩამოვიდეს მანქანიდანო, ტირძნისში მოვდიოდი ქმარ-შვილთან. რომეომ უთხრა, რატომ

უნდა ჩამოვიდეს, რა გინდათ ამისგანო და ასე გამომიყვანეს. ასევე ცხინვალში, ტეკიდან არ მიშვებდნენ, ეს ოსი კი არის, მაგრამ ქართველი ქმარ-შვილი ჰყავსო და მეტს ვერავინ ვერაფერს მედავებოდა. ან რას უნდა მომდავებოდა, არც არეულობაში ჩარეულან ჩემი ქმარ-შვილი და არც ომიანობაში. განკითხვისაც იმას ეშინოდეს, ვისაც დანაშაული აქვს. მე ბავშვობიდან მწამდა ღმერთი და მწამს, მტყუან-მართალს ხალხი თუ ვერა, ღმერთი ხომ არჩევს? ჩემი დანაშაული ის იყო, რომ შერეული ოჯახი მქონდა, არც ქართველი მიყურებდა კარგი თვალით და არც ოსი, ერთი ოსად მთვლიდა, მეორე – ქართველად, ასეთი ყოფილა ყველა შერეული ოჯახის შვილის ბედი. არც ოსმა დამინდო და არც ქართველმა, იქ თუ გამძარცვეს კრიმინალებმა, აქეთ უარესი უბედურება დამანიეს ქართველმა ნაძირალებმა. ნეტავ სახლიც ძირიანად მოეთხარათ და ისე წაეღოთ და მე შვილები ცოცხლები და ჯანმრთელები შემრჩენოდნენ, ახლა ყველაფერი ამ უბედურებასთან შედარებით აღარაფრად მეჩვენება. დღეს მე არც ქონებას მივტირი და არც ცხოვრებას, ამ ლტოლვილობამ და მიუსაფრობამ ოჯახი გამინადგურა. ჩემი ორუმაღლესდამთავრებული შვილები საშოვარზე შორ გზას გაუყენა, საიდანაც დაბრუნება თურმე არც ერთს აღარ ეწერა, აი ეს უბედურება არ დამტეხოდა თავს და დანარჩენი რა მოსატანია ჩემს დარდთან და ვარამთან...

შვილებზე დარდმა გამათავა და თუ ვსუნთქავ, მხოლოდ იმ შეგნებით, რომ მათთან მოვხვდე... თორემ აქამდე მე თავს კარგა ხანია არ ვიცოცხლებდი... ან რაღა ყრია ჩემს სიცოცხლეში, ესაა გაუთავებელი მოლოდინი ჩემს დათოსთან და კახასთან შეხვედრისა... ანგელოზებივით უცოდველ ჩემს შვილებთან. ნეტავი მათ მკვლელს მეც მოვეკალი, აი, მაშინ ვიქნებოდი მე ბედნიერი... ახლა რა... მივაჩანჩალებ წუთისოფელს და ვნატრობ ჩემს შვილებს მალე შემახვედრა... თუმცა, უნდა გითხრა, სულ მათთან ვარ ფიქრში, ცხადში... ველაპარაკები კიდეც... ისინიც მელაპარაკებიან. ხან ისე ცხადად ჩამესმის მათი ხმა... უჭირთ უჩემოდ, მათთან მინდა, ხომ გახსოვს წუთით ვერ ძლებდნენ უჩემოდ, არც ერთი დედას არ მეძახდა; ცირა, ცირა, პატარა გოგოსავით ასე დამძახოდნენ... ყველაზე ძნელი ჩემთვის იცი რა არის? მათთან ვარ, მათ ველაპარაკები და ვიღაცა რომ დამირღვევს ამ საუბარს, ოოო, საშინლად ვლიზი-

ანდები, შენ ხომ იცი, მე ბუნებით როგორი ვარ, მაგრამ იმ დროს მინდა ის ვიღაცაა, ვინც მათთან საუბარი, ეს ჩემთვის ყველაზე ტკბილი წუთები გამაწყვეტინა, შუაზე გავგლიჯო, მალევე ვხვდები, რომ ის არაფერ შუაშია და გონს ვეგები... ანდა, როცა სიზმარში მათთან ვარ და მელვიძება, სიცოცხლე აღარ მინდა... ნურცერთი დედა ნუ იქნება ჩემსავით უბედური... ამაზე უსაშველო არაფერია ქვეყანაზე... შემომეძარცვა ჩემი ყველაზე ლამაზი ფოთლები, ჩემი ცხოვრების აზრი და შინაარსი. დამაქვს უმძიმესი ტკივილი და სიცოცხლე კარგა ხანია აღარ მინდა... კარგა ხანია იქა ვარ, იმათთან...

ორივე ტყუპებივით გავზარდე, წლინახევრით იყო კახა დათოზე პატარა... სტუდენტი ვიყავი, თან ვსწავლობდი, თან ამათ ვზრდიდი. დიდი და სტუმრიანი ოჯახი მქონდა, სულ ფეხზე ვცქრიალებდი, ძალიან ხალისიანი ვიყავი, მოღუშულს ვერასოდეს ვერავინ მნახავდა, ქმრის ნათესაობას ძალიან ვუყვარდი და დღემდე დიდ პატივს მცემენ, გამორჩეულ რძალს მეძახდნენ. ჩვენთან ყველას მოუხაროდა, ტკბილი ოჯახი მქონდა, ჩემი და-ძმები ნახევარჯერ ჩემთან იყვნენ, იქ სწავლობდნენ, ასევე ქმრის ახლობლები, მულისშვილები თუ მაზლისა სულ ჩემთან ცხოვრობდნენ, მიმსვლელ-მომსვლელი აუარება, ოსი, ქართველი ნათესავი, ასეთ გარემოში გაიზარდნენ ჩემი შვილები და ძალიან ხალასი, ყველას მოყვარული ბავშვები იყვნენ. აბა, ან ოსზე ვინ იტყოდა ჩემს ოჯახში ძვირს – მე ოსი ვიყავი, ან – ქართველზე, თვითონ ქართველები იყვნენ. სიკეთით სავსე ბავშვები იყვნენ. ვერავისზე ცუდს ვერ ათქმევინებდი. საერთოდ კი, ყველაზე დაჩაგრულის მხარეს დგებოდნენ ხოლმე... ბავშვები ვინმეს რომ გაინაპირებდნენ თამაშის დროს, სწორედ მას ემხრობოდნენ. ამიტომ ისინიც ყველას უყვარდა, უკონფლიქტო, წყნარი, როგორც მამის მოდგმა ჰქონდათ და სამართლიანნი, როგორც დედის ძმებმა ჩაუნერგეს. გადაიწვენდა ჩემი ძმა ერთ მკლავზე ერთს, მეორე მკლავზე – მეორეს და უყვებოდა ძილისწინ ზღაპრებს ისე შუადღისითაც არ დაიძინებდნენ, მერე როცა დევებს და ავსულებს სულ დაამარცხებდნენ, დაიძინებდნენ. მერე კი ამ ავსულებმა დამიხოცეს ჩემი ანგელოზები და ისევ ჩემმა ძმამ ჩამოასვენა ორივე თავისი ზღაპრებით გაზრდილი დისშვილები... თავისი უმცროსი ძმები, რომლებსაც მისთვის ბიძა არასოდეს დაუძახიათ... ის იყო

მათთვის, როგორც ბევრი სხვისათვის ადამიანობისა და სიკეთის ეტალონი, მაგალითი, ისევე, როგორც მეორე ბიძა, ნოდარი ვაჟკაცობისა და სამართლიანობისა, შენ კარგად იცი მე არაფერს ვაჭარბებ ამ მხრივ, პირიქით, მე მგონია, ბევრს ვერც მოვახერხებ, მათ საკადრისად ვთქვა... მაპატიონ...

ჩემი ოჯახი საკმაოდ ძლიერ ოჯახად ითვლებოდა, ყველა მუშაობდა, და არაფერი გვაკლდა. კარი სულ ღია გვქონდა სტუმრისთვის. ის კი არა, სტუმარს სულ სიცილ-ხარხარით ხვდებოდა ჩემი მამამთილი, და ხელებგაშლილი. უამრავისათვის გაგვიმართავს ხელი, ბევრი გაჭირვებული გაგვიკითხია და მადლი მრავლად გაგვიცია. სულ მიკვირს და ვკითხულობ, რად გამიმეტა, რატომ დამჩაგრა წუთისოფელმა ასე?...

სულ სხვადასხვანაირები იყვნენ: დათო დინჯი იყო და მოსაუბრე. საქმესაც ნელა, დინჯად შეუდგებოდა. კახა სწრაფი იყო და ლაპარაკი არ უყვარდა. ორ წუთში მიიღებდა გადაწყვეტილებას და ორ წუთში მოაგვარებდა. ორივე სახენათელი და სულნათელი იყო, ერთ პატარა სიბოროტეს ვერა ნახავდი მათში, ამაში გავდნენ ერთმანეთს, ერთი პატარა სიეშმაკე არა ჰქონდათ და ისეთი გულუბრყვილოები იყვნენ, ყველასი სჯეროდათ, ყველა კარგი ეგონათ და ამან დაღუპა ჩემი შვილები, ყველას ენდობოდნენ. როცა აირია ქვეყანა, ველარ გაიგებოდა ვინ ვინ იყო, ვინ კაი კაცი იყო, ვინ გლახა, მე ხანდახან რომ ვეტყოდი, შვილო, ეგ არა ჩანს კარგი კაცი, მეტყოდნენ, რას ამბობ, ქალო, მაგაზე მაგას როგორ ამბობენ, კარგი კაციაო, აკი ვთქვი, ცუდს ვერავისზე წარმოიდგენდნენ, რადგან მაგათთან თანდასწრებით ცუდს ვერავინ გააკეთებდა და ასე ეგონათ, საერთოდაც არ იყვნენ ცუდის მოქმედნი...

ცხინვალში დავტოვეთ ორი კარგად მოწყობოლი სახლ-კარი და წამოვედით, წამოვედით ისე, რომ მარტო ერთი საოჯახო ალბომი წამოვიღე და მამამთილის გადიდებული სურათი. იმხელა ქონებიდან მეტი ვერაფერი...

იქვე, ცხინვალიდან რვა კილომეტრში, გორის რაიონში, სოფელ ტირძნისში ჩემს მამამთილს უშვილო ძმა ჰყავდა, რომელმაც თავისი სახლი ჩემს მაზლს მისცა, იმან სხვა ააშენა და ეს გაუმართავი სახლი ორი ოთახი: – ერთი მაღლა, ერთი დაბლა ჩვენ დაგვითმო. დაბლა ისევ მიწიანი იატაკი გვაქვს, იატაკიც ვერ დავაგეთ, ვერც

ვერაფერი შევიძინეთ ორი ჩაჟანგებული რკინის საწოლი დაგვხვდა და დღესაც ის გვიდგას. ძალიან გაგვიჭირდა, აბა შენ წარმოიდგინე, სულ თავიდან დასაწყებია ცხოვრება, არაფერი არ გაგვაჩნია, არც ერთს სამსახური არა გვაქვს. ბიჭებმა უმაღლესი კი დაამთავრეს, მაგრამ ლტოლვილს ვინ რას მისცემდა, საერთოდაც უმუშევრობა იყო. ჩემი ძმა გარიდებული იყო აქაურობას, რუსეთში ცხოვრობდა, იქ წავიდნენ ლუკმა პურის საძიებლად, მეც წამიყვანეს. ცოტა ხანს ვიყავით იქ, ვირჯებოდით და ოჯახს ვარჩენდით. მე არ მითქვამს, რომ როცა დათო და კახა წამომეზარდნენ, ისე მომინდა ბავშვის გაჩენა (დედამთილს დავუმალე, არ უნდოდა მესამე შვილი გამეჩინა და უკვე რვა თვის ფეხმძიმე რომ ვიყავი, მაშინ გაიგო, ნეტა რად უნდოდაო, საწყალი, სულ ამას ამბობდა), რომ მესამეც გავაჩინე, ისიც ვაჟი. ომი რომ დაიწყო ექვსი წლისა იყო. პირველ სკოლაში, ვახტანგ კასრაძის სკოლაში მივიყვანე, მამამისმაც ეს სკოლა დაამთავრა, დათო-კახამაც... ჩემმა სიზმარში დარჩენილმა ბიჭებმა...

მოკლედ, სახლში უმცროსი – დიტო და მამამისი დავტოვეთ მეურნეობის მისახედად და ჩვენ მოსკოვში წავედით ჩემი ძმის იმედით, რომ რაღაცით თავი გაგვეტანა. ვერ ვიტყვი, არაფერი გამოგვდიოდა-მეთქი, იქიდან ცოტა სული მოვიდგით, მართალია, სახლი ვერ გავმართეთ და ვერაფერი შევიძინეთ სახლისათვის, აკი ვთქვი იმ კოლა პაპას დროინდელი გაზქურა მიდგას დღესაც და იმ მიწიან იატაკზე ვცხოვრობთ, მაგრამ ჩემი ძმის ხელშეწყობით ბიჭებმა მანქანა იყიდეს. მაგრამ დედა ვარ და მიჭირდა იმისი წარმოდგენა, რომ ეს მშვენიერი ორმეტრიანი ულამაზესი ჯანმრთელი ვაჟკაცები ქართველ ერს დაჰკარგვოდა, არადა ვხედავდი, რუსის ქალები როგორ პეპლებივით დაჰფარფატებდნენ თავს. იმდენი ვქენი, ჩამოვიყვანე საქართველოში. ვეხვეწებოდი დაქორწინდით, უკვე დროა-მეთქი, მაგრამ ვინ გისმენდა. სად მოვიყვანოთ ცოლიო – მპასუხობდნენ. ბოლოს ისევ კახამ, უმცროსმა გადადგა ეს ნაბიჯი. კარგი, წყნარი რძალი მომგვარა, მაგრამ იმ სივიწროვეში გვიჭირდა. კაპიკს კაპიკზე ვაწებებდით, კახას სახლის ყიდვა უნდოდა გორში, ვაშლი წაიღო უფაში გასაყიდად... რამდენიმე კილომეტრილა იყო უფამდე დარჩენილი... იქ დახვდა ორი გარეწარი... მძღოლმა მოასწრო გაქცევა, ჩემს შვილს ეძინა... ალბათ მძინარე მომიკლეს... ერთი ტყვია ჰქონდა თავში მოხვედრილი... რაღად მინ-

და რომ ცოცხალი ვარ...

მკვლელი კი დაიჭირეს თერთმეტი წელი მისცეს, ვიღაცა ნაციხარი ყოფილა, მაგრამ მე შვილს ვინ გამიცოცხლებს... იცი რა უთქვამს, მე ნანახიც არა მყავდა, არც ვიცნობდიო, ნეტავი სცნობებოდა, ხომ ვერ გაიმეტებდა...

ამ ჭირს ვერც ერთი დედა ვერ მოინელებს ვერასოდეს, ვერც ერთ დედას ვერ ეყოფა ნერვები და ფსიქიკა, მეც ხან მომაბრუნებდნენ, ხან მივდიოდი იქით... რა ვიცოდი, კიდევ რა მელოდა. სახლი იყიდა კი არა, საწყალს როგორ უნდოდა შვილი და ისიც არ ეღირსა...

კახას მერე დათო სულ ტიროდა. ხან ჩემთანაც, მაგრამ უფრო ჩემს მალულად, სხვები მეუბნებოდნენ, ნუ ტირი ამდენს, ხომ ხედავ, დათო რა დღეშიაო. სულ ტიროდა. სასაფლაოზე გაუთენებია ბევრჯერ, სახლში არავის გამოჰყოლია, თქვენ წადით, მე ჩემს ძმასთან უნდა ვიყოო...

ისევ გაჭირვება და ამ დროს გვეძახიან, კახას სასამართლოზე უნდა წამოხვიდეთო, კაპიკი არ გვებადა, რა უნდა გვექნა. უბნელები ამოუდგნენ მხარში, ვაშლი წავიღოთ გასაყიდად და რაღაცა ხომ დარჩება, გზის ფული გამოჩნდებაო, ისესხა ფული (ახლა ყოველდღე ის მოვალე სულს მიწუხებს) და ის ვოლგოგრადის გზას დაადგა... ეძინა მანქანაში და შემთხვევითმა გამვლელმა ესროლაო... ისიც გადაჭრილი თოფიდან... ისიც ერთი ტყვიით თავში... 28 მარტს კახა... ექვსი თვის შემდეგ, 28 სექტემბერს დათო... ან სრულ ჭკუაზე როგორა ვარ მათ შემდეგ...

აი ასე აირია ჩვენი ოჯახის ცხოვრება იმ უაზროდ წამოწყებული დაპირისპირება კონფლიქტის შემდეგ. სიკვდილს ვერავინ გაექცევა, მაგრამ ჩემი შვილების უბედურება პირდაპირი შედეგია იმ არეულობისა, ამიწიოკდა და გამინადგურდა ოჯახი. ხან იქით მივეხეთქეთ, ხან აქეთ მოვეხეთქეთ, ქურდობა და მაიმუნობა ჩვენ არ შეგვეძლო, ჩვენი ოფლით ვჭამდით ლუკმას და ამ მიხათქუნება-მოხათქუნებაში ჩამომექცა თავზე ჭერი. ჩემი ცოდვა იმათ, ვინც ეს ომი წამოიწყო. ჩემი ცოდვა იმათ და მათნაირებს. ჩემს შვილებს სახლიც ჰქონდათ, კარიც, ცოდნაც და განათლებაც, სამსახურსაც ადვილად იშოვიდნენ ცხინვალში (ერთი იურისტი და მშენებელი ინჟინერი იყო, მეორე საგზაო მშენებლობის სპეციალისტი, ალპინ-

ისტი), დაოჯახდებოდნენ და მათი შვილებით გავიხარებდი. არც ერთს შვილი არ დარჩა... დათომ დაქორწინებაც ვერ მოასწრო...

14 წელი გავიდა, 14 მტანჯველი წელი. რომელმაც ბევრი ტკივილი, ბევრი მოუშუშებელი იარა და პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა...

რა უნდოდათ, რას გვერჩოდნენ ან ოსს, ან ქართველს. ან ჩვენ რად აგვყარეს ჩვენი სამკვიდროდან, ან ამდენი სისხლი რატომ დაიღვარა იქით თუ აქეთ. ნეტავი ორივე მხარეს გვყოფნოდა გონიერება და თუ ეს პროვოკაცია იყო, არ ავყოლოდით, ერთმანეთს არ შევბმოდით. ახლა ყველა ხვდება, ეს იყო ყველაზე დიდი უგუნურება, რაც შეიძლება მომხდარიყო ამ ორ ხალხს შორის.

ასეთი საშინელება მოჰყვა იმ არეულობას, რასაც ვითომ გამოვექეცი ცხინვალიდან. რას გვერჩოდნენ, რა უნდოდათ, ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთთან, პატარ-პატარა რაღაცები ღვიძლ ძმებშიც მოდის, რას აზვიადებდნენ, რას ამუქებდნენ, გაჰკიოდნენ, ოსებო, წაეთრიეთ აქედან, ოსებო, წაეთრიეთო და კარგი არც ოსს დაადგა და არც ქართველს, ჩემი ცოდვა იმათ, ვინც აურია, გინდა ოსი იყოს და გინდა – ქართველი. ჩემი ოჯახი კი განადგურდა...

ახლა ერთი პატარა შვილიშვილი მყავს, ჩემი მერცხალა ნინო. იმასღა შევხარი, უმცროსი ვაჟის, დიტოს შვილია. მასაც ოსისა და ქართველის სიყვარულს ჩავუნერგავ, მასაც ადამიანთა სიყვარულით გავზრდი. მასაც ვასწავლი, რომ ეროვნული ნიშნით კი არ უნდა ასხვავებდეს ადამიანებს, არამედ ადამიანურობის ნიშნით...

ეჰ, ღმერთი მე ბავშვობიდან მწამდა, ახლაც მწამს, მე ეკლესიაში თაფლის სანთელზე მლოცველი ქალი ვარ ბავშვობიდან, როცა ბებიას დავყავდი იქ, ახლაც ვიტყვი, ღმერთი არსებობს, როგორ არა, ღმერთი არსებობს, მაგრამ ჩემთვის? ჩემი დათო-კახასთვის? ღმერთო მაპატიე, თუ რამეს სწორად ვერ ვამბობ, მაგრამ ჩემი და ჩემი შვილებისათვის სწორი იყო ასე მიზღვა?

ღმერთო მაპატიე...

უფალო შემინდე, თუ რაიმე ისე ვერ ვთქვი...

აზა კოკოევა

ეთნოგრაფი

აზა კოკოევა დაიბადა 1944 წლის 10 სექტემბერს ცხინვალის რაიონ სოფ. სარაბუკში. დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი. პროფესია – ეთნოგრაფი. 1970-1994 წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. პარალელურად სწავლობდა თბილისის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და მუშაობდა საკანდიდატო თემაზე. 1994 წლიდან ცხოვრობს ცხინვალში. კითხულობს ლექციების კურსს ცხინვალის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, პარალელურად მუშაობს ცხინვალის კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად. ჰყავს ქალიშვილი – ლინა ხასიევა.

– ქალბატონო აზა, მოგვიყევით თქვენს ბავშვობაზე

– დავიბადე 1944 წელს ცხინვალის რაიონში, სოფელ სარაბუკში. ეს ერთი საკმაოდ ლამაზი პატარა სოფელია, რომელსაც სხვებისაგან იმითი გამოარჩევ, რომ მხოლოდ რამდენიმე ოსური გვარის წარმომადგენელი ცხოვრობს. აქ გაიარა ჩემი ბავშვობის წლებმა, რაც ჩემს მეხსიერებას შემორჩა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი პერიოდი ჩემი ცხოვრებისა. ვერ გეტყვით, უზრუნველი ბავშვობა მქონდა-მეთქი. ვინც ოსებს იცნობს, ყველამ იცის, რომ ოჯახში ყველა ჩაბმულია საქმიანობაში. ჩვენ, ბავშვებს, ბევრი რამ გვევალებოდა, დავიწყოთ იქიდან, რომ დილით ადრე უნდა ავმდგარიყავით, რასაკვირველია, წყალი უნდა მოგვეზიდა, რომელიც საკმაოდ შორ მანძილზე იყო. შემდეგ უფროსებს მივხმარებოდით ოჯახურ საქმიანობაში. საქმე ისე არ იყო დანაწილებული, რომ ქალებს მხოლოდ ქალის საქმე ეკეთებინათ. მე ეთნოგრაფი ვარ სპეციალობით და კარგად ვიცი, არა მარტო ოსთა, არამედ, საერთოდ, მთაში მცხოვრებთათვისაა დამახასიათებელი, რომ ქალი უფრო მეტს შრომობს ოჯახში, ვიდრე – მამაკაცი. ასე იყო ჩვენთანაც, საქონლის მოწველა, მისი მინდორში გარეკვა, მომ-

წყემსვა და უამრავი სხვა ჩვენც გვევალებოდა. ერთადერთი, რასაც მამაკაცი აკეთებდა, ეს იყო შეშის მომარაგება ზამთრისათვის და საქონლისათვის თივა-ბალახის მოზიდვა (რაც საკმაოდ ძნელი და შრომატევადი საქმე იყო). რამდენიმე მამაკაცი, ძირითადად ახლობლები, შეიკრიბებოდნენ და მიდიოდნენ მის დასამზადებლად და შემდეგ – ჩამოსატანად. კარგად მახსოვს, მაშინ ხარები და ურემი თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა, დილაუთენია გაემზადებოდნენ, ქალები საგზალს გაუმზადებდნენ და იყო ერთი ფაციფუცი, ჩვენც ადრიანად ვიღვიძებდით, რომ ურმით ცოტა „გვეკატავა“, მერე კი სადმე ახლოსვე ჩამოგვსვამდნენ და თვითონ მიემართებოდნენ „სუგ ლასნმა“, ანუ შეშის მოსაზიდად. არ მახსოვს, რომელიმე ქალს ქმარი გაეცილებინა, ან დამშვიდობებოდა. ქალი ჩადებდა საგზალს ურემში და შებრუნდებოდა სახლში, დიდ სირცხვილად ითვლებოდა გამომშვიდობება, თუმცა სახლში შებრუნებული დედაჩემი პირჯვარს იწერდა და ალბათ ღმერთს ქმრის მშვიდობით დაბრუნებას ევედრებოდა. სხვათა შორის, იყო ტრაგიკული შემთხვევებიც – ხის ქვეშ მოყოლა, ურმის გადაბრუნება და სხვა. ერთხელ შეშაზე წასული დათვისაგან დაგლეჯილი ჩემი ბიძაშვილი ცოცხალმკვდარი ჩამოიყვანეს სოფელში. მთელი სოფელი დაესია, ძლივს გამოაკეთეს, ძირითადად შინაურული წამლებით, მაშინ სად იყო სხვა საშუალება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ კალოობის მთელი ტვირთიც კაცზე გადადიოდა. აქ უნდა მოგიყვეთ, ეს სამზადისი როგორ ხდებოდა: ჯერ კიდევ წინა დღით კაცი შეარჩევდა კარგ ხარებს. თუ მისას ფეხი ნატკენი ჰქონდა, ან ჯანდაკად იყო, უნდა შეენაცვლებინა და ვინმესგან წინა დღითვე ეთხოვა, კარგად, საგანგებოდ უნდა ებალახებინა ესენი, რადგან მეორე დღეს მთელი დღე უნდა ერბენინებინა კევრში შებმული ხარები. საერთოდ, ხარი გამწევი საქონელია, მაგრამ ის არ არის მორბენალი, ანუ სწრაფი ცხოველი, აქ კი კალოზე უნდა ერბინა, თანაც წრეში. მახსოვს, ხარები სულ გაქაფულები იყვნენ ხოლმე და როცა შეასვენებდნენ ცოტა ხნით, ოხშივარი ასდიოდათ. მაგრამ დიდხანს ვერ გააჩერებდნენ, რადგან კალოზე გატანილი ხორბალი არ უნდა დასველებულიყო, წვიმას არ უნდა მოესწრო. მართალია, ეს ყოველთვის მზიან დღეს ხდებოდა, მაგრამ ცას მაინც ხშირ-ხშირად აკვირდებოდნენ, რომ არ მოღ-

რუბლულიყო და წვიმა არ წამოსულიყო.

საკმაოდ კარგად მახსოვს კალოობის რიტუალიც. შემოსულ ყანას ოჯახის მამაკაცები ნამგლებით თიბავდნენ და ძნებად კრავდნენ. ჩვენ, ბავშვები, კვალდაკვალ მივყვებოდით და დაბნეულ მარცვალს ვკრეფდით. ქალები ამ დროს საჭმელს აკეთებდნენ, ძირითადად, ხაბიზგინებს აცხობდნენ. ვისაც საშუალება ჰქონდა, ციკანსაც კლავდა. ეს იყო მოსავლის აღების ხალისიანი დღე. მზიან დღეს, როცა კალოზე რიგი მოუწევდათ, ამ ანეულებს ჩაიტანდნენ კალოს პირას და გაშლიდნენ, რომ გაფიცხებულიყო. შემდეგ უკვე მზეზე კარგად გაფიცხებულ თავთავებს გაშლიდნენ კალოზე და გამოიტანდნენ კევრს, შეაბამდნენ ხარებს და გალეწავდნენ ხორბალს. უნდა გენახათ ჩვენი სიხარული, კევრზე რომ დაგვსვამდნენ – თავი თვითმფრინავში მეგონა, ისე მიხაროდა. გადმოვარდებოდი კევრიდან, რბილად დაეცემოდი გაშლილ თავთავებზე და მერე უნდა გეყოჩაღა, რომ ისევ შემხტარიყავი მორბენალ კევრზე, შენი გულისთვის ხარებს არავინ გააჩერებდა, შენ თვითონ უნდა მოგეხერხებინა, გაჰკიდებოდი და წონასწორობა არ დაგეკარგა, ისე დამდგარიყავი მასზე, იქ ხელს ვერაფერს ჩასჭიდებდი და ეს საკმაოდ ძნელი იყო, მაგრამ ეს იყო ერთადერთი ტრანსპორტი, რომელზეც მაშინ ვსხდებოდით და სიამოვნებით ველოდით იმ დღეს, როცა ხორბალი უნდა გაგველეწა. შემდეგ გადაარჩევდნენ ხორბალს ცალკე, ქალები გაცხრილავდნენ, გაანიავებდნენ და ისე შეინახავდნენ. თივას ცალკე დააბულულებდნენ და ზვინებად დადგამდნენ, შემდეგ კი – საბძელში შეზიდავდნენ.

ერთი არაჩვეულებრივი წესი მახსოვს ჩვენი სოფლისა: თუ სოფელში ქვრივი იყო ვინმე, ან უკაცო ოჯახი (ომის შემდგომი წლები იყო და ასეთები ყველა სოფელში იყო), ჯერ მისას გალეწავდნენ, დაბინავებაში მიეხმარებოდა ყველა და მერე დგებოდა საერთო რიგი.

ჩვენი სოფელი საკმაოდ მცირემიწიანი იყო და ხორბალი ცოტა მოდიოდა, ასე რომ, ჩვენი ძირითადი საჭმელი მაინც მჭადი იყო. მართალია, სოფელში საქონელი ყველას მრავლად გვყავდა, მაგრამ მაინც გვიჭირდა, ომი ახალი დამთავრებული იყო და ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი ამისა.

1953 წელს, მეხუთე კლასში რომ ვიყავი, საცხოვრებლად გა-

დავედით თბილისში. სწავლა მე-15 საშუალო სკოლაში გავაგრძელე. ეს იყო რუსულ-ქართული სკოლა და მე რუსულ სექტორზე ვსწავლობდი. სხვათა შორის, რუსულ სექტორზე საკმაოდ ბევრი ქართველიც სწავლობდა, იყვნენ სხვა ეროვნების ბავშვებიც. კარგი ურთიერთობა გვქონდა ქართული სექტორის მოსწავლეებთანაც, ვმეგობრობდით და არანაირი ეროვნული ნიშნით არ ვასხვავებდით ერთმანეთს. არც სხვებისაგან გვიგვრძვნია რაიმე ამდაგვარი. სკოლა დავამთავრე 1963 წელს.

სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი წელი ვიმუშავე სპორტულ ქარხანაში. თან ვმეცადინეობდი, რომ სწავლა გამეგრძელებინა. რეპეტიტორებთან არ მოვმზადებულვარ, არც პროტექცია დამჭირვებია. მაშინ ისეთი დრო იყო, ყველა დამოუკიდებლად მეცადინეობდა მისაღები გამოცდების პროგრამის მიხედვით და მათ შორის მეც. ოჯახში სხვა საშუალებაც არ იყო, რადგან ხუთი შვილი ჰყავდათ ჩემს მშობლებს (ოთხი ძმა მყავს). 1964 წელს ჩავაბარე მისაღები გამოცდები ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

– როგორი იყო თქვენი სტუდენტობა?

– ინსტიტუტში წარჩინებით ვსწავლობდი, ვიყავი ოლქის ქალთა ფრენბურთის ნაკრებში, ვეწეოდი სამეცნიერო მუშაობას, დავდიოდით თბილისში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში სამეცნიერო თუ სპორტულ შეხვედრებზე. ეს შეხვედრები ეწყობოდა ბევრ ქალაქში: თბილისში, თელავში, სოხუმში, ქუთაისში, ბათუმში. სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი. ვაწყობდით კონფერენციებს, შეხვედრებს. დავდიოდით სხვადასხვა კონფერენციაზე.

ერთი სიტყვით, ძალიან ნაყოფიერი და საინტერესო სტუდენტობა მქონდა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე ასპირანტურაში.

აქვე უნდა ვთქვა, რომ სტუდენტობიდანვე ძალიან მაინტერესებდა ეთნოგრაფია. ცხინვალის კვლევითი ინსტიტუტი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაქვემდებარებაში. მე გამაგზავნეს მიზნობრივ ასპირანტურაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებას მაშინ

ხელმძღვანელობდნენ აკად. გიორგი ჩიტაია და ალექსი რობაქიძე, ეთნოგრაფიის პატრიარქები. მე ბატონ ალექსის განყოფილებაში ვიყავი. ვიკვლევდი და ახლაც ვაგრძელებ კვლევას თემაზე „მიცვალებულების კულტი ოსებში“. ამჟამად ჩემი ხელმძღვანელია პროფესორი ზინა გაგლოევა. დავდიოდით ექსპედიციებში, ეს ექსპედიციები ძალზე საინტერესო იყო მეცნიერთათვის. გვქონდა ხშირი შეხვედრები თბილისში. ბევრი მკვლევარი იყო დაინტერესებული ოსთა ყოფა-ცხოვრების საკითხებით, გურამ ჩიქოვანი, ნანული ჯავახიძე, რომელიც ახლა თბილისში, ეთნოგრაფიული ინსტიტუტის განყოფილების გამგეა.

– თბილისში ყოფნის დროს სად მუშაობდით?

– მე ასპირანტურა დაუსწრებლად დავამთავრე და ამიტომ, პარალელურად ვმუშაობდი კიდეც თბილისში, რადგან იქ გავთხოვდი. მუშაობა დავიწყე ოცდამეორე საშუალო სკოლაში პიონერთა ხელმძღვანელად. შემდეგ მასწავლებლად ვმუშაობდი სხვადასხვა სკოლაში, ვასწავლიდი ისტორიას. თემქის დასახლებაში ვცხოვრობდი და მინდოდა სამსახური ახლოს ყოფილიყო სახლთან (ბავშვი პატარა მყავდა). ამიტომ გადავედი მეცამეტე სკოლაში. მალე 138-ე საშუალო სკოლაში დავიწყე მუშაობა დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში და 4 წელი ამ თანამდებობაზე ვიმუშავე. რა თქმა უნდა, ისტორიას ვასწავლიდი და პარალელურად ვმუშაობდი ჩემს სადისერტაციო თემაზე.

– როგორ ცხოვრობდით ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს თბილისში?

– ჩემი მშობლებიც და ჩვენც ზაფხულობით სოფელში ვიყავით ხოლმე ცხინვალის რაიონში და ზამთრობით – თბილისში. ძალიან კარგი დრო იყო. არასოდეს შემინიშნავს ვინმეს ჩვენთვის რაიმე უსიამოვნება მოეყენებინა ეროვნების გამო, არეულობამდე. მერე კი...

უნდა ვთქვა, რომ იმდენად ახლოს ვიყავით ქართველებთან, რომ ჩემმა სამმა ძმამ ქართველი ცოლები შეირთეს. მათი შვილებიც ქართველებზე გათხოვდნენ და დაქორწინდნენ. მაგრამ ამ კონფლიქტის დროს ისინი არავინ დაინდო და ააწიოკეს.

ჩემი ორი ძმა ბოლოდროინდელ არეულობამდე თბილისში ცხოვრობდა. ერთმა ძმამ ქართველი ცოლი მოიყვანა, გორის რაიონ

სოფელ ერედვიდან ტარიელაშვილი გულნარა. ორი შვილი ჰყავთ, ბიჭის ცოლი გვარად მუზაშვილია, გოგო კი აფციაურების რძალია.

მეორე ძმამაც ქართველი ცოლი მოიყვანა, იმერეთიდან, ჟუჟუნა ჩიხლაძე. ორი ბიჭი ჰყავთ, ბადრი და როინი და მათაც ქართველი ცოლები ჰყავთ.

ერთი ძმა სტავროპოლში ცხოვრობს, მასაც ორი შვილი ჰყავს, ორი ბიჭი.

მხოლოდ უმცროსმა ძმამ მოიყვანა ოსი ცოლი, გაგლოევა, მათაც ორი შვილი ჰყავთ, ბიჭი და გოგო. როგორც ხედავთ, თითქმის სულ შერეული ოჯახებია შექმნილი ჩემს დედმამიშვილებში.

ქართულ-ოსური ომის შემდეგ არცერთი აღარ ცხოვრობს თბილისში. მანამდე მეც და ჩემი სამი ძმაც, თავისი ოჯახებით, შუათანა ძმის გარდა, რომელიც სტავროპოლში ცხოვრობს, თბილისში ვცხოვრობდით.

როცა ეს არეულობა დაიწყო, 159-ე სკოლაში ვმუშაობდი. გარემო არასასიამოვნო იყო, სკოლაში მასწავლებლები აღარ მესალმებოდნენ ორი მასწავლებლის გარდა, მეზობლები და უბრალო ნაცნობები კი არა, მეგობრებიც აღარ მესალმებოდნენ, მაგრამ მაინც ვცდილობდი, არაფერი შემემჩნია, ხმას არ ვიღებდი, ერთადერთი სითამამე ჩემი მხრიდან ის იყო, რომ როცა აგროვებდნენ ხელმოწერებს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევაზე, მაშინ ჩემთანაც მოვიდნენ ისტორიის კაბინეტში და მე ვუთხარი, ახლა ხომ სულ ერთა, მე მოვაწერ თუ არა ხელს, გამსახურდიას ისედაც აირჩევენ, მე ქართველების წინააღმდეგი არა ვარ და ქართველი ხალხი ძალიან მიყვარს, მაგრამ გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის წინააღმდეგი ვარ და ხელი არ მოვაწერე. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი სითამამე.

არ გამოვხატავდი ჩემს პოზიციას, არც იმას ვცდილობდი, ვინმეს შევდავებოდი, ან, მე, როგორც ისტორიკოსმა, შეიძლება სხვა სპეციალობის ადამიანებზე უკეთ ვიცოდი ბევრი რამ, მათ შორის ოსთა ეთნოგენეზისისა და სხვა საკითხები, მაგრამ არ ვცდილობდი მეკამათა ამ საკითხებზე, მე მიმაჩნდა, რომ მალე ყველაფერი დაწყნარდებოდა და კვლავ თბილი ურთიერთობა დამყარდებოდა ქართველებსა და ოსებს შორის.

მაგრამ, სამწუხაროდ, წყალი თანდათან უფრო და უფრო იმ-

ღვრეოდა. რა თქმა უნდა, მწყინდა, ჩემს ხალხზე ცუდს რომ ამბობდნენ. მეზობლებისაგანაც მწყინდა, თანამშრომლებისგანაც, ყოფილი მეგობრებისგანაც.

როგორც უკვე გითხარით, ჩემი ორი ძმა თბილისში ცხოვრობდა. მათ ურეკავდნენ და აშინებდნენ: ჯერ არ წაეთრიეთ აქედანო? თქვენ რა გინდათ საქართველოშიო. მათ ქართველი ცოლები ჰყავდათ, მაგრამ ეს ის ხალხი იყო, ვისაც ჩემი ძმების სახლების ხელში ჩაგდება უნდოდათ და ამიტომ ურეკავდნენ. მაშინდელი მთავრობა კი ხელს არ უშლიდა ასეთი საქმეების კეთებას.

ერთხელ ჩემს სახლშიც მოვიდნენ. მაშინ ასეთ ხალხს არაფორმალებს ეძახდნენ, ზვიადის დაცვის ხალხი, მათი გარემოცვა. ისეთ დროს მოვიდნენ, როცა „მოამბე" გადიოდა ტელევიზორში. შემოვიდნენ სამნი, ერთი წვერებიანი იყო, მერე მითხრეს, რომ აფხაზეთში დაიღუპაო. თვითონ მას ცოლი ჰყავდა მუზაშვილი, წარმოშობით ოსი, საგურამოდან. მე მეუბნებოდა, შე მოღალატე ოსოო, ახლა ჩვენ წაგიყვანთ უზენაეს საბჭოში, მერე იქიდან გაგცვლით ტყვეებშიო. შემაგდეს აბაზანაში, რევოლვერი აიღო და მემუქრებოდა, მე მეშინოდა და გარეთ გაქცევა მინდოდა, ერთ-ერთმა დამიჭირა და უკან შემომაგდო, მეორემ კი იარაღი მესროლა და ტყვია ხელში მომხვდა.

ისინი დარბოდნენ ოთახებში, ყველაფერს დაბლა ყრიდნენ. ერთ-ერთმა ბოლოს თქვა, ეგ გაუშვით, ეგ არ არისო. მაგიდაზე იდო ორი პასპორტი, ერთი ჩემი და მეორე – ჩემი მულის. აიღეს მისი პასპორტი და თქვეს: ჩვენ შენ კი არა, ამას ვეძებთო, ასე გადავრჩი, თორემ წამიყვანდნენ, მანქანით იყვნენ, მაგრამ მაინც გამიკვირდა, ჩემი მული რუსეთში ცხოვრობდა. რა ჩაიდინა-მეთქი, შევეკითხე და მითხრეს, ეს ცხინვალში იბრძვისო ქართველების წინააღმდეგ და იმას ვეძებთო. მე ვუთხარი, ეგ აქ არ არის, კალმიკებშია-მეთქი, ცხინვალში არც არის ნამყოფი არასდროს-მეთქი. არაო, ჩვენ ზუსტი და უტყუარი ინფორმაცია გვაქვსო.

ასე გადავრჩი დაპატიმრებას. რომ გაარკვიეს, მე არ ვჭირდებოდი, ადამიანურად შემომხედეს. მე აბაზანაში ვიყავი ისევ, აქეთ-იქით ხეთქებისაგან და იარაღისგან დაჩეჩქვილი. ქოშები მომიტანეს. ჩვენ ბანდიტები არა ვართო. თუ რამე ფული გაქვს, მაგიდაზე დადე, ჩვენ ჩხრეკვა უნდა ჩავატაროთო.

მერე ვითომ ჩემს მულს ელოდებოდნენ, მოვაო და დავხვდებითო. მე ვუთხარი, არ მოვა–მეთქი. ერთმა უთხრა იმ ორს, თქვენ წადით და მე აქ დაველოდებიო. ის დარჩა, რომელიც მათში უფროსობდა. ის ორი გავიდა. ამან აიღო იარაღი და შუბლზე დამადო. „მითხარი ახლავე, მოვა თუ არაო“. მე აღარ ვეპუებოდი, თითქოს უკვე სულერთი იყო ბევრი რამე, შიშიც სადღაც გაქრა, პისტოლეტის ლულაზე ხელი წავავლე და ვუთხარი, სულ ასე იძახდით, ბანდიტები არა ვართ და ახლა შთაბეჭდილება არ დამაკარგვინოთ თქვენზე-მეთქი. და იარაღი ჩამოვაწევინე.

საერთოდ ძალიან მშიშარა ვარ, მაგრამ ამ დროს არც მიყვირია, არც ისტერიკაში ჩავვარდნილვარ. მე ვფიქრობ, ამან მიშველა, თორემ შეიძლება ისინიც აღელვებულიყვნენ და რაღაცა ჩაედინათ.

ბოლოს მითხრა, კარგი, ჩვენ კიდევ მოვალთო. იარაღი გახსნა, ტყვია ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. მე შემეშინდა, ვიფიქრე, ალბათ მათთვის უნდა ეთქვა, რომ მომკლა.

– ყველაზე მეტად რისი გეშინოდათ ამ დროს?

– მეშინოდა კი არა იმისი გაფიქრებაც მზარავდა, რომ შესაძლებელი იყო ამ დროს ჩემი შვილი მოეყვანათ. მე ღმერთმა დამიფარა, ძალიან გამიმართლა, რომ ამ დროს ლინა, ჩემი ქალიშვილი, სახლში არ იყო. მეზობელმა წაიყვანა ქალაქგარეთ, დედამისთან. მერე იმ ოჯახს, რომელმაც ლინა წაიყვანა თავიანთ სოფელში, განსაკუთრებული საჩუქარი ვუყიდე და ვთვლი, რომ სიკვდილამდე მათ ვალში ვარ, რომ შვილი გადამირჩინეს. რომ წარმოვიდგენ, რა საშინელებას ავცდი...

არაფორმალები რომ წავიდნენ, მერე დამაწყებინა კანკალი. ის ღამე მეზობლებთან გავათენე. ლინა რომ ჩამოიყვანეს სოფლიდან და ბავშვი ჯანმრთელი და უვნებელი დავინახე, ჩავიხუტე და ტირილი ამივარდა...

მაშინ ასეთი ამბები ძალიან ხშირი იყო. ოსებს უვარდებოდნენ სახლში შეიარაღებული ხალხი, სამსახურებიდან ათავისუფლებდნენ.

მეორე დღეს სკოლაში წავედი. რაც არ უნდა მომხდარიყო, მე სამსახურს არ ვაცდენდი. ადრე, არეულობამდე იმიტომ, რომ არ მიყვარდა გაკვეთილები რომ ცდებოდა. მერე კი მეშინოდა, ჩემთვის არაფერი დაებრალებინათ. სკოლაში რომ მივედი, თანამშრომ-

ლებთან დავიჩივლე, ასე მოხდა-მეთქი. ერთი ჩემი თანამშრომელი მეუბნება: აქ რომ მოსულიყვნენ, სკოლაში და შენზე რამე ეკითხათ, არცერთი ჩვენგანი არ დაგიცავდაო. მე ვკითხე, რატომ-მეთქი. იმიტომ, რომ ჩვენ დარწმუნებულები ვართ, შენი ოთხივე ძმა იბრძვის ცხინვალში ქართველების წინააღმდეგო და ქართველების სისხლს სვამენო და ჩვენ შენ რატომ უნდა დაგინდოთო. ამ დროს კი ჩემი ორი ძმა ჯერ ისევ თბილისში ცხოვრობდა და ქართველი ვაიპატრიოტები უაღრესად ავიწროებდნენ, მესამე რუსეთში ცხოვრობდა და ცხოვრობს დღემდე, ხოლო მეოთხე – ზნაურის რაიონში. მათ ეს ვუთხარი, მაგრამ მაშინ მე არავინ მიჯერებდა.

როცა ჩემი თანამშრომლებისგანაც ასეთი უნდობლობა დავინახე, ბუნებრივია, უფრო მეტად შემეშინდა, მაგრამ მაინც ვეცადე მშვიდად ვყოფილიყავით მე და ჩემი შვილი და ჩვენს ირგვლივ ისედაც დაძაბული გარემო უარესად არ დამეძაბა. თბილისში შეშინებული ჩემი ძმების ოჯახების გარდა, სანდო არავინ მეგულებოდა. წასასვლელი არსად მქონდა, გარდა ჩემი ხალხისა, ოსებისა, რომლებიც მასობრივად გამორბოდნენ თბილისიდან თუ საქართველოს სხვა ქალაქებიდან, სოფლებიდან ცხინვალში, ვლადიკავკაზში. მე კი მაინც ვფიქრობდი, რომ გაქცევა უარესი იქნებოდა და ქართველებს მართლაც ეგონებოდათ, რომ მე საქართველოს მოღალატე, ქართველების მტერი ვიყავი. ამიტომაც ვითმენდი ყველაფერს.

დაიწყო რთული დრო, შიმშილობა, უშუქობა, სიცივე. სხვათა შორის, მერე ის ხალხი, რომელიც ჩემ წინააღმდეგ იყო, რომლებიც მე მოღალატეს მეძახდნენ, მეხვეწებოდნენ, ვლადიკავკაზში წაგვიყვანე სავაჭროდო. მაშინ ხომ აქ არაფერი იშოვებოდა.

– თქვენი ძმების თბილისიდან წასვლის მიზეზი რა გახდა?

– ჩემი შუათანა ძმა, ასლანი რომელსაც ქართველი ცოლი ჰყავდა, კარგად ცხოვრობდა და ამიტომაც, ერთ-ერთი პირველთაგანი ის იყო, ვისაც ავიწროებდნენ. მასთან სახლშიც მივიდნენ.

მაშინ თბილისის ყველა რაიონში შტაბი იყო. მივიდნენ ჩემი ძმის ოჯახში. ჩემმა რძალმა მანანამ რომ დაინახა წვერებიანი კაცები, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. მაშინ წვერებს უმეტესად არაფორმალები ატარებდნენ და მათი სტუმრობა კარგს არაფერს ნიშნავდა. ჩემი რძალი მაშინვე წინ გადაუდგა მათ. ჩემი ძმისა და ამ არაფორმალების შუაში ჩადგა და ჩემი ძმა არ დაანება ცალკე

დასალაპარაკებლად. მათ ერთი ამბავი ატეხეს, ჩემს ძმას ამცირებდნენ, ცდილობდნენ მოთმინებიდან რამენაირად გამოეყვანათ: შე ცოლის მონავ, გამოდი ცალკეო. ჩემი რძალი ეხვეწებოდა, მე ქართველი ვარ, ჩემს ქმარსა და შვილებს თავი დაანებეთო, არ გაუშვა ჩემს ძმას ხელი. მაშინ იმათ უთხრეს, ხვალ თქვენი ნებით გამოცხადდით შტაბში, თორემ მერე აღარაფერი გიშველითო. მეორე დღეს ჩემი ძმა და რძალი შტაბში მიდიოდნენ. ამ დროს მეზობელმა გამოიარა ტაქსით, ისიც ოსი იყო და ნაცემი, დასისხლიანებული იჯდა იმ მანქანაში. სად მიდიხართო, ჰკითხა. ჩემმა ძმამ უთხრა, შტაბშიო. არ წახვიდეთ, მე იქიდან მოვდივარ და დამინახეთ, როგორი ვარო. რაღაცეებს მაბრალებდნენ და რომ ვუარობდი, მცემდნენო. ჩემმა რძალმა მაშინვე უთხრა იმ ტაქსის მძღოლს, ამ კაცს რომ მიიყვანთ, ამ ეზოში შემოდითო. ზუსტად ხუთ წუთში გაამზადა ჩემი ძმა და ჩემს ძმიშვილებთან, სტავროპოლში გაამგზავრა, რომ არ დაეჭირათ. არადა, რას ერჩოდნენ? სულ უბრალო იყო, ოსი რომ იყო, მარტო იმიტომ. ასე გადაიხვეწა ჩემი ძმა იძულებით. ჩემი რძალი მალე ავად გახდა, სიმსივნით დაავადდა, ძალიან ბევრს ნერვიულობდა ქართულ-ოსურ დაპირისპირებაზე. ამბობდა ხოლმე, ნეტა ქართველები და ოსები ერთმანეთთან კარგად იყვნენ და ჩემი ქმარი მალე დამიბრუნდესო. ამ ნატვრაში ხდებოდა სული. ცოტა რომ დაწყნარდა ვითარება, ჩემი ძმა ჩამოვიდა, მომაკვდავ ცოლს უვლიდა, რომელსაც ველარაფერი უშველა.

დღესაც მიმაჩნია, რომ ეს საღ-სალამათი ქალი იმ კონფლიქტის დროს ნერვიულობამ მოინელა. არ მავიწყდება, როგორ ვიყავით სახლებში კვირაობით გამოკეტილები და პურზე გასვლასაც ვერა ვბედავდით შეშინებულები. ის კი არა, ტელეფონის ყურმილს არ ვიღებდით, იმდენად გვეშინოდა, არაფერი დაეწამებინათ. ამ ყველაფერს რა დამავიწყებს. რა თქმა უნდა, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვა არ შეიძლება, იყვნენ ისეთი შეგნებულებიც, რომლებსაც კარგად ესმოდათ ჩვენი უდანაშაულობა, მაგრამ ასეთები იმ დროს ძალიან ცოტანი იყვნენ. რძალი მალევე გარდაიცვალა. ჩემი ძმაც ვლადიკავკაზში წავიდა, ახლახანს ცოლიც მოიყვანა და ვაჟი შეეძინათ. ორმოცდაოთხი წლისა იყო მისი მეორე ცოლი, ბიჭი რომ ეყოლათ.

უფროსი ძმა, რომელსაც ასევე ქართველი ცოლი ჰყავდა,

თბილისში, გლდანში ცხოვრობდა და ისიც იძულებული იყო, წამოსულიყო. ახლა სოფელში ცხოვრობს.

– ახლა როგორ ცხოვრობთ?

– ბოლოს, მე და ჩემი შვილი იძულებულები გავხდით, წამოვსულიყავით თბილისიდან. ჩემი ხალხისკენ გამოვწიე, ცხინვალში ჩამოვედი. აქ შემიფარეს, ბინაც მომცეს ოროთახიანი, უნივერსიტეტში მიმიღეს, როგორც მოწვეული სპეციალისტი, ვმუშაობ ცხინვალის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ვასწავლი ეთნოგრაფიას, ნაციონალურ ტრადიციებს, ოსთა ისტორიას და პარალელურად კვლევით ინსტიტუტშიც ვმუშაობ მეცნიერ-მუშაკად.

– თბილისიდან რომ წამოხვედით, პირველ ხანებში თუ გაგიძნელდათ გარემოს გამოცვლა, სხვა გარემოში მოხვედრა?

– როგორც უკვე გითხარით, ჩვენი ოჯახი ხშირად იყო ცხინვალში, სტუდენტობაც აქ გავატარე, მეგობრები ბევრი მყავდა, ქალაქს კარგად ვიცნობდი, ცხინვალი ჩემი ახალგაზრდობის ქალაქი იყო და ძალიან მიყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში უფრო დიდხანს ვცხოვრობდი, ვმუშაობდი, ცხინვალში გადმოსვლა ჩემთვის ადვილი შესაგუებელი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, ჩემს ხალხში ვიყავი და თანაც, რაღაცნაირად დავწყნარდი, შიში და დაძაბულობა გაქრა. მართალია, ეკონომიურად გამიჭირდა, მაგრამ უკვე აღარ მეშინოდა, რომ ვინმე მე და ჩემს შვილს დაგვემუქრებოდა. ამას გარდა, აქ ისე კარგად შემხვდნენ, როგორც უკვე გითხარი, სამსახურიც შემომთავაზეს, გავაგრძელე კვლევა ჩემს სპეციალობაში, ეთნოგრაფიაში, ვიკვლევ ოსთა ყოფის, ცხოვრების ამსახველ ტრადიციებს, უკვე ბევრი რამ მაკავშირებს აქაურობასთან. ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აქედან არც არასოდეს წავსულვარ. მე ძალიან ახლოს ვარ ჩემს ხალხთან. მათი ტკივილი მაწუხებს და მათი სიხარულით ვხარობ. თუმცა აქაც ძალიან ცოტაა სასიხარულო. უფრო მეტად ჩვენ გვიხდება პრობლემებთან ბრძოლა, რომელიც უამრავი გვაქვს, მაგრამ მაინც მიხარია, რომ ჩემი ხალხის გვერდით ვარ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ეს არ მიშლის ხელს პატივი ვცე იმ ქართველ ადამიანებს, რომლებისთვისაც გასაგებია ჩემი ხალხის გულისტკივილი და რომლებიც საღად აზროვნებენ. ასე რომ, დღეს ვცხოვრობ და ვსუნთქავ ჩემი ოსი ხალხის ცხოვრებით და ყველაფერს ვაკეთებ, რომ იყოს აქ სიმშვიდე და კეთილი

ურთიერთდამოკიდებულება მეზობელ ქართველ ხალხთან.

– ლინასთვისაც ადვილი იყო ცხინვალში გადმოსვლა?

– ლინას უფრო გაუძნელდა თავიდან, თუმცა თანდათან შეეგუა აქაურობას. ის იქაურ ცხოვრებას უფრო იყო მიჩვეული. თბილისში უფრო კარგად გრძნობდა თავს. მას იქ ჰყავდა მეგობრები, ახლობლები, იქაური წრე ჰყავდა და ენატრებოდა თავისი მეგობრები, მაგრამ უკვე მიეჩვია აქაურობას. აქაც გაიჩინა ახალი მეგობრები. ლინა უკვე ამთავრებს ცხინვალის უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტს ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, ახლა მეხუთე კურსზეა.

– ქალბატონო აზა, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, ამჟამად კიდევ რითი ხართ დაკავებული?

– მე მიმაჩნია, რომ ქართულ-ოსური ერთიერთობა მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს და ამიტომ შევქმენი არასამთავრობო ორგანიზაცია- „მშვიდობა და თანხმობა." სულ ცოტა ხანია, რაც ეს ორგანიზაცია არსებობს და ბევრი რამ გავაკეთე ამ მიმართულებით. მოვიპოვე ორი პროექტი, რომელმაც მომცა საშუალება, რომ შემესწავლა კახეთში მცხოვრებ ოსთა ყოფა–ცხოვრება. ვსწავლობ და ვეცნობი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ოსების მდგომარეობას. შევხვდი ლაგოდეხის რაიონის ოს მოსახლეობას, გავეცანი მათ საყოფაცხოვრებო პირობებს, მათ პრობლემებს. გარკვეულწილად შევისწავლე მათი მიგრაციის ძირითადი მიზეზები.

გარდა ამისა, „კავკასიის ფორუმთან" და „კავკასიურ სახლთან" ერთად ჩავატარე სოციოლოგიური გამოკითხვა პანკისის რეგიონში მცხოვრებ ქართველთა, ოსთა, ქისტთა შორის. გამოვუშვით ბროშურა, სადაც დავბეჭდე სტატია პანკისელ ოსთა შესახებ. მე იქ გულისტკივილით ვწერდი: „Многие осетины, не выдержав притеснений, постоянных угроз и опасаясь за свою жизнь уехали из ахметского раиона, бросив свои дома. В их числе были и жители осетинских сел Панкисского ущелья (Думастури, Халацани, Цинубани)".

სამწუხაროდ, დღეს პანკისის ხეობიდან კვლავ მიდიან ოსები, კვლავ ტოვებენ თავიანთ აშენებულ სახლ-კარს და მიდიან. ცარიელდება მათი სოფლები, ოსები იძულებულები არიან კაპიკების ფასში მისცენ ადგილობრივ ქისტ მოსახლეობას ტანჯვა-წვალებით

აშენებული სახლები. გამკითხავი დღემდე არავინაა. არავინაა იმისი მთქმელი დღესაც კი. ან მაშინ რას ერჩოდნენ ამ სრულიად უდანაშაულო ხალხს, რაზე აყარეს აქედან, ან ახლა რატომ ავიწროვებენ, რატომ ხდიან იძულებულს მათაც, ვინც ვერაფრით შეელია დღემდე აქაურობას, რომ აიყაროს აქედან.

იქ ყოფნის დროს მე ვნახე მარტოხელა მოხუცი ქალი, რომელიც ბრმა იყო, ველარაფერს ხედავდა... მისთვის ერთადერთი მარჩენალი ძროხა მოეპარათ ცოტა ხნის წინ. ყოველ საღამოს გამოდიოდა და კითხულობდა: ჩემი ძროხა რა იქნა, რატომ არ მოვიდაო...

იქ ყოფნის დროს მე ვნახე დუმასტურის საშუალო სკოლა. სექტემბერი ახალი დამდგარი იყო. სკოლა ფანჯრებჩამსხვრეული დამხვდა, ჩამოქცეული, მერხები დამტვრეული, მაგიდა მორყეული და სკამი...– არც ერთი. ამბობენ, ვიღაცებს გაუტანიათ და მასზე მწვადები შეუწვავთ...

არავინ არის გამკითხავი არც აქ.

დაველაპარაკე ხალხს, პროტესტის გრძნობაც აღარავის აქვს. შიშით დათრგუნულები არიან, დაბნეულებიც ჩანან. „ჩვენ რამდენჯერაც ჩვენს ტკივილზე წამოვიჩივლეთ, იმდენი უარესი დაგვმართეს, ჩვენი მომხედი მაინც არავინ არისო“, – თქვეს გულგატეხილებმა.

მეც ვიცი, მათ ტკივილს ვერც ბროშურის გამოცემით ვუშველით, ვერც კონფერენციების ჩატარებით. ყველაფერს უფრო საფუძვლიანად და ღრმად შესწავლა-გაანალიზება უნდა. მერე კი მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება, ოღონდ ერთობლივად. ამითი ყველა უნდა იყოს დაინტერესებული, სხვაგვარად არაფერი გამოვა.

ახლა დიდი კედელი ჰყოფთ ერთმანეთისაგან იქ მცხოვრებ ქართველებს (მე ვნახე აღელვებული პანკისელი ქართველი მოსახლეობაც), ოსებსა და ქისტებს, ძალიან დიდი კედელი და ღრმა უფსკრული...

გამოსავალის ძიება ყველა ჩვენგანის ვალია.

ჩემს ორგანიზაციას სწორედ ასეთი მიზანი აქვს. მოვიპოვო სხვადასხვა ფონდის მეშვეობით ფინანსები, რომ კახეთის რეგიონის ოსებისათვის უფრო ქმედითი დახმარება შევძლო. ამასთანავე მივაღწიო იქ მცხოვრებთა ძველი ურთიერთობების აღდგენას.

ამ ბროშურას ძალიან დიდი რეზონანსი ჰქონდა, რადგან ასეთი სახის კვლევა აქამდე არ ჩატარებულა. ძალიან ცოტას თუ აინტერესებს დღეს ჩემი ხალხის ყოფა.

მე უბრალოდ ძალიან ვწუხვარ, რომ ოსებს ასე უჭირთ მატერიალურად და ვერაფრით ვეხმარები, ბევრჯერ მივმართე საქველმოქმედო ორგანიზაციებს, მაგრამ მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, ვერაფერს მივაღწიე, უშედეგოდ დამთავრდა ყოველი ცდა.

ხშირად ვესწრები ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაზე გამართულ შეხვედრებს ჩვენში და საზღვარგარეთ, ყურადღების გარეშე არ დამიტოვებია საქართველოდან წასული ოსები, რომლებიც ამჟამად ვლადიკავკაზში ცხოვრობენ.

ვესწრები საქართველოს კონფლიქტოლოგიის ცენტრის, ჰელსინკის კავშირის, ოსთა ასოციაციისა და სხვათა ინიციატივით მოწყობილ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებსა თუ მრგვალ მაგიდებს. ხშირად ვარ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ტრენინგებზე.

ვარ მრავალი ქართულ-ოსური შეხვედრის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ძალიან აქტიური და მჭიდრო თანამშრომლობა მაკავშირებს საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასიურ სახლთან". ოსური სექტორის გამგე ნაირა ბეპიევა და მე ერთდროულად ვსწავლობდით ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ეს ძველი ნაცნობობა დღეს დიდად გვიწყობს ხელს თანამშრომლობაში, რაც მიმართულია ქართველი და ოსი ხალხების საკეთილდღეოდ. ჩვენ ერთად შევძელით ჩაგვეტარებინა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები თბილისსა და ცხინვალში, რომლებიც მიმართული იყო ამ ორ ხალხს შორის კეთილგანწყობის, ურთიერთმეგობრობის აღსადგენად.

ოსი ქალბატონის, პროფ. ვერა აიდაროვას საღამოზე ცხინვალიდან თბილისში სტუმრების ჩამოყვანის ორგანიზება იმ დროისათვის საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანა იყო, თბილისში ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები კარგა ხანია აღარ ჩამოსულან. ამ საღამოს კი ერთმანეთს სიყვარულზე და მეგობრობაზე საუბრობდა სტუმარიცა და მასპინძელიც. არ მავიწყდება ქართველი მწერლის, ქალბატონ ნაირა გელაშვილის სიტყვები: მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს აქ შევიკრიბეთ და ამ იუბილეზე მოგვეცა

საშუალება ერთმანეთს მივფერებოდით, ერთმანეთისათვის თბილი სიტყვები გვეთქვა. მე უნდა ბოდიში მოვიხადო ყველა იმის მაგიერ, ვინც თქვენ წყენა მოგაყენათო. ასევე გულთბილი სიტყვებით მიმართეს მასპინძლებს ცხინვალიდან ჩამოსულმა სტუმრებმა: დოც. ჯულიეტა ოსტაევამ, ლილი გასიევამ და სხვებმა.

ასევე ადვილი არ იყო წიგნის (ოსური ფოლკლორი) პრეზენტაცია ცხინვალში 2002 წელს, სადაც თბილისიდან ჩამოსული სტუმრები გვესწრებოდნენ. ამ შეხვედრაზე მოსული იყო ცხინვალის ინტელიგენციის უამრავი წარმომადგენელი. აქ იყვნენ აკად. ნაფი ჯუსოითი, საგარეო საქმეთა მინისტრი მურად ჯიოევი, ცხინვალის უნივერსიტეტის რექტორი თემურ კოკოევი, ამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. უნდა გითხრათ, რომ ასეთი ფართო მასშტაბიანი შეხვედრა ცხინვალში ბოლო თორმეტი წლის მანძილზე არ მომხდარა და საკმაოდ ძნელი იყო ამისი ორგანიზება, ძნელი იყო ზოგიერთი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირის დარწმუნება, რომ ეს საჭირო და აუცილებელი საქმე იყო. ეს ყველაფერი კი შემაძლებინა ამ ორივე ხალხის სიყვარულმა და იმ რწმენამ, რომ ჩვენ ისევ ერთად უნდა ვიყოთ.

ბოლოს მინდა ერთი რამ ვთქვა, ამას ნურც საკუთარი თავის ქება-წარმოჩენაში ჩამომართმევთ და ნურც ტრაბახში: სადაც გინდა ვიყო, ქართველთა, ოსთა თუ სხვათა შეხვედრებზე, ყველგან ერთი იმედი მასულდგმულებს. გავა ხანი, ალბათ წლები და ჩვენი დღევანდელი ღვწა, შრომა და მცდელობა უკვალოდ არ ჩაივლის, ქართველი და ოსი კვლავ ერთად, გვერდიგვერდ, სიყვარულით იცხოვრებს და ამაში, სხვებთან ერთად, ჩემი მოკრძალებული წვლილიც იქნება.

მერი ცხოვრებოვა

მწერალი, მთარგმნელი

მერი ცხოვრებოვა დაიბადა 1940 წელს ქარელის რაიონ სოფ. ბრეძაში. დაამთავრა ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1956 წლიდან ცხოვრობს ცხინვალში. სტუდენტობის წლებშივე ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა (პროფ. ალ. ღლონტის რედაქტორობით) ოსური ზღაპრები. არის მრავალი წიგნის მთარგმნელი ქართულიდან ოსურად და ოსურიდან ქართულ ენაზე. მანვე თარგმნა ქართულად ოსური ხალხური ეპოსი „ნართები“ (გამოიცა 1977 წ., მეორე შევსებული გამოცემა 1987 წ.). ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“, ცხინვალის ყოველდღიურ ქართულენოვან გაზეთში. 1970 წლიდან მუშაობდა გამომცემლობა „ირისთონში“ ქართული გამომცემლობის რედაქტორად. მეუღლე – გივი თედეევი მუშაობდა გაზეთ „კომუნისტში“. იყო გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. 1989 წელს გივი თედეევი სამსახურიდან გაათავისუფლეს. 1989 წლიდან მათი ოჯახი ორად გაიყო. ჰყავს სამი ქალიშილი.

ორი ომის მონაწილე

მე ისედაც ომგამოვლილი თაობა ვიყავი. მაგრამ ბედნიერი იმითი ვიყავი, რომ ომი არ მენახა ჩემი თვალით, მხოლოდ სხვებისაგან მოყოლილი ამბებით ვიცოდი მისი საშინელებები. სხვისი ნაამბობიდან და ფილმებიდან.

ბედნიერი ვიყავი იმითაც, რომ მომხდური ვიღაც გადამთიელი „ფაშისტი გერმანელები“ იყვნენ...

ომი საშინელება იყო მაშინაც.

მე პატარა ბავშვი ვიყავი მაშინ, 8-9 წლისა და კარგად მახსოვს, როგორ წყევლიდნენ გერმანელებს უფროსები. ბევრი ახლობელიც დაგვეღუპა იმ ომში.

საჭმელიც ბევრი გვაკლდა და ჩასაცმელ-დასახურიც, მაგრამ მაშინ სულ სხვა იყო...

ახლა ვერავის დაწყევლიდი...

სახლში ქართველი დედამთილი მყავდა, გოგო ქართველზე გათხოვილი, დის ქმარი – ქართველი, აღარაფერს ვამბობ მეგობარზე, მეზობელზე...

და ომი ქართველსა და ოსს შორის...

ომი ჩემს სახლთან, ჩემ თვალწინ...

ტყვიების ზუზუნი ჩემს ყურთან...

ცხედრები თვალწინ...

ვერ აგიწერთ, რა საშინელი განცდაა, ყოველ წუთს სიკვდილის საფრთხე...

ჩემი სახლი ცხინვალის შესასვლელშია, იქვე, ლიახვის პირას, კასრაანთ უბანში დგას.

ქართველები ჩემი სახლიდან 200-300 მეტრში იყვნენ დაბანაკებულები.

ოსებიც ჩემი სახლის გადმოღმა – სულ რაღაცა 100-150 მეტრში.

ტყვიები გადადიოდნენ და გადმოდიოდნენ ჩემი სახლის ზემოთ, და არა მარტო ზემოთ. ახლაც ემჩნევა ნატყვიარები მის კედლებს, ჭერს. ყოველ წუთს შეიძლებოდა ტყვია მომხვედროდა. წადი და მერე არკვიე, ოსის ნასროლი იყო, თუ – ქართველისა, ან რა მნიშვნელობაღა ექნებოდა.

ერთხელ, როცა შეტევა შეტევაზე ხორციელდებოდა, ჩვენი ოჯახის წევრები სარდაფში 40 დღე ვიყავით ჩამალულები. 40 დღე მაღლა არ ამოგვიხედავს. ჩემი დედამთილი მუხლებზე დაცემული ღმერთს ევედრებოდა გადარჩენას. ქართულად. მე დიდად მორწმუნე ქალი არა ვარ, მაგრამ იმ დღეებში მახსოვს ყოველდღე ვლოცულობდი, ოსურად...

ნუ დავიწყებთ იმაზე საუბარს, ვინ ტყუოდა, რატომ დაიწყეს. თუ იმაზე ვინმე დაფიქრებულა, რომ აქეთაც და იქითაც ერთი და იგივე ხალხი იყო, უდანაშაულო ერთი ხალხი, მაშინ არც ერთ გონიერს იარაღი არ უნდა აეღო ხელში. ჩემი აზრით, ტყუოდა ის, ვინც იარაღი აიღო პირველად ხელში მოძმის წინააღმდეგ, ვინც პირველმა ისროლა ტყვია ძმის მოსაკლავად. მერე უკვე აირია

ყველაფერი ერთმანეთში, აირია ტყუილ-მართალი. საშინელებები ხდებოდა, მაგრამ უარეს საშინელებებს ჰყვებოდნენ.

ამ მონაყოლში ტყუილიც ერია, მაგრამ ბევრი იყო სი-მართლეც...

ლიახვს გაღმა ჩემი და ცხოვრობდა, ავად იყო, ლოგინში იწვა. პური, საჭმელი ხომ უნდა მიმეწვდინა. სროლა რომ მიწყნარდე-ბოდა, ღამით ხიდზე ხოხვა-ხოხვით გადავდიოდი ხოლმე, რომ არ შეემჩნიათ მოძრავი საგანი და არ ესროლათ.

მივხოხავ და სიბნელეში ვერაფერს ვამჩნევ. უცბად ხელი გავწიე წინ და მკვდარი ადამიანის სხეულზე მომიხვდა. ვიღაცის უკვე გაციებული გვამი იყო. ჩემზე წინ გაევლო და ესროლათ, უბრალო, ჩვეულებრივი გამვლელი, ჩემივე მეზობელი..

რამდენიმე დღე ცუდად ვიყავი, კანკალი მქონდა ავარდნილი. ძლივს გამოვედი მდგომარეობიდან...

რომელი ერთი მოგიყვეთ იმ საშინელებებიდან, რომელი ერთი...

ამონარიდები დღიურებიდან[27]

1991 წლის 10 ნოემბერი

ყოველ დღე ისეთი შემზარავი ამბები ხდება, ძარღვებში სისხლი გაგეყინება!

როგორ გადაირია ხალხი! ასე მოკლე დროში ასეთი მეტამორფოზა ადამიანის ფსიქიკაში – რაღაც საოცრებაა.

მხოლოდ-ღა გასვენებებზე დავდივარ და ამდენი მკვდრების გამოტირებითა და დარდით სულ გაბრუებული მაქვს თავი. განუწყვეტლივ მწინწკნის გული. თუ ტკივილი შეჩერდა, მეშინია: რაშია საქმე, რა მოხდა?

და ისევ ამეწვება მარცხენა ბეჭქვეშ.

ეგრე! ეგრე ჯობია. თუ ტკივილს გრძნობ, მაშასადამე ცოცხლობ და ტკივილებსაც უნდა გაუძლო!

ომია.

პრესა, რადიო, ტელევიზია კი კონფლიქტად იხსენიებს.

კონფლიქტი – სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება. საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავება, რასაც ზოგჯერ მოსდევს შეიარაღებული შეტაკება, – ასეა განმარტებული უცხო სიტყვათა ლექსიკონში.

ურთიერთობათა გამწვავებამ კი შეტაკება კი არა, ომი გამოიწვია, ომი ყველა თავისი ატრიბუტით: ხოცვა-ჟლეტა, ნგრევა, ხანძარი. ყველაზე უსინდისო, გიჟური ომი მოჰყვა ამ უთანხმოებას.

უცხო ქვეყნებთან ომი, უცხო ხალხთან ომი შეიძლება ასეთ დიდ უსინდისობად არ ჩაითვალოს (ომი ყოველთვის და ყველგან საშიშინელებაა და საზიზღრობა). მაგრამ ეს ომი ყველაზე საშინელი, გაუმართლებელი ომია. საუკუნეთა მანძილზე გვერდი-გვერდ მცხოვრები ხალხი, უკვე სისხლით ნათესავებად ჩამოყალიბებული ხალხი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ წაეკიდება – რა შეიძლება დაერქვას ამას?

ჯერ კიდევ გუშინ ერთ სუფრაზე ვისხედით, ერთი ყანწით ვსვამდით ერთმანეთის სადღეგრძელოს, ერთი გვქონდა ჭირიც და ლხინიც.

[27] მერი ცხოვრებოვის დღიურები დაწერილია ქართულად, ავტორის სტილი დაცულია (ნ. პ.)

დღეს კი...

დღეს ალექსი ბუქულოვის ერთადერთი ვაჟი მოკლეს, არაადამიანური წამებით მოკლეს არაფორმალებმა.

მოაჭრეს ენა, ცხვირი, ყურები, ამოსწვეს თვალები და ჩააგდეს ცხელ თონეში...

და მკვდარსაც არ იძლევიან.

ეშინიათ?

ვისი?

ღმერთის? ღმერთი რომ სწამდეთ, ღვთის ნებით გაჩენილები რომ იყვნენ, გზად მიმავალ უდანაშაულო ვაჟკაცს ასე უდიერად, ასე წამებით მოკლავდნენ?

უნდა დაიჯეროო ბრძენ წინაპართა ნათქვამი: „რასაც სახელი აქვს, ყველაფერი არსებობსო". მაშასადამე, სატანაც არსებობს და სატანისაგან დაწყევლილს ადამიანისა აღარაფერი სცხია. ნადირიც კი არ ერჩის ადამიანს, თუ არას დაუსავებ – გვერდს აგივლის და გაგეცლება...

კვირაზე მეტი გავიდა, მაინც არ იძლევიან ბიჭის ცხედარს, არაფერი არ ჭრის – არც ხვეწნა, არც გამოსასყიდი ფული. დღეები კი გადის დარდში, ფიქრში, უძილო დღეები და ღამეები.

ალექსი – ჩემი ძმა და მეგობარი, – ცნობილი ოსი მწერალი და ჟურნალისტი. უსაზღვრო სიმწრის და ტანჯვის მნახველი კაცი. იყო სამამულო ომში, რეპრესიების მსხვერპლიც გახდა, ციხეებშიც ამყოფეს. ახლა, სიბერეში, შვილის სიმწარეც ხვდა წილად.

როგორ შევუმსუბუქო ეს მწველი დარდი? სად მოვძებნო ისეთი სიტყვები, გულზე რომ მოეფონოს?

ვერაფერი მომიფიქრებია. მე თვითონ გახეთქვაზე მაქვს გული. სად არ წამიღებს ოხერი ფიქრი. გამახსენდა, ალექსიმ რომ გვიამბო თავისი მწარე ცხოვრების ერთი ეპიზოდი: „ადინოჩკაში" იმდენ ხანს მამყოფეს, დღეების სათვალავი ამერია. კამერის ერთ კუთხეში ობობას ქსელი გაება. მე მას – ობობას ხმამაღლა ვესაუბრებოდი, ჩემივე ხმა რომ გამეგონა. ხვრელში რომ შეძვრებოდა, ვეხვეწებოდი: „გამოდი, რა, გამოდი. შენც ხომ სულიერი ხარ. ეს იმათ ჰგონიათ, რომ მარტო ვარ". სულ იმისი შიში მქონდა, არავინ შემოვიდეს, ცოცხი არ ჩამოუსვას და ნაგავს არ გააყოლოს-მეთქი".

რად გამახსენდა აგერ ოცდაათი წლის წინათ მონაყოლი ამ-

ბავი? თუმცა მე ალბათ ღვთისაგან სასჯელად მაქვს – მახსოვდეს ყველაფერი, დეტალურად მახსოვდეს და ვიტანჯებოდე (1961 წლის აპრილში უფროსი გოგონა ავარიაში დამელუპა. დღემდე ყველა წვრილმანი მახსოვს – როგორ არავის დავანებე და მე თვითონ გავაბანე მისი სისხლიანი სხეული, მე თვითონ ჩავაცივი და დღემდე ყურში მიდგას ჩემი დის შეკივლება: – „მიშველეთ"! – დენმა რომ გაათავა 1970 წელს) და ათასი ასეთი გულსაკლავი სურათი აწყვია დასტებად გონებაში.

ახლა ალექსის ტრაგიკული ცხოვრების სურათებიც მიემატა ჩემი ხსოვნის ალბომს.

1991 წლის 20 ნოემბერი

ორი კვირა გავიდა, ორ წელიწადზე უფრო გრძელი ორი კვირა. ცხედარს არ იძლევიან, არანაირ ფასად არ იძლევიან. მერე უკიდურეს ზომას მიმართეს მაირბეგის (მოკლულის) თანაკლასელებმა: დაატყვევეს იმათიანი, ქართველი ბიჭი და. ახლა კი გაუცვალეს ცოცხალი მკვდარში.

ჩამოიტანეს, თვითონ ჩამოიტანეს ალყაშემორტყმული ქალაქის კარიბჭესთან.

წავედი. უფრო დიდი წამება მშობლისათვის რაღა შეიძლება იყოს, არ ვიცი. ნახევრად დამწვარი ძვლები-ღა მოუტანეს. ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიაგამოვლილი ქვეყნის – იაპონიის მკვიდრმაც, ჟურნალისტმა ვერ აიტანა ამ შემზარავი სურათის ხილვა და გული შეუღონდა.

ალექსი კი...

"ვერ აიტანს, ვერ გადაიტანს, ვერა", – ტვინს მიხვრეტდა ეს ტკივილიანი აზრი.

მაგრამ მადლობა შენთვის, უფალო! უდიდესი სულიერი ძლიერება გამოამჟღავნა ამ ჩია ტანის გულკეთილმა, უთქმელმა კაცმა. აქეთ გვამშვიდებდა ისტერიკადამართულებს: „დაწყნარდით, თავებს ნუღარ იხოცავთ, ჩემი შვილი იყოს უკანასკნელი მსხვერპლი. ოღონდ დამთავრდეს ეს ძმათამკვლელი ომი, ოღონდ ჩვენი შვილები აღარ იხოცებოდნენ". „ეხ, ჩემო ალე, დამთავრდება ომიც, დამშვიდდება ქვეყანაც, როცა იქნება; შენი გული კი ვეღარასოდეს დამშვიდდება. დაოჯახება მაინც მოესწრო შენს 27 წლის ვაჟკაცს,

ერთი ყლორტი მაინც დაგრჩენოდა კერაზე". – ვფიქრობდი გულში.

გულმავიწყი არა ვარ, აკი ვამბობ, საუბედუროდ მაქვს ასე გამახვილებული მეხსიერება-მეთქი. მაგრამ, რა ვიცით, წლებს მაინც მიაქვს თავისი ჯანიც, თვალის სინათლეც, სმენაც, მეხსიერებაც. მე კი სულ მგონია, ყვავივით სამას წელიწადს რომ ვიცოცხლო, მაინც არ დამავიწყდება ის სურათი. პირლია სამარესთან მდგარი ალექსი როგორ დაემშვიდობა შვილს: „ნახვამდის, ჩემო მწვადივით შემწვარო ბიჭო", – ჩაიჩურჩულა და აქვითინდა, მამაკაცური მორიდებით აქვითინდა.

მანამდე, დასაფლავების დღემდე, ცრემლი არავისთვის უჩვენებია. აქ კი, საფლავთან მაინც...

რამდენჯერაც გამახსენდება, იმდენჯერ მთელ სხეულში ტკივილი მწარედ დამიელის ხოლმე.

იმ დღეებში დაიღალა, დაიქანცა მოლოდინით, დარდით, ნერვები დააწყდა და ალბათ სიცოცხლეც აღარ უნდოდა. ეგონა, ველარ გადაიტანდა და მალე მიეწეოდა შვილს, ამიტომაც ჩასძახა: „ნახვამდეო"...

მაგრამ იმ უსაზღვრო სიმწარესაც გაუძლო, თვითონაც რომ არ ეგონა, ისე კაცურად გაუძლო.

მე ვამაყობ ჩემი ძმით, ჩემი კეთილი მეგობრით – ძნელბედობის ჟამს მართებს ადამიანს ვაჟკაცობა და ალექსიმ აქაც აჯობა თავის თავს.

სიცოცხლეცა და სიკვდილიც ღვთისაგან ყოფილა ბოძებული...

1992 წლის 12 იანვარი

ალბათ ძალიან, ძალიან უნდა გაგტანჯოს სიბნელემ, ღამემ, რომ მთელი სიძლიერით შეიგრძნო გათენების, სინათლის სიდიადე. წუხანდელმა ღამემ ახალი სიურპრიზით დაგვაფრთხო: გაზი ძალზე დაბალი იყო და სახლში ძლიერ ციოდა. შუქი უკვე მესამე დღეა, არ არის. რვაზე ჩაი დავლიეთ და ჩავწექით, ლოგინში მაინც გავთბებით-მეთქი. მე წამძინებია, ნანას ძილი გაუტყდა. ათი საათი იყო, ზეზე წამოვარდა რაღაცის სკდომის ხმაზე. მეც ავდექი. ლამფას ავუწიეთ და – ჭაღი ნამსხვრევებად ყრია იატაკზე, დივანზე, სავარძელზე. დავათვალიერეთ ფანჯრები, კარი, ვერაფერი ვერ შევნიშნეთ. ჭაღის საკიდი კი დიდხანს, დიდხანს ქანაობდა.

ისევ ჩავწექით, მაგრამ არცერთს არ გვეძინება. რაშია საქმე, თვითონ როგორ გასკდებოდა ამხელა ჭაღი, არა და რამ აქცია ნამსხვრევებად?

გავიტანჯე, ფიქრისაგან თავი ამტკივდა. ავდექი. პირველი საათია. ისევ დავწექი. ნანასაც ისევ ელვიძა. შუქი მაინც იყოს, ავდგებოდი, წავიკითხავდი რამეს, არადა ლამფაშიც ნავთი იწურება და ვუფრთხილდებით. ნერვების წყვეტით ველით გათენებას. ძლივს ფანჯრებში მტრედისფრად შემოიჭყიტა შუქმა. მერე ნელ-ნელა იძალა სინათლემ და აჰ, ღმერთო, მიუხედავად იმისა, რომ უძილობისაგან თავი დამძიმებული მქონდა, გათენებამ იმედი, ძალა შემმატა და ავდექი. ნანას ჩასძინებია. ფრთხილად გავაღე კარი, რომ არ გამეღვიძებინა და სამზარეულოში ჩავედი...

დაიწყო ერთი ჩვეულებრივი ომის დროის დღე, მაგრამ მაინც დღე იყო; ხალხი მიდის, მოდის; მაღაზიაში გავედი, რძე ავიღე, მეზობლებს გამოვესაუბრე. გულზე თითქოს მომეშვა. საუზმე მოვამზადე. ათი გახდა და ადგნენ ნანა და ბაბოც. მინდა არ ვიფიქრო და მაინც ტვინი ჩემგან დამოუკიდებლად ათას ვარიანტს აანალიზებს: აქვს თუ არა წინა ღამით შემოვარდნილ ტყვიასთან ჭაღის გასკდომას კავშირი? შემთხვევითობაა ორივე თუ წინასწარ გამიზნული? ორივე შემთხვევითია თუ ერთი მაინც?.

საშინელი, ძალზე საშინელი დროა ყველასათვის, ხოლო ჩემი ოჯახისათვის ორმაგად საშინელი და მძიმე. ეჰ, რა იქნებოდა, ერთი კვირით გაეძლო შარშან გივის და არ გასულიყვნენ? მაშინაც მძიმე ყოფა გვექნებოდა, მაგრამ ოჯახი ხომ არ დაიქსაქსებოდა და ასე ცხრაგან არ მექნებოდა გული გაყოფილი. რამდენი ვიდარდო, რომელს რა ვუშველო, ასე ხაფანგში გამომწყვდეულმა? არადა ამბის უცოდინარობამ გამათავა. ამ სიძვირეში რას ჭამენ, რით რას ყიდულობენ, ან თუ ავად არიან სხვათა კარზე, მე კი არაფრით დახმარება არ შემიძლია.

1992 წელი 17 იანვარი.

დღეს ჩვენს წინ რომ მაღაზია გახსნეს, იქ გაყინული ხორცი იყიდებოდა ტალონებზე. ღამის ოთხ საათზე დადგა ხალხი რიგში. მეც ვიდექი, ვიდექი. ეხ, რას არ მოესწრება ადამიანი?! კილონახევარი ხორცისათვის ამ ყინვაში იდექი და როცა მოგიწევს, ზუს-

ტად მაშინ გათავდეს. ჩხუბი, ყვირილი, ლანძღვა, წყევლა. აღარ გინდა არც ჭამა, არც ამ გაბოროტებული ხალხის ცქერა. ფული და ტალონები მეზობელმა კუზმამ გამომართვა, – მე აგიღებო. აბა, რა ვიცი, ამიღებს? ნანა მამშვიდებს – ნუ დარდობ, დედი, რად გვინდაო. ჰო, აბა, რა ვიცი, ღირს კი ამდენ დავიდარაბად? რამ გადარია ეს ხალხი, მე ესლა მაკვირვებს, ირგვლივ ამდენი უბედურება ტრიალებს, იქცევა ქვეყანა და ესენი საჭმლისთვის ერთმანეთს ჭამენ.

რა საშინელი კანონები აქვს ომს. რამდენი მანკიერება იჩენს თავს. რა მკაცრი, დაუნდობელი გამომცდელია ადამიანურობისა ომი. პატიოსანზე პატიოსანი რომ მეგონა, ისეთებიც კი სინდისის ქენჯნის გარეშე ითვისებენ მეზობლის ქონებას, – მაინც სხვა წაიღებსო. არ სჭირდება და მაინც იპარავს, მაინც ყიდულობს, მაინც იკუნჭავს. რად უნდა? ხვალ იქნება ასეთივე დღე თვითონ დაადგეს. არ ვიცი, მე კი ასე მჯერა, თუ ადამიანი ხარ, სინდისი, ადამიანობა არასოდეს არ უნდა დაკარგო, – არც ომის, არც მშვიდობის დროს. ნემსის საღირალი არ შემოსულა ჩემს ოჯახში არავისი სახლიდან და ღმერთმა ნუ ქნას ასეთ ჭკუაზე დააყენოს ეშმაკმა ჩემი ოჯახის რომელიმე წევრი. სხვისი კი არა, ჩემსას აღარაფრად ვთვლი, სრულებით არაფერი აღარ მინდა ჩემი ქალიშვილის გარდა, არაფერი.

უკვე თვეზე მეტი გადის, აღარც ერთი გაზეთი აღარ მიგვიღია. არც რადიო, არც ტელევიზორი. ყურმოკვრითლა ვიცით ქვეყნის ამბები. დღეს ადგილობრივი გაზეთი მოიტანეს, მაგრამ რვა იანვრის ნომერი. დაბეჭდილია რეფერენდუმის მომწყობი კომისიის მასალები. 19 იანვარს უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, ორი საკითხია: გსურს თუ არა დამოუკიდებლობა და შევუერთდეთ თუ არა რუსეთს. ათასი ფიქრი აგეშლება, ათასი აზრი მოგივა, მაგრამ გული არცერთზე არ ჩერდება. ვითომ, უკეთესი ყოფა გველის? თუ ერთიანი სამშობლო არ გვექნება, რომელსაც ოსეთი ერქმევა, სადაც სახელმწიფო ენა ოსური არ იქნება, რა მნიშვნელობა აქვს, – გარუსდება შენი შთამომავალი თუ გაქართველდება? აქეთ ვიქნებით – ქართული სული იმძლავრებს, იქით ვიქნებით – რუსული. სადღაა შენი ოსური? გამახსენდა მამაჩემის ნათქვამი: ღმერთი მიწებს არიგებდა. ყველა რჯულის ხალხს დაურიგა და როცა მორჩა საქმეს, მიწაც გამოილია; ოსი დარჩა უწილოდ და შეჰკადრა უფალს: რაო,

ჩვენ რაღა ვქნათ, რით ვირჩინოთ თავიო? უფალმა ფრთა გაშალა და უთხრა: – თქვენ მიწა არ გინდათ, ამ ფრთის ქვეშ იქნებით და არ დაიღუპებითო.

არც ვიღუპებით, მაგრამ არც ჩვენი ერთ ადგილზე დამკვიდრების, გამარჯვების და მშვიდობით ცხოვრებას დაადგა საშველი. ვართ ასე, ღვთის იმედით, ხან ერთი ხალხისა და ქვეყნის სასაყვედუროდ და სამადლოდ გვაქვს საქმე, ხან მეორისა. მერე მივა იქამდე მდგომარეობა, უსისხლოდ რომ აღარ ხერხდება ყოფნა და ისევ ხოცვა-ჟლეტა, ისევ მტრობა და გაუთავებელი ომი. რაც ამ სამ წელიწადში ოსქართველობაში სისხლი დაიღვარა, რჩეული ვაჟკაცობა დაიხოცა, სახლ-კარი გადაიბუგა, ქონება განიავდა, სამოსახლო გაპარტახდა, რამ ან ვინ უნდა ზღოს, რა თვალმა, რა გულმა უნდა დაივიწყოს და მოინელოს?

1992 წლის 20 მაისი.

იმდენი შემზარავი ამბავი გადავიტანეთ ამ ორი წლის მანძილზე, თითქოს აღარაფერმა აღარ უნდა გაგვაოცოს, მაგრამ დღეს მოხდა, სახელს რომ ვერ დაარქმევ, ისეთი...

ცხინვალი უკვე კაი ხანია ალყაშია. გადამწვარი სოფლებიდან სულ ქალაქს მოაწყდა ცოცხლად დარჩენილი ხალხი. ერთადერთი სასიცოცხლო არტერია როკის გვირაბია. გვირაბამდე მისასვლელი გზის მთავარი მონაკვეთი – თამარაშენი-კეხვის გზატკეცილი, მოწინააღმდეგის ხელშია, ვერ გააღწევ.

ბიჭებმა ძარის ტყეზე გააკეთეს გზა ითრაფისამდე და ამ ოღრო-ჩოღრო გზით გაჰყავთ ქალები, ბავშვები, მოხუცები ვლადიკავკაზისაკენ. სურსათიც ამ გზით შემოაქვთ აქ დარჩენილებისათვის.

ამ დილითაც გავიდა რამდენიმე მანქანა ქალებით და ბავშვებით სავსე. მოწინააღმდეგის შეიარაღებული ჯგუფი ტყეში ჩაუსაფრდა და მიმავალი ლტოლვილები ავტომატებით დაცხრილა.

36 მოკლული და 60 დაჭრილი ჩამოიტანეს საავადმყოფოში. მე არ ვიცი, რა უნდა დაარქვა ასეთ ქმედებას, როცა ესერი უდანაშაულო ქალს, ბავშვს, მოხუცს, რომელიც კი არ გეომება, ომს, ტყვიას გაურბის.

დაჭრილ-დახოცილთა შორის ჩვენი ოჯახის ნათესავებიც ერია. ერთი მათგანი კი ჩვენი ოჯახის კარის მეზობლის, – გაბილ გაგლო-

ევის ერთადერთი ქალიშვილი ირინა, რომელიც წინა დღით თავისი 4 წლის ბიჭუნას ნასაყვანად ჩამოვიდა. გავიდნენ დილით დედა-შვილი და 2 საათის შემდეგ ირინა საკაცით ჩამოიტანეს მკვდარი, ბიჭუნა, ორივე ფეხში დაჭრილი, საავადმყოფოში მოათავსეს.

ირა სროლის დროს ბავშვს ზედ გადაეფარა და ყველა ტყვია თვითონ მოხვდა.

ღმერთო ჩემო, როცა მიცვალებული გ'ავბანეთ, ბეჭზე ხელის გულის ოდენა ხორცი ჰქონდა აგლეჯილი, ყურის ძირში კი, თხილი რომ გაეტეოდა, ისეთი ხვრელი ჰქონდა ტყვიისაგან დატოვებული.

ბიჭი გადარჩა.

ირინა 28 წლის იყო მხოლოდ. იქ, ვლადიკავკაზში, 6 წლის გოგონა ელოდა.

1992 წელი, 23 მაისი.

დღეს თეატრალურ მოედანზე მოასვენეს ზარის გზაზე დახოცილთა ცხედრები. არა, ეს ამდენი კუბო, ეს ამდენი მოღრიალე ხალხი...

მიტინგი, სამგლოვიარო მიტინგი...

არ ღირს რამის თქმა, არ შემიძლია...

1992 წლის 28 მაისი

დღეს ალექს გუჩმაზოვი მიემატა მეხუთე სკოლის ეზოში დასაფლავებულ ქალაქის დამცველებს. მოკლეს ალეში, ქუჩაში მიმავალს ესროლეს. დაიღუპა ყველაზე ნიჭიერი მწერალი, ვაჟკაცური ბიჭი, ორი პატარა გოგონას მამა. თვალწინ მიდგას – ერთი მკლავზე უზის, მეორისათვის ხელი ჩაუჭიდია და საბავშვო ბაღისკენ მიდიან. მაღალს, მხრებგაშლილს თითქოს ორი მტრედი უკავია, სახე ბავშვური ღიმილით გაბადვრია პაწაწების ტიკტიკზე. ასეთი მხვდებოდა ყოველ დილით სამსახურში მიმავალს.

ახლა მორჩა! აღარ არის ალეში. წელსზემოთ სულ დაფლეთილი იყო. სახე საერთოდ ნაშლილი ჰქონდა. ის ლამაზი, ვაჟკაცური სახე აღარ იყო, სულ დაბანდული ჰქონდა თავ-პირი.

აღარც ტირილი შემიძლია, აღარც ლაპარაკი მსურს. აღარ ვიცი, როდის უნდა დალაგდეს ამდენი ნანახი და განცდილი, როდის გველირსება მშვიდად ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ.

ალეშის გასვენებიდან რომ ებრუნდებოდი, ისევ ატყდა სროლა. სამი დღეა: 25-26-27 მაისი, ჩვენს უბანში ცეცხლის წვიმაა: ინგრევა და იწვის სახლები, იხოცება ხალხი; ბოლის, ნაცრის, ცხელი რკინის სუნი დგას შინ თუ გარეთ.

კომუნარების ქუჩაზე, ჩემი სახლისკენ რომ ჩამოვუხვიე, ხიდზე სასწრაფო დახმარების მანქანა შემომხვდა. გულმა ავად შემომკვნესა. ქუჩის დასაწყისში, პურის მაღაზიასთან, სამი ქალი იდგა, ხმამაღლა ტიროდნენ.

– რა ამბავია, რა მოხდა? – ვკითხე.

– ანატოლი კაჩმაზოვის ვაჟი, დიმა მოკლეს. პარკში გამოვიდა, პაემანზეო. სწორედ მათ წინ აფეთქდა რაკეტა და...

იმ გოგოს ბავშვობიდან ვიცნობ, ჩემი მეზობლები არიან. ის ბიჭი – დიმა, მხატვარი იყო, საბავშვო ბაღიდან მეგობრობენ, ერთმანეთი უყვარდათ, ომის დასრულებას ელოდნენ...

ეჰ, მათთვის ყველაფერი დასრულდა.

1992 წლის 11 ივნისი

მთელი დღე ქუხს, გრუხუნებს, წივის არემარე. გარეთ არ გავდივართ. საწყალი ოთახის ფანჯრები დახვრეტილია, არ ვიცი, ყუმბარის ნამსხვრევები მოხვდა, თუ ტყვიები. კიდევ კარგი, დაბლა ვიყავით. საღამოთი მეზობლის ეზოში გადავედი, წყალი შემოვიტანო-მეთქი. კუზმა მოვარდა: – „ნახე, ნახე, ჩემს სახლს მოხვდაო ბომბი". ანგარიშმიუცემლად გავიქეცი. სახლის წინა ნაწილი ჩაუნგრევია, შეულეწია კარები, დაუმსხვრევია სამზარეულო, ძირითადი ოთახები გადარჩა. თავშესაფარი მაინც ექნება, მაგრამ არ გინდა შიშით იქ გაათენო?! მხოლოდ ღვთის იმედზეღა ვართ. თავს მხნედ ვაჩვენებ, შემომეხიზნენ მეზობლები: ზამირა, მარინა, მანია. ერთად ვიძინებთ დაბლა სართულზე. მოხუცების ბავშვური აზროვნება და რატრატი მაღიზიანებს, მაგრამ რა ვუყო, რაკი ვიტვირთე, უნდა გავუძლო.

1992 წლის 12 ივნისი

უკვე თვეზე მეტია, სარდაფში ვათენებთ. ჩვენთან არიან ჩემი კარის მეზობლები – ოსები: კოჩიევა ლუბა, ხარებოვა ზამირა თავისი ქალიშვილით, სომეხი მელქოევა მანია, ქართველი რომელაშ-

ვილი ანო. ყურის ძირში ცხოვრობენ, მაინც ჩემთან ურჩევიათ – თქვენთან რაღაც იმედიანად ვგრძნობთ თავსო იყვნენ, ასე ჯობია, ერთმანეთს გავაძლებინებთ. შემოიტანენ ვისაც რა აქვს საჭმელი. მოეწყობიან ზოგი სკამზე, ზოგი ტახტზე და სულ ერთსა და იმავეზე ჩივიან: „როგორ შეიძლება ოს-ქართველობაში ჩხუბი, ადამიანო, სულ ნათესავები ვართ, ნათელ-მირონები, იჰ, რამ შეშალა ეს ხალხი?“...

უკვირთ ამ ერთად სიბერეგატარებულ ქალებს ეს უკადრისი ამბავი და ამიტომაც ისევ ერთად არიან, ძველებურად აგრძელებენ კეთილმეზობლობას, ერთად უძლებენ ომის ყველა სიძნელეს.

წუხელისაც ეგრე მსხდომარეებმა გავათენეთ. მთელი ღამე ქუხდა და ზანზარებდა იქაურობა, ძალიან რომ მოგენდომებინა, მაინც ვერ მოხუჭავდი თვალს.

– ამაღამაც თუ გადავრჩით, ხვალ სანთლები ჩამოვქნათ და დავანთებ, – მიმქრალი ხმით თქვა ლუბამ. ეს ქალი ტანად ყველაზე მაღალია, ჯანიანი, მაგრამ საოცრად მშიშარა. ვერა და ვერ შეეჩვია ამდენი ხნის მანძილზე სროლების, აფეთქებების ხმას. სულ ერთთავად კანკალებს ფერდაკარგული.

ჩემი დედამთილი კი, – ელიკო ბაბო, დაჯერებულია, რომ არაფერიც არ დაგვემართება, ყველანი უვნებლად გადავრჩებით და ჩვენს სახლს არც „რაკეტა“ მოხვდება, არც – არაფერი; თუმცა მეორე სართულზე არც ერთ ოთახს მინები აღარ შერჩა, სახურავიც დაცხრილულია და წვიმის დროს ჭერიდან წურწურით ჩამოდის წყალი.

გადავრჩით იმ ღამესაც. არ მოხვედრია ჩვენს სახლს ყუმბარა, ავტომატის ტყვიებს მაინცადამაინც არად ვაგდებდი – მთავარია, ადამიანს არ მოხვდეს, ფანჯრები ჯანდაბას.

გათენდა, როგორც იყო, გათენდა. ისეთი მზიანი, კაშკაშა დილაა, გვინდა გარეთ გავიდეთ, მაგრამ სროლები არ წყდება, არ იცი, სად მოგისწრებს ბრმა ტყვია, ამიტომ, ჯერ უნდა იჯდე. ვსხედვართ და ფანჯარას მივჩერებივართ. აქედან მოჩანს ბაღჩის ის ნახევარი, სადაც ვარდებია ჩარგული. ოჰ, რა საამოდ გაშლილან თეთრი, წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, შავი ვარდები. ბრიალებენ მზეზე და გიხმობენ. ვუყურებთ და წამით ყველაფერი თითქოს გადაგვავიწყდა.

– თუ გადავრჩით, შენს თეთრ ვარდს ვახარებ, პუდრის სუნი რომ უდის, აი, იმ ვარდს, –ანო მეჩურჩულება.

"თუ გადავრჩით", „თუ გადავრჩით" – ყველას ესღა აქვს საფიქრალი! (ანო ომის დამთავრებას მართლაც ვერ მოესწრო, ნათელში იყოს ის კეთილი, ტკბილმოუბარი ქალი).

ათი საათი ხდებოდა, ჩვენი ეზოს რკინის კარზე ბრახუნი ატყდა. ქალებს ფერი ეცვალათ, ნანამ დაგვამშვიდა:

– ნუ გეშინიათ, ჩვენიანი იქნებაო.

მალე ხმამაღალი ძახილიც მოგვესმა:

– ნანაა, გააღეთ კარი, მიშიკო ვარ!

ნანა (ჩემი ქალიშვილი) გავიდა და მეზობლის ცამეტიოდე ბიჭს, – მიშიკოს შემოუძღვა. ბიჭს ბოევიკის ფორმა ეცვა; დიდი ზომის ფორმა ნათხოვარივით ადგა ტანზე, მაგრამ გახუმრებას ვინ გაუბედავდა – თავი მოჰქონდა ყმაწვილს: მეომარი ვარო და გულს ვინ ატკენდა. სალამიც არ უთქვამს, ისე მივიდა ტელეფონთან და ნომრები აკრიფა. სახეზე და ხალათზე სისხლი შეხმობოდა.

– მიშიკ, დაჭრილი ხარ? – ნანამ ჰკითხა.

ბიჭმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ქალები უხმოდ შესცქეროდნენ.

– რა ამბავია, აღარ იტყვი?! – ისევ ნანამ შეუტია.

რომ არავინ უპასუხა, მიშიკომ ტელეფონის ყურმილი დადო, ორივე ხელი სახეზე აიფარა და ატირდა, ნაცემივით ატირდა.

ელიკო ბაბო მივიდა, მკერდზე მიიხუტა ბიჭის თავი:

– თქვენ შემოგევლეთ, შვილებო, ალბათ, კიდევ რომელიმე აღარ არის, არა?...

– რომელიმე, – ამოისლუკუნა ბიჭმა, – შვიდი ბიჭი მოკლეს, შვიდი, წუხელის, – დაუსხლტა ხელიდან მოხუცს და დიდი ბათინკების ტყაპა-ტყუპით გარეთ გავარდა.

ერთმანეთს შევხედეთ, სატირლად მოქცეული სახეებით შევხედეთ ერთმანეთს და ჩამოვსხედით. უხმოდ გამოვიტირეთ ყველანი, თუმცა ჯერ არ ვიცოდით, ვინ იყვნენ. მერე ნანამ შტაბში დარეკა და გაიგო: იმ შვიდი ბიჭიდან ორი ჩვენი მეზობელი აღმოჩნდა: რადიკ თაბუევი და ალან ოსტაევი; ჯერ ოცი არცერთს არ შეეთავებინა. ის ხუთი გაღმელი ბიჭიც ეგრე პირტიტველა ყმაწვილები ყოფილან.

1992 წლის 22 ივნისი

წუხელ მკვდარივით დამეძინა. დავიქანცე ფიზიკურად და სულიერად, ძალიან დავიქანცე. ღამით ყოფილა სროლები. ჟილმასივში ხუთსართულიანი შენობა დაუნგრევია რაკეტას, ჩვენს ქვემოთ კი ხუთი სახლი დამწვარაო, დილით გავიგე. ხალხი კი მიდის, მიარბენინებს ურიკებით გადარჩენილ ნივთებს. მე კი არსაით წასვლა არ შემიძლია, არაფრის წაღება, მილურსმულივით ვზივარ სახლში. ექვსი რიცხვის შემდეგ ქალაქში არ გავსულვარ. ვერ გახვალ, პრაქტიკულად შეუძლებელია ტყვიების წვიმის ქვეშ სიარული. ხალხი მაინც რისკავს და გარბის. მე რომ ნანას დარდი არ მქონდეს, გავიდოდი, გავიკითხავდი, მაგრამ სანამ დავბრუნდები, ამ გოგოს დარდით რამე დაემართება და ვზივარ ღვთის იმედზე. რაც მოგვივა, დაე, ღვთის ნებაზე იყოს.

დღეს მარინამ გარისკა და გავიდა გალმა დეიდამისთან. გამოგვიტანა მანანას წერილი. დარდით, სევდით სავსე წერილმა ჩვენც უარესად დაგვადარდიანა, ვიტირეთ. მამა სერიოზულად არისო ავად, გახდნენ, ნახევრადმშივრები არიანო იმ თავშესაფარში. დღეს კი 60 წელი შეუსრულდა გივის. აი, რა სიბერე გვერგო, მთელი წელიწადი ერთმანეთი არ გვინახავს. ისინი იქ ჩვენი დარდით იტანჯებიან, ჩვენ აქ ორცეცხლშუა ვიწვით. სადილზე ნანამ არაყი გადმოიღო „ღმერთო, მამაჩემს უშველე, ღმერთო, დიდხანს მიცოცხლეო". მე ხმის ამოღება მიჭირდა, ძლივს-ძლივს ამოვღერღე: „ღმერთო, სადაც არის, იქ გაუმარჯვე-მეთქი". სამაგიეროდ, ზამირამ გულიანად ჩამოლოცა, – ჩვენ ხომ შარშანს აქეთ ერთად გვძინავს ამ ორ ოთახში.

ეს ერთი ომის დღეც ჩათავდა, ღმერთო, გვიშველე. მანანა გვწერს, წამოდითო, ყველაფერი მიატოვეთ და წამოდითო. როგორ, შვილო, როგორ წამოვიდეთ, რა წამოვიღოთ, რა შეგვიძლია უკაცოდ დარჩენილებს, ან მანქანას სად იშოვნი, ან იმდენ ფულს, რომ ლოგინი და ავეჯი მაინც გადაზიდო? ცარიელ-ტარიელებმა სად, ვისთან შევაფაროთ თავი? რაც მოგვივა, მოგვივა, ოღონდ თქვენ იყავით კარგად. ბედნიერი ვარ, რომ თქვენ მაინც მეგულებით სამშვიდობოს. ნეტავ, ნანაც თქვენთან იყოს.

1992 წლის 26 ივნისი

ვაი, რა დღე გავატარე გუშინ! ეს იყო რაღაც საშინელება! ტყვიების სეტყვა, ყუმბარების სკდომის ხმა გვაყრუებდა. ჩვენს ირგვლივ ცვიოდა და ფეთქდებოდა ბომბები. დაეცა სასამართლოს შენობას, „კაიტროს“ სახლს, ჩავარდა ლიახვში, ქუჩაზე აფეთქდა. ღმერთო, ნამდვილად შენი კალთა გვიფარავს ამდენი ხანი. ღმერთო, იდიდოს შენმა სახელმა! მხოლოდ შუშები ჩაიმსხვრა, სახლიც გადარჩა და ჩვენც გადავრჩით. ოცდაოთხში ძლივს გავაღწიე სახლიდან – ექვსი რიცხვის შემდეგ სახლიდან არცერთი არ გავსულვართ.

ოცდაოთხში ლეონიდ ხარებათიმ დამირეკა, – გამოდი, ნაკვეთში მივდივართ, სულ გადაბალახდა შენი ნათესიო. გავრისკე და სულ სირბილით გადავიარე ხიდი. იქით მხარეს არა უშავთ, ჩვენ ვყოფილვართ ცეცხლში. ფეხით ავედით. დავრგე პომიდორი, წიწაკა, გავთოხე ლობიო, მაგრამ ისე დავიქანცე, მკლავებს ვეღარ ვანძრევდი. იქიდანაც ფეხით ჩამოვედით. ეგეც შენი 16 კილომეტრი. დაბნელებამდე ვეღარ მოვაღწიე შინამდე და ნანა დარდისაგან გაფითრებული და დამუნჯებული დამხვდა. ისე ვინანე, რად წავშავდი, განა ღირდა იმად, რომ ბავშვი ასე ვანერვიულე, რა დროს სიმინდ-ლობიოა, ცა თავზე გვექცევა, არ ვიცით, ხვალ გაგვითენდება თუ არა. მაინც გაუტეხავია ხალხი. ირგვლივ სროლებია და მინდორში მაინც ვთოხნით.

საღამოთი ნანას მეგობარმა დაგვირეკა და გვიამბო ტელევიზიით გადმოცემული ახალი ამბები: დაგომისში შეხვდნენ შევარდნაძე, ელცინი, გალაზოვი, კულუმბეგოვი. ოცდარვაში ნეიტრალური ჯარი ჩადგებაო საზღვარზე და სისხლისღვრა შეწყდებაო. ოცდარვამდე გადავრჩებით? დღედაღამე სროლაა, რომელ წამს რა მოგველის, არ ვიცით. გუშინ, იმ სროლების დროს, 6 კაცი მოკვდა, ბევრი დაიჭრა. მოკლეს ყველაზე უწყინარი, ყველაზე საბრალო ბიჭი – ალან ჯიოევი, ორივე ფეხით ინვალიდი, მაგრამ ჭკუით, გონებით, ადამიანობით სავსე ჭაბუკი. მამით ობოლი, ბებია-ბაბუის გაზრდილი, სათაყვანებელი ბიჭი. ძალიან, ძალიან მეტკინა გული. სამძიმარზეც ვერ მიხვალ ამ სროლაში. ესაა ცხოვრება?

ლიახვის გაღმა სულ დაიცალა ხალხისგან ქუჩები. მამისაანთუბნიდან ჩვენამდე ოცი კაცი აღარ დაითვლება. ვართ მხოლოდ ჩვენ: მე, ნანა, ზამირა, მარინა, ცაცო, გაბიდა, ზემო უბანში მოხუ-

ცი ქალი მარია და და იულია. ვანათის ქუჩაზე ქართველები: ცოტნიაანთ ნუნუ ქალიშვილით, ნოდარი ცოლით და გოგინოვები. ეგ არის და კასრაანთ და ლეკის უბანი! ყველა წავიდა ხიდსგაღმა. ერთს ვეკითხები: სად მიგაქვს ლოგინი, მეც მასწავლე-მეთქი. ხიდს გაღმაო. ხიდს გაღმა რა ყარსის სიმაგრეა, თუ შემოვლენ, იქით ველარ გამოვლენ-მეთქი? აქ დაგვხოცავენო. იქ თავზე ხელს გადაგისვამენ-მეთქი? ნუ გარბიხართ, არავინ დაგვხოცავს, გერმანელები ხომ არ არიან-მეთქი. თუ არ გეშინია, იყავიო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ნამდვილად არ მეშინია მოკვლისა. ოღონდ რაკეტა არ მოხვდეს სახლს და თუ შემოვლენ, რად უნდა მომკლან, რა დავაშავე?

ჰო, მარია, მოხუცი მარია მეუბნებოდა ამ წინებზე, გაიქცნენ ჩემი რძალი და შვილიშვილი, მე არ წავედი, ამ ორ გოჭს და ძაღლს თან ხომ ვერ წავიყვან, უპატრონოდ როგორ დავტოვოო, შენ რომ გუშინ პური მომეცი, ნახევარი გოჭებს მივეცი, ნახევარი მე შევჭამეო. არაფერი ვუთხარი და ღამე სულ მესიზმრებოდა მარია, გოჭები და მისი ძაღლი. ამ მოხუცს გოჭების და ძაღლის დატოვებაც კი უჭირს, მე ამხელა სახლი, ამდენი წიგნი, ავეჯი, ლოგინი და ათასი საოჯახო ნივთი მივატოვო და ცარიელ-ტარიელი ვის მივადგე კარზე ქალიშვილითა და მოხუცებული ქალით? საით წავიდე?...

1992 წლის 30 ივნისი

დღეს სამშაბათია. კვირას უნდა ჩამდგარიყო გამზავებელი რუსის ჯარის შენაერთი საზღვარზე – ამის იმედითღა სულდგმულობს ქალაქში დარჩენილი ხალხი. იხოცება ქუჩაში ხალხი. მოკლეს ბორის სანაკოევის ცოლი, საზმი თედეევის ბიჭი, ორი წლის ბავშვი და ბევრი ჩემთვის უცნობი თანაცხინვალელი. გარეთ ვერ გავდივართ. გაღმა, „ობლისპალკომის“ შენობაში პურის ტალონებს აძლევენ აქეთა მხრიდან იქით გაქცეულ მოსახლეობას. ჩვენ ვერც გავდივართ. არ მინდა არაფერი. პურის გულისთვის ტყვიას როგორ შევუშვირო თავი. წუხელ ის ერთადერთი კვერცხისმდებელი დედალიც წაგვართვეს. აბა, რა სათქმელია ქათამი, ამ ცეცხლის წვიმის დროს, მაგრამ ძალიან დაგვწყდა გული, ბავშვივით იყო შეჩვეული, რაკი ნიწილა გავზარდეთ და მისი დაკვლა აზრადაც არასოდეს მოგვდიოდა. ახლა ნანა იმას დარდობს, დაკლავენ და

ცოდოაო. დაკლავდნენ, აბა, სათამაშოდ ხომ არ წაიყვანდნენ...

1992 წელი 1 ივლისი

დღეს მანანას დაბადების დღეა. დედა შემოგევლოს, შვილო, ყოველთვის აღვნიშნავდით ხოლმე შვილების დაბადების დღეს. ახლა სულ დაფანტულები ვართ. დეპეშით მილოცვის საშუალებაც კი არ გვაქვს. მე მაინც გამოვაცხობ შენს საყვარელ ხაბიჟინებს და დაგლოცავთ, შვილო, რომ კარგად მყავდე შენი ქმარ-შვილით. მადლი უფალს, შენ მაინც ხარ უსაფრთხო ალაგას.

1992 წლის 9 ივლისი

ყოველ დღე ახალი ამაზრზენი ამბების მოსმენით გული გახეთქვაზე მაქვს და ჩაწერაც აღარაფრისა მინდა. ხიდს გამუდმებით უშენენ სნაიპერები – სხედან ზღუდრის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს ესვრიან. ყოველდღე ისვრიან რაკეტებს, ინგრევა სახლები, იხოცება ხალხი. მიდიან, მიდიან ვლადიკავკაზისკენ. ამბობენ, ქუჩებში, გზებზე, ეზოებში დგამენ აქედან წაღებულ ავეჯს, ლოგინს. ფარდულებს აკეთებენ და ასე ცისქვეშ ბინადრობენო. არ ვიცი, მე აქ სიკვდილი მირჩევნია, არ შემიძლია არსად წასვლა, არაფრის თავი არა მაქვს. გუშინ მეზობელმა ამბავი შემოგვიტანა: – ოსტაევიანთ ანდრუშას მეორე ბიჭიც მოუკლესო. ჯერ სამი კვირის წინ – 12 ივნისს მოუკლეს ერთი საქორწილო ბიჭი, ახლა – მეორე, ესეც უცოლშვილო. როგორ მებრალება ვენერა – ორი მთასავით ბიჭი ასე უცბად, ერთ თვეში მიწას უნდა მიაბაროს დედამ. რისთვის, ღმერთო, რისთვის ჟლეტავს ეს ხალხი ერთმანეთს? განა მინისათვის ზარდა, ეფერა და ელოლიავა შვილებს? სიცოცხლის მშვენიერების შეგრძნებაც ვერ მოასწრეს, ისე მიებარნენ მიწას 20-22 წლის ბიჭები. ეჰ, აღარაფერზე ფიქრი არ ძალმიძს.

1992 წლის 14 ივლისი

გამზავებელი ჯარის მოლოდინით ლამის ნერვები დაგვაწყდა. 6 ივნისის შემდეგ წუხელ პირველი და ერთადერთი ღამე იყო, რომ არ ისროდნენ და დილის 5 საათამდე თვალი ვერ მოვხუჭე, – გამიტყდა ძილი და ლამის თავი ამეხადა. საოცრებაა პირდაპირ: ისროდნენ და მეძინა, ძილში მესმოდა ხოლმე რაკეტების ქუხილი,

ტყვიამრფქვევების კაკანი. მაინც მეძინა. წუხელ სიწყნარემ ვერა და ვერ დამაძინა.

ექვს საათზე მარინამ დაიყვირა: „ნანაა, გამოდით, ჯარი შემოვიდაო!“ გავცვივდით გარეთ. ღმერთო ჩემო! რა არის ეს? გვიხარია ჯარის შემოსვლა! ვაი, სირცხვილო! ისე გვეომებოდნენ, როგორც გერმანელები, ისე ვხოცავდით ერთმანეთს, როგორც მტრები! გუშინდლამდე კი ერთი სისხლი და ხორცი, ერთი ოჯახის წევრები ვიყავით. მეტირება, მეტირება და შიგნით შემოვრბივარ. დავლიე წყალი, გადავყლაპე წამალი და დავდივარ ოთახში...

ქუჩაში ქალები ყვირიან, ილოცებიან, ერთმანეთს სასმელს აძალებენ. მე კი, რა ვიცი, ძალიან, ძალიან ველოდი 14 რიცხვს, ომი დამთავრდება-მეთქი. ახლა კი, აი, შემოვიდა ჯარი, ჩემს გულში კი ისევ ომია. რატომ, გულო?

1992 წლის 21 ივლისი

დღეს ჩვენი გოჩას ორმოცზე წავედით მე და ნანა. სამძიმარზე არ ვყოფილვართ, რადგან როცა გოჩა მოკლეს (16 ივნისი), ლიახვის გაღმა გასვლა შეუძლებელი იყო. ხიდი, რომლითაც ჩვენი მხარე ქალაქს უკავშირდება, განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშაა მოქცეული.

14 ივლისს გამზავებელი არმიის ნაწილები შემოვიდნენ ქალაქში და აქ დარჩენილ მოსახლეობას სარდაფებიდან ამოსვლის საშუალება მიეცა. ახლა ქუჩაში გასვლაც შეიძლება.

ომის დღეებში დახოცილებს მახლობელი სოფლის – ტბეთის სასაფლაოზე მიასვენებდნენ, ან მეხუთე სკოლის ეზოში. როცა ამის საშუალება არ იყო, საკუთარ ეზოებში მარხავდნენ დროებით. ზღუდრის სასაფლაოზე მოწინააღმდეგე იყო დაბანაკებული.

გოჩაც ეზოში დაესაფლავებინათ. ახლა, ორმოცზე, ზღუდერზე, მამა-პაპის გვერდით უნდა გადაესვენებინათ. ამბობენ, ორმოცამდე მიცვალებულის სული შინ ტრიალებსო. გოჩას სულიცა და სხეულიც შინ, თავის ოჯახში ისვენებდა.

ახლა ამოიღეს კუბო სახელდახელოდ გაჭრილი სამარიდან, შეამოაცალეს ცელოფანი. სისხლის ტბა დადგა სამარის პირზე.

ღმერთო, ეს უკვე მეორედ სიკვდილს უდრიდა.

დედის მოთქმამ შეძრა ცა და მიწა:

“არ დამიბიჯოთ, ხალხო, შვილის სისხლზე ფეხი არ დამიდგა-

თო!“ – ფიცრის ნაჭერი, იქვე რომ ეგდო, სისხლის ტბორს დაეფარა.

წავასვენეთ.

მერე ქელეხის სუფრა.

ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით.

შენდობას ვამბობთ ხმადაბლა, ლუკმა ყელში არ გადადის.

– მიირთვით, მიირთვით, თქვენი ჭირიმე, იქნებ უფრო მიუვიდეს, – იხვეწებოდა ცაცა, – დედამისი, – ეს ყველაფერი მისი ქორწილისთვის მოვამზადეთ, მალე ხელი უნდა მოეწერათ, – ტუჩების ცახცახით ამბობდა და თან იქით იხედებოდა, სადაც საპატარძლო ეგულებოდა. თვალი გავაყოლე. ის, გოჩას საცოლე, ლამაზი, ცისფერთვალა ქალიშვილი, იდგა კედელთან გულხელდაკრეფილი და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

კედელზე, მის თავს ზემოთ, გოჩას გადიდებული სურათი ეკიდა.

კიდევ ერთი ჩანაწერიც მწერლის დღიურებიდან:

დამთავრდა, როგორც იქნა, დამთავრდა იმ საშინელი დღეების ქრონიკა.

ჩამკვდარ ქალაქში ხალხი ნელნელა გამობობღდა სახლებიდან...

ახლა მეორე საშინელება იწყება, ვინ გვაკლია, ვინ სად და როგორ დაგვეღუპა, ახლა ვკითხულობთ, ახლა ვიგებთ, რომ...

ვიღაცას თავისი მიცვალებულიც ვერ უპოვია...

ვიღაცა დარდისაგან შეშლილა...

მართლა რამდენს უნდა გაუძლოს კაცმა.

მერი ცხოვრებოვასადმი მიწერილი ქართველი მეცნიერების წერილები[28]

მწერალი აკაკი გაწერელია:

1984 წელი

გამარჯობათ, ქალბატონო მერი!

მივიღე თარგმანი, პწკარედი და წერილი. ორივესათვის მადლობა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო გამოვიცვალე, მაინც მიხდება ოსური საქმეების „მიხედვა", რაც ძალიან მსიამოვნებს, მიუხედავად მოუცლელობისა...

მერი, შენი ჭირიმე, უმორჩილესად გთხოვ, ერთ საქმეში დამეხმარეთ, როგორმე უნდა მომიხერხოთ გინდა ბატონ ნაფის (ჯუსოევის) დახმარებით, გინდ უშუალოდ თქვენი მეცადინეობითა და მოწადინებით: საქართველოს რადიომ მთხოვა გავაკეთო ერთ-ერთი ოსი პოეტის ლიტერატურული პორტრეტი.

პროფესორი ალექსანდრე ღლონტი

18. XII. 1984 თბილისი

ძვირფასო მერი!

შენმა წერილმა ძალიან მასიამოვნა. გახსენებისთვის გულითადი მადლობა.

ვხარობ შენი შემოქმედებითი მიღწევებით და გივის ჟურნალისტური ნაბიჯებით. თვალყურს ვადევნებ თქვენს მოღვაწეობას. ორივე დიდ საქმეს აკეთებთ. შენი თარგმანები ქართველ მკითხველს აყვარებს ოსურ კულტურას, ოს მკითხველს – ქართულ კულტურას. ეს კი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა...

ოსებს მდიდარი მწერლობა აქვთ. ოსური ლიტერატურის კლასიკოსთა ქართულად ალაპარაკება ეპოქალური საქმეა. მე ამისათვის მუდამ ვიღვწოდი და ახლაც ვცდილობ, დიდ საქმეში წვლილის შეტანას. შენ ორივე ენა – ქართულიცა და ოსურიც – კარგად იცი. ბევრ რამეს აკეთებ. ცოტა რამ როდი გაქვს გაკეთებული და, მე

[28] ავტორთა სტილი დაცულია (ნ. პ.)

მჯერა, კიდევ და კიდევ გაგვახარებ. სულითა და გულით დიდ ბედნიერებას გისურვებ.

პროფესორი ალექსანდრე ღლონტი
12.02.1990 თბილისი
ჩემო მერი!

შენი ახალი წიგნი „უკვდავი ფესვი“ მივიღე. ძვირფასი საჩუქრისთვის გულითად მადლობას მოგახსენებ. მასიამოვნა თბილმა წარწერამაც. მშვენიერი ქართულითაა დაწერილი. მახარებს შენი ქართული. შენს ყველა ქართულ წიგნსა და თარგმანში გამოსჭვივის ქართულის ღრმად ცოდნა.

...ჩვენ ამასწინათ მძიმე დღეების მოწმენი გავხდით. ჩემთვის ცხინვალის ამბები თავზარდამცემი იყო. გაოგნებული და გაოცებული დავრჩი. ვისთვის რა უნდა შემეჩივლა! ჩემი ახალგაზრდობის 15 საუკეთესო წელი, როგორც იცით, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობას მოვანდომე. სამუშაო ადვილი არ ყოფილა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვიყავი. მუდამ მჭიდრო კონტაქტები მქონდა ოს და ქართველ ინტელიგენტებთან.

...ქართველი ხალხი მუდამ იყო პატივისმცემელი ოსობისა და ამას ვინც არ დაინახავს, ის ან ბრმაა, ან საღ თვალებზე შავი სათვალეები აქვს აფარებული. ამის მოწმე ისტორიაა. ვუჩიოთ იმ პირებს, წაიკითხონ ისტორია, გაეცნონ ფაქტებს, ქართული მიწა იყო მშობლიურად საყვარელი არა მარტო ჩვენთვის, არამედ ოსთათვის.

მწერალი მორის ფოცხიშვილი
1986 წელი
გულითადად გესალმებით,
ქალბატონო მერი!

მადლობას გიხდით ილია ფლიევის ლექსების წიგნის „კორექტურა“ რომ გამაცანით. თქვენი შენიშვნები გავითვალისწინე და მგონი, შეძლებისდაგვარად შევასწორე ყველაფერი. მადლობა გადაეცით წიგნის ამწყობსა და კორექტორს კრებულის სუფთა და თითქმის უშეცდომო აწყობა-სწორებისათვის.

მორის ფოცხიშვილი

მწერალი გიორგი ნატროშვილი
31.07.79

სალამი ქალბატონო მერი!

თქვენი თარგმანი მართლაც ძალიან კარგია. ეს არის ნამდვილად ბუნებრივი, ხალისიანი, ცოცხალი ქართული ენა. ასე რომ, ამიერიდან, ძირს ყოველგვარი ეჭვი და უკმაყოფილების გრძნობა! პირიქით, მკითხველს თარგმანი მოეწონა, ხოლო პროფ, ალ. ღლონტმა კვეხნაც კი დაიწყო: „აბა, რავა გეგონათ, ჩემი გაზრდილია, მერის სტუდენტობის დროს ოსური ზღაპრები ვათარგმნინე და ქართული ენა მაშინვე შესანიშნავად იცოდაო". მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ფაქტია და აქ საეჭვო და სადავო არაფერია. მე გთხოვთ შეარჩიეთ ოსურში რაიმე კარგი, თარგმნეთ და გამომიგზავნეთ, „მნათობის" კარი ამიერიდან თქვენთვის მუდამ ღია იქნება.

იყავით სულ მუდამ კარგად და ბედნიერად!

პატივისცემით

გიორგი ნატროშვილი

ინტერვიუ მერი ცხოვრებოვასთან

– ქალბატონო მერი, მოგვიყევით თქვენს ბავშვობაზე.

– დავიბადე ქარელის რაიონ სოფელ ბრეძაში, 1934 წელს. დედაჩემი იყო ეკატერინე გრიგოლის ასული ბეკოევა. მამა – ბატონკა ფარსადანის ძე ცხოვრებაშვილი. ოჯახში ექვსი დედმამიშვილი ვიყავით.

ჩემს დროს 8 წლიდან იღებდნენ სკოლაში. მე ჯერ 8 წელი არ შემსრულებოდა და ჩემი მეზობლის ბავშვები, ვისთან ერთადაც ვთამაშობდი, ყველანი წავიდნენ სკოლაში და მე დავრჩი მარტო. მე ჯერ არ მიღებდნენ სკოლაში, რადგან 8 წლისა არ ვიყავი. მარტო რომ დავრჩი, წავედი სკოლაში: ფეხშველა, უბრალო ტანსაცმლით. ვიყურები ფანჯრიდან. ზარი რომ დაირეკა, ბავშვებში გავერიე და ვითამაშე. შესვლის ზარი რომ დაირეკა, ბავშვებს მეც შევყევი და დავჯექი, შემოვიდა მასწავლებელიც. დამიძახა, მოდი, გოგონა, ჩემთანო. მივედი. სკოლაში სწავლა გინდაო? მე თავი დავუქნიე. ჯერ რომ პატარა ხარ, შვილიკოო? მე ტირილი დავიწყე. დამაწყნარა და მითხრა, დაჯექიო. იმ დღიდან დავიწყე სკოლაში სიარული. მახსოვს, მაშინ იაკობ გოგებაშვილის დედაენით ვსწავლობდით, ფერადყდიანი წიგნი იყო, ლამაზი გოგო და ბიჭი ეხატა ზედ, ხის ქვეშ ისხდნენ. ბავშვებს უკვე ნახევარი ანბანი გავლილი ჰქონდათ, მე დავეწიე და პირველი კლასიდანვე ფრიადოსანი ვიყავი.

მე დედითაც და მამითაც ოსი ვარ. ჩვენთან, ოჯახში ცხოვრობდა ბებიაც, რომელიც სულ ოსურად ლაპარაკობდა იმ მიზნით, რომ ბავშვებს ოსური არ დაავიწყდეთო. ქართველები ძალიან უყვარდა და პატივსაც სცემდა. ჩემი ორი მამიდა ქართველზე იყო გათხოვილი. ბებიას მიზანი იყო ის, რომ ოჯახში ოსური ენა არ დაკარგულიყო.

რვა კლასი დავამთავრე ბრეძაში, საშუალო სკოლა – მეზობელ სოფელ ავლევში.

სწავლა გავაგრძელე ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1956 წელს.

– თქვენ სწავლობდით ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური

უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. რამ განაპირობა თქვენი არჩევანი და როგორი იყო დამოკიდებულება და განწყობა თქვენ მიმართ?

– მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს მოწაფეობაში, ჩემს სტუდენტობაში ქართველებისა და ოსების დამოკიდებულება იმდენად თბილი, იმდენად ახლონათესაური იყო, რომ ჩემთვის თავზარდამცემი და დაუჯერებელია, ახლა რასაც მოვესწარი. 1989-1991 წლის ამბები ჩემთვის ახლაც შემზარავია. საშუალო სკოლაში რომ ვსწავლობდი, 800 მოწაფეზე მეტი ვიყავით და მხოლოდ მე ვიყავი ოსი და ერთი რუსულის მასწავლებელი გაგლოევა. ისეთ პატივს გვცემდნენ ორივეს ქართველები, რომ იტყვიან, ხელის გულზე დავყავდი. „ოსო, ოსოს" მეძახდნენ და მეძახდნენ სიყვარულით. ასეთი კარგი ურთიერთობები გვქონდა. ასე რომ, ოსქართველობაში ამ კონფლიქტამდე მე არასოდეს მიგრძვნია, რომ მე ოსი ვარ და ის ქართველი და ჩვენს შორის რაიმე განსხვავებაა და რომელიმე ჩვენგანი პრივილეგირებული იყო რაიმით.

– თქვენი სტუდენტობის საუკეთესო მოგონება, ალბათ, ცხინვალში გალაკტიონის სტუმრობას უკავშირდება.

– ჩვენმა კურსმა ითავა გალაკტიონის მოპატიჟება ცხინვალში. 1956 წლის აპრილში პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა და ჩემმა მეუღლემ, გივი თედეევმა ჩამოიყვანეს გალაკტიონი ცხინვალში. არაჩვეულებრივი საღამო იყო. თბილისიდან გალაკტიონი და დიმიტრი ბენაშვილი ჩამოვიდნენ. ჩვენ ინსტიტუტის სააქტო დარბაზში ველოდით. შეხვედრა დიდხანს გაგრძელდა. პოეტი ძალიან კარგ განწყობაზე იყო. ამ დღისათვის სპეციალურად დაეწერა ლექსი.

პირველად სწორედ ცხინვალის სტუდენტებს გაგვანდო „მე და ღამეს" დაწერის საიდუმლოება.

– რას ჩამაცივდნენ, არ ვიცი. გალაკტიონის შემოქმედება ორ პერიოდად იყოფაო. გალაკტიონი სიმბოლისტი იყოო! – ერთხანს პოეტი ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია და ირგვლივ მსხდომთ ხელი მოხვია: – ქალიშვილებო, თქვენ ახლა ისეთი ლამაზები ხართ, ისეთი კარგები, რომ უნდა გაგანდოთ ჩემი ერთი საიდუმლო: უნდა გითხრათ, რამ დამაწერინა „მე და ღამე" და მერე თქვენ განსაჯეთ, ვარ თუ არა სიმბოლისტი.

ქუთაისის საგუბერნიო ციხეში, – თქვა პოეტმა, – იჯდა ჩემი ახლო მეგობარი, რევოლუციონერი ოკუჯავა. ჩვენ, ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი ახალგაზრდები, ველოდით სიახლეს, მათ მიზანსა და მოქმედებას. ისინი ყოველივეს პურის გუნდაში გახვეული წერილით იტყობინებოდნენ. ერთხელაც, ჩემი მორიგეობის დროს გადმოაგდეს პურის გუნდა. საიდანღაც, თითქოს მიწიდან ამოძვრა, გაჩნდა ძაღლი, დასტაცა პირი და გაიქცა. მირბის და მივდევ. როგორც იქნა, დავაგდებინე. ითხოვდნენ იარაღის შეგზავნას და ციხის გატეხის დროს გვატყობინებდნენ. მთელი ღამე არ მეძინა, სანამ ამ ამბავს არალეგალურ შტაბს შევატყობინებდი. ამ გარემოებამ დამაწერინა ლექსი „მე და ღამე“. აქვს, ყმაწვილებო, ახლა ამ ამბავს რაიმე საერთო სიმბოლიზმთან?

– არაფერი, ბატონო გალაკტიონ! – თითქმის ერთხმად შევძახეთ.

პოეტის ნერვიულობა და ცოტა უხალისობა რომ გაექარწყლებინა, პროფესორმა შოთა გაფრინდაშვილმა „წყალტუბოდან ქუთაისში“ წამოიწყო. ისევ გამხიარულდა სუფრა. მოილხინა გალაკტიონმა. იგი დაინტერესდა ირგვლივ მსხდომი სტუდენტებით. გამოიკითხა გვარები: ირაკლი გურული, იულია ბესტაევა, მარო მამისაშვილი, გრიშა გობოზოვი, ანა სუდაძე. დიდად ესიამოვნა ერთად რომ სწავლობდნენ ქართველები და ოსები, სახე გაუბრწყინდა, ზე წამოდგა, ყანწის შევსება ითხოვა: „ასე იყო, ძამიკოებო, ძველადაც. სემინარიაში ერთად ვსწავლობდით ქართველები და ოსები. ჩემი ახლო მეგობარი იყო ოსი ვალოდია ფარნიევი. ნიჭიერი ბიჭი იყო, ყველას გვიყვარდა. ოსურ „ასსას“ რომ დასძახებდა, ცეკვით იატაკს აზანზარებდა. იმან გამიღრმავა ოსების სიყვარული.

მუდამ ასე ტკბილად იყავით ჭაბუკებო და ქალიშვილებო. ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობას, ძმობას გაუმარჯოს!“ – თქვა პოეტმა და ლიცლიცა ყანწი სულმოუთქმელად გამოსცალა.

მერე მოლხენა გაგრძელდა. ცეკვა „ქართული,“ მერე „სიმდი“...

გალაკტიონი ჩვენთან ერთად მღეროდა და ცეკვავდა. პოეტი სათითაოდ გვეფერებოდა, გვეხვეოდა, მადლობას გვიხდიდა. აქ იყვნენ ჩვენი ქართველი ლექტორები, ოსები, ვმღეროდით ქართულად, ოსურად...

ასეთ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველთა და ოსთა მეგობრობას დიდი პოეტი – გალაკტიონ ტაბიძე.

– სტუდენტობიდან დაიწყეთ მთარგმნელობითი მუშაობა?

– ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში თბილისიდან ჩამოდიოდნენ ლექტორები. პროფესორები: ალექსანდრე ღლონტი, შოთა გაფრინდაშვილი, აკაკი თოფურია და სხვანი ჩვენთან ისინი დიდი სიყვარულით მუშაობდნენ და მე მეამაყებოდა ასეთი პროფესორების, ასეთი მაღალკვალიფიციური მეცნიერების ხელში რომ ვიზრდებოდი.

ვსწავლობდი წარჩინებით. ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო ჩემი საყვარელი პროფესორი – ალექსანდრე ღლონტი, რომელმაც დამაკვალიანა, მან ჩემთვის საყვარელი საქმიანობის წარმართვაში დიდი როლი ითამაშა. მე თავიდანვე ძალიან მიზიდავდა ოსური ხალხური ზღაპრები და ლეგენდები, რომლებსაც შეძლებისდაგვარად ვკრებდი და ვთარგმნიდი კიდეც. ერთხელ, მეორე კურსზე ყოფნის დროს, ბატონი ალექსანდრე მეუბნება: „მოდი, ჩემო მერი, ერთი კარგი საქმე გავაკეთოთ: ვთარგმნოთ და გამოვცეთ ოსური ზღაპრები".

ახალგაზრდობაში ყველა წერს ლექსებს. წერა მეც მიყვარდა. ჩემთვის ეს ძალიან საამაყო იყო და მთელი სტუდენტობის წლები ამაზე ვმუშაობდი: ვნახე ხელნაწერები ოსური ზღაპრებისა, რომლებიც ცხინვალის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინახებოდა, მივუმატე ჩემ მიერ შეგროვილი მასალა (სხვათა შორის, მაშინ ეს მასალა ოსურ ენაზეც არ იყო გამოცემული. ასე რომ, პირველად ეს ლეგენდები, ზღაპრები და თქმულებები ქართველმა მკითხველმა გაიცნო.) და ინსტიტუტის დამთავრებისთანავე წიგნიც გამოვიდა (ოსური ზღაპრები, ალ. ღლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ცხინვალი, 1956). ყველა ხალხს აქვს ფოლკლორი, ხალხური შემოქმედება, ასევე, ოსებსაც. აქ იმდენი სიბრძნეა, ყოფა-ცხოვრების იმდენი მარგალიტია შემონახული, რომ მსოფლიო ხალხური შემოქმედების მარგალიტებად შეიძლება ჩაითვალოს. ეს იყო ჩემი პირველი წიგნი, ჩემი პირველი დიდი სიხარული.

– სწავლის დამთავრების შემდეგ სად მუშაობდით?

– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა გავაგრძელე გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" – ცხინვალში გამომავალ ქართულენოვან გაზეთში. ამ გაზეთში მუშაობის პერიოდში მთარგმნელობით საქმიანობასაც ვეწეოდი. ვთარგმნიდი ოსი პოეტებისა და მწერლების

ნაწარმოებებს. რომლებსაც პერიოდულად ვაქვეყნებდი კიდეც. ვაკეთებდი პწკარედებს, რომელსაც ძალიან ხშირად მიკვეთავდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგია.

„საბჭოთა საქართველო", „მერანი", „ნაკადული", აი, გამომცემლობები, რომლებშიც ჩემი წიგნები გამოდიოდა.

1970 წელს გადამიყვანეს გამომცემლობა „ირისთონში" ქართული გამომცემლობის რედაქტორად. აქაც ვაგრძელებდი ქართული თარგმანების გამოცემის საქმეს. თარგმანი მეტად საპასუხისმგებლო მუშაობას მოითხოვს, დღედაღამ შრომას. ჩემი რედაქტორობით გამოიცა ბევრი ქართველი პოეტისა და მწერლის წიგნი: მორის ფოცხიშვილის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ელიზბარ ჯაველიძის, არჩილ გომიაშვილისა და სხვათა პოეტური კრებულები. პარალელურად, ვთარგმნიდი და წიგნებად გამოვცემდი ოსი კლასიკოსების ნაწარმოებებს. ვთარგმნე სოზირიკო ბოლათის, ჩერმენ ბეჯიზათის, ალექსანდრე ჯათიევის და სხვათა ლექსები და მოთხრობები, რომლებიც ცალკე წიგნებად გამოიცა. ვთარგმნე კრებულები: გიორგი ძუგაევის რომანი „ოქროს წყარო", მელიტონ გაგლოევის მოთხრობებისა და ნოველების კრებული „სისხლით ნაწერი", ანატოლი ჟაჟიევის „გამოუტანე განაჩენი შენს მოსისხლეს", მიხეილ კაჩმაზოვის პიესების კრებული და სხვა თხზულებები. სულ, დაახლოებით ოცამდე წიგნი ვთარგმნე და გამოვეცი.

1971 წელს იყო ოსური ლიტერატურის დეკადა და ამ დეკადისთვის მე მოვამზადე ექვსამდე კრებული, რომლებიც დაიბეჭდა „ნაკადულსა" და „საბჭოთა საქართველოში" ცალკე წიგნებად.

გარდა ამისა, ვთარგმნე ოსური ხალხური ეპოსი „ნართები" 1977 წელს. უნდა ითქვას, რომ ეს არის ძალზე შრომატევადი საქმე, რადგან მითოლოგიური ტექსტი არის საპასუხისმგებლო და რთული. „ნართების" პირველ გამოცემაში ბევრი ლაფსუსი გაიპარა, რისთვისაც ხელმეორედ ვთარგმნე „ნართები" და მეორე თარგმანი გამოვიდა 1988 წელს. მას დავურთე თავისი მეცნიერული ახსნა-განმარტებანი, წავუმძღვარე ცნობილი ნართოლოგისა და ოსი ენათმეცნიერის, აკადემიკოს ვასო აბაევის ნაშრომი, დავურთე შენიშვნები და უცხო სიტყვების ახსნა. ამდენად, კმაყოფილი ვარ,

რომ მეორედ გამოვეცი ნართები და მომეცა შესაძლებლობა, ის ლაფსუსები, რაც პირველ თარგმანში გამეპარა, გამომესწორებინა და ქართველი მკითხველისათვის მიმეწოდებინა უფრო სრულყოფილი და კარგი თარგმანი.

– რადგან ნართებზე ჩამოვარდა სიტყვა, საინტერესო იქნება თქვენი აზრი: ნართების ეპოსი კავკასიის ყველა ხალხში მოიძებნება. როგორ ფიქრობთ, ქართველებს რატომ არ მოეპოვებათ?

– მართალია, ნართების ეპოსი აქვთ აფხაზებს, უბიხებს, ჩეჩნებს, ჩერქეზებს, მაგრამ პრინციპში, ნართების ეპოსი მხოლოდ ოსურ წიაღში წარმოქმნილად შეიძლება ჩაითვალოს. თავისი ყოფით, ადამიანების ხასიათებიდან გამომდინარე, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ნართებში ოსური ყოფა-ცხოვრებაა აღწერილი. ამასვე მოწმობს ფრანგი მეცნიერის, პროფესორ დიუმეზილის მრავალწლიანი შრომა და მისი დასკვნა, სადაც იგი ამბობს: „მე არ მინდა, არავისი გულის ტკენა, მაგრამ ნართები ოსების კუთვნილებააო“.

– რას იტყვით ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ?

– ჩემთვის ქართველი და ოსი განუყოფელი იყო. ჩემი მეუღლის ოჯახიც შერეული იყო. დედამთილი ქართველი იყო, მამამთილი – ოსი. ჩემი და ქართველის ცოლია, ზედგენიძეების რძალია, ჩემს ძმებსაც ქართველი ცოლები ჰყავთ, ერთის მეუღლე შუბითიძეა, მეორისა – ბუთხუზი. ჩემი ქალიშვილი ქართველზეა გათხოვილი და ჩემი შვილიშვილები ქართველები არიან. ამდენად, როგორც არ უნდა დაიძაბოს ურთიერთობა და როგორც არ უნდა გამწვავდეს მდგომარეობა ამ ორ ხალხს შორის, მე მწამს და სიკვდილამდე ასე ვიწამებ, რომ არ შეიძლება ქართველებისა და ოსების გათიშვა. როგორც სახიდან ცხვირს ვერ მოვიშორებთ, მე ასე მწამს, რომ ასევე არ შეიძლება ქართველისა და ოსის გათიშვა. ამ ორი ხალხის ნათესაობა და მეგობრობა არც ჩემით იწყება და არც აქ დამთავრდება.

თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ქართველთა მეფე ფარნავაზის დის ქმარი ოსი იყო, ბაგრატ IV-ის ცოლი ოსთა ასული იყო, გიორგი III-ის ცოლი ოსი იყო. ოსი იყო თამარ მეფის მეუღლე, დავით სოსლანიც. ოსები ედგნენ ქართველებს მხარში და მტრების წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ.

ახლა ზოგიერთი ვაიპატრიოტი რომ იძახის: „საქართველო ქა-

რთველებს", „საქართველო ქართველებს", „გავწმინდოთ საქართველო უცხო თესლისაგანო", ოსები საქართველოსთვის არასოდეს ყოფილან „უცხო თესლი". საქართველოს საზღვრებზე დასახლებული ოსები თავისით არ შემოჭრილან. ისინი ქართველმა მეფეებმა ჩამოიყვანეს და დაასახლეს. საუკუნეების განმავლობაში ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის ნათესაური და მეზობლური, მეგობრული გახდა. შერეული ოჯახები უფრო ამტკიცებდნენ სიყვარულსა და პატივისცემას.

საინტერესოა, რომ სოზერიყო ყულაევისა და ალექსანდრე ჟაჟიევის თხზულებებში მხვდებოდა 1920 წლის ამსახველი ამბები. აქ კი ჩანს, რევოლუციის პერიოდში რა ტკივილი მიაყენეს ქართველებმა ოსებს. ჩვენ გვესმოდა და გვესმის, რომ მაშინ ერთი წყობა იცვლებოდა მეორით და არცერთი წყობა, არცერთი ხელისუფლება სისხლის გარეშე არ მოსულა. მაშინაც ამ ნიადაგზე დაიღვარა სისხლი და გაწყდა ოსი ხალხი. ხუთი ათასამდე ადამიანი დაიღუპა, როცა გადარეკეს მთებს იქით, სოფლები გადაწვეს. ვალიკო ჯუღელი, ცნობილი მენშევიკი იყო მაშინ ამის მოთავე. დრო როგორც იცვლება, იცვლება სიტუაციაც, შეხედულებებიც. გამოდის, რომ მაშინ ქართველები თავიანთი მართალი საქმისთვის იბრძოდნენ, მაგრამ ხალხმა რა დააშავა? მე რომ მკითხოთ, არცერთი ხელისუფლება ადამიანების სისხლისღვრად არა ღირს. შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ ასე მწამს, რომ ხელისუფლება სისხლისღვრით არ უნდა მოდიოდეს.

– როგორ ცხოვრობდით ცხინვალში კონფლიქტის დროს?

– იმდენად, რამდენადაც ჩვენი ოჯახი შერეული იყო და ორივე ხალხის სიხარულიცა და ტკივილიც ერთნაირად გვიხაროდა და გვწყინდა, ჩვენთვის ეს დაპირისპირება წარმოუდგენელი იყო და უკვე ფაქტის წინაშე რომ ვიდექით, მაშინაც ვფიქრობდით, რომ სიტუაცია ძალიან არ დამძიმდებოდა და სისხლი არ დაიღვრებოდა.

ჩემი შვილი ქართულ სკოლაში სწავლობდა, ცხინვალში სწავლა აღარ იყო. ქართული სკოლები დაიკეტა და ჩვენი უჯახი ორად გაიყო. ჩემმა მეუღლემ, გივი თედეევმა უმცროსი ქალიშვილი წაიყვანა თბილისში, რომ სასკოლო პროგრამას არ ჩამორჩენოდა. როგორც ჩვენ გვეგონა, დროებით. მალევე ქალაქს ალყა შემოარტყეს და ცხინვალში შემოსვლა შეუძლებელი გახდა.

ჩემი მეუღლე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტში“, როცა მთავრობა შეიცვალა და გაზეთიც გადაკეთდა „საქართველოს რესპუბლიკად“, გამსახურდიას ბრძანებით, გაათავისუფლეს ჩემი მეუღლე, როგორც ეროვნებით ოსი.

აღმოვჩნდით გაორებულ და უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობაში. თითქოს აღარც თბილისში დაგვედგომებოდა და აღარც ცხინვალში. სამსახურიდან გათავისუფლებული გივი ცხინვალში ვერ ჩამოდიოდა. ძალიან გვიჭირდა, მატერიალურ გაჭირვებას კიდევ გავუძლებდით, მაგრამ სულიერი შეჭირვება უარესი იყო. მეუღლე და ერთი შვილი თბილისში დარჩნენ, მე და ერთი ქალიშვილი, აქ, ცხინვალში. ჩვენ არც ქართველების წყენინება და გაწირვა გვსურდა, არც ოსებისა. თვეობით ვერ ვიგებდი მათ ამბავს. აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. თუ შემთხვევით ვინმე თბილისში დააპირებდა წასვლას, თუმცა თვიდან თვემდე ვინ წავიდოდა აქედან თბილისში, ვაბარებდი ჩემს ქმარშვილთან შეიარე-მეთქი. წერილები რომ მომდიოდა ჩემი მეუღლისგან და ქალიშვილისგან, ვკითხულობდა და ვხევდი, არავინ გაიგოს-მეთქი, რომ თბილისიდან ამბებს ვიგებ.

ვცხოვრობდით ალყაშემორტყმულ ქალაქში გაჭირვებით, ტყვიების წვიმა არ წყდებოდა დღითა თუ ღამით. მაშინ ბლოკადაში ვიყავით. მახსოვს, ერთცელ გაყინული ხორცი შემოიტანეს მაღაზიაში ტალონებზე, ზამთარი იყო, სახლში არაფერი გვქონდა, მთელი მარაგი ამოგვეწურა. წავედი, ტალონები ავიღე, სულ კილო-ნახევარი ხორცი გვეკუთვნოდა ხუთ სულზე. ჩავდექი რიგში, მომიწია ღამის გათენებამ. საშინლად ყინავდა. ცხინვალში მკაცრი ზამთარი იცის. დილის 7 საათისკენ მომიწია როგმა და ხორციც გათავდა. რას ვიტყოდი – ჩემი ბედი ასეთია-მეთქი, მაგრამ სახლში რომ მივდიოდი, გაყინული, მთელი ღამის უძილო, და, რაც მთავარია, ხელცარიელი, კინალამ ისტერიკაში ჩავვარდი. ჩემმა ქალიშვილმა ძლივს დამაწყნარა.

40 დღე მე, ჩემი ქალიშვილი, დედამთილი და ამ უბნელი ჩემი მეზობლები სარდაფში ვცხოვრობდით, როცა ჩვენი უბანი იბომბებოდა. ჩვენი სარდაფი შედარებით უსაფრთხოდ მიგვაჩნდა, რადგან ორმაგი ცემენტის კედელი იცავდა და ბრმა ტყვია ვერაფერს დააკლებდა. სახლში ტყვიები რამდენჯერმე შემოცვივდა და სახურავიც

სულ დაცხრილული იყო. ასე რომ, იმ პერიოდში სახლში გაჩერება არ შეიძლებოდა. მოდიოდნენ მეზობლები ჩემთან. შენთან უფრო იმედიანად ვართო, მეუბნებოდნენ და ასე, ლაპარაკში ვათენ-ვაღამებდით, სიბნელეში.

წლების მანძილზე დარჩა ოჯახი გათიშული, მაგრამ ორივე ხალხის გულშემატკივარი. დღემდე ჩვენი ოჯახი იმავე პოზიციაზე რჩება, რომ ორივე ხალხი ჩვენთვისს არის სისხლხორცეულად ახლობელი.

– როგორ შეაფასებდით იმ მოვლენებს, რომელიც 1989-1991 წლებში ხდებოდა?

– ყველაფერი საიდანაც დაიწყო, ეს მღვრიე ნაკადი საიდანაც წამოვიდა, ყველამ ვიცით, თუ ვის აძლევდა ხელს ოსისა და ქართველის გადაკიდება, ეს ცნობილია. დღესაც ვინ მართავს ამ სიტუაციას, ესეც ცნობილია, მეზობელ სახელმწიფოს ყოველთვის ჰქონდა ამის ინტერესი, მაგრამ რუსეთში არაფერი მზადდებოდა ისეთი, რომ ოსები და ქართველები ერთმანეთს დაუნდობლად და ასე სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებოდნენ.

1989 წელს და იქამდეც, როცა საქართველოში ეროვნული მოძრაობა ფრთებს შლიდა, თბილისიდან ჩამოდიოდნენ ახალგაზრდები და ქართულ მოსახლეობაში აგიტაციას ეწეოდნენ. არც მაშინ და არც დღეს, ასეთი დემოკრატია ოსურ ინტელიგენციას, ბუნებრივია, ხელს არ აძლევდა. ამაში არაფერია დასამალი. დემოკრატია თანასწორუფლებიანობას გულისხმობს მაშინ და ახლაც, ეს თანასწორუფლებიანობა არ იყო და არ არის მიღწეული. ამიტომ, წინააღმდეგობას უწევდნენ. როცა 400 ავტობუსი, მომიტინგეებით სავსე, მოადგა ცხინვალის შემოსასვლელს, მაშინ არ შემოუშვეს ქალაქში, რადგან იმდენი ხალხი აქ „ფეხად“ არ დაეტეოდა და რისთვის მოდიოდნენ? ისინი რადიკალური მოწოდებებით ჩვენს ასაწიოკებლად მოდიოდნენ, ამას არავინ ელოდა აქ და კარგი იყო, მაშინ რომ არ შემოუშვეს, მაგრამ ამ არეულობას მაინც ვერ ავცდით. გულსატკენი კი სწორედ ის არის, რომ სისხლისღვრა ვერ ავიცილეთ თავიდან. ამ არეულობამ მარტო ოსებს კი არ მოუტანა სისხლი და უბედურება, ქართველებიც დაზარალდნენ. მერე ამას სამოქალაქო ომიც დაერთო თბილისში. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ არეულობა სუფევდა საერთოდ ქვეყანაში და ყველაზე მეტად მოსახლეობა ზარალდებოდა.

თამარ ხიზანიშვილი

ცხინვალის ვანო მაჩაბლის სახელობის თეატრის მსახიობი და რეჟისორი

თამარ ხიზანიშვილი დაიბადა 1962 წელს ცხინვალში. საშუალო სკოლა დაამთავრა ქ. ცხინვალში 1977 წელს. 1982 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1998 წელს, ამავე ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. სკოლის წლებში და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც ცხოვრობდა ცხინვალში. მუშაობდა ცხინვალის ვანო მაჩაბლის სახელობის ქართულ თეატრში. ნათამაშები აქვს ბევრი მთავარი როლი. 1990 წლიდან ლტოლვილია და ცხოვრობს თბილისში. ჯერ დედასთან, ხოლო შემდეგ, – სხვა დევნილებთან ერთად – სასტუმრო „ვაკეში“. ამჟამად მუშაობს ცხინვალის ვანო მაჩაბლის სახელობის ქართულ თეატრში. მეუღლე – ელგუჯა კეკოშვილი ამავე თეატრის მუსიკალური გამფორმებელია. ჰყავთ ორი ვაჟი – ვახტანგ და კახა კეკოშვილები.

– თამრიკო, ცოტა რამ შენი წარმომავლობის შესახებ.

– თამარ ნიკოლოზის ასული ხიზანიშვილი. დავიბადე ქალაქ ცხინვალში. ცხინვალი ჩემი დედულეთია. ჩემი მშობლები იყვნენ დედა – რუსუდან ვასილის ასული გასიევა. მამა – ნიკოლოზ დავითის ძე ხიზანიშვილი. დედა ცხინვალელია, მამამ ცხინვალში დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. დედაჩემის ოჯახი ცხოვრობდა ცხინვალში და აქვე გეტყვი, რომ პაპაჩემი, ვასილ გასიევი დიდხანს მუშაობდა აგარის შაქრის ქარხანაში ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. რამდენიმე წელი ამ დიდი წარმოების ხელმძღვანელი და გამგე იყო და მივლინებით მყოფმა ქალაქ ქუთაისში გაიცნო და შემდეგ ცოლად შეირთო ქეთევან მიხეილის ასული ხელაძე, ბებიაჩემი. ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ ხაშურში, იქ ეყოლათ შვილები. შემდეგ პაპა გადმოიყვანეს ცხინვალში სამსახურეობრივი დავალებით, იქ ააშენეს სახლი და დასახლდნენ. დედაჩემი თავისი დიდი ოჯახით, ხუთი და-ძმით ცხოვრობდა ცხინვალში. ხაშურიდან

ჩამოსვლისას ისინი გასიშვილების გვარს ატარებდნენ. ცხინვალში აღადგინეს ამ გვარის ძველი ფორმა, – გასიევი. ვასომ და ქეთევანმა გაზარდეს ხუთი შვილი, ორი ვაჟი, სამი ქალიშვილი. დეიდაჩემი, ვენერა გასიევა და დედაჩემი, ქეთევან გასიევა ფილოლოგები იყვნენ, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრეს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ორივე და საქართველოს მთიან რეგიონებში გაანაწილეს სამუშაოდ. დეიდაჩემი ყაზბეგის რაიონში წავიდა სამუშაოდ. დეიდა შემდეგ იქაური სკოლის დირექტორს გაჰყვა ცოლად, ეროვნებით ქართველს, კობიაშვილს, ხოლო დედაჩემი დმანისის რაიონში, სოფელ გომარეთში გაანაწილეს სამუშაოდ და იქ შეუღლდა მამაჩემთან, ნიკოლოზ ხიზანიშვილთან. ეყოლათ ხუთი შვილი. ჩვენ, ყველამ უმაღლესი განათლება მივიღეთ, მაშინ ეს არცთუ ისე იოლი იყო. მაგრამ თავიდანვე გვინერგავდნენ სწავლის სიყვარულს. მართლაც, ყველანი სანიმუშოდ ვსწავლობდით. დედაც და მამაც სკოლაში იყვნენ და არ უნდა შეგვერცხვინა.

მთელი თავისი ცხოვრება დედაჩემი ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას საშუალო სკოლაში და მისი პედაგოგიური ცხოვრების მიზანი იყო წესიერი მოქალაქეების აღზრდა. ბევრი სახელოვანი ადამიანი დმანისის რაიონიდან სწორედ დედაჩემის აღზრდილია. ბევრს უთქვამს, – მე რომ ქეთევან მასწავლებელი არ შემხვედროდა, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრებაო.

მე მინდა ორიოდე სიტყვით გავიხსენო ჩემი პაპა და ბებია. პაპაჩემი – ვასილ გასიევი ძალიან ღირსეული და თავშეკავებული პიროვნება იყო. ნათესავების მოყვარული, ცხინვალში, მათ სახლში იკრიბებოდნენ ცოლის ნათესავები იმერეთიდან და თავისი ოსი ნათესავები. ჩვენ, მათი შვილიშვილები, მათ სახლში გავიზარდეთ და ცხინვალი იყო ჩვენი ოცნების ქალაქი. ბუნებრივია, მე, როგორც შერეული ოჯახის შვილი, ბავშვობიდანვე ვეზიარე ორი ხალხის, ქართველებისა და ოსების კულტურას, მათ თბილ, ნათესაურ, მეგობრულ ურთიერთობებს.

რადგან დედაჩემს ხუთი შვილი ჰყავდა და დიდი ოჯახის დიასახლისი იყო, ძალიან დიდ დროს ვატარებდით ცხინვალში, ბებიასთან და პაპასთან. შემდეგ კი მოხდა ისე, რომ სკოლაში სასწავლებლადაც ცხინვალში დამტოვეს. ასე რომ, სკოლა ცხინვალში

დავამთავრე, ცხინვალის მეოთხე საშუალო სკოლა, 1977 წელს. ჩვენი სკოლის დირექტორი იყო რომეო ბაქრაძე (ის ამჟამად ლტოლვილია და უკვე თოთხმეტი წელია თბილისში, სასტუმროს ერთ პატარა ოთახში ცხოვრობს ოჯახიანად). ეს იყო არაჩვეულებრივი სკოლა, გამორჩეული თავისი ისტორიით. მას ეძახდნენ ებრაელების სკოლას, რადგან ჩვენთან ბევრი ებრაელი სწავლობდა და როდესაც მიგრაცია დაიწყო და ებრაელები ისრაელში დაბრუნდნენ, თითქმის განახევრდა კონტინგენტი. ჩვენი სკოლის ადგილზე, სანამ სკოლას გახსნიდნენ, ყოფილა ქალთა სასწავლებელი, სადაც დედაჩემიც სწავლობდა.

– მოგვიყევი შენს ბავშვობაზე. როგორი იყო შენი ბავშვობის ცხინვალი?

– ჩემს კლასში სწავლობდნენ ქართველები, ოსები, ებრაელები, სომხები და ყველას არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთთან. ცხინვალში ჩვენი მეზობელი ბავშვები, ქართველები, ოსები ერთად ვთამაშობდით, ბევრი რამ გვქონდა საერთო: ქუჩა, სახლი, ეზო და არანაირი განსხვავება ეროვნული ნიშნით ჩვენს შორის არ ყოფილა. მე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ გიგოლაევი დათო, გიული და ნანული ოსები იყვნენ და სხვები იყვნენ და კასრაძეები ქართველები, ჩვენიანები. არასოდეს არ მიფიქრია მაგაზე, რადგან ჩვენი სალაპარაკო ენა იყო ქართული და ყველა ერთად ვთამაშობდით და ერთად ვიზრდებოდით. ბავშვები ძირითადად ჩვენს ეზოში ვიკრიბებოდით, იმიტომ, რომ ჩვენ დიდი ეზო გვქონდა. ბიცოლაჩემი, რუსუდან ლურსმანაშვილი, დედაჩემის ძმის ცოლი, არაჩვეულებრივად თბილი ქალი იყო. დედაჩემის ძმა – ზაურ გასიევი ცხინვალის თეატრის მსახიობი იყო, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენს სახლში ოსებიც მოდიოდნენ სტუმრად და ქართველებიც. ბიძაჩემი ცოტა უყურადღებო კაცი იყო ნათესავების მიმართ. როცა მისი ნათესავები მოდიოდნენ, ბიცოლაჩემს ეკითხებოდა, ვინ ვინ იყო და როგორ ნათესავად ერგებოდა. ბიცოლაჩემმა ხუთი თითივით იცოდა, ვინ რომელი სოფლიდან იყო, ვინ როგორი ნათესავია. ბიცოლაჩემი იყო ქართულ-ოსური ტრადიციების დამცველი და ჩვენი ნათესაობის შემკვრელი. მან ოსურიც კარგად შეისწავლა და დედაჩემზე კარგად შეეძლო ესაუბრა ოსურად. დედაჩემი ქართველებში ცხოვ-

რობდა და ქართულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო, ოსური ავიწყდებოდა კიდეც. ბიცოლაჩემი სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა და ბევრი ოსი მეგობარი ჰყავდა, რომელთაც ოსურად ესაუბრებოდა.

ქუთაისელი ნათესავები რომ ჩამოდიოდნენ, ხელაძეები, ეს იყო ჩვენთვის უჩვეულო სიხარული. ჩამოჰქონდათ ხოლმე თავიანთი გარდერობი. ეს იყო საკიდლებზე დაკიდებული ტანსაცმელი, ჩამოჰქონდათ კალათებით ხილი, საჩუქრები. მთელი რიტუალი იყო ამ ყველაფრის გადმოლაგება, ამოწყობა, დაბარგება. სამი დღე რჩებოდნენ, მეტი კი არა, მაგრამ ეს ჩამოლაგება და გადმობარგება მაინც საკმაოდ დიდი ცერემონია იყო. ასევე ამაღელვებელი და დასამახსოვრებელი იყო დამშვიდობების სცენაც, როცა უნდა მანქანაში ჩაებარგებინათ ჯერ თავიანთი ბარგი, მერე ბიცოლა-ჩემი გაუმზადებდათ ოსურ ხაჭაპურებს, რომელიც ძალიან კარგად გამოსდიოდა და მართალია, თვითონ ოსი არ იყო, მაინც ძალიან კარგად შეითვისა ოსური წეს-ჩვეულებები.

მერე დაიწყებოდა ხვევნა-კოცნა და გამომშვიდობება, ერთი ოსი მეზობელი ჰყავდა ბიძაჩემს და ის იტყოდა ხოლმე: „კაცო, არ უკბინოთ ერთმანეთსა, არ უკბინოთო“, –ასეთი იყო გაცილების ცერემონია.

ცხინვალის თეატრში მუშაობდა ბიძაჩემი და, ბუნებრივია, ცხინვალის თეატრის დასის წევრები ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენთან. ხშირად მოდიოდნენ მსახიობები გრიშა კოკოევი, შერმადინ ცხოვრებოვი, რაისა პლიევა ხომ უკვე ჩვენი ოჯახის წევრი იყო! მთელი დასი ცხინვალის ქართული თეატრისა, სადაც ოსებიც მოღვაწეობდნენ და ქართველებიც, ბავშვობიდან მახსოვს, როგორც ბიძაჩემის განუყრელი მეგობრები წლების მანძილზე.

ჩემი უმცროსი დეიდა, ლილი გასიევა, კულტურის განყოფილებაში მუშაობდა. მისი მეგობრები, კულტურის მოღვაწენი ხშირად მოდიოდნენ ჩვენს სახლში. ჩვენს სახლში იკრიბებოდა ბევრი გამორჩეული და ხალხისთვის საყვარელი ადამიანი: მომღერლები, მოცეკვავეები, მწერლები. ერთი ბედნიერება იყო ამ ხალხის ჩვენს ოჯახში თავმოყრა და მათ გვერდით ყოფნა. ჩვენ, ბავშვებს, ჩვენი ნომრები გვქონდა მომზადებული, მათი გამრთობები ვიყავით. შესაბამისი დრო რომ დადგებოდა, ვიწყებდით ჩვენი მომზადებული

ნომრებით მათ გართობას. მერე ღიმილითა და ტაშით დაგვაჯილდოებდნენ და უკვე თვითონ იწყებდნენ სიმღერასაც და ლექსის თქმასაც, ოსური პოეზიიდან თუ ქართულიდან. ბიძაჩემს, ზაურ გასიევს ძალიან უყვარდა ოსური ლიტერატურა. ერთი პერიოდი, თარგმნიდა კიდეც ოსურ პიესებს, ოსი პოეტების ლექსებს ოსურიდან ქართულად. და, სხვათა შორის, მრავალი პოეტის ლექსი ორივე ენაზე ზეპირად იცოდა. ასეთი დიდი და საინტერესო ოჯახი გვქონდა ჩემი ბავშვობის მოგონებებით ცხინვალში, სადაც მე ვიზრდებოდი.

ასეთი იყო ურთიერთობები მაშინდელ ცხინვალში. ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი აღარ არის, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი დროებითია და ყველაფერი გამოსწორდება. ჩვენ ისეთი დიდი ნათესაური ჯაჭვითა ვართ ერთმანეთთან გადაბმული, ქართველები და ოსები, რომ ჩვენს შორის მთავრობა რომ არ ჩაერიოს, თვითონ ქართველები და ოსები მოაგვარებენ ერთმანეთში ყველაფერს მშვიდობიანად და ორივე ხალხის სასიკეთოდ, რადგან სიყვარულს, ძმობას, ნათესაობას ვერაფერი მოერევა.

ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ძალიან ცუდ დროს სამარშრუტო ტაქსით ვმგზავრობდი ცხინვალიდან თბილისში. პოლიციელების მარშრუტკა იყო. იქ ქართველებიც ისხდნენ და ოსებიც. როგორც ხდება ხოლმე, კამათი დაიწყო. ქართველები თავისას ამბობდნენ, ოსები – თავისას. ძნელი დრო იყო, ყველაფერი მოუშუშებელი და ახალი, მტკივნეული იყო. იქ ერთი სომეხი ბიჭიც იჯდა, რომელმაც თქვა, აი, როგორი ამბავი დაგემართათ ქართველებსა და ოსებს, ჩვენი გასაშველებლები გახდითო. მოუბრუნდა ოსი მგზავრი და უთხრა: „ჩემს ძმას მინდა გავებუტები, მინდა შევურიგდები, რა შენი საქმეაო“. მე იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი დროებითია. ხოლო მომავალი დრო ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს.

სკოლაში სწავლის დროს უკვე ყველამ იცოდა და ამჩნევდა, რომ გამორჩეულად, განსაკუთრებულად მიყვარდა თეატრი. თავიდან, სკოლაში მივედი დმანისის რაიონ სოფელ გომარეთში, სადაც დედა და მამა მუშაობდნენ და ჩვენი ოჯახი ცხოვრობდა, იქ შექმნა დედაჩემმა თავისებური თეატრალური წრე. ეს იყო დიდი სოფელი, სადაც ბევრი ისტორიული ძეგლი დგას. მამაჩემი ისტორიკოსი იყო პროფესიით და ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურას

ასწავლიდა სკოლაში. ჩვენს ოჯახში ლიტერატურის კულტი ყოველთვის იყო. დედაც და მამაც შეყვარებულები იყვნენ ქართულ ლიტერატურაზე. მამაჩემი ძალიან პოეტური ადამიანი იყო და ხელოვნებისკენ ჰქონდა მიდრეკილება. მე რომ ძალიან მოძრავი და ყოჩაღი ბავშვი ვიყავი, მან იფიქრა, რომ ხელოვნებისკენ უნდა მიემართა ჩემი აღზრდა, იმიტომ, რომ ვიყავი ძალიან ფანტაზიორი. ხანდახან მსჯიდა იმის გამო, რომ ამბებს ვიგონებდი და ისე ვყვებოდი, თითქოს მართლა გადამხდა. ეტყობა, შეთხზვის უნარი მქონდა დიდი და იმდენ რამეს ვიგონებდი და ვატყუებდი, რომ მეჩხუბებოდა, სკოლიდან სახლამდე ასი ისტორია გადაგხდაო? ვყვებოდი ამბებს ცხოველებზე, ფრინველებზე, მეგობრებზე, კლასელებზე, მეზობლებზე.

ეტყობა, ჩემმა მშობლებმა იფიქრეს, რომ მე ფანტაზიის უნარი მქონდა და ერთხელ მითხრა მამაჩემმა, იქნებ შენ თეატრზე გეფიქრაო, ხელოვნების განხრით წახვიდეო, თან შენ ფანტაზიორობის დიდი უნარი გაქვსო.

სოფელში მამას და დედას ჰქონდათ პატარა დრამატული წრე. მეც, როგორც პატარა, ვმონაწილეობდი ხოლმე სოფლის სკოლაში დადგმულ სპექტაკლებში. მერე, ცოტა რომ გავიზარდე, მე თვითონ მოვინდომე რეჟისორობა და წავიღე ცხინვალიდან ბიძაჩემის ნახმარი გრიმები, ნიღბები, გადაყრილი თეატრალური კოსტიუმები. ეს ყველაფერი შევაგროვე ჩემოდანში, ზოგი გადაგდებული ტანსაცმელიც მივუმატე. დავდიოდი სოფლის ქუჩებში ჩემს მეგობრებთან ერთად, მქონდა პატარა დასი იმ ბავშვებთან ერთად, ვინც ცეკვაზე დადიოდა, ვისაც ეს აინტერესებდა და ვატარებდით წარმოდგენებს. ისე შეეჩვივნენ სოფლელები ამას, რომ გული მქონდა გაწყალებული, კონცერტი როდის არისო. მერე მოვიფიქრე და გავაკეთე აბრა, რომელზეც ერთ მხარეს ეწერა კონცერტი, მეორეზე არაფერი. მერე ყველას, ვინც მეკითხებოდა, ვეუბნებოდი: აღარ შემეკითხოთ, როცა აქ კონცერტი აწერია, მაშინ იქნება კონცერტი-მეთქი. ასეთი მხიარული ბავშვობა მქონდა.

როცა ცხინვალის მეოთხე სკოლაში ვსწავლობდი, ბატონი რომეო ბაქრაძის, ჩვენი სკოლის დირექტორისა და ბატონ ვახტანგ კასრაძის თაოსნობით (ბატონი ვახტანგი ცხინვალის პირველი საშუალო სკოლიდან უკვე წამოსული იყო და იქ მუშაობდა), შევქმე-

ნით დრამატული წრე. ჯემალ გოჩაშვილმა, ახლა ჩვენი თეატრის მსახიობმა, დაიწყო სპექტაკლის დადგმა. ამ დასში იყვნენ ვალერი კულუმბეგოვი, ზაზა თედიაშვილი, ნანა ცერცვაძე, ერთი სომეხი ბიჭიც (გვარი აღარ მახსოვს), მე. ჩვენ წარმოვადგინეთ გიორგი ივანიშვილის პიესა „ჩაქუჩი“, სადაც პირველი როლი ვითამაშე. ვმეგობრობდით ისე, რომ არ გვქონია განსხვავება იმის მიხედვით, ვინ იყო ქართველი, ვინ სომეხი, ვინ ებრაელი, ვინ ოსი. ასეთი კარგი სკოლა გვქონდა, სადაც კარგ სპექტაკლებსაც ვდგამდით და ლამაზ სალამოებსაც ვაწყობდით.

– მოგვიყევი შენი მშობლების შესახებ.

– მამა ძალიან ამაყობდა, რომ დედაჩემის ოჯახში ხელოვანი ხალხი ცხოვრობდა, მოძებნიდა დმანისის რაიონში, თუკი ვინმე ოსი იყო და გამოაგზავნიდა ხოლმე ჩვენებთან, თეატრში წაიყვანეთო. იმ წესებსა და ადათებს, რაც ოსებმა იციან, ერთმანეთის მიყოლა, პატრონობა, მასპინძლობა, მამა ყოველთვის დიდ პატივს სცემდა და ძალიან იცავდა.

დედაჩემს, როგორც მე ვატყობდი, ძალიან უყვარდა აკაკი წერეთლის „გამზრდელი.“ ერთხელ გაკვეთილზე მივაკითხე, კარებზე დავაკაკუნე და კარები რომ გამოაღო, თვალები ცრემლიანი ჰქონდა. მე მაშინ პატარა ვიყავი და ძალიან შემეშინდა, დედა ატირებული რომ დავინახე, რა ატირებს-მეთქი. ხელში წიგნი ეჭირა, კითხულობდა, მომკიდა ხელი, ამ კითხვა-კითხვაში შემიყვანა კლასში და გააგრძელა კითხვა: „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ! სასიკვდილო მე ვარ, მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარო“, დაამთავრა კითხვა, დაკეცა წიგნი, ტირის თვითონაც და მთელი კლასიც ტირის. მე ვფიქრობდი რა ატირებთ-მეთქი, მერე თქვა ატირებულმა, რომ ჰაჯი უსუბმა თავი მოიკლა და ბავშვებმაც ქვითინი ამოუშვეს. მერე, წლები რომ გავიდა, კი მივხვდი, რატომ ტიროდნენ, მაგრამ მაშინ პატარა ვიყავი...

ასეთი ემოციური იყო დედა ყოველთვის, როცა რომელიმე ნაწარმოებს ხსნიდა. როგორც გითხარით, დედა ოსი იყო და საოცრად შეყვარებული ქართულ კულტურაზე, ქართულ ლიტერატურაზე. მისი მოსწავლეები დღემდე ამბობენ, რომ არა რუსიკო მასწავლებელი, ჩემი ცხოვრება ასე არ წავიდოდა, ასე ვერ შევიყვარებდით ქართულ ლიტერატურასო, მან ასე დაგვანახვა ქართუ-

ლი მწერლობა, ასეთი სიკეთე გამოავლინა, მისი მიბაძვით გავხდი მასწავლებელიო. როცა დაანება სკოლას თავი და თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ, პირველი სექტემბერი რომ მოვიდოდა, ფარდის უკან დაიმალებოდა და იქიდან უთვალთვალებდა, ბავშვები როგორ მიდიოდნენ სკოლაში. ჩვენ ვეჩხუბებოდით ხოლმე: თუ ასე გეტირება, წადი ისევ სკოლაში და იმუშავეო, – ვეუბნებოდით, მაგრამ ასე გვპასუხობდა: „არა, მე აღარა მაქვს ის გონება, რომ ისე ვასწავლო, როგორც ვასწავლიდიო, არ შეიძლება, ჩემი საგნის შეურაცხყოფა იქნებაო, მე რომ რაღაცა ისე არ გამომივიდესო, მე ამას ვერ ვაკადრებ ქართულ ენასა და ქართულ ლიტერატურასო".

– თამრიკო, დედა თუ მოესწრო კონფლიქტს ქართველებსა და ოსებს შორის და როგორ აღიქვამდა?

– დედა 1995 წელს გარდაიცვალა და ბუნებრივია, იმ დროს, როცა დაპირისპირება მოხდა, ძალიან განიცდიდა. მისთვის ტკივილიანი იყო ეს ყველაფერი, მაგრამ ამბობდა, რომ ეს არის დროებითი.

– უშუალოდ მას თუ შეეხო ქართულ-ოსური კონფლიქტის გამო უსიამოვნება?

– დედა იმ დროს თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა წითელი ჯვრის რაიონულ განყოფილებაში. ერთ დღეს რაიაღმასკომში, სადაც დედა მუშაობდა, კრებაზე გამოვიდა ერთი თანამშრომელი ქალი და თქვა, რომ აქ არიან შემოპარული ადამიანები, ჩვენი მტრები, ოსურ და რუსულ ექსტრემიზმს ნერგავენო და ჩამოთვალა რაიაღმასკომის თანამშრომლების გვარები, რომლებიც იქ მუშაობდნენ. მათ შორის იყო დედაჩემიც. დედასთვის ეს თავზარდამცემი ამბავი იყო. წამოხტა თურმე და ყვირილ-ყვირილით მივიდა ტრიბუნამდე, ხელი მაღლა ჰქონდა თურმე აწეული, მერე მისი თანამშრომლები, ვინც არ იზიარებდა იმ ქალის აზრს, სიცილით ყვებოდნენ, როგორ გარბოდა რუსუდანი ტრიბუნისკენო. და ყვიროდა აწეული ხელით და გაშლილი თითებით: „ხუთი შვილი გავუზარდე საქართველოს, ხუთი შვილიო!" მერე დაუმატებია: მაპატიეთ, ისე ავღელდი, სწორად ვერ გითხარითო – ხუთი ჩემი გაჩენილი და ასობით სხვისი გაჩენილი და ჩემი გაზრდილი შვილი ჰყავს საქართველოსო. ძალიან უხერხული სიტუაცია ყოფილა, თავიდან ყველა გაჩუმებულა და შემდეგ უთქვამთ, როგორ აკადრეთ და ეს სიტყვე-

ბი როგორ უთხარითო. მერე, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამშვიდდა, მაგრამ ამ არეულობის დროს, როცა ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირება შეიქმნა, არ ლაპარაკობდა ამ საკითხზე, მხოლოდ ჩვენ გვეუბნებოდა, რომ თქვენ უნდა იყოთ ხიდი ამ ორ ხალხს შორისო, თქვენ არ შეიძლება რომელიმე გაამართლოთ ან გაამტყუნოთო, თქვენ უნდა იყოთ ამ ხალხებს შორის მეგობრობის ხიდიო. როცა მძვინვარებდა დაპირისპირება და არ გვესმოდა მისი, ხელს ჩაიქნევდა ხოლმე და იწყებდა წერას, არაჩვეულებრივი წერილები აქვს.

– ჩვეულებრივ, მშობლები, თაეტრალური, სამსახიობო პროფესიის წინააღმდეგები არიან ხოლმე. თქვენს ოჯახში ადვილად დაგთანხმდნენ, რომ შენ მსახიობი გამხდარიყავი?

– მე დედაჩემის არჩეული პროფესია მაქვს. მამაჩემიც არ იყო წინააღმდეგი, რომ მსახიობი გავმხდარიყავი, მასაც ძალიან უყვარდა თეატრი და ხელოვნება. ასე რომ, ოჯახიდან წინააღმდეგობა არ მქონია.

1977 წელს ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში და მოვეწყვე მიზნობრივ ჯგუფში ცხინვალის თეატრისათვის. ეს იყო ნაკრები, ჯგუფი, სადაც მზადდებოდნენ მსახიობები ახალციხის თეატრისათვის, ცხინვალის თეატრისთვის, მახარაძის თეატრისთვის და თელავის თეატრისთვის.

მე ჩავაბარე ცხინვალის თეატრისთვის სამსახიობო ფაკულტეტზე. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ბატონი გივი სარჩიმელიძე. არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. 4 სტუდენტი ვიყავით ცხინვალელები და მან გაგვზარდა. ჩემთან ერთად სწავლობდნენ თემურ კოკოშვილი, ტარიელ მინდიაშვილი, ლელა მახნიაშვილი, ბევრი კარგი რამ გვახსოვს ბატონი გივისგან. 1981 წელს ჩვენ დაებრუნდით ცხინვალის თეატრში. მაშინ კოსტა ხეთაგუროვის სახელობისა იყო. ახლა ვანო მაჩაბლის სახელობის ქართულ სახლემწიფო თეატრი ჰქვია. ყველამ ერთად დავიწყეთ მუშაობა მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ ვერ გააგრძელა სამსახიობო მოღვაწეობა.

– თამრიკო, როგორ დაიწყო შენი შემოქმედებითი ცხოვრება ცხინვალის თეატრში?

– ცხინვალში დაბრუნების დღიდანვე თეატრში დაიდგა ძალიან კარგი სპექტაკლები, ჩემდა საბედნიეროდ, სულ მთავარი როლები

მქონდა და სულ კარგი როლები მაქვს ნათამაშები. ჩემი პირველი როლი იყო სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ზღაპარი“, მეფის ასულს ვთამაშობდი და ძალიან მიყვარდა ეს როლი. ყველაფერი მიყვარდა ამ როლში: კოსტუმიც, გრიმიც, აქსესუარებიც. მერე ვითამაშე მერაბ ელიოზიშვილის პიესაში „ბერიკონი“. იქ ვთამაშობდი იანუსის როლს. ძალიან კარგი ნაწარმოებია და ძალიან კარგი როლი მქონდა. ძალიან მიყვარდა და მიყვარს ამ პიესიდან ეს სიტყვები: „ვაზის ვარჯია სხეული ჩემი, თავით შეკრული, როგორც მტევანი სულიც შიგ არის ჩასახლებული, ქართველი კაცის ქართულ ვენახში“. ეს ჩემი ტექსტი არ იყო, ჩემი პარტნიორის სათქმელი სიტყვები იყო, მაგრამ მე ისე ძალიან მომწონდა, ეს მონოლოგი ზეპირად დამამახსოვრდა.

შემდეგ ვითამაშე მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „მუსუსის“ მიხედვით შექმნილ პიესაში, რომლის ინსცენირებაც ბიძაჩემმა, ზაურ გასიევმა გააკეთა ჩვენი დასისათვის და დადგა უშანგი მინდიაშვილმა. მე ფეფელოს როლს ვთამაშობდი (თამრიკო სურათს მაჩვენებს და მიხსნის: „ამ ფოტოზე ფეფელოსა და მისი შეყვარებულის, მიხოს შეხვედრის სცენაა“ ეს ზაურია, ეს ბატონი გრიშა ქოქოლევია, ეს არის ბუბა მიკირტიჩიანი, ეს ციცო გიგაურია, შემდეგ, ნელი ჯიოშვილი, ეს ბატონი მიტო ყორანაშვილი, თენგიზ ხიდაშელი, ჩვენი თეატრის მსახიობები: ქეთევან დანელიშვილი, თამაზ პურიჭამიაშვილი და მე. ასეთი მულტინაციონალური დასი გვქონდა“). ძალიან კარგი სპექტაკლი იყო, დიდხანს გადიოდა. მხიარული იყო, ახალგაზრდული.

შემდეგ დაიდგა სერვანტესის „ლამანჩელი“, თემურ აბაშიძისა და დათო ელიოზიშვილის ერთობლივი სპექტაკლი, სადაც მეც ვთამაშობდი.

ასევე დაიდგა ქეთევან ხუჭუკაშვილის საბავშვო სპექტაკლი „კონკია“, რომელიც უშანგი მინდიაშვილმა დადგა, სადაც კონკიას როლს ვთამაშობდი და ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი როლია. მერე ცხინვალში ჩატარდა ბავშვთა სპექტაკლების რესპუბლიკური ფესტივალი და იქ ერთ-ერთი მთავარი პრიზი მიიღო ამ სპექტაკლმა.

შემდეგ დადგა არაჩვეულებრივი პერიოდი ჩვენი თეატრის ისტორიაში, ეს იყო 1983-84 წლები. ამ დროს ახალგაზრდა ავტორები: თამაზ ბაძაღუა, შადიმან შამანაძე ჩამოდიან ცხინვალში

და ჩამოაქვთ თავიანთი პირველი ნაწარმოებები, პირველი პიესები, მოსინჯვის მიზნით ჩამოვიდნენ ჩვენს თეატრში, რადგან ახალგაზრდები იყვნენ, უნდა მოესინჯათ, ივარგებდა თუ არა მათი პიესები სცენისათვის, ხალხი როგორ მიიღებდა. ასე დაიდგა შადიმან შამანაძის „ღია შუშაბანდი“, დათო ელიოზიშვილმა დადგა. მე და დათო ერთად ვთამაშობდით, მე მაცაცოს როლი მქონდა. იმავე პერიოდში დაიდგა თამაზ ბაძაღუას „რექვიემი ვერცხლის ქორწილისათვის“. ამ პიესაში ნესტანს ვთამაშობდი. ეს იყო არაჩვეულებრივი პერიოდი. ეს სპექტაკლები ჯერ ჩვენთან დაიდგა, ცხინვალში და შემდეგ დადგა რუსთაველის თეატრმა და სხვა თეატრებმაც. ასეთი დიდი წარმატება და საყოველთაო მოწონება ხვდა წილად ამ სპექტაკლებს.

შადიმან შამანაძის სპექტაკლის პრემიერა რომ იყო, შადიმანიც ჩამოსული იყო და თან ახლდა თამაზ ბაძაღუა, მეგობრები იყვნენ. ძალიან მორიდებულები იყვნენ, თან ახალგაზრდები და მორცხვობდნენ. მე უკვე როლები მქონდა ნათამაშები და შედარებით თამამად ვიყავი, დიდი არტისტი მეგონა თავი. ტაში რომ დაუკრეს, შადიმანი და თამაზი კულისებში იდგენენ და ვერ გამოდიოდნენ. გავქანდი და ვტაცე ხელი შადიმანს, გამოდი-მეთქი და თამაზი ვერ ვიპოვე, კულისებში იყო მიმალული. შადიმანი გაწითლებული გამოვიდა და ისეთ უხერხულ მდგომარეობაში იყო, ხან რას წამოჰკრა ფეხი და ხან – რას.

ასევე დავდგით ლალი როსევას პიესა „პრემიერა“. იქ პატარა კატოს ვთამაშობდი, რომელიც თეატრში მუშაობაზე და თეატრალურზე ჩაბარებაზე ოცნებობს, ერთ-ერთი მთავარი და ძალიან საყვარელი როლი იყო.

ბევრი კარგი სპექტაკლი დაიდგა ცხინვალის თეატრში, ბევრი წარმატება გვქონდა, მაგრამ მათ შორის გამოვყოფდი „მაია წყნეთელს“, ვალერიან კანდელაკის პიესას. ნინო კავსაძის რეჟისორობით. მე მაია წყნეთელს ვთამაშობდი. პიესა გამოვიდა 1988 წელს. ეს ჩემი უსაყვარლესი როლია. ძალიან კარგი და წარმატებული სპექტაკლი იყო. პატრიოტული სულით გამსჭვალული.

– როგორი შემფასებელი იყო ცხინვალელი მაყურებელი?

– სპექტაკლების თამაშის შემდეგ ქალაქში რომ გამოვიდოდი, მეგონა, ჩემზე სახელოვანი და დიდი ადამიანი არავინ დადიოდა

ცხინვალის ქუჩებში იმიტომ, რომ ვგრძნობდი მაყურებლის დიდ სიყვარულს. ყველგან, სადაც დავდიოდი, მაღაზიებში, ქუჩაში ყველა ჩურჩულით ჩემკენ იხედებოდა, რომ ეს მსახიობიაო.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ამ საშინელმა დრომ წამართვა.

– მოგვიყევი ცხინვალის თეატრის შესახებ...

– კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო თეატრში ორი დასი მუშაობდა. ეს იყო ოსური დასი, რომელიც შექმნა ვიქტორ მურღულიამ, მან ჩამოაყალიბა და აქცია თეატრად. ოსური თეატრი შეიქმნა თბილისის თეატრის ბაზაზე, მსახიობებად მიწვეულნი იყვნენ თბილისელი ოსები. მათი თეატრი ადრე ნაძალადევში იყო, სადაც დღეს „პლეხანოვის კლუბია“, იქ, თბილისის ოსური თეატრის ბაზაზე შეიქმნა ცხინვალში ოსური თეატრი.

ქართული თეატრი, რომელიც მაჩაბლებმა შექმნეს, ახლა 125 წლისაა, ცხინვალის ქართული თეატრის შემქმნელები იყვნენ ივანე, ზალიკო და ეფემია მაჩაბლები. ეს თეატრი იმ შენობაში არ იყო, რომელშიც ახლაა, ეს იყო კერძო ბინებში, სხვადასხვა დროს სხვადასხვა მოსახლის კერძო სახლში, ხოლო 1875 წელს აიწია პირველად ფარდა და დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა“ ახალ შენობაში.

ცხინვალის როგორც ქართულ, ისე ოსურ თეატრში ცნობილი მსახიობები და რეჟისორები მოღვაწეობდნენ. არჩილ ჩხარტიშვილი სპექტაკლებს დგამდა ცხინვალის ოსურ თეატრშიც და ქართულ თეატრშიც. ასევე დიმიტრი ალექსიძე, ორივე დასთან მოღვაწეობდა. ხოლო თეატრალური ინსტიტუტი მიზნობრივ ჯგუფებს ამზადებდა ცხინვალის როგორც ქართული, ასევე ოსური დასისათვის.

ეს იყო ძალიან მეგობრული კოლექტივი. ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. იყო პერიოდები, როდესაც ისინი ერთმანეთის დასში თამაშობდნენ გარკვეულ სცენებში. დარეგულირებული და განაწილებული იყო თეატრის შენობის მოხმარების საკითხიც. ამ ორ დასს ერთი შენობა ჰქონდა და ამიტომ, ერთ დღეს ქართველები თამაშობდნენ, მეორე დღეს – ოსები. როგორ ვიკადრებდით, რომ ჩვენ პრემიერა გვქონოდა და ოსური დასი იქ არ ყოფილიყო. ასევე ისინიც, – როცა ბანკეტი ჰქონდათ, ან რამე ღონისძიება, სულ ერთად ვიყავით. ძველი თაობა, ბიძაჩემის თაობა იყვნენ ბავშვობის მეგობრები, ერთად, ერთმანეთის გვერდიგვერდ ჰქონდათ მთელი ცხოვრება გატარებული.

სხვათა შორის, ჩვენ ერთი დირექტორი გვყავდა, ოსური დასის ხელმძღვანელი ფილიპ კაჯაევი. ჩვენი დასის ხელმძღვანელი იყო ბატონი გოგი გაბელაია. საერთო დირექტორი კი, როგორც გითხარით, ბატონი ფილიპ კაჯაევი და მართალია, მას მოსკოვში ჰქონდა განათლება მიღებული და ქართული თეატრალური სკოლა არ ჰქონდა გავლილი, ძალიან კარგად იცნობდა ქართულ თეატრალურ კულტურას და ძალიან გაწონასწორებული პიროვნება იყო. ისე რომ, ის ფაქტი, რომ თეატრის დირექტორი ოსი იყო და არა ქართველი, არასოდეს არანაირი დაპირისპირების საბაბად არ ქცეულა ჩვენთვის.

თუმცა ნამდვილად დადგა დრო, რომ დასები უნდა გაყოფილიყო და ცალ-ცალკე თეატრები უნდა შექმნილიყო. ეს არ იყო პოლიტიკური ამბიციების ბრალი. მე არასოდეს ამას პოლიტიკურ სარჩულში არ განვიხილავ. ჩვენი შენობა ძალიან პატარა იყო. ჩვენ პერიოდულად ამ საკითხებს ვაყენებდით. ჯერ კიდევ ვალერი ცხოვრებაშვილი რომ იყო რაიკომის მდივანი, მაშინ. რა თქმა უნდა, კულტურის სამინისტროს არ ეცალა არც ოსური დასისთვის და არც ქართული დასისთვის, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხები ჰქონდა მოსაგვარებელი. თეატრი გაიზარდა. ჩვენთან ამ დროს სამი კოლექტივი მუშაობდა. სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“ რომ შეიქმნა და გახდა ცნობილი ანსამბლი, ისინიც ჩვენს შენობაში ჩასახლდნენ, ჩვენთან გადიოდნენ რეპეტიციას და სამი დიდი კოლექტივის ერთად მოთავსება რთული იყო.

ორივე დასმა დააყენა გაყოფისა და ცალკე ქართული და ცალკე ოსური თეატრების შექმნის საკითხი. ქართულმა დასმა მოითხოვა, რომ მას ამ თეატრის დამაარსებლის, დიდი მთარგმნელისა და შექსპიროლოგის, ვანო მაჩაბლის სახელი მინიჭებოდა, ხოლო ოსური დასი იტოვებდა კოსტა ხეთაგუროვის სახელს. მართლაც, გამოიტანეს ეს დადგენილება. და ბოლოს, კომუნისტების დროს დაიწყო ახალი თეატრალური ცენტრის მშენებლობა, რომლის საძირკველი, და პირველი სართულიც აშენდა, მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, შეჩერდა ეს მშენებლობა და დარჩა ამ საძირკვლის ამარა.

და დაიწყო კიდეც ომი...

– თამრიკო, თუ იყო კონფლიქტის დროს დაძაბულობა და ურთიერთდაპირისპირება ცხინვალის ქართულ და ოსურ დასებს შორის?

– ჩვენდა საბედნიეროდ, ცხინვალის ქართული და ოსური დასების საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ ისე განვითარდა ქართულ-ოსური კონფლიქტი, რომ მსახიობებს შორის არამც თუ ზედმეტი სიტყვების კადრება არ ყოფილა, არამდ ზედმეტი შეკამათებაც არ გვახსოვს ამ საკითხზე.

მერე, როცა ცხინვალში ვითარება გაუარესდა და ოსთა ინტერესების გამომხატველი მიტინგები თეატრის წინ იმართებოდა, ჩვენს სარეპეტიციოში უნდა შეეერთებინათ მიკროფონები. უნდა გენახათ, როგორი დიდი ბოდიშებით შემოდიოდნენ მიკროფონების შესაერთებლად. ანუ ისინი კონკრეტულად ქართველების წინააღმდეგნი კი არ იყვნენ, მაშინდელი ქართული პოლიტიკის წინააღმდეგნი იყვნენ და ცდილობდნენ ეს ჩვენთვის ეგრძნობინებინათ, რომ ჩვენ რამე არ გვწყენოდა.

ერთადერთხელ იყო, რომ ქართული დასი მივედით თეატრში და ჩვენი სურათები დაგვხვდა დარბეული, ჩამოხსნილი და ოსური დასის მსახიობები: დავით გაბარაევი, ცისანა გვიჩენოვა და სხვები და სხვები, თვითონ ეცნენ და თვითონ იღებდნენ და ასწორებდნენ ამ სურათებს, თქვენ არ გეწყინოთ, ვინ იცის, ვინ გააკეთაო. ასე რომ, ჩვენს შორის არანაირი წყენა და კონფლიქტი არ ყოფილა.

ამის შემდეგ, ქართული დასი წამოვიდა თბილისში, აქ მოღვაწეობს, ხოლო ოსური დასი, ბუნებრივია, დარჩა ცხინვალში.

– ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს როგორ მუშაობდა თეატრი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხინვალის თეატრში ორი, ქართული და ოსური დასი ერთდროულად მოღვაწეობდა?

– მართლაც, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს, ჩვენ, მსახიობები აღმოვჩნდით ძალიან ცუდ დღეში. იმიტომ, რომ ჩვენ ინტელიგენციის ნაწილს წარმოვადგენდით იმ ქალაქში და ძალაუნებურად ვიყავით გარკვეული არჩევანის წინაშე. ასევე, ბევრისათვის მნიშვნელოვანი იყო ჩვენი აზრი, ჩვენი პოზიცია, შეხედულება და ვცდილობდით, ცუდი მაგალითი არ ვყოფილიყავით სხვებისთვის.

პირველად ოსური დასის მსახიობებს შევხვდი ომის წლებში, როცა ერთი ახლობელი გარდაიცვალა ცხინვალში და დაკრძალვაზე ვიყავი წასული. თქვენ უნდა გენახათ ჩვენი შეხვედრა როგორი იყო. უნდა გენახათ ჩვენი ცრემლები და მოკითხვა, ჩვენი საუბარი. სულ დაგვავიწყდა, რომ დაკრძალვაზე ვიყავით, რომ ცუდ ამბავზე ვი-

ყავით შეკრებილები. ოთხი საათი ვერ მოვცილდით ერთმანეთს, ერთად ვისხედით და ვლაპარაკობდით. ბევრნი იყვნენ, რამდენიმე ანსამბლ „სიმდის“ მოცეკვავე და მსახიობები, ქალები, კაცები.

– თუ გაქვს ცხინვალის ოსურ თეატრთან ურთიერთობა და რა პირობებში მოღვაწეობენ ისინი დღეს?

– ჩვენ ერთნი ვიყავით და, ბუნებრივია, ურთიერთობა მაქვს იქაურ მსახიობებთან. ჩემი დეიდაშვილი იქაური დასის წევრია, ხშირად ჩამოდიან ოსი მსახიობები. ჩემი მეგობარია ოსური თეატრის მსახიობი ცისანა ბიჩენოვა, რომელიც ძალიან მიყვარს და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენს მეგობრობას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. სამწუხაროდ, ისინიც არანაკლებ ცუდ პირობებში მუშაობენ. პირობებზე ისინიც და ჩვენც ერთნაირად ვწუწუნებთ და ვჩივივართ, რომ კულტურის ამ ორ კერას, რომელსაც ნამდვილად შეუძლია იტვირთოს მეგობრობის ხიდიცა და ურთიერთობების აღდგენაც (ჩვენ ხომ ურთიერთსიყვარული არასოდეს დაგვიკარგავს), ეს სახელმწიფო არ იყენებს, არ ამუშავებს ხელოვანებს საამისოდ.

მე დღემდე მათი ხელოვნების მოტრფიალე ვარ. ანსამბლ „სიმდის“ მოცეკვავეები ნამდვილი ხელოვანები იყვნენ და არიან. როგორ დამავიწყდება ფელიქს ჯიოევის ცეკვა, სრულიად გამორჩეული და ორიგინალური. ეს იყო ულამაზესი მოცეკვავე, ისედაც ულამაზესი გარეგნობისა იყო, მაგრამ სცენაზე იყო რაღაც სასწაული და სულ ვეუბნებოდი ხოლმე, რომ მე შენი „ფანი“ ვარ-მეთქი, შენი ხელოვნების ტრფიალი ვარ-მეთქი. ასევე, გენა ბიჩენოვი, არაჩვეულებრივი მოცეკვევე, ან მაია ჩეჯითი, „სიმდის“ სოლისტი, დამსახურებული არტისტი, რომელიც ახლა ბავშვთა ანსამბლ „სიმდს“ ხელმძღვანელობს ცხინვალში. მაია დღემდე მირეკავს, თბილი ურთიერთობა გვაქვს ყველას ერთმანეთთან.

ჩვენ თავიდან ბოლომდე შეგვეხო ეს ამბები, ერთად გადავიტანეთ ყველაფერი და მაინც ვახლობლობთ.

– მოგვიყევი შენი ოჯახის შესახებ. შენი მეუღლეც ცხინვალის თეატრში მოღვაწეობდა?

– 1985 წელს ჩვენს თეატრში მოვიდა მუსიკალურ გამფორმებლად ერთი ახალგაზრდა, გუჯა კეკოშვილი და ძალიან გამიკვირდა, რომ ისიც ცხინვალელი აღმოჩნდა იმიტომ, რომ მე მას ადრე ვიცნობდი თბილისიდან, ჩემს მეზობლად მოდიოდა სტუმრად.

ჩვენი მეგობრობა ნელ-ნელა სიყვარულში გადაიზარდა. ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენ შეიძლება ძალიან კარგი ოჯახი გვქონოდა. ის იყო ძირძველი ცხინვალელი, ცხოვრობდნენ ძველ ცხინვალში, გვქონდა ლამაზი და თბილი ოჯახი, შეგვეძინა ორი ვაჟი, გვქონდა ძველი და ლამაზი სახლი, რომელიც აღარ არსებობს ამ კონფლიქტის შემდეგ, გადაწვეს და ჩვენი მანქანაც მაშინ დაიწვა. და აღმოვჩნდით ღია ცის ქვეშ, უბინაოდ, უსახლკაროდ. გამოვიქეცით თბილისში.

– თამრიკო, როგორ გამოხვედით ცხინვალიდან, რამ განაპირობა თქვენთვის ცხინვალის დატოვება?

– 1989 წლიდან დაიწყო დაძაბულობა, მაგრამ ჩვენ არ გვეხებოდნენ, ჩვეულებრივად დავდიოდით თეატრში და ვმუშაობდით. როცა ოლქის მთავრობამ გამოიტანა დადგენილება, რომ გაუქმდეს ოლქი და შეიქმნას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, დავიწყეთ ნერვიულობა. ჩვენ მივხვდით, რომ თბილისი ამას ასე არ დატოვებდა და გვეშინოდა, სიტუაცია არ გამწვავებულიყო. ზუსტად მაშინ, ზვიად გამსახურდიას მთავრობამაც გამოიტანა დადგენილება, რომ გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა. მდგომარეობა დაიძაბა, ოსები ძალიან აღშფოთებულები იყვნენ. ქართველი მოსახლეობა შეშინდა, სად წავსულიყავით არ ვიცოდით. უკვე ვგრძნობდით, რომ აუცილებლად რაღაც უბედურება მოხდებოდა ასეთი სწრაფი გადაწყვეტილების გამო. მართლაც, ცხინვალში აზვირთდა ტალღა, შეცდომაში შეიყვანეს ოსური მოსახლეობა, ისინი მოითხოვდნენ, ამოქმედებულიყო კომენდანტის საათი. ოსები ითხოვდნენ რუსის ჯარის ჩაყენებას და ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩვენი ქალაქი სამხედროების სათარეშო გამხდარიყო. ტელევიზიით გამოცხადდა, რომ მიტინგის ჩასატარებლად მოდიოდა დიდი კოლონა ავტობუსებით. მთელი მოსახლეობა იმაზე საუბრობდა, სად უნდა დატეულიყო ეს ხალხი. ჩამოსულები არ შემოუშვეს ქალაქში და სხვებთან ერთად, მეც ქალაქის შესასვლელისკენ წავედი. დგანან იქით ქართველები, აქეთ – ოსები, შუაში დგას ჯარი. ისინი ყვირიან: „საქართველო!“ ესენი ლენინის სურათით არიან მოსულები. ჩვენ, თანამშრომლებმა, გადავწყვიტეთ, რომ მივსულიყავით ქართველებთან და გაგვერკვია, რა მიზნით იყვნენ ჩამოსულები, რადგან, ცხინვალში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისიდან შეიარაღებული ხალხი ჩამოვიდა

და ჩვენ გვსურდა გავრკვეულიყავით ყველაფერში.

გადმოვედით ქართველების მხარეს. ჩამოსულები შეიარაღებულები არ იყვნენ, იქ იარაღი არ დამინახავს, მაგრამ აღშფოთებულები იყვნენ, რომ მათ ქალაქში არ უშვებდნენ.

მე მგონია, რომ აქ ორივე მთავრობამ უარყოფითი როლი ითამაშა და მშვიდობიანი მოსახლეობა დააპირისპირა. რომელიმე მხარეს რომ ყოფნოდა კეთილგონიერება და ცოტა უფრო შორს გაეხედა, ნამდვილად არ დაუპირისპირებოდნენ ერთმანეთს ქართველები და ოსები. ერთმანეთის გვერდიგვერდ ტარდებოდა ორი მიტინგი, ორივე მათგანის მოსმენა მომიხდა და ვიცი, რომ ორივეგან რადიკალური მოწოდებები იყო. მე ვიტყვი, რომ ხალხმა ბევრი მოითმინა ორივე მხრიდან. კიდევ ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი ქართველებსა და ოსებს, რომ იმ მიტინგზევე არ დაიწყო შეტაკება და მშვიდობიანად დაიშალნენ, თუმცა, ოსები, რა თქმა უნდა, ძალიან გაბრაზებულები იყვნენ იმის გამო, რომ ამდენი მომიტინგე და ასე რადიკალურად განწყობილი, რადიკალური მოწოდებებით ჩამოვიდა. მომიტინგეები წავიდნენ, მაგრამ ჩვენ ხომ გვინდოდა ქალაქში დაბრუნება?! მათ, რა თქმა უნდა, ისე აღიქვეს, რომ ყველა, ვინც ქართველების მიტინგზე იყო, მათ პოზიციას იზიარებდა. ჩვენ უკვე გეშინოდა ქალაქში გამოსვლა. მე არ დამავიწყდება ის შეურაცხყოფა, რაც მაშინ ვიგრძენი, როცა სამხედროებმა გააკეთეს კორიდორი და ქართველი მოსახლეობა ასე ალყაშემორტყმული შეგვიყვანეს ქალაქში.

9 აპრილის შემდეგ სიტუაცია მთლიანად ქვეყანაში დაძაბული იყო და თანდათანობით დაიძაბა ცხინვალშიც. გააქტიურდა „ადამონ ნიხასის" სახელით მოქმედი ორგანიზაციაც. ნელ-ნელა დაიწყეს ქართველი მოსახლეობის შევიწროებაც. ამ ცნობილი მიტინგის შემდეგ ღამღამობით თარეშობდა უკვე ექსტრემისტულად განწყობილი ხალხი და არბევდნენ ქართველ მაცხოვრებლებს. დაწესებულებებშიც დაიწყო საშინელი დაპირისპირებები.

მე ისეთ კორპუსში ვცხოვრობდი, სადაც მაცხოვრებლების უმრავლესობას ოსები შეადგენდნენ, სულ 3 ოჯახი იყო ქართული. ჩემს ქვემოთ ცხოვრობდა ოსური ოჯახი, რომლებთანაც არაჩვეულებრივად ახლო დამოკიდებულება მქონდა. ერთი ტრაგიკული შემთხვევის გამო კინაღამ დედაცა და შვილიც დაიღუპნენ, მე გამოვ-

იყვანე ორივე მდგომარეობიდან და გადავარჩინე, რის შემდეგაც კიდევ უფრო დავახლოვდით. არეულობა რომ დაიწყო და უცნობი ადამიანები დარბოდნენ ქალაქში და მოუწოდებდნენ ოსებს, რომ ქართველებისგან თავი დაეცვათ, თუმცა რეალურად ცხინვალში ოსებისათვის ქართველების მხრიდან რაიმე საშიშროება არ იყო, ერთ-ერთი მოწოდების დროს, ფანჯრიდან გავიხედე და იმ მეზობელს ვკითხე, რა ამბავია-მეთქი. მიუხედავად ჩვენი კეთილმეზობლობისა, ეს მეზობელიც უკვე გაუცხოებული იყო და მიპასუხა, შენი სიკვდილის დრო ახლოვდება და ცხრა აპრილი აქაც გათენდებაო. ეზოშიც დაიწყო დაპირისპირება, მე ჩემს მეზობლებს არ ვამტყუნებ, ხალხს კი არა, მთავრობას უნდა გამოეჩინა გონიერება. მათ რაც ჩასძახეს, ის გაიმეორეს კიდეც.

რამდენჯერმე მაღაზიიდანაც გამომისტუმრეს, – ქართველი ხარ და თბილისში წადი, იქ იყიდე საჭმელიო. თუმცაღა, მე ყველაზე ამის თქმა არ შემიძლია.

ცხინვალში იყო ინტელიგენციის შეხვედრები, სადაც ოსური ინტელიგენცია კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ამ ყველაფერს დაედოს თავისი საზღვარი, რომ არ შეიძლება „ადამონ ნიხასმა“ ეს ორი ერი ერთმანეთს გადაჰკიდოს. ასეთ შეკრებებს მართავდნენ კომპოზიტორები, მხატვრები, პოეტები და მათ ეკავათ მშვიდობიანი, შემრიგებლობითი პოზიცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი უმცირესობაში იყვნენ.

ცხინვალში იყო ჯგუფი, ექსტრემისტულად განწყობილი, რომლებმაც თავიანთი დავალება, დაკისრებული საქმე კარგად შეასრულეს და ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირეს. ამაში ზოგიერთი ქართველიც გააზრებულად თუ გაუაზრებლად, ეხმარებოდა.

დაიწყო მიტინგების სერიები ორივე მხრიდან. ნოემბრის დასაწყისისათვის უკვე ძალიან დაძაბული იყო სიტუაცია. მაშინ ჩემი კორპუსის მოსახლეობამ იფიქრა, რომ მე თუ არ გამომიშვებდნენ კორპუსიდან, ქართველები იქ, კორპუსთან არ მოვიდოდნენ და გადარჩებოდნენ. მე, რა თქმა უნდა, ვუმტკიცებდი, რომ არავინ მათ შესაშინებლად და, მით უფრო, დასახოცად, აქ არ მოვიდოდა, მაგრამ უკვე ისეთი აგიტაცია იყო, რომ მათ არაფრის დაჯერება აღარ უნდოდათ. ამიტომაც არ გამომიშვეს სახლიდან.

ჩემი კარის მეზობელი, ძალიან თბილი და საყვარელი ქალი

შემოვიდა და ძალიან წყნარად მითხრა: თუ ვინმე ოჯახში შემოგივარდა, ბავშვები ჩემს აივანზე გადმოსვიო (ჩვენი სახლის აივნები ერთმანეთს ებჯინებოდა). მე გამიკვირდა და შემეშინდა, ვის რა დავუშავეთ, ვინ უნდა შემომივარდეს, რატომ უნდა შემომივარდნენ-მეთქი. არა, მე კი არ გაშინებ, მაგრამ, ისე ლაპარაკობენ ქალაქში, რომ ვინმე რომ შემოგივარდეს, ბავშვები გადმოსვი ჩემს აივანზეო. ერთ მშვენიერ საღამოს, კიდევ კარგი, ბავშვები სახლში არ იყვნენ, უკვე თბილისში მყავდა გახიზნული, მართლაც შემოვიდნენ და ჩხრეკა მოაწყვეს ჩემს სახლში, გადმოყარეს ყველაფერი, იარაღი გაქვთ, ოპერატიული ინფორმაცია გვაქვსო. ჩემი ქმარი ეუბნებოდა, გიტარისა და ფანქრის მეტი, არაფერი მჭერია ცხოვრებაში, არავისი მოკვლა არ მქონია გულშიო, მაგრამ „იქ" უკვე სამუშაო ჩატარებული იყო. და ისიც ცხადი იყო, რომ ჩვენ დიდხანს აღარ გაგვაჩერებდნენ.

ამის შემდეგ, მდგომარეობა, ბუნებრივია, უარესდებოდა და მაშინ, როცა ჩემი ქმარი სამსახურეობრივი დავალებით წავიდა მოსკოვში ორი კვირით. ახალი წელი ახლოვდებოდა და მე ბავშვები ჩამოვიყვანე დედასთან. 6 იანვარს ცხინვალში დაბრუნებას ვაპირებდი, გავემზადე კიდეც დილით და ტელევიზორში აცხადებენ, რომ ცხინვალში ომი დაიწყო. მე, რა თქმა უნდა, მაინც წავედი, მაგრამ ქალაქში უკვე ვეღარ შევედი, იქ სამხედრო ნაწილები იყვნენ გამაგრებულნი და ისევ უკან წამოვედი, დავტოვე ყველაფერი იქ.

ჩვენი სახლი, წელან რომ ვახსენე, ძველი და ლამაზი, როგორც ქართველების უბანში მდგარი, პირველივე თავდასხმაში მოჰყვა. ერთ-ერთი პირველი ჩვენი სახლი გაძარცვეს და მერე დაწვეს. მთელი უბნის სახლები დაწვეს, სადაც ძირითადად ქართველები ცხოვრობდნენ. ეს იყო ჩემი მამამთილის მამის აშენებული სახლი. ქალაქში სიტუაციას ვეღარ აკონტროლებდნენ. ეს ხალხი არავის ემორჩილებოდა. ჩვენი ოროთახიანი კორპუსის ბინა მეზობლებმა ცოტა ხანს შეინარჩუნეს, მერე ისიც გაძარცვეს, ვიღაცებიც შესახლდნენ, მერე მათ ჩვენი ბინა გაყიდეს და ახლა სხვა ოჯახი დასახლდა, მერე კიდევ სხვა. ერთხელ მეც დამიბარეს, რომ ვიღაცამ მიითვისა ჩვენი ბინა, სასამართლოში იყო საქმე გადაცემული. ის ოჯახი დღემდე ჩვენს ბინაში ცხოვრობს და მე ვიცი, რომ ჩემთვის არც სასამართლოში მისვლას აქვს აზრი და ამიტომ, არც მივსულ-

ვარ და არც ჩემი ოსი ნათესავები შემიწუხებია სასამართლოში სასიარულოდ.

ერთხელ მივედი კორპუსის ბინაში, დეიდაჩემი გამომყვა და იქვე, მეზობლად სხვა ნათესავიც ცხოვრობდა, გვარად ტიბილოვი, ისიც მომყვა. სახლი დაკეტილი დამხვდა. არავინ გაგვიღო კარი. უკან რომ ვბრუნდებოდი, მეზობელი შემხვდა და შემიპატიჟა, ძალიან კარგად მიმიღო, ძველებურად გამიმასპინძლდა, წყევლა ისინი, ვინც სახლი გაგიძარცვაო. ორი დღის შემდეგ, ამ მეზობელს ვერ გაუბედეს და ჩემი ნათესავი რომ ცხოვრობდა მეზობლად, მას მიუცვივდნენ სხვა მეზობლები, – რა უფლება ჰქონდა, რატომ მოვიდა აქო! მეორეჯერ აღარ მოვიდეს, თორემ ცოცხალი ვეღარ წავა უკანო. იმის შემდეგ აღარც მივსულვარ.

ასე გაპარტახდა ჩემი ოჯახი.

თუმცა ყველა ლტოლვილს ჩემნაირი ბედი არ გაუზიარებია და ჩემსავით ცარიელი არ გამოსულა საკუთარი სახლიდან. ზოგს მეზობელმა შეუნახა სახლი და ავეჯი, არ გააძარცვინეს, არ გადააწვევინეს. ზოგს – ნათესავი გამოესარჩლა და ავეჯი მაინც გამოიტანეს, ლოგინი, თეთრეული, ჭურჭელი, პირველადი მოხმარების ნივთები წამოიღეს. ზოგმა სახლიც არ დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ მე ცხინვალში ოსი ნათესავებიც ბევრი მყავდა და კარგი მეზობლებიც, თანამშრომლებიც, მაინც ასე მოხდა.

– ცხინვალიდან წამოსვლა და შენი გულისტკივილი ყველაზე მეტად რითია გამოწვეული?

– რაც მე საუკეთესო მქონდა, ჩემი ბავშვობის, ჩემი ახალგაზრდობისა, ყველაფერი ცხინვალს უკავშირდება და გული იმაზე მწყდება, რომ მე ყველაფერი საუკეთესო, რაც კი გამაჩნდა, ცხინვალში დავტოვე.

მე ცხინვალის თეატრში ბევრი სიხარული მინახავს, ბევრი წარმატება მქონდა.

ცხინვალში ცხოვრების დროს მე იმ ქალაქში ვგრძნობდი ჩემს დანიშნულებას. ვგრძნობდი, რომ საჭირო ვიყავი.

– რა მოხდა ცხინვალიდან გამოსვლის შემდეგ?

– დავრჩით ღია ცის ქვეშ. ვცხოვრობდი ნათესავებთან და ისინი მეხმარებოდნენ. მე მეგონა, რომ ეს ამბავი ძალიან მალე დასრულდებოდა და ჩვენ სახლებში დავბრუნდებოდით. რამდენ-

იმე თვე ჩემი უფროსი ბიჭი, ვახტანგი არ შევიყვანე სკოლაში, სკოლას არ გამოვაცვლევინებ, ისევ ცხინვალში მივიყვან-მეთქი, უფროსს ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში ვუპირებდი მიყვანას, უმცროსს – მეოთხე საშუალო სკოლაში, რადგან ორივე სკოლა ძალიან მიყვარდა და დიდი ურთიერთობები მქონდა ორივე სკოლის კოლექტივთან. მე მეოთხე სკოლა დავამთავრე, ჩემს ქმარს პირველი სკოლა ჰქონდა დამთავრებული და შვილებიც გავიყვავით, თითქოს. ახლა უფროსმა უკვე დაამთავრა სკოლა და სტუდენტია, მეორე ვაჟიც ამთავრებს სკოლას, მაგრამ ცხინვალში შესვლა არ გვეღირსა.

ამ ამბებიდან ერთი წლის შემდეგ, 1992 წლის იანვარში ჩვენი თეატრის დასი შეგროვდა თბილისში და აქ დაიდო ბინა. ამავე წელს, მოსკოვში, თეატრალური საზოგადოების ეგიდით შედგა თეატრალურ მოღვაწეთა შეხვედრა. იქ იყვნენ ქალბატონები ლამარა ჭყონია, მედეა ამირანაშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, ბატონები გიგა ლორთქიფანიძე, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე, სომხური თეატრის რეჟისორი. დაგვხვდნენ რუსეთის დიდი რეჟისორები და მსახიობები. მასალები შემდეგ დაიბეჭდა მოსკოვის „თეატრის მოამბეში“. მათ მოაწყვეს შეხვედრა ოსური და ქართული დასებისათვის. ბატონმა გიგამ მე წამიყვანა ამ შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად. ჩვენი, ქართველების მთავარი მიზანი, მოსკოვში წასვლისა იყო ის, რომ გაგვერკვია, რომ არავინ ერჩოდა ოსებს. იქ იყო ლუდმილა გალავანოვა, პოეტი, რომელიც წერდა ლექსებს საქართველოზე, ქართველების სიყვარულზე და მოსკოვში აღმოვაჩინეთ, რომ სულაც არ უყვარდა საქართველო და ქართველები. მე მისი ლექსიც კი წამიკითხავს ღონისძიებებზე ხმამაღლა ფილარმონიაში, როცა ოსეთის დღეები ტარდებოდა. იქ კი აღმოჩნდა, რომ ლუდმილა გალავანოვა ყველაზე ექსტრემისტულად იყო განწყობილი. იქ იყო ტამერლან ინტროვი, რომელიც ახლა არის ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მაშინ სტუდენტი იყო და მოსკოვში სწავლობდა. ფატიმა კვეზეროვა, რომელსაც ჩვენი თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, იზეტა სიუკაევა, რომელსაც ასევე, ჩვენი ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. იქ იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც ამ მიძრაობაში იყვნენ ჩათრეულები და შევხვდით მათ. მათი

პოზიცია ასეთი იყო, რომ ქართველები ოსების წინაშე დამნაშავეები ვიყავით, რომ მოვუწყვეთ გენოციდი, რომ ქართველებს უნდათ, რომ ოსები მათი მონები იყვნენ. მოსკოვში ასეთი ინფორმაციაც იყო გავრცელებული, რომ ქართველებმა ოსები ცხინვალიდან გაყარეს და ჩვენ ვართ ლტოლვილები და მოსკოვში ამიტომ ვართო.

ეს იყო ძალიან ამაღელვებელი შეხვედრა, სხვათა შორის, ორივე მხარისათვის. მე სიტყვით გამოვედი და იქ ვთქვი: მე ვიცი, რომ სახლ-კარი მაქვს გადამწვარი და საერთოდ აღარაფერი გამაჩნია, რაც მქონდა. ვიცი, რომ ცხინვალის თეატრი არის დევნილი და დასი ახლა ძლივს შეიკრიბა თბილისში. მე ვიცი, რომ ოსები არიან ცხინვალში და თუ იქ ოსებიც აღარ არიან, ვინ დარჩა ცხინვალში-მეთქი. ან იმ თეატრში ვინ დარჩა, თუ ქართული დასი დევნილია თბილისში, ხოლო ოსური დასი მოსკოვში-მეთქი. ძალიან გაკვირვებული ვიყავი მათი ასეთი შეხედულებებით და გაოცებული. მათ ეგონათ, რომ მოსკოვში ჩავიდოდნენ ის თეატრალური მოღვაწეები, რომლებიც ახლოდან არ იცნობდნენ ქალაქს. მე ცხინვალელი ვარ და, ბუნებრივია, ქალაქის სიტუაციასაც უკეთესად ვიცნობდი. ჩემს სიტყვაში ვთქვი, რომ მე ნახევრად ოსი ვიყავი და გავიხსენე ჩვენი დასების ერთად მოღვაწეობა. რუსმა თეატრალურმა მოღვაწეებმა მაშინ ძალიან ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს და აღნიშნეს კიდეც, რომ იქნებ ჩვენ არც უნდა ჩავერიოთ ამ საქმეში. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს არ გაუზიარებიათ ეს აზრი, თორემ ინტელიგენციის დიდი ნაწილი საღად მოაზროვნე იყო. გაოცებული იყვნენ, რომ მე ასეთი პოზიცია მეკავა. იმანაც გააოცა რუსები, რომ მე თითოეულ ოსს ვეუბნებოდი: შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ, ჩემი ნათესავი ხარ და ჩვენ არაფერი გასაყოფი და სამტრო არ გვაქვს-მეთქი. ამ შეხვედრამ დამანახვა, რომ თუ გარეშე ძალა არ ჩაერეოდა, ჩვენ ერთმანეთს კვლავ გავუგებდით.

1993 წელს მე გადავწყვიტე ჩამებარებინა სარეჟისორო ფაკულტეტზე. ცხინვალის ქართულ თეატრს ამ მხრივ ძალიან უჭირდა და გარკვეული აუცილებლობაც იყო ამ გადაწყვეტილებაში. დავამთავრე ლილი იოსელიანის კლასი. ვსწავლობდი გაჭირვების დროს, როცა ქვეყანასაც უჭირდა და ჩემს ოჯახსაც.

ვცხოვრობდით ჯერ დედასთან, მერე დედა გარდაიცვალა, ბავშვებიც გაიზარდნენ, ჩემი ძმის ბინაში ვეღარ ვთავსდებოდით.

ცხინვალში მალე დაბრუნების იმედი ნელ-ნელა ჩამიქრა და კომპაქტურად დასახლებულ ლტოლვილებთან დავსახლდი მე ჩემი ოჯახით, სასტუმროში გადავედით. ჩემს ქმარს სამსახური არ ჰქონდა, თეატრში არ იყო ხელფასები, ბავშვებსაც ბევრი რამ სჭირდებოდათ და ძალიან გვიჭირდა. ბევრჯერ წყალში მოხარშული ბრინჯი მიჭმევია ბავშვებისთვის, ბევრჯერ პური არ გვქონია. თავიდან არც ჭურჭელი გვქონდა საკმარისი, ბევრი სიძნელეც გადავიარეთ, მაგრამ ცხინვალში დაბრუნების იმედი არასოდეს დაგვიკარგავს. ყოველთვის ვამბობთ, რომ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით ჩვენს ქალაქში.

– დაბრუნებაზე შენსავით ბევრი ფიქრობს?

– ყველა ცხინვალიდან ლტოლვილი ასე ფიქრობს. ყველას ენატრება თავისი სახლ-კარი და ყველას უნდა დაბრუნება.

– ახალგაზრდებიც ფიქრობენ დაბრუნებაზე?

– ახალგაზრდები და ბავშვები ნაკლებად, რადგან მათთვის მშობლიური ქალაქი ცხინვალი არ არის. თუ ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდა ასე, უფრო ცუდი იქნება, რადგან თაობები შორდებიან ერთმანეთს. ამ ბავშვებისათვის ცხინვალელი ოსები უკვე უცხოები არიან. ცხინვალსაც არ აქვს მათთვის ის ხიბლი და მიმზიდველობა, რადგან ბევრს ცხინვალი აღარც ახსოვს, ანდა, არც უნახავს და სხვაგან გაიზარდა.

მე ძალიან დიდი ხანი დამჭირდა შევგუებოდი იმას, რომ ეს უბედურება მოხდა და რომ მე ცხინვალში დროებით ვერ ვიცხოვრებ. ხშირად სიზმარში ვხედავ, რომ ეს განხეთქილება არც მომხდარა და ისევ ცხინვალში ვცხოვრობთ. ცხინვალიდან სამუდამოდ წამოსვლას ვერასოდეს შევეგუები.

თამარ ხიზანიშვილი

ჩემო ჩიხა-მახა ცხინვალო[29]

ჩემო პატარა ჩიხა-მახა ქალაქო, რომ იცოდე, როგორ მენატრები, რომ იცოდე, როგორ მეცოდები და როგორ მიყვარხარ, ჩემო მყუდრო, უხმაურო, პაწაწინავ. რა გიშველო, რითი დაგეხმარო, როგორ მოგწვდე. როგორ მოგეშველო?! რომ იცოდე, როგორ მენატრები, – ცრემლებამდე! რას არ მივცემდი, ოღონდ შენ მენახე მორთული, ოღონდ შენ მენახე ისეთი, როგორიც მინატრიხარ. ჩემო სამშობლოვ და ჩემო დედულეთო. ჩემო დაკარგულო და გადამწვარო ბავშვობავ! სადა ხარ, ჩემო ყმაწვილკაცობავ, ჩემო სკოლავ, ჩემო ფრთამოგლეჯილო ბავშვობის მოგონებანო, სად გეძებოთ, სად, ვისი ხელით გიწიათ განადგურებამ? ჩემი სიზმრის დედავ! ჩემო პატარა ქალაქო, ყოველდღე სიზმარში გხედავ.

ჩემო პატარა დედავ! გახსოვს იანვრის ცივი ღამე? მე და შენ პირველად რომ მივხვდით, ზღვარი რომ აღარ არსებობდა, დაიწყო ღალატი, ყოველთვის ვგრძნობდი და ველოდი, მაგრამ არასოდეს გვჯეროდა, სიკეთის მთესველნი სიკეთის მომკას ველოდით. როგორ ბორგავდი, როგორ ფორიაქობდი. გრძნობდი განა, – რაც უნდა მომხდარიყო?!

პირველ ანიოკებულებს მხოლოდ შენი შიშით გაფართოებული თვალები გვახსოვს – იანვრის ღამით როგორ შემოხვედი ღამის სუდარით ჩემს სახლში, როგორ მემუდარებოდი: წადი, გაასწარი, უშველე, შვილებს უშველე, წადი. წადი, რომ მერე ისევ დაბრუნდე. მე გავუძლებ, მარტო მე! მე ხომ გორგასალმა ამაშენა, მე მაგარი ბალავარი მაქვს, ქართულად ჩაკირული. უშენოდ ვერ გავძლებდი, შენ კი მომკიოდი: – წადი. ისევ შევიყრებით...

მერე ნამოვედი და დაიწყო ლოდინით სავსე დღეები, გულის გახეთქვამდე მომენატრე. ჩამოვედი. შესასვლელთან. ნეტავ, არ მენახა შესასვლელი. ცხინვალის ღვთისმშობლის ტაძარო, ჩვენი გაჭირვების მოწმევ, როგორ გვიფარავდი, დღესაც დაგვიფარე, ნუ წაგვწყმედ, ნუ გაგვიმეტებ, შენ გევედრები, შენ, ღვთისმშობელო დედაო, შენ იცი ტყუილი და მართალი, შენ უნდა დაგვიფარო, შენ უნდა მოგვცე ძალა, ღვთისმშობელო დედაო.

ჩემო პატარავ, ჩემო ნანატრო, ჩემო გამწარებულო მონატრებავ და ჩემო სიცოცხლევ, ჩემო პატარა ქალაქო, შენთან მინდა, შენთან!!!

---

[29] პირველად გამოქვეყნდა გაზ. შიდა ქართლში, 1998 წელს.

Нино Попиашвили

Война в памяти женщин

(Устные истории грузинских и осетинских женщин)

У истории свои правила: она изучает прошлое людей, общин, наций, стран и представляет совокупность процессов и явлений, многообразных действий и поступков коллективов людей, всего человечества. Главным аргументом истории являются факты, которые придают ей правдивость и достоверность. Но часто говорят, что история всего лишь сухая констатация фактов, не содержащих никакой конкретики действий, совершаемых индивидами и очевидцами событий, полностью лишенных эмоций и мыслей, впечатлений, жизненности.

Исследователь современной истории, профессор Кембриджского университета Эдвард Хелет Карр в одной из лекций, прочитанных в 1961 году в Кембриджском университете, отмечает, что `обязанность историка - относиться к фактам с уважением - не ограничивается только контролем их точности. Он должен попытаться собрать все известные и необходимые факты, так или иначе связанные с исследуемым явлением и предложенной им же интерпретацией~ (раздел 2001).

Время многое переоценивает и всему указывает свое место. Многое придадут забвению, многое же может стать достоянием истории. Истории, записанные мной с целью лучшего показа эпохи, событий, исторической страницы, где представлены противоборствующие стороны (в нашем случае, и грузины и осетины), думаю, найдут свое место в исследованиях, посвященных независимости Грузии, событиям последнего десятилетия XX века, грузино-осетинского конфликта, в случае заинтересованности изучением этих проблем. Указанные истории очень близки к объективной реальности, поскольку они тесно

связаны с политическими событиями конца XX века.

Известный деятель девятнадцатого века американский писатель и философ Ральф Эмерсон (1803-1882) считал, что „история, как таковая, не существует - существуют только биографии".

Устные истории это передача устной информации. Такие истории не имеют претензии на достоверность, правдивость, это всего лишь повествование, основанное на интерпретации, эмоциях и индивидуальных взглядах, на увиденном собственными глазами и пережитом, однако, они приобретают особое значение при описании конкретных исторических событий, записи этих воспоминаний. Использование устных историй тем более важно во время вооруженного конфликта, когда есть несколько противоборствующих сторон, каждая из которых создает и утверждает свою собственную версию. В таком случае записи противостоящих сторон необходимо вести в отдельности.

Персональное видение истории является исходной точкой для устных историй. Повествование связано с событием, которое действительно вошло в историю и осело в индивидуальной памяти очевидца. Такие воспоминания тесно связаны с основанной на фактах историей. Можно сказать, что в некоторых случаях, более ценными, корректными и подлинными являются именно устные повествования, нежели официальные версии.

Следует учесть, что история нашей страны за последние десятилетия не исследована и не оценена должным образом, это особенно касается грузино-осетинского конфликта. Факты, которые до сих пор считаются неубедительными и неполноценными, не дают возможности объективного анализа. Согласно советской традиции, правдивой считалась официальная, выдвинутая властями версия, но после распада Советского Союза, в постсоветской Грузии было совершенно очевидным, что продиктованная властью версия о возникшей в стране ситуации и конфликтах была явно идеологизированной и односторонней. К сожалению, наша историография до сих пор использует тра-

диционные методы исследования. Думаю, что в данном случае, наряду с другими внешними факторами, нам приходится иметь дело с неправильным пониманием историком/историками сути патриотизма, а также с самоцензурой. Кроме того, очевидно, что вокруг исследуемого вопроса (в нашем случае, грузино-осетинские отношения за последнее десятилетие XX века), все еще не собрана и проанализирована необходимая информация. В таком случае чрезвычайно важными являются увиденные и воспринятые конкретными индивидами исторические факты, особенно в контексте, когда на фоне противостояния двух сторон об одном и том же историческом явлении записываются две, три или несколько, совершенно отличающихся друг от друга версий.

В 2003 году я участвовала в грантовом конкурсе, объявленном Женской программой `Открытого общества - Грузия~: `Устные истории женщин (фиксация и исследование)~. Мой проект ставил целью запись устных историй, рассказанных грузинскими и осетинскими женщинами, также представительницами смешанных семей, и использованием этих устных рассказов - исследование истории грузино-осетинского конфликта 90-ых годов XX века.

Для записи одной части респондентов я несколько раз побывала в Цхинвали, что каждый раз было связано с определенными трудностями, так же сложно было брать интервью и работать в Цхинвали. В некоторых случаях, во избежание дальнейшего осложнения, я не называла моих респондентов, с которым собиралась встретиться, а фотоаппарат и диктофон вызывали некоторые подозрения как у представителей грузинского, так и осетинского и российского миротворческих подразделений, существовала опасность и для моих респондентов, но, тем не менее, они не отказывались от записи своих воспоминаний.

Профессор Вера Айдарова жила в Тбилиси, но в течение многих лет работала в Цхинвальском педагогическом институте. Профессор Наира Бепиева окончила Цхинвальский педагогический институт, работала в Тбилисском государственном

университете иностранных языков и культур (ныне Государственный университет Ильи) и в Центре культурных связей Грузии - `Кавказском доме~, ее супруг в годы грузино-осетинского конфликта был членом Верховного Совета Грузии.

Цира (Мзиури) Бепиева преподавала в Цхинвали грузинский язык и литературу, в русской средней школе №2, после конфликта живет в изгнании в Горийском регионе.

Аза Кокоева жила и работала в Тбилиси, после конфликта в статусе беженца живет в Цхинвали, работает в Цхинвальском педагогическом университете им. Ал. Тибилова.

Писатель и переводчик Мери Цховребова является членом Союза писателей Грузии, живет в Цхинвали.

Актриса и режиссер Тамар Хизанишвили работала в Цхинвальском театре, является беженцем и живет в Тбилиси.

Путем фиксации некоторых устных историй достигается несколько целей:

1. Собирается материал, отражающий этническую историю грузинского и осетинского народов, который может быть полезным для историков, заинтересованных в объективной реальности, конфликтологов, этнологов, фольклористов, политологов, социологов, широкого круга исследователей.

2. Устные истории могут оказаться интересным источником информации для правительственных и неправительственных организаций, занимающихся вопросами мирного урегулирования конфликта.

3. Записанные устные истории могут послужить материалом для литературной переработки, по мотивам рассказанных историй можно снять фильмы, что еще больше оживит устные истории, вдохнет в них новую жизнь.

Научные исследования гуманитарных областей в большей мере опираются на биографические методы, что подразумевает анализ биографии индивида путем изучения т.н. жизненной линии, а также социальных, политических, исторических, культурологических, этнографических данных эпохи. Основным источником таких исследований часто являются устные исто-

рии, дневники, переписка, биографические записи. В таких случаях очень важно изучение индивида в естественной для него среде, где ему все знакомо и близко.

Культурологическое познание индивида содержит в себе субъективные и объективные тенденции, что подразумевает совокупность пережитого и испытаний. Это те переживания, которые особенно влияли и влияют на индивида, его убеждения и ориентацию, настоящее и будущее. Устные истории о войне и вооруженных конфликтах, с одной стороны, отражают картину эпохи, пополняют и насыщают историю индивидуальными эмоциями и переживаниями, с другой стороны, помогают индивиду реализовать субъективную и социально-политическую позицию, которая связана с прошлым и определяет мотивирование индивида на будущее.

Рассказанные женщинами истории содержат много интересных деталей. Они повествуют о детстве, семье, радостях, невзгодах, боли, надежде и разочаровании; один и тот же факт воспринимают и передают по-разному, женственно и эмоционально, но очевидно, что это их история, которая возможно отнюдь не единственная, это история, которая как раз подтверждает, что есть еще много подобных историй и воспоминаний, и независимо от национальности, независимо от возраста, независимо от позиции, эти истории о войне, конфликте, и они содержат много подобных нюансов. Не имеет никакого значения, кто рассказывает историю - грузинка или осетинка, потому что обе одинаково страдают, обеих в равной степени беспокоит участь своего народа. А для женщин из смешанных семей, - следует отметить, что в грузино-осетинских отношениях почти все семьи смешанные, - не существует только одной правды, они видят и чувствуют намного больше. Наверно, именно поэтому они особенно сожалеют о потере добрососедства, дружбы, родства, возводимых обоими народами в течение многих веков.

Женской программой руководила врач Марина Табукашвили. Позже она создала женский фонд и Центр исследования памяти `Тасо~, где собраны несколько десятков устных исто-

рий женщин. В научно-исследовательском центре `Тасо~ хранятся и записанные мной истории.

Женские устные истории могут стать бесценным источником для современной истории Грузии. Факты, о которых вспоминают респонденты, являются достоянием истории. И именно поэтому я решила спустя десять лет опубликовать работу, выполненную в 2003 году. За это время многое переоценено и сегодня многое воспринимается иначе. Это особенно очевидно после событий августа 2008 года.

Истории о войне всегда очень эмоциональны, особенно, если эти истории рассказывают женщины. Эмоции связаны с пережитым горем, с трагедией их близких, родственников, соседей и друзей, произошедшей во время вооруженного конфликта. Рассказы, пронзающие сердце, безграничная боль за прошлое, оставшиеся кровавыми пятнами события 90-ых годов XX века, навлекли меня на долгие раздумья – стоило ли вообще публиковать эти истории без изменений, ведь согласно методу фиксации устных рассказов, при записи и публикации устных историй недопустимо внесение в них коррективов, поскольку в процессе повествования важно сохранить индивидуальный стиль рассказчика: диалектизмы, лексика, жаргоны, синтаксис речи рассказчика по мере возможности должны быть переданы с максимальной точностью. Десять лет спустя, я все же решила опубликовать без корректировки устные истории грузинских и осетинских женщин. Вошедшие в книгу рассказы не оставят читателя равнодушным.

Записанные в 2003 году интервью и проведенные исследования опубликованы в книге без изменений, несмотря на то, что с позиции десятилетней давности, конечно, многое может показаться иначе, хотя на фоне информационного вакуума, возникшего в течение последнего десятилетия между грузинами и осетинами, думаю, эти истории действительно приобретают особую ценность.

Книга особенно важна и актуальна для тех читателей, которые заинтересованы изучением последнего десятилетия XX

века, исследователей грузино-осетинских отношений, для конфликтологов и историков, гендерологов, журналистов, экспертов, представителей местных и международных организаций, правительственных структур, неправительственных организаций, широкого круга читателей.

Nino Popiashvili

War in Woman's Memory

(Georgian and Ossetian Women's Oral Histories)

History has its own rules. It studies the past of humans, communities, nation and a country, which represents a unity of processes and historical events, manifold activities of communities and mankind in general. Facts serve as the main arguments for history, which guarantee its trustworthiness and truthfulness. However, it is often argued that history is a collection of pure facts, being deprived of individuals' and witnesses' adventures, emotions and thoughts, impressions and life.

Modern historian, professor of Cambridge University, Edward Hellet Carr noted in one of his lectures conducted at Cambridge University in 1961: `Historian's duty – to respect facts – is not confined only to controlling their accuracy. He must strive to collect all known and necessary facts which are somehow connected with events that are to be studied and with the interpretations that he has offered~ (Carr 2001).

Time re-evaluates a lot of things and gives them their right position. A lot of things will be drifted into obscurity, while some will become a part of history. Histories recorded by me, which represent conflicting sides, (in this case, Georgians and Ossetians) will demonstrate better the era, events, historical documents, and will become useful while studying Georgian-Ossetian conflict that existed at the end of the 20th century. These histories are closest to objective reality as they are tied to political events taking place in the late 20th century.

The 19th-century American writer and philosopher, Ralph Emerson (1803-1882) considered that `there is properly no history; only biography".

Oral histories – these are accounts of memories. Such kind of oral histories do not claim for trustworthiness and truthfulness. These are narratives based on one's own interpretations, emotions and individual viewpoints, something that one has witnessed and experienced him-

self. However, they become worthy when concrete historical events are recollected and recorded. Significance is given to oral histories during armed conflicts, when there exist different confronting sides, each of them creating and establishing their own history. It this case, it is of utmost importance to record the representatives of the conflicting sides.

Personal experiences and viewpoints about history are characteristic for oral history. They are connected with events, which are now the part of history and are in people's memories. Such kinds of memories are intermingled with history based on facts. It is noteworthy, that in most cases such narratives are more valuable, correct and genuine than official history.

We should take into consideration the fact that the history of Georgia during the last decades is not thoroughly studied and evaluated, and it mostly applies to Georgian-Ossetian conflict. Existing inaccurate facts cannot serve as a foundation for objective analysis. Owing to soviet traditions, only official, authoritative version of the history was considered as truth. However, after the collapse of the Soviet Union it became obvious that the history about existing conditions and conflicts dictated by the authorities was ideological and one-sided. Unfortunately, our historiography continues researches with traditional methods. I reckon, in this case, we also deal with inappropriate perception of the phenomenon of patriotism by historian/historians. In addition, it is obvious that objective information about concrete issues to be studied (in our case, Georgian-Ossetian relations in the late 20th century) is not collected and analyzed yet. Significance is given to historical facts seen and perceived by individuals. It mostly implies to the fact when against the background of the conflict, there exist a number of completely different histories about the same historical event.

In 2003 I took part in a grant competition: 'Women's Oral Histories (identifying and researching) announced by Open Society Georgia Foundation. The aim of my project was to record oral histories narrated by Georgian and Ossetian women, as well as women from mixed families and to study the history of Georgian-Ossetian conflict in the 90s of the 20th century with the help of women's narratives.

I visited Tskhinvali several times in order to record some inter-

viewees. During my visits I faced a number of obstacles. I had difficulties while visiting Tskhinvali for taking interviews and working there. In some cases, in order to avoid difficulties I did not mention the names of my interviewees. Camera and recorder raised doubts among representatives of Georgian, Ossetian and Russian peace divisions. There existed certain threats for my respondents; however none of them have refused to record their memories.

Professor Vera Aidarova lived in Tbilisi; however she had worked at Tskhinvali Pedagogical Institute for several years.

Professor Naira Bepieva graduated from Tskhinvali Pedagogical Institute, worked at Tbilisi State University of Foreign Languages and Cultures (currently Ilia State University) and Georgian Centre for Cultural Relations `Caucasian House~, her husband was a member of the Supreme Council of Georgian Republic during Georgian-Ossetian conflicts.

Tsira (Mziuri) Bepievi taught Georgian language and literature at Tskhinvali, Russian Secondary School 2. Currently, she is a refugee and lives in Gori region.

Aza Kokoeva lived and worked in Tbilisi. After the conflict she is a refugee and lives in Tskhinvali and works at Tskhinvali Pedagogical Institute.

A writer and translator Meri Tskhovrebova is a member of Georgian Writers Association and lives in Tskhinvali.

An actress and director Tamar Khizanishvili worked at Tkhinvali Theatre. Now she is a refugee and lives in Tbilisi.

Oral histories facilitate the achievement of a number of objectives:

1. It is a material depicting ethnic history of Georgian and Ossetian people, which can be useful for historians, conflictologists, ethnologists, folklorists, politologists, sociologists and a wider circle of researchers who are interested in objective reality.

2. Oral histories may serve as an interesting source for governmental and nongovernmental organizations, which try to resolve the conflict peacefully.

3. Recorded oral histories can become a source for literary works; films can be made on the basis of told stories which can enliven the sto-

ries even more.

Scientific researches of humanities are more and more based on biographical method, which means analyzing social, political, historical, culturological, ethnological data of the era by means of individual's biography. Oral histories, diaries, correspondences, biographical notes often serve as a source for such kind of researches. Studying an individual in natural environment, where everything is familiar for him is significant.

Individual's culturological cognition embraces in itself subjective and objective tendencies, which entails in it felt and experienced stories. This is an experience, which had and still has a special impact on an individual, his viewpoints, and orients, present and future. Oral histories recorded about wars and armed conflicts, one the one hand, depict the era, history with individual's emotions and experiences and, on the other hand, realize an individual according to subjective and socio-political experiences that are connected with the past and which facilitate individual's motivation for future.

Stories told by women entail in themselves a lot of interesting details, histories. They tell about their childhood, marriage, happiness, difficulties, pains, hopes and disappointments; they perceive and express one and the same fact on their own way, with femininity and emotions. It is obvious that it is their own history, which may not be unique; it is a history which implies that there exist a number of similar stories and memories. Without making distinction between nations, age, positions these histories contain a lot of details about war and conflict. No matter whether these stories are told by Georgians or Ossetians as they suffer equally, they experience the same pain. In case of women from mixed families, it should be noted, that most of the families engaged in Georgian-Ossetian relations are like this, there does not exist only one truth, they see and feel more. Therefore, the collapse of neighborhood, friendship and relations is more painful for them.

Women's program was headed by Ms. Marina Tabukashvili. Later, she founded Women's Fund and Memory Research Centre `Taso~ which gathered a number of women's oral histories. Histories recorded by me are reserved at `Taso~ Memory Research Centre.

Women's oral histories may serve as a worthless source for the new

history of Georgia. The facts being recollected from interviewees are the belongings of the history. This is the reason why ten years later I decided to publish the research conducted in 2003. During this time a lot of things have been re-evaluated and nowadays they have different interpretations. It is mostly felt after 2008 August events.

Histories recorded about war are always marked by their emotions. It is mostly felt in stories told by women. Emotions are connected with the stories that they, their relatives', neighbours' and friends' have experiences and their tragedies which were due to armed conflicts. Heart breaking stories, painful past which were characteristic for Georgian-Ossetian relations during the 90s of the 20th century made me ponder for a long time – I was wondering whether it was correct to publish them unaltered, as according to the methodology of oral histories, it is forbidden to edit anything while recording and publishing oral histories. It is of utmost importance to preserve the individual style of the narrators: their dialects, vocabulary, jargons, syntax should be as closer to the original as possible. Ten years later I made a decision to publish Georgian and Ossetian women's oral histories without editing. The stories told in the book will be emotional for readers as well.

The interviews and research conducted in 2003 is published in the book without alterations, in spite of the fact that after 10 years a lot of things may be seen differently. However, against the background of informational vacuum, which was created between Georgians and Ossetians, I reckon that these stories are worthy.

The book is especially significant for those readers who are interested in the study of the last decade of the 20th century, researchers of Georgian-Ossetian relations and conflicts, historians, gender researchers, journalists, experts, representatives of local and international organizations, governmental structures, non-governmental organizations, and for wider readers.

პირთა საძიებელი

აბაევა ზარა 150
აბაევი ვასო 223
აბაშიძე თემურ 237
ადამია ვაჟა 57
აიდაროვა ვერა 8, 17, 22, 54, 59, 63, 70, 83, 84, 104, 148, 149, 194, 261
ამირანაშვილი მედეა 248
არ-რაშიდი ჰარუნ 116
არჩემაშვილი ხვთისო 149
ასაევი რევაზ 132
ასლამაზიშვილი-არჩვაძე ჟანეტა 132
ალექსიძე დიმიტრი 239
აჩბა ალლა 143
აჯიაშვილი ჯემალ 149
ბალარჯიშვილი მარინა 91
ბალიაშვილი თინა 63, 88, 95
ბატონიშვილი ვახუშტი 115
ბაქრაძე რომეო 17, 53, 88, 174, 230
ბაძაღუა თამაზ 237, 238
ბეგიაშვილი სონია 128
ბენაშვილი დიმიტრი 220
ბეროშვილი მიხო 73, 147
ბესტაევა იულია 221
ბეპიევი ელგუჯა 74
ბეპიევი ირაკლი 111
ბეპიევი ნაირა 7, 19, 22, 55, 72, 83, 111, 154
ბეპიევი მზიური (ცირა) 8, 22, 41, 43, 54, 65, 69, 70, 163, 261
ბეპიევი-ჯუსოევი საშა 132, 161, 216
ბესთაუთი გიორგი 132, 148, 149
ბეჯიზათი ჩერინა 223
ბიჩენოვა ცისანა 242
ბიჩენოვი გენა 242
ბოლათი სოზირიყო 223
ბოლქვაძე ლევან 17, 19, 106, 130
ბურჯაძე ვარლამი 90
ბუქულოვი ალექსი 200
გაბარაევი დავით 43, 241
გაბარაშვილი ი.20
გაბელაია გიორგი 240
გაგლოევა ირინა 150
გაგლოევა მზია 185
გაგლოევი გაბრიელ 205
გაგლოევი მელიტონ 223
გაგლოითი იური 39
გალავანოვა ლუდმილა 248
გამსახურდია ზვიად 33, 38, 39, 45, 140, 169, 186, 226, 243
გასიევა ვენერა 229
გასიევა ლილი 21, 149, 195, 231
გასიევა რუსუდან 228
გასიევა ქეთევან 229
გასიევი ვასილ 228, 229
გასიევი ზაურ 21, 230
გაფრინდაშვილი შოთა 221, 222
გაწერელია აკაკი 130, 216
გაწერელია ს. 20
გელაშვილი ნაირა 141, 147, 148, 194
გვინეჩოვა ცისანა 43, 241
გიგაური ი. 20
გიგაური ციცო 130, 237
გიგოლაევი გიული 20, 230
გიგოლაევი დათო 20, 230
გიგოლაევი ნანული 20, 230

გობოზოვი გრიშა 221
გოგებაშვილი იაკობ 219
გოგობერიშვილი ვაჟა 142
გოგოჭური ხვთისო 142
გომიაშვილი არჩილ 223
გოჩაშვილი ჯემალ 234
გუმბარიძე გივი 25
გურგენიძე ავთანდილ 132
გურული ირაკლი 221
გუჩმაზოვი ალექსი 206
დანიელაშვილი ქეთევან 237
დიუმეზილი ჟორჟ 224
დოგუზოვი პაველ 19, 130
დონაძე კარპეზ 17, 106
ელიზბარაშვილი თამარა 112
ელიოზაშვილი დათო 237, 238
ელიოზაშვილი მერაბ 238
ელიშაკოვი ლილი 20, 130
ელცინი ბორის 40, 211
ემერსონი რალფ 6
ერისთავი გიორგი 239
ვადაჭკორია პროკოფი 17, 106, 130
ვალეო ივან 91
ვანეევი ვიქტორ 102
ვაჩნაძე მიხეილ 102, 103
ვინოგრადოვი ვიქტორ 83, 84, 87, 104, 105
ზოზირაევა სალიმა 149
თაბუევა ზაირა 131
თაბუევი რადიკ 209
თაბუკაშვილი მარინა 10
თადტაევი რამანა 128
თევზაძე გურამ 137, 143
თედეევა ნანა 63
თედეევი გივი 50, 63, 196, 220, 225
თედეევი საზმი 212
თედიაშვილი ზაზა 64, 234
თიგიშვილი თ. 20, 130
თინიკაშვილი ც. 20, 130
თოფურია აკაკი 17, 106, 222
ივანიშვილი გიორგი 234
ინაური ანზორ (ომარ) 56, 74, 75, 163
ინაური დათო 73, 75, 146, 163
ინაური კახა 73, 75, 146, 163
ინაური დიტო 163
ინტროვი ტამერლან 248
იოსელიანი ლილი 249
კავსაძე ნინო 238
კანდელაკი ვალერიან 238
კანტი იმანუელ 139
კარი ედვარდ ჰელეტ 5, 82
კასრაძე ვახტანგ 20
კასრაძე ლ 20, 131
კაჩმაზოვი ანატოლი 207, 223
კაჯაევი ფილიპ 240
კეკოშვილი ელგუჯა 46, 228, 242
კეკოშვილი ვახტანგ 228
კეკოშვილი კახა 228
კიკვაძე მურმან 17, 106
კირკეგორი სორენ 140
კვანჭილაშვილი ტარიელ 24, 26
კვარაცხელია ნაპოლეონ 142
კვეზეროვა ფატიმა 248
კოდალაევი გერსან 131
კოკოევა აზა 9, 22, 38, 48, 49, 67, 71, 150, 181, 261
კოკოევი გრიშა 21, 231
კოკოევი თემურ 150, 195
კოკოშვილი თემურ 236
კოლოტაშვილი კატუშა 164
კონჯარია ბენო 132
კოჩიევა ლუბა 207

კულუმბეგოვი ვალერი 130, 234
კულუმბეგოვი ნუნუ 20, 211
კულუმბეგოვი ტორეზ 30, 168
კუჩმაზოვი მიხეილ 223
ლომიძე ზურაბ 149
ლორთქიფანიძე გიგა 248
ლორთქიფანიძე მარიამ 248
ლურსმანაშვილი რუსუდან 21, 230
მაისურაძე-შტელლე სერგო 84
მაისურაძე შალვა 84, 92
მალუშკინი გ.
მამისაშვილი მარო 221
მამისთვალოვი ე. 20, 130
მარგიევი ზაურ 18, 132
მაღრაძე სლავა 127
მაჩაბელი ეფემია 238
მაჩაბელი ზაალ 238
მაჩაბელი ივანე 64, 228, 240
მაჭარაძე ნარგიზა 128
მახარაძე მიხეილ 142
მიკირტიჩიანი ბუბა 237
მინდიაშვილი უშანგი 236
მინდიაშვილი ტარიელ 236,
მირიანაშვილი ანდრო 17, 19, 106, 130
მედულაშვილი ზეზვა 149
მეგრელიძე იოსებ 17, 106
მელქოევა მანია 207
მესხრიკაძე ნოდარ 17, 19, 106, 130
მოდებაძე სერგო 19, 130
მოლაშვილი ნათელა 133
მურღულია ვიქტორ 239
ნადირაძე ვასო 128
ნათაძე ნოდარ 140
ნართიკოევა მედეა 131
ნატროშვილი გიორგი 218
ნიცშე ფრიდრიხ 139
ორბელიანი სულხან-საბა 35, 84, 237
ოსტაევა ჯულიეტა 39, 105, 195
ოსტაევი ალან 209
ოსტაევი ანდრუშა 213
პატეიშვილი ვლადიმერ 149
პლიევა რაისა 21, 231
პოპიაშვილი ავთანდილ 8, 75, 111, 134, 135, 141
პურიჭამიაშვილი თამაზ 237
ჟაჟიევი ანატოლი 223, 225
ჟღენტი სოლიკო
რობაქიძე ალექსი 16, 185
რომელაშვილი ანო 207
როსევა ლალი 238
რუსთაველი შოთა 20, 167, 238
სააკაძე შალვა 17, 19, 106, 130
სამხარაძე ი. 20, 130
სანაკოევი ბორის 212
სარჩიმელიძე გივი 236
სერვანტესი მიგელ დე 237
სიუკაევა იზეტა 248
სტალინი იოსებ 95
სტურუა რობერტ 248
სუდაძე ანა 221
სულაბერიძე ტიტე 17, 19, 106, 130
ტაბიძე გალაკტიონ 62, 110, 221
ტიბილოვი ჟორა 173, 247
ტეხაშვილი ალიოშა 20, 130
ტურაშვილი ანიკო 133
უშაკოვი დიმიტრი 96
უები ქრისტინა 14
შამანაძე შადიმან 237
შამელაშვილი რაფიელ 17, 19, 106, 130
შანიძე აკაკი 20
შუშანაშვილი გერონტი 142
ცერცვაძე ნანა 234

ცეცხლაშვილი ნადია (თამარა) 58, 111
ცოტნიაშვილი მიხეილ 130
ცხოვრებაშვილი ვალერი 219, 240
ცხოვრებოვა მერი 9, 22, 27, 32, 35, 36, 47, 50, 51, 52, 63, 70, 83, 150, 196, 216, 219
ცხოვრებოვი შერმადინ 21, 199, 231
ფარნიევი ვალოდია 221
ფიხტე იოჰან გოტლიბ 139
ფლიევი ილია 217
ფოცხიშვილი მორის 217, 223
ქაჯაია ოთარ 17, 19, 106, 130, 131
ქოზაევი ქიოია 58, 124
ქოქოევი გრიშა 237
ღლონტი ალექსანდრე 17, 35, 36, 37, 83, 106, 120, 196, 216, 217, 222
ყორანაშვილი მიტო 237
ყულაევი სოზირიყო 225
შევარდნაძე ედუარდ 211
ჩარკვიანი ჯანსულ 149
ჩეთითი რუბენ 143
ჩეჯითი მაია 242
ჩიბიროვი ლუდვიგ 19, 130
ჩიტაია გიორგი 185
ჩიქოვანი გურამ 185
ჩოჩიევი ბორის
ჩხეიძე თემურ 248
ჩხეტია მიხეილ 102
ძუგაევი გიორგი 132, 223
წვინარია-აბრამიშვილი ანიკო 73, 143, 147
ჭავჭავაძე ილია 139
ჭავჭავაძე ნიკო 143
ჭილაშვილი ლევან 82, 113, 115, 116
ჭოველიძე გულიკო 20, 130, 131
ჭყონია ლამარა 248
ხანგოშვილი მექა 148
ხარატიშვილი არჩილ
ხარებათი ლეონიდ 211
ხარებოვა ზამირა 207
ხასიევა ლინა 181
ხეთაგუროვი კოსტა 236, 239, 240, 248
ხელაძე ქეთევან 228
ხიდაშელი თენგიზ 237
ხიზანიშვილი თამარ 9, 20, 22, 26, 42, 45, 54, 55, 64, 69, 83, 228, 251
ხიზანიშვილი ნიკოლოზ 228, 229
ხინთიბიძე ელგუჯა 149
ხოსტიკოევი ზინა 131
ხუძუკაშვილი ქეთევან 237
ჯავახიშვილი მიხეილ 104, 134, 144, 237
ჯავახიძე ნანული 185
ჯაველიძე ელიზბარ 223
ჯათიევი ალექსანდრე 223
ჯანგულაშვილი თეიმურაზ 223
ჯიოევი ალან 211
ჯიოევი გიორგი 19, 130
ჯიოევი მურად 150, 195
ჯიოევი ფელიქს 242
ჯიოშვილი ნელი 237
ჯორბენაძე სერგო 133
ჯუსოითი ნაფი 150, 195
ჯუსოევი გიორგი 132, 161, 216
ჯულელი ვალიკო 225
ჰაიდეგერი მარტინ 139

ნინო პოპიაშვილი

ომი ქალის მეხსიერებაში

(ქართველ და ოს ქალთა ზეპირი ისტორიები)

Nino Popiashvili

WAR IN WOMAN'S MEMORY

(Georgian and Ossetian Women's Oral Histories)

Нино Попиашвили

ВОЙНА В ПАМЯТИ ЖЕНЩИН

(Устные истории грузинских и осетинских женщин)

გამოცემის რედაქტორები **თამარ ზიგერ-პოპიაშვილი**
მარეხ ბეჟანიშვილი

Writing Editors **Tamara Sieger-Popiashvili**
Marekh Beghanishvili

კორექტურა **დავით კუნჭულია**

Correction **David Kuntchulia**

კომპ. უზრუნველყოფა **თამარ სტეფნაძე**

Computer scaring **Tamar Stepnadze**

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22